ყოველკვირეული
# ალია

**„ეს სკანდალური გარიგებები ხდება სუს-ში!“**

„იმ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, ყველას აქვს სუს-თან ურთიერთობა, რაც სხვადასხვა დონეზეა დალაგებული“



29

N22/750/ 30 მაისი, 5 ივნისი 2016 წ
ფასი 2 ლარი
ყოველკვირეული ალია · ოთხშაბათი ალია · ხუთშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„ოცნებავ“ და ბიძინა ივანიშვილო, ასი ათასობით სურვილი რომ დაგვაწერინე და სპეციალურ ტომრებში ჩაგვაყრევინე, სად წაიღე, ბლდანის ნაგავსაყრელზე? თუ ეგეც 2041 წელს უნდა გახსნა?



19

## ჭყონდიდის ეპისკოპოსს, მეუფე პეტრეს, ძალადობაში ამხილენ! რატომ გაითქვა მეუფემ სახელი, როგორც „დონ პეტრემ“, რატომ ეშინია მარტვილის მოსახლეობას მისი?!

ხალხი შველას ითხოვს და საპროტესტო აქციებით იმუქრება, თუკი საპატრიარქო მეუფე პეტრეს ჭყონდიდის ეპარქიას არ ჩამოაცილებს!!!

6

## „ოცნებას“ რაა?!... იარაღის მოყვარულთა არცერთი ხმა!!!

პრემიერ ღარიბაშვილის გაუაზრებელი, ყმაწვილკაცური მუშტების ბრახა-ბრუხით და აზრებ აბზეკილი ყაი მინისტრ წულუკიანის შობილი მავნებლური კანონის სავალალო შედეგები...

17

# ბიძინა ივანიშვილი... წერილიდან წერილამდე

ამ წერილში ამბობს სიმართლეს ივანიშვილი, აქ არის გულწრფელი, დანარჩენი წინასაარჩევნო დაპირება და ბლეფია!



13



## „ეს იქნება საბოლოო სვლა, რომლისკენაც შენიღბულად ისწრაფვის „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“

11

## ძირს „ნაცები“!!! ძირს ქოცები!!!

მოთმინების ფიალა აივსო!..



20

**ზაზა პაპუაშვილი:** „ბევრმა სწორად ვერ გაიგო მინისტრობა... ვიღაცამ ქრთამი აიღო, ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა, ვიღაცა საერთოდ ვეღარ ვიცანი“



9

მოდით პოლიტიკაში, ბატონო პაატა, მაგას ვინ დაგიშლით, მაგრამ რას და როგორ აპირებთ, რატომ არ გვიმხელთ, ჰა?!



3

## ამოღებული 20 მილიონი - რა შედეგებით დამთავრდა სააკაშვილის მიერ გაპროტესტებული ჩხრეკა



უკრაინის პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის მიერ დაარსებულ „უკრაინის განვითარების“ ფონდში ჩხრეკა ჩაატარა და სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთ წევრს, უკრაინაში საქართველოს ყოფილ კონსულ თემურ ნიშნიანიძეს ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობისათვის ბრალი წაუყენა.

ჩხრეკის შედეგად პროკურატურის თანამშრომლებმა ნიშნიანიძის სახლიდან და „ოდესის განვითარების“ ფონდიდან უკანონო ფინანსური ოპერაციების დამადასტურებელი დოკუმენტები და 20 მილიონი გრივნა ამოიღეს.

აღნიშნულ ფაქტს სააკშვილმა პოლიტიკური დაკვეთა უწოდა.

უკრაინის მთავარი პროკურორის განცხადებით, ფონდის საქმიანობის შესწავლა უკრაინის რადას დეპუტატების მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა.

ამ საკმაოდ არასასიამოვნო ფაქტის ფონზე დავით საყვარელიძე სააკაშვილის ნათელ და კაშკაშა მომავალზე საუბრობს. კერძოდ:

– მიხეილ სააკაშვილი გახდება უკრაინის ახალი პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი, - აცხადებს უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე. სწორედ საყვარელიძეა ახალი პარტიის შექმნის ინიციატორი:

– მიხეილ სააკაშვილი ჩვენთან იქნება, რა თქმა უნდა და ის იქნება ერთ-ერთი იდეოლოგი და „დრაივერი" ამ პარტიის, - განაცხადა საყვარელიძემ. მისი თქმით, აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს უმაღლესი რადას მოქმედ დეპუტატებთან სერგეი კეშჩენკოსთან და მუსტაფა ნაიემომთან. საყვარელიძემ აღნიშნა, რომ ახალ პოლიტიკურ ძალაში შეიძლება შევიდეს ანტიკორუფციული მოძრაობა „**Рух За очищення**"-ს საუკეთესო ნაწილი. საყვარელიძის თქმით, პარტიის შექმნა ნულიდან დაიწყება:

– ვფიქრობ, პარტია იქნება სრულიად ახალი. ის შეიქმნება ნულიდან. არაფრის გადაკეთება ან სახელის გადარქმევა არ მოხდება, - განაცხადა საყვარელიძემ. (marshalpress.ge; newposts.ge)

● **თუ ასე კარგეთ თქვენ მილიონები, მართლაც ნულიდან მოგიწევთ ყველაფრის დაწყება, თუმცა ისიც საკითხავია, როდიდან — ალბათ, უფრო მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოხვალთ.**

**ჰო, კიდევ ერთი — რამდენად უტიფარია სააკაშვილი, აგერ, ამ ცინცხალი ფაქტიდანაც ჩანს — 20 მილიონი ამოიღო გამოძიებამ და კიდევ რაღაც პოლიტიკურ დაკვეთებზე საუბრობს — რა, 20 მილიონი ჩაუდეს, ეს ოხერი?! თუ ასეა, ყოჩაღ უკრაინელებს, ჩვენ კი ამაშიც არ გვიმართლებს — თუ ვინმეს გაფუჭება უნდათ, ერთი გრამი ნარკოტიკი და მისი ჯანი, გაგაქანებენ ხინკლის ქვაბივით.**

## ქვეყნები, სადაც საწვავი ყველაზე იაფი ღირს



გასული კვირის მონაცემებით, საწვავის საშუალო ფასი მსოფლიოს მასშტაბით 0,99 ამერიკულ დოლარს შეადგენს. თუმცა, სუბსიდიებისა და საგადასახადო ბეგარის გამო, საწვავის ფასი ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. ზოგადი სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მდიდარ ქვეყნებს საწვავზე გაცილებით მაღალი ფასი აქვთ დაწესებული, ვიდრე ღარიბ ქვეყნებს. გამონაკლისს მხოლოდ აშშ წარმოადგენს.

საწვავზე ყველაზე დაბალი ფასებით ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მოსახლეობაც სარგებლობს, შესაბამისად, ქუვეითში, საუდის არაბეთში, თურქმენეთში, ასევე, სპარსეთის ყურის ქვეყნებში ნავთობის ფასი 0,22 დოლარია. საწვავის განსაკუთრებულად მაღალი ფასით ჰონგ-კონგი, ასევე, დასავლეთ ევროპის ქვეყნები გამოირჩევა - აქ საწვავის ფასი 1,45 დოლარიდან იწყება.

საწვავის ღირებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰონგ-კონგშია, სადაც ერთი ლიტრი ბენზინის ღირებულება 1,85 დოლარს შეადგენს.

საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც საწვავის ფასი საშუალოზე დაბალია. აქ 1 ლიტრი ბენზინის შეძენა საშუალოდ 0,75 დოლარადაა შესაძლებელი. (bpn.ge)

● **ეეეჰ, რა ბედი გვაქვს — როცა ნავთობის ფასმა დაიწია, ლარი განადგურდა, ახლა, როცა ლარს ნელ-ნელა ფერი უბრუნდება, მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის ფასი ისევ იმატებს, თანაც საგრძნობლად. ჰოდა, ამ ჩვენ მებენზინეებს მეტი რა უნდათ?! ახლა კიდევ ეს მონაცემი — საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც საწვავის ფასი საშუალოზე დაბალია...**

## ,,ფორბსის თანახმად, ბიძინა ივანიშვილი უკრაინელ და ყაზახ მილიარდერებზე მდიდარია

„ფორბსის" 2016 წლის მილიარდერთა რეიტინგში პოსტსაბჭოთა სივრციდან მხოლოდ 11 მილიარდერი მოხვდა, მათ შორის 5 უკრაინიდან, 5 ყაზახეთიდან, ერთი კი – საქართველოდან.



აღსანიშნავია, რომ რეიტინგის თანახმად, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უკრაინელ და ყაზახ მილიარდერებზე მდიდარია.

„ფორბსის" მონაცემებით, ბიძინა ივანიშვილის ქონება დღეისთვის 4,8 მილიარდი აშშ დოლარია და ამ მაჩვენებლით ყოფილი პრემიერი მსოფლიოს მილიარდერებს შორის 298-ე პოზიციაზეა.

რაც შეეხება უკრაინისა და ყაზახეთის ყველაზე მდიდარ ადამიანებს, „ფორბსის" რეიტინგის მიხედვით, უკრაინის ნომერ პირველი მილიარდერის რინატ ახმეტოვის ქონება - 2,7 მილიარდი აშშ დოლარია, იგორ კოლომოისკის - 1,4 მილიარდი აშშ დოლარი, გენადი ბოგოლიუბოვის - 1,4 მილიარდი აშშ დოლარი, ვიქტორ პინჩუკის - 1,3 მილიარდი აშშ დოლარი, იური კოსიუკის კი 1,2 მილიარდი აშშ დოლარი.

უკრაინის მსგავსად, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 5 მილიარდერით არის წარმოდგენილი ყაზახეთიც.

„ფორბსის" მონაცემებით, ყაზახეთის ყველაზე მდიდარი ადამიანის ბულატ უტემარატოვის ქონება 2,4 მილიარდი აშშ დოლარია, ქვეყნის ყველაზე მდიდარი ქალბატონი, ყაზახეთის პრეზიდენტის ქალიშვილი დინარა კულიბაევა 2,2 მილიარდი აშშ დოლარის მფლობელია, ამდენივეს ფლობს მისი მეუღლე ტიმურ კულიბაევი, 1,8 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს ალიჯან იბრაჰიმოვის ქონება, მილიარდერი ვლადიმირ კიმი კი 1,6 მილიარდ აშშ დოლარს ფლობს. (bpn.ge)

● **ვინ როგორ იშოვა მილიარდები, არც ისე იოლი სათქმელია და ეს რომ ვიცოდეთ, ვისაც დაემალა, იმის ასეც და ისეც!.. ჰო, უკრაინელ და ყაზახ მილიარდერებზე მდიდარი ქართველი მილიარდერი რომ არის, ეს ალბათ, ისევ თავად ქართველ მილიარდერს გაახარებს. უი, რა ამბავი ტავტოლოგია გამოვიდა, თუმცა გქონდეთ მილიარდები და დავიჯეროთ, მოგბეზრდებათ ამ სიტყვის წერა და ხმამაღლა გამეორება?!**

**ერთი მაგარი გამოთქმა კი არსებობს — რასაც ვერ იყიდი ფულით, იყიდი დიდი ფულით! ჰოდა, სწორედ რომ საქართველოზეა ეს გამოთქმა ზედგამოჭრილი...**

## გულთგონხართა, ლევან ბატონო, თუ გგონიათ, რომ ოდესმე რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების ნება ექნება?!

ბიზნესმენ ლევან ვასაძის განცხადებით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება შეუძლებელია რუსეთის ნების გარეშე, თუმცა ეს შესაძლებელია დასავლეთის ნების გარეშე.

– საქართველოსათვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად რუსეთის დანგრევის მოლოდინი არის ჩვენი ნაღების ზოგიერთი ჰიპნოტირებული წარმომადგენლის, მაპატიეთ, იდიოტიზმი.

თუ ღმერთმა ნუ ქნას, დასავლეთმა რუსეთი დაანგრია, ეს ნიშნავს მსოფლიო ომს, რომელიც ჩვენ მხოლოდ კიდევ უფრო მეტ უბედურებას მოგვიტანს. რუსეთის ნება საქართველოსათვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად არასოდეს იქნება, თუ ჩვენ ნატოში მივისწრაფვით. ჩემთვის ეს არის, სამწუხაროდ, პირველი აქსიომა. მე მინდა ვიყო რეალისტი.



ასევე, ნატო ვერასოდეს მიგვიღებს თავის რიგებში, სანამ უარს არ გვათქმევინებს აფხაზეთსა და ოსეთზე. ასევე, ეს არის მეორე აქსიომა, რასაც არ უნდა გვატყუებდნენ დასავლეთიდან. ხოლო, ასეთ შემთხვევაში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე, ნატო იმ დღესვე სიამოვნებით დაგვითრევს და გადაგვაქცევს კიდევ ერთ ანტირუსულ ან ანტიისლამურ პოლიგონად.

გვინდა ჩვენ ეს? ამიტომ, შესაძლებელია ამ რეალობიდან გამომდინარე, უარი უნდა ვთქვათ ნატოში შესვლაზე, - აცხადებს ვასაძე. (mpress.ge)

● **არ გაკადრებთ, ლევან ბატონო, ისტორია შეგახსენოთ და იმაზე დავიწყოთ ლაპარაკი, როგორ და რა მანქანებს იყენებდა ძირმომპალი საბჭოთა კავშირი, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ნელი მოქმედების ბომბი ყოფილიყო... გავიდა ბევრი წელი და საბჭოთა კავშირის საძირკველზე აღმოცენებულმა „პუწინის“ რუსეთმა ეს ბომბი წარბშეუხრელად აამოქმედა.**

**ის აბსოლუტურად მართალია, რომ დაკარგული ტერიტორების დასაბრუნებლად რუსეთის დანგრევის მოლოდინი ნამეტანი დიდი სისულელეა, მაგრამ არც ის არის ჭკუასთან ახლოს, ვიფიქროთ, რომ ოდესმე რუსეთს ექნება ნება, მიტაცებული მიწები დაგვიბრუნოს.**

**ჰოდა, რადგან ისედაც დენთის კასრზე ვსხედვართ, რადგან ისედაც კაცმა არ იცის, როდის გადაუტრიალდება პუტინს „შარიკი“ და საბოლოოდ გაგვანადგურებს — სამწუხაროდ, მარტოები ვართ, მაგაშიც გეთანხმებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩირგვებში შევძვრეთ — თუ შეგვიძლია, პუტინის რუსეთს ნერვები იმით მაინც მოვუწამლოთ, რომ გაუთავებლად ნატოში შესვლაზე ვილაპარაკოთ, რატომ ვთქვათ უარი ამ სიამოვნებაზე?**

**ბავშვობაში ისეთი ჩხუბი არ მოგსვლიათ, ლევან ბატონო, როცა მოგრევიან, კარგად მოგხვედრიათ, მაგრამ მაინც ამაყად გითქვამთ - „ჩემი მაინც გავისწორე და მაგარი მოვდე ყბაშიო“? ეგ ამბავია, რა — ჩვენი მაინც „გავისწოროთ“ და მოვშხამოთ „პუწინის“ რუსეთი, ისედაც ხომ დენთის კასრზე ვსხედვართ და კაცმა არ იცის, როდის მოგვაყენებს ვალოდია საბოლოო გამანადგურებელ დარტყმას!..**

## ,,პირველი შემთხვევაა, როდესაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ საქართველოს მოქალაქის მკვლელობაზე გამოძიება დაიწყო“



– პირველი შემთხვევაა, როცა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ დაიწყო გამოძიება საქართველოს მოქალაქის მკვლელობაზე, 25 წელია ამ სფეროში ვარ და ეს, თავისთავად, უჩვეულო ფაქტია. ის, რომ ამ საკითხს სერიოზულად უდგებიან, ანგარიშგასაწევია, - ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა.

– აფხაზეთის ტერიტორია ოკუპირებულია. სამწუხაროდ, არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია და ბუნებრივია, ჩვეულებრივი ნორმების ფარგლებში ვერ მოხდება მართლმსაჯულების განხორციელება; მოძიება, პროკურტურის საქმიანობა, სასამართლო არ შეესაბამება ქართულ კანონმდებლობას და გამოძებაც, აქედან გამომდინარე, ვერ იქნება სრულყოფილი. ამიტომ ვფიქრობ, პროცესს უფრო პოლიტიკური ხასიათი ექნება, ვიდრე - სამართლებრივი, - აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა. (პირველი რადიო)

● **პატივცემულო პაატა, ვითომ, აქვს რამე მნიშვნელობა, დე ფაქტო ხელისუფლება, სეპარატისტული ძალოვანი უწყება ვითომ გამოძიებას რომ დაიწყებს? უჩვეულოც ამაში საერთოდ არაფერია — ცხვირწინ უდევთ ცივსისხლიანი მკვლელობის ამსახველი ვიდეო, მთელმა მსოფლიომ გაიგო, რა და როგორ მოხდა და ისინიც უბრალოდ, იძულებულები არიან, რაღაც იმაიმუნონ, თორემ სამწუხაროდ, შედეგი რომ არ ექნება გამოძიებას, პატარა ბავშვმაც იცის.**

**უჩვეულო ფაქტი არა, ტიჯანი ბაბანგიდა!**

## facebook



ლადო სადღობელაშვილი:

რა ვერ გავიგე იცით? აფხაზეთის საოკუფაციო ხაზთან, ენ გამშვებ პუნქტთან რატომ არ დგანან ქართველი სამხედროები-მესაზღვრეები? ან და თუ დგანან რატომ არ იმოქმედეს? სად იყო ასე ნაქები სუსი? რომელსაც ევალება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოება? რატომ არ გადადგა მინიმუმ მინისტრის მოადგილე ასეთი ფაქტის დროს?! (ცნობისათვის ასე ხდება ხოლმე ცივილურ ქვეყნებში)

დათო გოგიშვილი - ლადო ეს არის ენგურის ცენტრალური ხიდი, რომელიც აერთიანებს ინგირსა და ჭუბურხინჯს. აქ აფხაზ-რუსთა და ქართველთა დისლოკაციის დისტანცია, მათი შემხებლობის რისკებიდან გამომდინარე იძლევა საშუალებას რო იდგნენ შსს-ს წარმომადგენლები მასშტაბურად. გიგა ოთხოზორია მოკლეს ხურჩა-ნაბაკევის ,,გამშვებ პუნქტთან,,. და იქ დისტანცია ძალიან მოკლეა. შესაბამისად ქართულ მხარეს 2008 წლის 12 აგვისტოს 6 პინქტიანი შეთანხმებით განსაზღვრული აქვს ზღვრული პერიმეტრი, ურთიერთ შეხებისა დაპირისპირებულ მხარესთან. ასევე მკაცრად ქვოტირებული და რეგლამენტირებულია რაოდენობა და შეიარაღების სახეობები, რომლის ყოლის უფლება აქვს ქართულ მხარეს კონფლიქტის ზონაში. მიუხრდავად იმისა, რომ ტერიტორია ქართული მხარის კონტროლირებადია. ანუ ტერიტორიას მაინც აქვს კონფლიქტის ზონისა და დაძაბულობის მაღალი რისკის მატარებელი ზონის სტატუსი. სამწუხაროდ აი ეგეთ რაღაცეებზეა ხელი მოწერილი

## facebook



გერონტი აშორდია:

2012 წლის 01 ოქტომბრის არჩევნებში «ნაცმოძრაობის“ სადისტური რეჟიმის დამარცხების მომენტიდან დღემდე 52 ათასზე მეტი საჩივარი შევიდა პროკურატურაში კონკრეტული დანაშაულის შესახებ ინფორმაციებით, მაგრამ 1%-იც არაა გამოძიებული და საქმეები თაროებზეა შემოდებული იმ ინტერესით, რომ დაზარალებულებს წაერთვათ ახალ გარემოებათა საფუძვლებით საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება, რის გამოც უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანები ციხეებში რჩებიან, უკანონოდ ჩამორთმეული ქონება მოძალადეებს და მათ მფარველებს/ახალ მეწილეებს რჩებათ, ხოლო არჩილ კბილაშვილი, ლაშა ნაცვლიშვილი და „ენმ“-თან დაძმობილებული სხვა პოლიტიკოსები მაჟორიტარების ჩათვლით, ხარბები აღმოჩნდნენ.



მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

არა, რა, ამით რომ არ დავიწყო წერა, გული გამისკდება – პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში პრაქტიკულად, შემოიპარა!

უხ, გულზე მომეშვა!

უარესიც ვთქვა? ვიტყვი, ჩემი რა მიდის, რო – პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში პრაქტიკულად, მოტყუებით მოვიდა!

ვახ, შენ გენაცვალე, ახლა სულ მთლად ამოვისუნთქე, რა!

ჯანი გავარდეს და მესამესაც მოვაყოლებ – პაატა ბურჭულაძე ხალხს არ უმხელს, რას და როგორ აპირებს!

იფ, შენ გენაცვალე, რა კარგია, ასპარეზზე პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“? ჰაი, ჰაი, რომ გამოჩნდა და პარტიის ყრილობაც ჩაატარა.

ნუ, როგორც სხვა პარტიების ყრილობებზე ხდება ხოლმე, აქაც იყო სიტყვების რახარუხი, დაპირებები, რომ ავაშენებთ და აგაყვავებთო, ერთხელ და სამუდამოდ დაგანახვებთ გვირაბის ბოლოს სინათლესო, ესაო, ისაო, მაგრამ კონკრეტული გეგმა, პროგრამა ნახა ვინმემ? წნუ, არ უნახავს!

აი, როგორ მიმართა პაატა ბურჭულაძემ ყრილობის მონაწილეებს:

„ვხედავ ხალხის საწინააღმდეგო საშინაო პოლიტიკას და ჩამოუყალიბებელ საგარეო პოლიტიკას, ვხედავ ჩინოვნიკების არაპროფესიონალიზმს, დაწინაურებულ ნათესაობასა და სამეგობროებს. ვხედავ მოტყუებულ ადამიანებს, რომელთა მოტყუებას კიდევ ერთხელ აპირებენ ამ არჩევნებზე.

ძალიან მაინტერესებს, რა დაპირებით ჩავა „ქართული ოცნება“ რაიონებში, რას დაჰპირდება ხალხს ისეთს, რასაც ჯერ არ დაჰპირებია, და უფრო მეტად მაინტერესებს, ვნახო ერთი ადამიანი მაინც, ვინც ამ დაპირებას დაიჯერებს. ჩვენი მოძრაობა ღიაა ყველასთვის, ვინც თავს აღარ მოიტყუებს, ვისი მოთმინების ფიალაც აივსო. ჩვენი მოძრაობა ღიაა მათთვის, ვინც საქართველოს მომავალს ხედავს ნატო-სა და ევროპულ ოჯახში, ვინც არასოდეს შეეგუება ქვეყნის ოკუპაციას და ვისთვისაც მშვიდობა უმაღლესი ღირებულებაა. ჩვენი მოძრაობა ღიაა ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა. ჩვენ აქ გვესწრებიან სხვადასხვა ეროვნების საუკეთესო წარმომადგენლები, საქართველოს ნამდვილი პატრიოტები. ის, ვინც დაიბადა ჩვენს ქვეყანაში, განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა – ყველა ქართველია! ამიტომ ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ და ვმართოთ ეს ქვეყანა!

ქუთაისში მითხრეს, ერთ ხანდაზმულ ქალბატონს უნდა შენი ნახვა, მაგრამ ლოგინადაა ჩავარდნილიო. მივედით დეიდა მარიამთან. წლებია, ეს ქალი თურმე სახლიდან ვერ გამოდის. მომიყვა, რომ 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს ძალიან მოინდომა, ღმერთს სთხოვა, ძალა მომეციო, მეზობლებს სთხოვა, დამეხმარეთო და დიდი გაჭირვებით წავიდა არჩევნებზე, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ხმა მიეცა. როგორც არასდროს ცხოვრებაში, ისე ვიყავი დარწმუნებული, რომ ქვეყანა სწორ გზაზე დადგებოდა და ჩემნაირი ხალხისთვის იქნებოდაო. მე სახლიდან გამსვლელი აღარ ვარო, დედაო, მითხრა. გული დამეწვა, ვიცი, რომ უმრავლესობა ამას ფიქრობთ. 2012-ში ყველამ ასე გაიჭირვეთ, ყველამ მოინდომეთ და შეუძლებელი შეძელით...

დეიდა მარიამ, გთხოვთ, კიდევ ერთხელ გაიჭირვოთ და მოხვიდეთ არჩევნებზე იმიტომ, რომ მეც ისეთივე მოტყუებული ვარ, როგორც თქვენ! იმიტომ, რომ მეც ისეთივე იმედგაცრუებული დამტოვა ჯერ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მერე „ქართულმა ოცნებამ“, როგორც თქვენ. ჩვენ აღარ უნდა ვიოცნებოთ! ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ“.

უიმე, დედა, „ნაციონალური მოძრაობის“ როგორ დაიჯერეთ, ბატონო პაატა? თუმცა რას ვიზამთ,

# მოდით პოლიტიკაში, ბატონო პაატა, მაგას ვინ დაგიშლით, მაგრამ რას და როგორ აპირებთ, რატომ არ გვიმხელთ, ჰა?!



როცა გულზე რაც გაწვება, იმას ალალად იტყვი და მოგეშვება. ისე, მძიმე ფიქრები რომ მოიშორო, კიდევ ერთი ხერხიც ვიცი, ხალხური და გამოცდილი – „დაიკიდე, გულზე მოგეშვებაო“, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მეთოდი არ გამოდგება – ძალიან რთულია, დაიკიდო ის, რაც ერთგვარად, შენი შვილების, შენი ქვეყნის მომავალს უკავშირდება!

რატომ ვფიქრობ, რომ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში შემოიპარა? რატომ ვამბობ, რომ მოტყუებით მოვიდა და რატომ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ არ გვიმხელს, რას აპირებს? ახლავე მოგახსენებთ:

თავიდან ფონდი შექმნა და აპ, აპ, აპ, პოლიტიკაში რა გვინდა, ჩვენ ქვეყანას სხვანაირად უნდა დავუდგეთ გვერდში, ბევრი სიკეთე უნდა ვაკეთოთო...

აქ ლირიკული გადახვევის დროა:

– რაც არ უნდა ბევრი ილაპარაკოს მავანმა, – პაატა ბურჭულაძეს არაფერი გაუკეთებიაო, ვერაფრით დავეთანხმები – ის უამრავ გაჭირვებულ ადამიანს დაეხმარა და ვინც ამას ვერ ხედავს, თუ არ უნდა დანახვა, სავარაუდოდ, სერიოზული პრობლემები უნდა ჰქონდეს!

ლირიკული გადახვევის დასასრული...

ჰოდა, იმას ვამბობდი, ჩემო ბატონო, რომ გააფიჩინეს ფეხები, – არ ვაპირებთ პოლიტიკაში მოსვლასო, არადა დღესავით ნათელი იყო პაატა ბურჭულაძისა და მისი გუნდის გეგმები და „ალია“ გახლდათ პირველი, რომელმაც ამ გეგმებზე დაიწყო საუბარი და რაღა თქმა უნდა, როგორც ხდება ხოლმე, „ალია“ ამჯერადაც მართალი აღმოჩნდა.

და რა არის ეს, არ არის ტყუილი? არ გამოჩნდა პოლიტიკურ

სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ დავუჯერე და კი დავრჩი პუპლუცზე, დავრჩი მოტყუებულ-გაღიმებული და ფაქტია, მეც მწარედ მომატყუეს, ჩემო ბატონო.

რაც შეეხება ამ ყურისთვის ძალიან საამო სიტყვებს – დედას გაფიცებთ, მკითხველო, ზუსტად იმავეს არ ამბობდნენ „ნაცმოძრაობაცა“ და „ქართული ოცნებაც“? და რა მივიღეთ შედეგად? ჰო – ბუს კვერცხები!

ერთი ასეთი კითხვაც მაქვს, ძვირფასო მკითხველო: განა პაატა ბურჭულაძეზე ნაკლები ნდობით სარგებლობდა „ქართული ოცნება“ და მით უფრო – ბიძინა ივანიშვილი? მაგრამ ვიმეორებ – მოვტყუვდით, თან ძალიან მაგრად!

ახლა კი ისევ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ლამაზი სიტყვებით ცდილობს დეიდა მარიამისა და ჯაგა ბიძიას არჩევნებზე მიტყუებას – მე ვარ ის, ვინც საქართველოს ააყვავებსო. ეჰ, ბატონო პაატა, აბა, როგორ დაგიჯეროთ, როცა, ფაქტობრივად, თქვენც უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობ სიმღერას მღერით?

მოდით, რა ქენით, ბატონო პაატა, იცით? კონკრეტული გეგმა დადეთ, კონკრეტული პროგრამა, თქვით, ზუსტად რას და როგორ აპირებთ, ოღონდ ისიც აუცილებლად მიაყოლეთ – თუ ამას და ამას არ გავაკეთებ 4 თვეში, 8 თვეში ან 12 თვეში (ეს მაქსიმალური ვადაა, რადგან ივანიშვილის – „მე-4 წელი უკეთესი იქნება“, ჩაილურის წყლით გაიბერა და გასკდა!), მთელი ჩემი გუნდი ქუდს დაიხურავს და პოლიტიკურ მოუსვლელში წავაო.

გეყოფათ ამის გამბედაობა? სამწუხაროდ, ეჭვი მეპარება, რომ – არა! ჰოდა, არც „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავდებით და არც „ქართული ოცნებისგან“...

## facebook



ზაზა სიამაშვილი:

ნანა ალექსანდრიას!!!!!!! ვიდრე კოლეგები ვიყავით, პატივს ვცემდი ჩემს მეგობრებს და იმ ადამიანებს, ვისთანაც ერთად მოვედი სასახლეში.... ახლა, რადგან აღარ ვარ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომელი, უფრო თავისუფლად ვწერ..... თქვენ გარეწარი შვილი გყავთ, კიდევ უფრო უარესი რძალი და მაეჭვებს თქვენი, როგორც დედის, წილი სისხლზე გაწვრთნილი და დაგეშილი ჯალათის აღზრდაში.... თუ თქვენ აღზარდეთ, მაშინ თანავუგრძნობ ყველას, ვინც თქვენთან დადის ჭადრაკში დასაოსტატებლად.... მაინტერესებს რას ფიქრობთ, როდესაც ღამე დასაძინებლად მიდიხართ, - ვინ კი არა, რა გაზარდეთ???????? ან რად გაზარდეთ????? თქვენ ხომ იცით (უკვე წინსწრებით!) რომ ასეთი შვილის დედობას ყველაზე უარესი სჯობს.... არ იცით?! კიდევ უარესი!!!!!! განათლება მიეცით?! ისევ და ისევ - სჯობდა სულაც გაუნათლებელი დარჩენილიყო.... გიყურებდით, როგორი ,,აღშფოთებული და შეწუხებული'' მიქროლდით შვილი რომ გაგილახეს..... როგორ აკადრეს, როგორ შეჰბედეს..... თქვენ რომ უსაფრთხოდ დადიხართ მე ეგ მაოცებს.... ფრთხილად იყავით, ნამდვილად აღარ ხართ დაცული იმდენი შხამი და ბოროტება დაუგროვა თქვენმა ძლოკვმა ხალხს გულში, გონებაში.... ბევრია გამწარებული დედა, მამა, და, ძმა, შვილი.... ამ პატარა ქვეყანაში ამდენი შხამი დიდი ,,ფუფუნებაა'' და დოზირება რომ არ იცით, ეს აშკარად გეტყობათ.... თქვენს ადგილას ნამდვილად არ ვინატრებდი ყოფნას, მაგრამ გეტყვით - დროზე გაეცალეთ სასახლეს და მერე ამ ქვეყანას.... ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს ჩემი სახელმწიფო თქვენს დაცვას, ან რატომ უნდა დაგიცვათ??? რა დამსახურების გამო? თქვენს მედლებს და პრიალ-პრიალა ლითონებს ჩალის ფასი აქვს.... ცხოვრებას კიდევ უფრო დაბალი.... იმის მაგივრად, მუხლებზე დავარდნილი პატიებას ითხოვდეთ, გაავებული სახით დადიხართ და სპორტსმენების დასჯას ითხოვთ! აქაც კარგად იკვეთება თქვენი უ-ზნეობა და სრული გაუთვითცნობიერებლობა.... ჩემს თავზე ვბრაზდები - მგლის თავზე სახარებას ვინ კითხულობს?! წადით ჩემი ქვეყნიდან!!!!!

## „წარმოიდგინეთ, მასწავლებელი კითხულობს კლასში: ვის ჰყავს ორი მამა და უკრავენ ტაშს!“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუკრი ქანთარია მიიჩნევს, რომ კანონში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ოჯახის დეფინიცია.

მისი თქმით, არ შეიძლება სხვანაირ ოჯახში ჯანმრთელი ფსიქიკის ბავშვები გაიზარდონ.

– დღეს თუ გადავხედავთ ევროპულ-მერიკულ, იგივე კინომატოგრაფია იქნება ეს თუ სხვა, იქ უკვე თითქმის შეუძლებელია ერთი შტრიხი მაინც არ იყოს ამდაგვარი და ეს უკვე ითვლება მოდურად, ტენდენციებიც აქეთკენ მიდის, რომ შეიძლება რომეო და რომეო, ჯულიეტა და ჯულიეტა და ეს პირიქით, ითვლება ინოვაციად.

სწორია, რომ გვინდა ამ კანონის მიღება. ერთსქესიანთა შორის ლტოლვა და მიზიდულობა რა თქმა უნდა, არ არის ამ საუკუნის სენი, არც ამ საუკუნის პრობლემა. ეს მუდმივად მოდიოდა და არის კიდეც. ახლაც არავინ იფიქროს, რომ ვინმეს ვინმესადმი ლტოლვას დევნის სახელმწიფო. ეს მათი საქმეა. ეს საკითხი გარკვეული შფოთის საფუძველს იძლევა ჩვენს ქვეყანაში და ბუნებრივია, საჭირო გახდა ამ საკითხის დასმა დღის წესრიგში.

არის ქვეყნები სადაც არის კლიპები საბავშვო ბაღში, შემოდის მასწავლებელი და ამბობს: აბა, ვის ჰყავს ორი მამა? და უკრავენ ტაშს. შემდეგ გამოდის ისევ და კითხულობს: აბა, ვის ჰყავს ორი დედა? და ისევ უკრავენ ტაშს. არ მგონია, ის ბავშვი გაიზარდოს ჯანსაღი და სრულყოფილი ფსიქიკის. ჩვენ ვართ ძალიან ცოტანი, გავუფრთხილდეთ ჩვენს ჯიშსა დ ჩვენს მომავალს — ამბობს ნუკრი ქანთარია. (ipress.ge)

● **ეს ის გამონაკლისი შემთხვევაა, როცა შეიძლება საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელზე „თითო ცალი“ დადებითი სიტყვა თქვა — დიახ, საზიზღრობაა, როცა ბავშვი ვერ არჩევს მშობლების სქესს! დიახ, საშინელებაა, როცა ჰომოსექსუალი წყვილი შვილს ზრდის და ვისაც ეს სიტყვები გულზე მოხვდება, შეუძლია, ცივი წყალი დალიოს!**

**ჰო, ამჯერად ნუკრი ქანთარია ნამდვილად იმას ამბობს, რასაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა, მაგრამ მეორე მომენტია, რომ „რატომღაც“ მხოლოდ არჩევნების წინა პერიოდში ახსენდებათ ხოლმე ასეთი საკითხები.**

**აბა, თუ მიხვდებით, რატომ?!**

## ქართულმა მხარემ აფხაზებს გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ამსახველი ვიდეო გადასცა



ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის საგანგებო შეხვედრის ჩატარების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

დე ფაქტო უწყების ინფორმაციით, შეხვედრის მთავარი თემა სოფელ ხურჩაში გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტი იყო.

– ქართულმა მხარემ შეხვედრის მონაწილეებს გამოძიების მასალები და მკვლელობის ამსახველი ვიდეო გადასცა. შეხვედრა კონსტრუქციულ ატმოსფეროში ჩატარდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მუშაობა გაგრძელდეს, - ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ მომდევნო შეხვედრა მიმდინარე წლის 6 ივლისს, გალში გაიმართება.

გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმეს დე ფაქტო ხელისუფლების ე.წ. სამხედრო პროკურატურა იძიებს. შეხვედრაზე ბრალდებულის დაკავების შესახებ ინფორმაცია არ დაადასტურეს.

შეგახსენებთ, რომ 4-წლიანი წყვეტის შემდეგ პირველად, გალში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის საგანგებო შეხვედრა 27 მაისს გაიმართა. (pia.ge)

● **ჩვენ უკვე ვნახეთ აფხაზეთის პროკურატურის განცხადება — ოთხოზორიას ბრალი იყო ის, რაც მოხდაო, რუსეთში ამბობენ — ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მკვლელობა აფხაზმა მესაზღვრეებმა ჩაიდინესო. ქართულმა მხარემ კი აფხაზებს გადასცა ვიდეო, რომელიც „იუთუბზე“ ისედაც ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის და რომელშიც მშვენივრად ჩანს, როგორ არაადამიანურად უსწორდებიან ახალგაზრდა კაცს! ჰოდა, რამის გამკეთებლები რომ იყვნენ სეპარატისტები, აქამდე დაიჭერდნენ ცივსისხლიან მკვლელს.**

**მოკლედ, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, მკვლელობის ამსახველი ვიდეო აფხაზურ მხარეს მხოლოდ ფორმალურად გადაეცა, თანაც კონსტრუქციულ ატმოსფეროში!..**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა გილოცავთ ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღეს, 1-ელ ივნისს.

ამ დღის აღსანიშნავად, 1-ელ ივნისს, მთელი დღის განმავლობაში, პატარა პაციენტებისთვის კონსულტაცია უფასო იქნება ყველა სამედიცინო მიმართულებით.

**მსურველებს ვთავაზობთ წინასწარ რეგისტრაციას ცხელი ხაზის ნომრებზე:**

**252 62 88; 254 06 97.**

ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღეს რომ დღესასწაულის ელფერი ჰქონდეს, კლინიკის ადმინისტრაცია ბავშვებისთვის არაერთ სიურპრიზს ამზადებს.

**მისამართი: ლუბლიანას №21.**

## განსხვავებული ბანკი — „ტერაბანკი“

**„ტერაბანკი“ სხვა არც ერთ ბანკს არ ჰგავს. აქ სახლის გარემოა შექმნილი და ერთი შეხედვით, იფიქრებ, რომ რომელიმე მეგობრის მყუდრო სახლის მისაღებ ოთახში მოხვდი. „ტერაბანკმა“ პირველი განახლებული ფილიალი გახსნა, თუმცა ბანკი უკვე 17 წელია, ბაზარზეა და აქამდე „კორ სტანდარტ ბანკის“ სახელით იყო ცნობილი.**



ცვლილებები, რომლებიც ასეთი ადვილი შესამჩნევია, ერთი წლის წინათ დაიწყო. მაშინ, როდესაც ბანკმა ახალი ბიზნესსტრატეგია განსაზღვრა და ძირითად სამიზნე სეგმენტად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები აირჩია. საჭირო გახდა, რომ მომხმარებლისთვის მორგებული და კომფორტული გარემო შექმნილიყო და რებრენდინგიც დაიწყო.

საერთაშორისო ბრენდინგ კომპანია „დელგადომ“ პირველ ეტაპზე კვლევები ჩაატარა და მომხმარებლის საჭიროებები დაადგინა. უკვე ამის შემდეგ განისაზღვრა ბანკის საკომუნიკაციო სტრატეგია და მოდელი. ყველაფერი ადამიანებისთვის ყველაზე ახლობლის – სახლის გარშემო გაერთიანდა.

ფილიალების კონცეფცია სახლის მოდელით დაიგეგმა და საკომუნიკაციო სლოგანადაც „ჩემი ფინანსური სახლი“ შეირჩა. ამ ყველაფრის მიზანი მომხმარებლისთვის უშუალო და ნაცნობი გარემოს შეთავაზება იყო. თუკი ზოგიერთი მომხმარებლისთვის ბანკში მისვლა დისკომფორტთან, დაუსრულებელ რიგებსა და მოსაწყენ პროცედურებთან ასოცირდება, „ტერაბანკის“ შემთხვევაში, ყველაფერი სხვაგვარადაა – აქ საპატიო სტუმრის სტატუსით გმასპინძლობენ და საჭირო საბანკო მომსახურებას თავაზიანი და კომპეტენტური კადრებისგან იღებ.

სახელის ძალიან ბევრ ვარიანტს შორის უპირატესობა „ტერაბანკს“ მიენიჭა – „ტერა“ ლათინურად მიწას, ნიადაგს ნიშნავს და ეს ბანკისთვის მიწაზე მყარად დგომასთან, სიძლიერესთან ასოცირდება. გარდა ამისა, „ტერა“ მეორე მნიშვნელობით 10-ის მეთორმეტე ხარისხია, რაც ბანკის სამომავლო გეგმებსა და ბიზნესში დიდ პერსპექტივას უკავშირდება.

ბანკის რებრენდინგს მხარი დაუჭირა დამფუძნებელმა კომპანია „დაბი ჯგუფმა“. „ტერაბანკი“ არაბული კომპანიის მფლობელობაშია და ბანკის ძირითადი აქციონერი არაბეთის გაერთიანებული საამიროების შეიხი ნაჰაინ მუბარაქ ალ ნაჰაიანია. ნაჰაიანი საქართველოში 250 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას ფლობს და როგორც ცნობილია, ის ამ თანხის მოცულობის გაზრდას გეგმავს.



## „ეს არ არის დასკვნა, ეს არის მოსაზრებები“ - გია ვოლსკი ვენეციის კომისიის დასკვნაზე



საკონსტიტუციო სასამართლოების შესახებ მიღებულ კანონთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის დასკვნას უმრავლესობის წევრები ეხმაურებიან. მმართველ პარტიაში ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ აქვთ მიღებული, გაითვალისწინებენ თუ არა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. ასევე, უცნობია, რა ნაბიჯებს გადადგამს უმრავლესობა პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში.

გია ვოლსკი ამბობს, რომ მუშაობა გრძელდება და კიდევ არის ვადა საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე.

– ეს არ არის დასკვნა, ეს არის მოსაზრებები. მისასალმებელია, რომ მხარდაჭერილია მთელი რიგი თემები, რომელიც კრიტიკული შემოტევების თემები იყო პარლამენტში მუშაობისას, მაგრამ ვენეციის კომისიამ დადასტურა, რომ მისაღებია ეს თემები. თუმცა, არის რაღაც საკითხები, რომელზეც მუშაობა გაგრძელდება. არის კიდევ ვადა საბოლოო დასკვნის გამოყენებამდე. ნორმალური პროცესი მიდის, თუმცა ეს თემაც სპეკულაციების თემად იქცევა, - განაცხადა გია ვოლსკიმ. (ნიუპოსტი)

● **და ვინ იყენებს მერე ასეთ საკითხებს სპეკულირებისთვის? ვინ და მაჰმუდი კი არა და — ისევ თქვენი გუნდის წევრები. ჰო, ყოფილები, მაგრამ ამით ხალხისთვის დიდად არაფერი იცვლება. ერთთავად მხოლოდ პოლიტიკოსების ჭინჭყლობას ვუყურებთ, ჭორაობასა და „ჟილკობას“ და ამოვიდა ყელში, ეს ოხერი და დავიღალეთ, და-ვი-ღა-ლეთ!!!**

## „ჯიდიესის“ ჟურნალისტი ზვიად თხელიძე დაიღუპა




ხანდას ხეობაში ტრაგიკულად დაიღუპა ტელეკომპანია „ჯიდიესის“ გადაცემა 2030-ის ჟურნალისტი ზვიად თხელიძე.

ჟურნალისტი ხადას ხეობაში გადაღებაზე იმყოფებოდა, სადაც მოხდა კიდეც ტრაგიკული შემთხვევა.

„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს!

## დაგორებულმა სატვირთომ 4 წლის ბავშვი იმსხვერპლა - უბედური შემთხვევა ჭიათურაში




ჭიათურაში მომხდარ შემთხვევას 4 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაგორებული სატვირთო ავტომანქანა ორ ბავშვს დაეჯახა. ერთი მათგანი ადგილზევე გარდაიცვალა, მეორე კი სხეულის მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში მოათავსეს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

## „მოვუწოდებ თამარს, რომ უფრო კორექტული იყოს, პოლიტიკური კეკლუცობა საჭირო არ არის“



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია „რესპუბლიკელ“ თამარ კორძაიას კორექტულობისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, პარლამენტში ყველამ გულწრფელად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია და პოლიტიკური კეკლუცობა საჭირო არ არის.

– მე მოვუწოდებ თამარს, რომ კოლეგებისა და პარლამენტში მიმდინარე განსახილველი საკითხების მიმართ უფრო კორექტული იყოს. თუ ეს პროცესი მიაჩნია მას უსაქმურობის დემონსტრირებად, მაშინ როდესაც ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ამ ჩანაწერის გაკეთება კონსტიტუციაში კარგი იქნება, ეს ნიშნავს, რომ შეურაცხმყოფელი ფორმით მივმართავთ იმ ადამიანებს, ვინც მიიჩნევს, რომ ეს ჩანაწერი კარგია. მეტი კორექტულობა იქნებოდა უკეთესი. ვფიქრობ, ყველამ ძალიან გულწრფელად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია და აქ პოლიტიკური კეკლუცობა საჭირო არ არის. არ სჭირდება ამას არანაირი პოლიტიკური ქვეტექსტი. მგონი ყველას უნდა ეყოს პოლიტიკური გულწრფელობა, რომ საკუთარ ამომრჩეველს უთხრას - რას ფიქრობს ამ საკითხზე. ჩვენი პოზიცია პრინციპულია და კენჭისყრა წარმოაჩენს, ვის რა პოზიცია და ვის რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი, - განაცხადა ეკა ბესელიამ. დეპუტატი თამარ კორძაია ქორწინების თაობაზე მომზადებულ ცვლილებებს „აბსოლუტურად არასაჭირო კანონპროექტს“ უწოდებს და ამბობს, რომ ის, რაც პარლამენტში ხდება, უსაქმურობაა.

– დღეს რაც ხდება პარლამენტში, არის უსაქმურობა, რადგან აბსოლუტურად არასაჭირო კანონზე მსჯელობა ხდება. მით უმეტეს, რომ არ არის მისაღები ის ფორმა, რა ფორმითაც და ტექსტებითაც საუბრობს მომხსენებელი. უბრალოდ, მიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ამ პროექტის ინიციატორები ხვალ დაადგენენ ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი კავშირი თვეში რამდენჯერ უნდა იყოს, - განაცხადა თამარ კორძაიამ. (pirveliradio.ge; epn.ge)

● **კვირაში რამდენჯერ უნდა ჰქონდეს ცოლ-ქმარს სექსუალური კავშირი კი არა, არც ის გაგვიკვირდება, „იმის დროს“ სიჩქარის გადაჭარბება დააბრალოთ ხალხს და ჯარიმაც აჯახოთ — ჭკუა დაუშლის ვინმეს თუ თანამდებობა?!**

# ორსართულიანი მატარებლის შესყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა






**StadlerBussnang AG**-ის დამფუძნებელმა, გენერალურმა დირექტორმა პიტერ შპულერმა და „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ ორსართულიანი მატარებლების შესყიდვის ხელშეკრულებას 25 მაისს ხელი მოაწერეს.

ზაფხულის სეზონისთვის ს/ს „საქართველოს რკინიგზა“ მგზავრებს განსაკუთრებულ სიურპრიზს უმზადებს.

როგორც უკვე ცნობილია, ორსართულიანი ევროპული სტანდარტის **Stadler Kiss** მოდელის მატარებელი მგზავრებს ივლისიდან მოემსახურება.

შვეიცარიული კომპანია **Stadler Bussnang AG**-ის ელექტრომატარებელი მგზავრთა კომფორტულ გადაყვანას შავი ზღვის მიმართულებით განახორციელებს.

ოთხი ახალი მატარებელი აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტიპის უსაფრთხოების სისტემებით, რომლებიც ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან არის შესაბამისობაში.

მატარებლის ტექნიკური მონაცემები სრულად შეესაბამება „საქართველოს რკინიგზის“ მოთხოვნებს. ამასთანავე, სრულად აკმაყოფილებს საქართველოს რკინიგზის მოქმედ გაბარიტებს.

ლიანდაგის სიგანე, რომელზეც მატარებელია გათვლილი, 1520 მმ-ია. ელექტრომატარებლის სიგრძე 101,7 მეტრია, ხოლო სიგანე 3400 მმ, ახალი ელექტრომატარებლის სიმაღლე 5240 მილიმეტრს შეადგენს. მატარებელი 400 მგზავრზეა გათვლილი.

ტექნიკური მოთხოვნების შესამუშავებლად „საქართველოს რკინიგზამ“ **Deutsche Bahn**-ის ექსპერტების მომსახურებით ისარგებლა. ტექნიკურ პარამეტრებზე, გერმანელ სპეციალისტებთან ერთად, ქართული მხარეც მუშაობდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **Stadler Kiss** მოდელის მატარებელი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებაზეა მორგებული. მათთვის მატარებელში არის ლიფტები და სველი წერტილები. გარდა ამისა, საპირფარეშოში ჩვილ ბავშვთა მოვლისთვის საჭირო სპეციალური მაგიდაა განთავსებული.

**Stadler Kiss** მოდელის მატარებელი – ს/ს „საქართველოს რკინიგზის“ განვითარების ახალი ეტაპია, მომსახურების განვითარების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯი. პერსონალი, რომელიც მგზავრებს ამ მატარებელზე მოემსახურება, სპეციალური გადამზადების კურსებს სხვადასხვა ქვეყნებში უკვე გადის.

ახალი მატარებელი საქართველოში 17 ივლისს შემოვა და ტექნიკური რეგლამენტის გავლის შემდეგ, თბილისიდან ბათუმის მიმართულებაზე დადგება. ელექტრომატარებელი თბილისიდან შავი ზღვის მიმართულებით შეჩერების გარეშე იმოძრავებს და მხოლოდ ზღვისპირა კურორტების სადგურებში – ბათუმში, ქობულეთსა და ურეკში გაჩერდება.

**Stadler Kiss** მოდელის მატარებელი ევროპის ყველაზე მაღალი სტანდარტების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. აღნიშნული მოდელის მატარებელი შვეიცარიაში, ბელგიაში, გერმანიაში, ავსტრიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში კურსირებს.



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



რატომ იცლება ჭყონდიდის ეპარქია, რა პრობლემებზე საუბრობენ სასულიერო პირები და ერისკაცები, რა კორუფციულ სქემებში ამხელენ ჭყონდიდის ეპისკოპოსს, მეუფე პეტრეს, ერისკაცობაში პაატა ცაავას. არის თუ არა სიმართლე, რომ მეუფემ სცემა მორჩილი სპირიდონი, დასტურდება თუ არა სასულიერო პირზე კაბის შემოხევის ფაქტი. რატომ გაითქვა მეუფემ სახელი, როგორც „შპს პეტრემ“, რატომ ეშინია მარტვილის მოსახლეობას მისი? რა აკავშირებს მეუფეს „ნაციონალურ მოძრაობასთან“? როდის ჩამოხსნა კელიიდან პატარა ნიკოლოზ სააკაშვილის ნათლიამ, მეუფე პეტრემ, ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ორმეტრიანი სურათი? რა აკავშირებს მას ახალაიებთან და მარტვილის მოსახლეობა რატომ არქო მეუფე პეტრეს ჭყონდიდის ეპარქიას არ ჩამოაცილებს.

2008 წლის 13 თებერვალს „ალია ჰოლდინგის“ მთელ შემადგენლობას პატივი გვქონდა, უწმინდესს ვხლებოდით და მასთან ერთი საათის განმავლობაში გვესაუბრა. პატრიარქმა კურთხევა მოგვცა — სიმართლე წერეთ... ვიცით, რომ პატრიარქი პრესას ყოველდღიურად ეცნობა, მათ შორის ყურადღებით კითხულობს გაზეთ „ალიას“ და ამ წერილში მოყვანილ ფაქტებსაც არ დატოვებს უყურადღებოდ.

გთავაზობთ მარტვილიდან სკანდალურ რეპორტაჟს. 24 მაისს წვიმიან მარტვილს ვესტუმრეთ და იმ კონკრეტული ადამიანების მოძიება დავიწყეთ, ვინც თავს მეუფე პეტრესგან დაჩაგრულად გრძნობს. შევხვდით სოსო ბექვაიას, პროფესიით მასწავლებელს, რომელიც დათრგუნული ჩანდა და საუბარი თვალცრემლიანმა დაიწყო:

ონდიდის ეპარქიაში არის მაფია-მეთქი. არ მიჯერებდა, ვიდრე ამ რეალობას თვითონ არ შეეჯახა, როცა მამა პეტრემ აიძულა, კაბა გაეხადა და სასულიერო ცხოვრება მიატოვა. ღვთისმშობლის შობის ტაძარში წინამძღვარი იყო მამა სერაფიმე, ძალიან დიდი მრევლი ჰყავდა. ბევრი რამ გააკეთა ხალხისთვის და ეკლესიისთვის, ბევრი იბრძოლა იმისთვისაც, რომ დადიანების სასახლე მიურატებს არ წაეღოთ. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მამა სერაფიმემაც დატოვა აქაურობა და ამბობენ, რომ იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. ჭყონდიდის ეპარქიაში სასულიერო პირები დიდხანს ვერ ძლებენ, ვერ უძლებენ მეუფე პეტრეს ზეწოლას და გარბიან. რაც ჩემი თვალით არ მინახავს, იმას არ გეტყვით, მაგრამ აქ რომ ვითარებაა შექმნილი, ასე გაგრძელება აღარ შეიპირები არ მიეღო... სამწუხაროდ, მასთან დაკავშირება არ მოხერხდა, რადგან მის მობილურზე გვიპასუხეს, რომ დაკავებული იყო და ჩვენთან საუბარს ვერ შეძლებდა.

„ალიამ“, ასევე, მოინახულა ჭყონდიდის ეპარქიიდან წამოსული ის სასულიერო პირები, რომლებზეც საუბარია, ზოგიერთ მათგანს კი ტელეფონით დავუკავშირდით. გვაინტერესებდა, შეესაბამება თუ არა სიმართლეს, რომ მათ ვერ გაუძლეს მეუფე პეტრეს ზეწოლას და იძულებული გახდნენ, ჭყონდიდის ეპარქია დაეტოვებინათ. მათი პირობა იყო ინკოგნიტოდ დარჩენა, ხოლო ეს ფაქტი დაგვიდასტურეს. ზოგიერთმა მათგანმა გვთხოვა, ნუ მოვიხსენიებდით, როგორც გაქცეულებს, ერთ-ერთმა მათგანმა ჩვენთან გულწრფელად თქვა, გული მტკივა, რომ დღეს მარყველა გზა უფლისკენ მიდის. უფალმა დაგლოცოთო...

**სოსო ბექვაიასთან საუბრისას შემოგვიერთდა სოფელ სალხინოს მკვიდრი, მან არ ისურვა ფოტოს გადაღება და საკუთარი ვინაობის გამხელა, თუმცა საკუთარი აზრი დააფიქსირა:**

– მეუფე პეტრე არის ჩასაფრებული „ნაციონალი“, როლანდ ახალაიას რეგიონის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდო „წმინდა გიორგის“ ოქროს ორდენი გადასცა პატრიარქმა. ამ ფაქტმა სამეგრელო შოკში ჩააგდო. თუმცა ხალხი იმასაც ამბობდა, ეგება უფალმა გადმოხედოს და ჭკუაზე მოიყვანოს და შეწყვიტოს ის სისხლისღვრა, რაც

# ჭყონდიდის ეპისკოპოსს, მეუფე პეტრეს, ძალადობაში ამხელენ!

## ხალხი შველას ითხოვს და საპროტესტო აქციებით იმუქრება, თუკი



სოსო ბექვაია



იშვერს ხელს მეუფისკენ, რომ ის იფარებდა ხელისუფლებისგან ძებნილებსა და ბრალდებულებს. მაგალითად, მეგის ქარდავას, რომლის სახელსაც უკავშირდება სამეგრელოს საწამებელი ბუნკერების შექმნა, 27 ათასი ფაილის ორგანიზება და სექსუალური ძალმომრეობის დამკვიდრება? რა ვალშია მეუფე პეტრე როლანდ, ბაჩო და დათა ახალაიებთან, რომ მათ გამო ის რისკზე მიდის და ერთხელ უკვე ჩააგდო პატრიარქი უხერხულ მდგომარეობაში, როცა მეუფე პეტრეს თხოვნითა და ძალდატანებით ციხის კადრების შემქმნელების მამას როლანდ ახალაიას ილია მეორემ ღირსების ორდენი გადასცა. ამ ფაქტებმა მაშინ მთელი საქართველო შოკში ჩააგდო. რამდენიმე დღის წინ მარტვილიდან კონკრეტული ადამიანები დამიკავშირდნენ და მთხოვეს, სიმართლის დადგენაში დავხმარებოდით. გაზეთი „ალია“ კონკრეტულ წყაროებზე დაყრდნობით ადრეც წერდა მეუფე პეტრეს გადაცდომების შესახებ, თუმცა ამ ბრალდებებს „ნაციონალების“ მმართველობისას რეაგირება არ მოჰყოლია. იმედს ვიტოვებთ, რომ საპატრიარქო და ცენტრალური ხელისუფლება უყურადღებოდ და რეაგირების გარეშე არ დატოვებს ჩვენ მიერ მომზადებულ სკანდალურ ჟურნალისტურ გამოძიებას მარტვილიდან.

სიმართლის დასადგენად რამდენიმე დღის წინ გავემგზავრეთ მარტვილში, რომ შევხვედროდით მეუფე პეტრესგან დაზარალებულ ადამიანებს და მათგან მოგვესმინა სიმართლე, ჩვენ შევეცადეთ, მკითხველისთვის მიგვეწოდებინა მრავალჯერ გადამოწმებული ინფორმაცია და ამ ყველაფრის საქმის კურსში საპატრიარქოც ჩავაყენეთ.

ხალხი შველას ითხოვს და საპროტესტო აქციებით იმუქრება, თუკი საპატრი-

– ჩემმა ნათლულმა სპირიდონ ბექვაიამ დაამთავრა სასულიერო სკოლა და დადიანების სასახლის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში დარჩა. ერთ დღესაც ნაცნობ-მეგობრებმა მიაკითხეს და თანაკლასელებთან ფოტო გადაუღია. სამი წელი ამ მონასტერში მსახურობდა, ძალიან წესიერი, ზრდილობიანი ახალგაზრდაა. როგორც ჩანს, სურათი ჩემი ნათლულის მეგობრებმა სოციალურ ქსელში ატვირთეს და მეუფეს უნახავს. ამის შემდეგ მეუფე პეტრემ ბავშვი გალახა, ახლა იგი ქარელის რაიონში, სოფელ კოდაშია და ტაძარში მსახურობს. რამდენიმე თვეა, მისი ცემის ფაქტის შესახებ გავიგე, ესეც სხვამ მითხრა და როცა ჩემი ნათლული მარტვილში ჩამოვიდა, ვკითხე, – მართალია, მეუფე პეტრემ გცემა-თქო და ფაქტი დამიდასტურა. თურმე ნახევარი წელი ამ დარდს ატარებდა, ჩუმად იყო და დარდს გულში იკლავდა. ისიც გავიგე, რომ მეუფე პეტრეს ურბნისისა და რუისის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსს მეუფე იობისთვის შეუთვლია, ჩემგან გაქცეული ხალხი არ მიიღო და არ შეიფაროო...

— **კონკრეტულად ვინ გითხრათ ამ ცემის ფაქტის შესახებ?**

– სპირიდონი ინახულა დადიანებში ბერმა შოთამ, რომელსაც მოუყვა, როგორ სცემა მეუფემ. სხვათა შორის, ბერი შოთაც გაიქცა. ახლა მთავარ ამბავს გეტყვით, ერთი ბიჭი მყავს, რამდენიმე წლის წინათ ბერი იყო, ღმერთი მწამს, უფალს შენდობას ვთხოვ, მაგრამ მას ვეუბნებოდი, შენ ისეთ ადგილას არ ხარ, რაზეც ფიქრობ, ჭყძლება. მოსახლეობა საპროტესტო აქციებს გავმართავთ, თუკი საპატრიარქო ყურადღებას არ მოგვაქცევს. მოვითხოვთ მეუფე პეტრეს აქედან წასვლას. ჩემი შვილი რომ ტაძარში მსახურობდა, დავდიოდი კვირაობით წირვაზე და მთელი ტაძარი მრევლით იყო სავსე. ამ კვირას რომ მივედი, ტაძარი ცარიელი დამხვდა და გული დამწყდა. ხალხი აღარ მოდის, რადგან მეუფის არ სჯერათ, ზოგიც დაშინებული ჰყავს. გაურკვეველი ხალხი ჰყავს მოყვანილი, იერიშზე გადმოდიან. ვინც პატიოსანი და სათნო სასულიერო პირი იყო, აქ მსახურებას ვერ გაუძლო. მამა სერაფიმე წავიდა, ახლა ის სვეტიცხოველში მსახურობს, არადა, როგორც გითხარით, ყველაფერი იმის გაკეთებულია. მამა სპირიდონი თერჯოლაში გაიქცა, ასევე, მამა შალვაც. აქედან გაქცეულია მორჩილი ნიკოლოზი, რომელიც ბერობას აპირებდა. მან თქვა, აქ სიმშვიდისთვის მოვედი, მაგრამ ისეთ საშინელებებს ვხედავ, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდიო.

სოსო ბექვაია დაგვპირდა, რომ მისი ნათლული აუცილებლად მოგვცემს ინტერვიუს ცემის ფაქტთან დაკავშირებით. როგორც კი მოხერხდება სპირიდონ ბექვაიასთან შეხვედრა, „ალიას“ უახლოეს ნომერში აუცილებლად შემოგთავაზებთ მასთან ინტერვიუს.

სოსო ბექვაიასთან ინტერვიუს შემდეგ, ჩვენ ვცადეთ მეუფე იობთან დაკავშირება და იმის გარკვევა, შეუთვალა თუ არა მეუფე პეტრემ, რომ მისგან წამოსული სასულიერო ტვილში არ ვმსახურობ, წამოსვლის გადაწყვეტილება ჩემი ნებით მივიღე, თუმცა მეუფე პეტრეს დავუფიქსირე ყველა ის პრეტენზია, რაც მის მიმართ მქონდა. თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით და სიმართლისთვის სხვა მეთოდები გაქვთ, მე კი სასულიერო პირი ვარ და ღვთის კანონებით ვმოქმედებ. მე რომ ისე ვიბრძოლო სიმართლისთვის, როგორც თქვენ, შეიძლება გავბრაზდე, მწყობრიდან გამოვიდე და ამით, ღმერთს დავცილდები. მე ვლოცულობ მეუფე პეტრესთვის და მჯერა, რომ გონს მოვა და მიხვდება საკუთარ გადაცდომებს, თქვენ კი ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ სიმართლისთვის ბრძოლაშიო.

**დაახლოებით იგივე პასუხი მოვისმინეთ ჭყონდიდის ეპარქიიდან გაქცეული სხვა ნახსენები სასულიერო პირისგან:**

– ჩვენი მეთოდები გვაქვს ურთიერთმხილების, ამიტომ შენდობას ვითხოვ, ასეთ საკითხებში არ ვერევი, ღვთისგან ბოძებული კანონებით უნდა ვიმოქმედოთ, ვერც თქვენ გაგრევთ ამ ცოდვაში.

კითხვაზე, იყო თუ არა იგი ის სასულიერო პირი, ვისაც მამა პეტრემ კაბა შემოახია, ინკოგნიტოდ დარჩენილმა მღვდელმსახურმა მიპასუხა: მე არ ვარ ის, ვისაც კაბა შემოახია, წამოვედი სულ სხვა მიზეზით და არგუმენტით. ძალიან გთხოვთ, ნუ მალაპარაკებთ, ხალხში გადით და მათგან გაიგებთ, რა მდგომარეობაა. თქვენ ხართ ჟურნალისტი, თქვენ უნდა იბრძოლოთ სიმართლისთვის, თქვენი და ჩემი სიმართლისთვის ბრძოლის მეთოდები განსხვავებულია, მაგრამ არა მარტო სამეგრელოს მოუვლინა მან და მისმა გვარმა, არამედ მთელ საქართველოსო. ახალაიას ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს მეუფე პეტრესთან და სწორედ მას მიაწერენ ახალაიასთვის საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოს გადაცემასაც. ცნობილი ფაქტია, რომ მეუფე პეტრეს კედელზე ხატების გვერდით სააკაშვილის სურათი ეკიდა, ამის ფოტომასალაც არსებობს. ახალაიებმა მეუფისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთეს, დადიანების საზაფხულო რეზიდენციის ეზოში რომ შეხვალთ, იქ დგას ეტლი, რომელშიც 60 ათასი ევრო გადაიხადეს. გადაიღეთ ფოტო და აჩვენეთ ხალხს, მარტვილი სულს ღაფავს, ხალხს შია, მეუფე კი განცხრომით ცხოვრობს. როცა საპატიო სტუმრები ჩამოსდის, ამ ძვირად ღირებულ ეტლში ცხენებს შეაბამს და ასე ასეირნებს. აბაშაში ძვირად ღირებული ცხენსაშენი აქვს, უყვარს ფუფუნებაში ცხოვრება. გახსოვთ, ალბათ, 35 ძვირად ღირებული მანქანა ეპარქიებს დაურიგეს „ნაციონალებმა“ მათი შეხედულებისამებრ, ერთ-ერთი მათგანი იყო მეუფე პეტრე, რომელიც ახალაიებმა ძვირად ღირებული ჯიპით დაასაჩუქრეს.

ამ რეგიონის მმართველ ორგანოში თანამდებობაზე რომ მოხვდე, დაკავშირებული უნდა იყო მეუფე პეტრესთან, რომელიც არის ახალაიებისა და სანდრა რულოვსის მოძღვარი.

განსაკუთრებით სახიფათოა გაბრაზებული მიტროპოლიტი, თუ მის საწინააღმდეგო აზრს ვინმე დააფიქსირებს, უფლის სახელით ყველას ჯო-

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

მალხაზ თოფურია:

გვარს არ დავასახელებ (ჩემი მეგობარ თანამებრძოლია) და იმ სისხლიან 26 მაისს, კარგად გასისხლული რომ მიიყვანეს სამმართველოში რომელიღაც სართულზე აათრიეს "დასამუშავებლად" კიდევ 2 ნაცემი ბიჭიც შემოიყვანეს,რომელ პარტიაში ხარ? კითხეს ერთს...

.ბურჯანაძის.....5 წუთი ძირს არ დაუშვიათ ისე ცემეს.....მეორეს ჯერი დადგა....რომელ პარტიაში ხარ? ...უპარტიო ვარ, აბა იქ რატომ ეგდე? შეფიცულების წევრი ვარ... 5 წუთი არც შეფიცულს დაადგმევინეს ფეხი მიწაზე ისე ურტყეს((, დადგა ჩემი მეგობრის ჯერიც....რომელ პარტიაში ხარ? იეშმაკა ჩემმა ძმაკაცმა.....მე ქრისტიან დემოკრატიული პარტიიდან ვარ გიორგი თარგამაძის, ეგონა გადავრჩებიო.....ეს 20 წუთი დაფრინავდა ჰაერში....თან აგინებდენ) უხ თქვენი 10 მთავრობის პარასტიტუტკა დედაო))))



ჯოხეთში „უშვებს“. როცა მრევლი ეკითხება მეუფეს, რატომ იწყევლებით, ჯოჯოხეთში მოხვედრა ხომ თქვენი გადასაწყვეტი არ არისო, ამაზე მეუფე პეტრე უფრო მეტად აგრძელებს ხალხის შეურაცხყოფას და ამიტომაც არის, რომ მრევლი შიშით აღარ დადის ტაძრებში. ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებ: წლების წინათ „ნაცმოძრაობის“ ზენიტში ყოფნის დროს, თქვენი გაზეთი მეუფე პეტრეს ამხელდა და მასზე მწვავე პუბლიკაციებს აქვეყნებდა, ჭყონდიდში მამა გოჩა (ცაავა) მრევლს მოუწოდებდა, არავითარ შემთხვევაში „ალია“ არ წაიკითხოთ, ეს არის ის გაზეთი, რომელიც „ნაცმოძრაობასა“ და სააკაშვილს ლანძღავსო.

ცოტაც და ამდენი უსამართლობის გამო, ხალხი ჭკუიდან გადავა.

ქია იცლება, ამას ბევრი წყარო ადასტურებს. სიმართლის დადგენა მხოლოდ პატრიარქს შეუძლია, ვიმედოვნებთ, რომ ის ჭყონდიდის ეპარქიიდან წამოსულ სასულიერო პირებს შეხვდება და თავად დაადგენს მათი წამოსვლის მიზეზებს. მათი მცირე ჩამონათვალი ხელთ გვაქვს, ესენი არიან: მამა სერაფიმე, მამა ილია, მამა ნიკოლოზი, მამა იოაკიმე, მამა გრიგოლი, მამა სპირიდონი...

ერთ-ერთმა სასულიერო პირმა „ალიასთან“ საუბარში ისიც კი გაგვიმხილა, რომ პატრიარქს ორჯერ ჰქონდა მცდელობა მეუფე პეტრეს ეპარქიიდან ჩამოცილების, მაგრამ, როცა ეს ამბავი შეიტყო, სასტიკად უსაყვედურა ქალბატონ შორენა თეთრუაშვილს, ჩემზე ცრუ ინფორმაციები პატრიარქთან შენ შეგაქვსო. მეუფე პეტრე არ არის მარტივი რომ ეს ამბავი უნდა მოეყოლა, მე ნუ მალაპარაკებთ...

**„ალია“ ფაქტის გადასამოწმებლად ბიზნესმენ ალიკა ახვლედიანს დაუკავშირდა — ადგილი ჰქონდა თუ არა მსგავს ინციდენტს მეუფე პეტრეს მხრიდან.**

**— გამარჯობა, ბატონო ალიკა, არ მიცნობთ, მაგრამ დღეიდან გამიცნობთ. მარტვილში გახლდით საკმაოდ სკანდალური რეპორტაჟის მოსამზადებლად, რამდენიმე ადამიანმა დამიდასტურა ფაქტი, რომ რაული ჯანაშიას წლისთავზე მეუფე პეტრემ სახეში წყალი შეგასხათ, სუფრაზე რატომ დევს „სნო“ და არა წყალი „მარტვილიო“. ადასტურებთ ამ ფაქტს?**

– (პაუზა) ვინ გითხრათ ამის შესახებ?.. როგორ გითხრათ... ძალიან გთხოვთ, ნუ მალაპარაკებთ ამ თემაზე. პოლიტიკური პროცესები, ოღონდ „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ. მეტიც, ის ღია დამცველია ახალაიების, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს მეუფე პეტრემ დაურეკა და მოსთხოვა, შეეწყვიტა ახალაიების კრიტიკა. ამ პოლიტიკოსმა კი არც აცია და არც აცხელა და უთხრა, – თქვენი საქმე არ არის პოლიტიკა და ნუ ჩაყოფთ ცხვირს იქ, სადაც არაფერი გესაქმებათო. ალბათ, ამ ტექსტის ავტორს ამოიცნობს მეუფე პეტრე და არ იტყვის, რომ ცილისწამებაა. სხვათა შორის, იმ პოლიტიკურ ლიდერს ისევ ის ნომერი აქვს, რა ნომერზეც მაშინ დაურეკა.

მარტვილის მოსახლეობა იმასაც ამბობს, რომ მეუფე პეტრე ხშირად მიემგზავრება ხოლმე კიევში, თურქეთში, სადაც ნახულობს თავის სულიერ შვილს – მიხეილ სააკაშვილს,

### ჟურნალისტური გამოძიება

ბილი, რომ პატარა დიმა მეუფე პეტრეს დათვის მეოთხე მსხვერპლი იყო. 75 წლის პატიკო გულორდავამ ბრალი დასდო მეუფე პეტრეს: მისმა დათვმა ჩემი შვილიშვილი დაგლიჯა, მას კი არც ბავშვი მოუნახულებია და არც ფინანსურად დაგვხმარებიაო. ჩვენ დავინტერესდით, ჰყავდა თუ არა ისევ გამოკეტილი მეუფეს დათვი დადიანების სასახლეში, გვითხრეს, რომ ამ საშინელების შემდეგ დათვი აღარავის უნახავს. ეს ფაქტი 2014 წელს მოხდა.

**ეს გახლავთ ყველაზე მსუბუქი ნაწილი ჩვენი რეპორტაჟიდან, მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ კონკრეტულ ფაქტებს, რომელიც გაცილებით მწვავეა.**

## რატომ გაითქვა მეუფემ სახელი, როგორც „დონ პეტრემ“, რატომ ეშინია მარტვილის მოსახლეობას მისი?!

# საპატრიარქო მეუფე პეტრეს ჭყონდიდის ეპარქიას არ ჩამოაცილებს!!!

**2010 წლის 7 აპრილი, მეუფეს დაბადების დღეს კაკო ბობოხიძე ულოცავს**



**60 000 ევროიანი ეტლი**



მარტვილში მამათა მონასტერი 12-მა ბერმა და მღვდელმა დატოვა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. მათ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, მეუფე პეტრე ავალებდა, ხალხს პირდაპირ უქადაგეთ, რომ 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილის გუნდს დაუჭირონ მხარიო. ვიდრე ციხის სკანდალური კადრები გამოქვეყნდებოდა, მეუფისთვის პირდაპირ წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ ბედავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ხელისუფლებას საბოლოოდ ნიღაბი ჩამოეხსნა, სასულიერო პირებმა სალხინოს მამათა მონასტერი პროტესტის ნიშნად დატოვეს და მეუფე პეტრეს გაეცალნენ. სხვათა შორის, იმ 12 სასულიერო პირიდან, რომლებიც ეპარქიიდან წავიდნენ, ერთ-ერთი მარტვილელი მოძღვარი, მამა გოჩა ცაავა იყო. მათი წასვლა უკავშირდება მეუფე პეტრეს მიერ სააკაშვილის ზონდერების გამოძახებისა და ურჩი სასულიერო პირების ძალით დამორჩილების შესაძლო მოლოდინს, რადგან ცნობილია, ერთმა მაღალმა იერარქმა, იმისთვის, რომ განდგომილი ხელქვეითები დაემორჩილებინა, დახმარებისთვის სპეცრაზმს მიმართა და სპეცრაზმელებმაც უყოყმანოდ აღასრულეს უბინძურესი მისია, – მღვდლები და ბერები სასტიკად სცემეს!.. განდგომილი და მთაში გადახვეწილი ბერების ნაწილი პატრიარქთან აპირებდნენ შეხვედრას, მაგრამ ჩემთვის უცნობია, მოხერხდა თუ არა ეს შეხვედრა. ჭყონდიდის ეპარპიროვნება, ის საკმაოდ ჭკვიანი, კომუნიკაბელური და ძალაუფლების მოყვარულია, როცა პრობლემა აქვს, ღამეები არ სძინავს და გამოსავალზე ფიქრობს. ასე იყო მაშინაც, როცა პატრიარქთან შეიქმნა პრობლემები, ცუდად გახდა, ღამეები არ ეძინა გამოსავლის ძიებაში, რათა თავი გადაერჩინა. სხვათა შორის მისი ლექტორებისგან გამიგია, რომ მეუფე პეტრე ისეთია, თავი რომ მოაჭრა, ტანით ილაპარაკებსო. მას პიარი საკუთარ თავზე კარგად გამოსდის და ძალიან ქარიზმატულია, ლაპარაკში ვერ მოუგებ და შავზე დაგიმტკიცებს, რომ თეთრია. მისი ჩამოცილება ჭყონდიდის ეპარქიიდან, იოლი საქმე არ გეგონოთ. უნდა ვილოცოთ, რომ გონება გაეხსნას და საკუთარი შეცდომები აღიაროს, ამ ხალხსაც ეშველოს და ეპარქიასაც.

„ალიას“ კითხვაზე, რატომ ეძახიან მეუფე პეტრეს „შპს პეტრეს“, „დონ პეტრეს“, სასულიერო პირმა ჩაიცინა და თქვა, – აბა, რა გითხრათ, ბიზნესის ნიჭი აქვს... ის, ალბათ, უფრო კარგი ბიზნესმენი დადგებოდა, ვიდრე მეუფეა. ძალიან ბევრი ბიზნესი ჰქონია – ხრეშის კარიერები, ვენახები... წყალი „მარტვილი“ მისი ბიზნესია.

მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატის, ცხონებული ნაული ჯანაშიას წლისთავის სუფრაზე მეუფე პეტრეს წყალი „სნო“ რომ დაუნახავს, ამჟამად ბიზნესმენ ალიკა ახვლედიანისთვის სახეში წყალი შეუსხამს, „სნოს“ აქ რა უნდა, სუფრაზე „მარტვილის“ წყალი რატომ არ დევსო (იღიმის). ალბათ, ამიტომ მირეკავდა ალიკა ახვლედიანი, დუმილის უფლებით ვისარგებლებ.

ალიკა ახვლედიანმა არ უარყო, რომ მეუფე პეტრეს მხრიდან მისთვის წყლის შესხმის ინციდენტს ადგილი ჰქონდა.

მოსახლეობისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ მეუფე პეტრე შეკრული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ძალოვან სტრუქტურებთან და გავლენიანი ადამიანების ალსარება პირდაპირ გადაეცემოდათ ახალაიებს. ეს ფაქტი რომ გაბუქებულად არ ჩათვალოთ, ერთ-ერთ ცნობილ გავლენიან ბიზნესმენს დავუკავშირდით და თუ საჭირო გახდება, ის ადამიანი ღიად იტყვის, რასაც ახლა წაიკითხავთ: მეუფე პეტრესთან მივედი, შესანიშნავი შესახედაობის კაცია, ამავე დროს კომუნიკაბელურიც, გადავწყვიტე, ჩემი გაჭირვების შესახებ მომეყოლა, რა უბედურებაც ჩემს თავს ტრიალებდა, ავდექი და გვარებით და სახელებით მოვუყევი, ვინ მებრძოდა, ვინ ახდენდა ჩემზე ზეწოლას, ვინ მართმევდა ქონებას, მან ჩაიცინა და არაფერი უთქვამს. მერე შევიტყვე, რომ ახალაიების სულიერი მოძღვარი და უახლოესი მეგობარი ყოფილა, ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათთან მიჰქონდა. თავში ხელი შემოვირტყი, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

მარტვილში ისიც მითხრეს, რომ ერისკაცობის დროს პაატა ცაავას (მეუფე პეტრეს) პოლიტიკოსობა ნდომებია, თუმცა მარცხი განიცადა, იმედი გაუცრუვდა და ხელი ჩაიქნია. თუმცა, როგორც ხედავთ, მშვენივრად ახერხებს, იყოს მეუფე და მართოს ამხნევებს და ინსტრუქტაჟსაც იღებსო.

2013 წელს მეუფე პეტრე თურქეთში დათა ახალაიას ესტუმრა, ანაკლიაში ბაჩო ახალაიას მხარდამჭერი აქციის მთავარი კოორდინატორი ჭყონდიდელი ეპისკოპოსი, მეუფე პეტრე ყოფილა და ამ ღონისძიების დეტალების შესათანხმებლად მოუნახულებია დათა ახალაია. იქ მისული 2000-მდე ადამიანი მოტყუებული დარჩა, რადგან ისინი ელოდნენ კონცერტს და შერჩათ ბაჩო ახალაიას გმირად შერაცხვის ცერემონია. უმრავლესობამ პროტესტის ნიშნად ამფითეატრი დატოვა და ამ კონკრეტულ ფაქტსაც რამდენიმე მოწმე ჰყავს.

ბუნებრივია, დაინტერესდებით, რას ფიქრობს მეუფე პეტრე დღევანდელ ხელისუფლებაზე და განსაკუთრებით, ბიძინა ივანიშვილზე. ხმები დადის, რომ მეუფე პეტრე ხალხს ეუბნება, „ქართულ ოცნებას“ ძალიან ცოტა დრო დარჩა ხელისუფლებაში, მალე „ნაციონალური მოძრაობა“ დაბრუნდებაო. ბიძინა ივანიშვილს კი „მოქალაქეს“ ეძახის.

სალხინოში ერთ-ერთ ღონისძიებაზე ბიძინა ივანიშვილს სტუმრად ელოდნენ, მეუფე პეტრეს ირონიულად ჩაუცინია და უთქვამს – გაემზადეთ, „მოქალაქე“ მოდისო... თუმცა ივანიშვილი იქ არ ჩასულა. მეუფე პეტრეს ივანიშვილთან ცხოველების სიყვარული აკავშირებს. მეუფეს დადიანების სასახლეში გალიაში გამომწყვდეული დათვი ჰყოლია, რომელსაც ოთხი ადამიანი დაუგლეჯია. მას შემდეგ, რაც 13 წლის დიმა კაკულია დათვმა დაგლიჯა, მხოლოდ მაშინ გახდა ცნო-

**ამასთანავე, „ალია“ დაუკავშირდა მეუფე პეტრეს და მის ტელეფონზე ქალბატონმა გვიპასუხა, რომ „ალიასთან“ კავშირი გაწყვეტილი აქვთ და კონტაქტი არ სურთ. მეუფეს ტელეფონზე გავუგზავნეთ სმს-შეტყობინება: „მეუფე პეტრე, გწერთ „ალიას“ ჟურნალისტი, ვამზადებთ სტატიას, თქვენს წინააღმდეგ ბევრი ბრალდებაა. ვთვლი, რომ თქვენც გაქვთ თქვენი სიმართლე და თუკი გადაწყვეტთ, ინტერვიუ მომცეთ, დამიკავშირდით...“**

**რამდენიმე წუთში მიკავშირდება მარტვილის წმინდა ნინოს წინამძღვარი, იღუმენია დედა თამარი:**

– მეუფის კურთხევით გირეკავთ, თავად დაკავებული ბრძანდება. დღეს ჩვენთან, ეპარქიაში დიპლომატიური კორპუსია სტუმრად. მეუფეს ტელეფონზე სმს-გზავნილი მოვიდა და მაინტერესებს, რა ბრალდებებია, იქნებ ჩამაწერინოთ და შევეცდებით, პასუხი გაგცეთ...

**დედა თამარს მივაწოდეთ ინფორმაცია კონკრეტული ბრალდებების შესახებ, დაახლოებით 20 წუთში ის დაგვიკავშირდა: „მოვახერხე, მიმეწოდებინა მეუფისთვის თქვენ მიერ მოწოდებული საკითხები. მეუფე, როგორც ყოველთვის, მდუმარებითა და მოთმინებით ხვდება თქვენს მორიგ ცილისწამებას. ღმერთმა შეგინდოთ და გიშველოთ...“**

**ჩვენ იმედს ვიტოვებთ, მეუფე დაარღვევს მდუმარებას და მოგვცემს ინტერვიუს იმ კონკრეტულ ბრალდებებზე, რაც ამ სტატიაშია და რასაც შემდგომში შემოგთავაზებთ.**

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook

**ირინა სარიშვილი (26 მაისი):**

**ძილის წინ საფიქრალი:**

**ერთის მხრივ უკრაინა, საშინელ, უთასაწორო ომში ჩაბმული, რომელიც წარმოუდგენელ ვითარებაში იხსნის და ათავისუფლებს რუსეთისგან ფაქტიურად სასიკვდილოდ გაწირულ ნადეჟდა სავჩენკოს... მეორეს მხრივ საქართველო, რომელსაც დღისით მზისით უტიფრად, ცინიკურად უკლავენ ვაჟკაცს და ხელისუფლება არათუ საკადრის პასუხს ვერ ან არ ცემს დამნაშავეს, ამ ხელისუფლების ორი სახე: ერთი პარლამენტარი და მეორე მინისტრი (ეს უკანასკნელი ბოლოს აზლუქუნდა) ამ საზარელ მკვლელობას რიგით, არც თუ მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს...**

**და ეს ორივე — სავჩენკოს განთავისუფლება და მუხანათურად მოკლული ქართველი ვაჟკაცის გაცილება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ხდება!**

**ვიფიქროთ ამაზე ძილის წინ ვისაც კოვზით ამოსაფხეკი ტვინი მაინც დაგვრჩენია თავში და 26 მაისის დილას ღირსეულად და არა ტაშ—ფანდურით შევეგებოთ!**

**არ გვაქვს საზეიმოდ საქმე!**

**გილოცავთ ვისაც გეკუთვნით და ვინც იბრძვის!**



# რისთვის დასჭირდა ხელისუფლებას 26 მაისს ამერიკელ-ინგლისელი სამხედროების და მათი ტექნიკის დემონსტრირება?




ლევან ჯავახიშვილი

577 51-73-37


საქართველოს ხელისუფლებამ 26-მაისობა აღლუმის გარეშე, მაგრამ საკმაოდ პომპეზურად იზეიმა. სხვა ღონისძიებებს არ შევეხები, მხოლოდ სამხედრო თემაზე მოგახსენებთ. ახალწვეულთა მიერ ფიცის დადების ცერემონიაში წელს, პირველად, საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელ ორკესტრთან ერთად მონაწილეობდნენ ნატო-ს წევრი ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის საპარაშუტო-სადესანტო პოლკის, ლატვიის შეიარაღებული ძალების ეროვნული და აშშ-ის საჰაერო ძალების ორკესტრები. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების „ალფას“ ამერიკულმა ასეულმა, ბრიტანეთის სამხედრო ძალების ასეულმა. საქართველოს სტუმრობდნენ აშშ-ის არმიის ევროპული ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ფრედერიკ ბენჰოჯესი, ავღანეთში ამერიკის სამხედრო ძალების მეთაური, გენერალი ჯონ ნიკოლსონი. გარდა ამისა, რუსთაველზე მოხდა ამერიკული ტანკის „აბრამსისა“ და ჯავშანმანქანა „ბრედლის“ დემონსტრირება, რომლებიც ბულგარეთის ნატო-ს ბაზიდან ჩამოიყვანეს საქართველოში. აღსანიშნავი იყო, ასევე, ქართული სამხედრო მწარმოებელი კომპანია „დელტას“ მიერ შექმნილი 120 მმ-იანი თვითმავალი ნაღმმტყორცნი **GMM-120**-ის პრეზენტაცია. მის შექმნაზე „დელტას“ ინჟინრები რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდნენ.

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ჯარისკაცების, ოფიცრებისა და სამხედრო ტექნიკის გამოჩენამ საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს ძალიან კარგი იყო, რადგან ამით საქართველომ კიდევ ერთხელ და დემონსტრაციულად დააფიქსირა, რომ ნატო-სკენ სწრაფვას არ შეაჩერებს და ხელისულება სხვა ალტერნატივაზე არც ფიქრობს. მათი ოპონენტები კი აცხადებენ, რომ პრინციპი – „მეტი საქართველო ნატო-ში და მეტი ნატო საქართველოში“, რომლის დემონსტრირებაც 26 მაისს მოხდა, რუსეთს გააღიზიანებს და დღევანდელი კეკლუცობა ხვალ ცუდად შემოგვიტრიალდება.

**26 მაისის ღონისძიებაში ნატო-ს წევრი ქვეყნების გენერლების, სამხედროებისა და სამხედრო ტექნიკის მონაწილეობის ავკარგიანობის შესახებ, „ალიას“ სამხედრო ექსპერტი, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

**— ბატონი ვახტანგ, რამდენად აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის ნატოს-ს ქვედანაყოფების დემონსტრირება და ჩვენ რა ხეირი ამით?**

– ვარშავის სამიტის წინ, ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი იყო. ნატო-ს ხელმძღვანელებსა და მისი წევრი სახელმწიფოების მეთაურებს ამით კიდევ ერთხელ დავუფიქსირეთ, რომ საქართველო ყველაფერს აკეთებს ნატო-სთან მეტი ინტეგრაციისთვის, მასთან დასაახლოებლად. ასევე, დავაფიქსირეთ ისიც, რომ საქართველო ისწრაფვის ნატო-ს სამხედრო-ტექნიკური თავსებადობისკენ.

**— კი, ბატონო, მაგრამ ბევრი აცხადებს, რომ ეს უცხოელი სამხედროები და გენერლები წავლენ საქართველოდან, იმ სამხედრო ტექნიკასაც თან გაიყოლებენ და ჩვენ კვლავ შიშველი ხელებით დავრჩებით რუსეთთან პირისპირ. რუსეთს რომ ეს ყველაფერი გააღიზიანებს, ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით? რუსეთმა სერიოზული პრობლემები რომ შეგვიქმნას. ამის გამო გვიღირდა ეს კეკლუცობა?**

– ეს არ იყო კეკლუცობა, ნატო-ს წევრობას თუ აპირებ, ამგვარ აღლუმებში ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედროებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, სამხედრო ტექნიკამაც და უფრო მეტი რომ ყოფილიყო ეს ყველაფერი, ბევრად უკეთესი იქნებოდა. კეკლუცობა ის არის, როცა მხოლოდ აღლუმებსა და გამოსაჩენ ღონისძიებებში დააფიქსირებ ნატო-სკენ სწრაფვას და ამისთვის რეალურად სხვას არაფერს გააკეთებ. ჩვენმა სახელმწიფომ კი არაერთხელ დაადასტურა, რომ ნატო ჩვენი ერთადერთი არჩევანია და მასში გასაწევრიანებლად ყველაფერს აკეთებს. რაც შეეხება რუსეთის გაღიზიანებას, ამის გამო საქართველო საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვერ შეცვლის. რუსეთი საფრთხეა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, მაგრამ ამის გამო ნატო-ზე უარი არც ერთ მის პრეტენდენტ სახელმწიფოს არ უთქვამს. რა ვქნათ, რუსეთის გასაგონად ვიძახოთ ნატო-ში არ შევდივართო და ღამით ჩუმად შევიპაროთ?

**— ნატო-ში რომ არ გვიღებენ და იქით რუსეთსაც ვაგიჟებთ, მე ამას ვჩივი...**

– კი ბატონო, ჩვენში ბევრი საფუძვლიანად ფიქრობს, ნატოსკენ სწრაფვა ხომ არ მოგვიყვანს საბოლოოდ რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციამდე, მაგრამ ნატოს გარდა, სხვა არჩევანი არ გვაქვს. ნატო, სანამ მისი წევრები არ გავხდებით, რუსეთთან ჩვენ გამო რომ არ იომებს, ეს მეც კარგად ვიცი, მაგრამ სამხედრო დაპირისპირებამდე არ უნდა მივიყვანოთ საქმე. აქ დროის ფაქტორია მნიშვნელოვანი. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივაღწიოთ ნატო-მდე, გავხდეთ მისი წევრი და უსაფრთხოების ამ ქოლგის ქვეშ უნდა ამოვყოთ თავი, ეს რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავაკეთოთ ისე, რომ რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციას გადავურჩეთ, ბეწვის ხიდზე გავდივართ უკვე რამდენიმე წელია და ამ ხიდის ბოლოს უნდა მივაღწიოთ. იქ უკვე ნატოა და მერე ის დაგვიცავს რუსეთისგან.

ვინც იმაზე აპელირებს, რომ საქართველო ნატო-სკენ სწრაფვის დემონსტრირებით რუსეთს აღიზიანებს, იმას ავიწყდება, რომ ნატო მარტო რუსეთისგან თავდაცვისთვის არ გვჭირდება. აგრესიული ისლამის საცეცები გვიახლოვდება და ნატო-ს წევრ ქვეყნებს შეუძლიათ საქართველოს მისგან დაცვა. ამაზე რატომღაც არავინ ფიქრობს, არადა, ისლამური ხალიფატი მალე ბევრად უფრო სერიოზულ საფრთხედ შეიძლება გვექცეს, ვიდრე დღეს რუსეთი გვიქადის.



• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook



**სანდრო ბრეგაძე:**

**რესპუბლიკური პარტია კვლავ ხელისუფლებაშია და ხელისუფლებაში დარჩება საპარლამენტო არჩევნების შემდგომ. ხიდაშელი არჩევნებამდე გადადგება და არჩევნების შემდეგ დაბრუნება და თავდაცვის მინისტრობა საბოლოოდ შეთანხმდა,სხვების გადანაწილებაც ხდება.თუ ჩვენი პროტესტი აქტიური არ იქნა,მაშინ ერთს გეტყვით,რომ უცხოელების შუამავლობით პრემიერ კვირიკაშვილთან ეს შეთანხმება მიღწეულია,უბრალოდ ამ შეთანხმებას არჩევნებამდე არავინ გაახმაურებს,რადგან საარჩევნო ხმების დაკარგვის საფრთხეა!!!!!!!!!ეს არ არის ქუჩაში გაგებული ინფორმაცია,ეს გახლავთ დაზუსტებული და გადამოწმებული ინფორმაცია!!!!!!!!!დარწმუნებით შემიძლია გითხრათ რომ თუ ჩვენი პროტესტი აქტიური იქნება,მაშინ ეს შეთანხმება ჩაიშლება!!!!!**

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



**გიორგი ონიანი:**

დაზუსტებული ინფორმაცია თუ როგორ მოხდა ,,სპორტსმენების" ,,სპონტანური" მისვლა შსს-ში. შოთაძემ მოთხოვა კალაძეს ეს ე.წ. სპორტსმენები ვითომ შემთხვევით გამოცხადებულიყვნენ შსს-ში, რაც კალაძემ მისი სიძის აბულაძის და გეგეშიძის პირით გადასცა მათ. ასევე დაიგეგმა გაჟღერებულიყო რომ ეს ადამიანები თანამშრომლობენ სამართალდამცავ ორგანოებთან. მიზანი იყო შემდეგი, თითქოსდა ამით ამოიწურებოდა საფუძველი მათი დაკავების, ანუ მიმალვის საფრთხე და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე. ამის შემდეგ აპირებენ ბრალი წაუყენონ ამ პირებს, აღმკვეთზე შეარჩიონ ,,მორჩილი" მოსამართლე, რომელიც შეუფარდებს ამ ადამიანებს გირაოს და დასაბუთება სწორედ ის იქნება, რაც ზემოთ ვისაუბრე. შეეცდებიან მუხლი არ შეცვალონ აღმკვეთამდე, ხოლო მას შემდეგ რაც მოსამართლე არ დააპატიმრებს, შეუცვლიან, დაუმძიმებენ მუხლს რაც აღარ აისახება მათ მდგომარეობაზე ვინაიდან უკვე შეფარდებული ექნებათ გირაო. ამ სქემით ფიქრობენ ცოტათი მაინც დააკმაყოფილებენ როგორც საერთაშორისო საზოგადოების ასევე ხალხის მითხოვნას.

გაიშიფრეთ ბიჭებო რამე შეცვალეთ თორემ შერცხვებით, თან მერე მოლაპარაკების დეტალებსაც გავასაჯაროებ.



**გერონტი აშორდია:**

სპორტსმენებმა, რომც ვერ დაამტკიცონ, რომ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, ისინი მაინც თავისუფლდებიან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, თუ პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით. იმისათვის, რომ მათ მიმართ აღძრული საქმე გადაკვალიფიცირდეს უფრო მძიმე მუხლით, რაც ითვალისწინებს სამ წელზე მეტი ვადით პატიმრობას და არ მისცემს მათ კოდექსის 68-ე მუხლით სარგებლობის უფლებას, დაზარალებულმა მხარემ საგამოძიებო ორგანოში უნდა წარადგინოს ექსპერტის ცნობა, რომ ის იყო ორსული და დაზიანება მიიღო ორსულობის შეწყვეტის სახით, ან დაკარგა სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანო ან მისი ფუნქცია (სსკ-ის 117-ე მუხლი).

სხვა შემთხვევაში ამ ადამიანების დაკავება და პასუხისგებაში მიცემა იქნება უკანონო.

# საზოგადოებას ორივე პარტიის მიმართ გაუჩნდა ზიზღი, რის გამოც ჩვენ „ნაცმოძრაობას“ ვუთხარით უარი, რატომ აკეთებს იგივეს „ქართული ოცნება“?!

## ზაზა პაპუაშვილი: „ბევრმა სწორად ვერ გაიგო მინისტრობა... ვიღაცამ ქრთამი აიღო, ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა, ვიღაცა საერთოდ ველარ ვიცანი“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



ბედის ირონია, ანუ გაამოთ – პარტია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა. ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო და ნუგზარ წიკლაურმა დაიბარა, – ვიდრე სამართლიანობა არ აღდგება, პარლამენტში ჩვენი ფეხი არ იქნებაო... რა იყო ამ ყველაფრის მიზეზი, ქრონოლოგიურად გავიხსენოთ...

გასულ კვირას სხდომის დასაწყისში „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა მმართველ გუნდს კორცხელის ინციდენტი შეახსენა და განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრსა და საგამოძიებო უწყებებს არ შეუძლიათ, ეს საკითხი გამოიძიონ. „ეს იყო კარგად მომზადებული ადამიანების მიერ განხორციელებული დევნა საქართველოს მოქალაქეებზე. ეს იყო სამეგრელოსა და საქართველოს გათელვის მცდელობა. იყო უმოწყალო დევნა მოქალაქეების, ქალების, ბავშვების, ყველაზე შთამბეჭდავი იმ დღეს იყო კრიმინალისგან შეშინებული პოლიციელის სურათი, შეუბრალებლად ნაცემი პოლიციელი. როგორც პოლიცია, ასევე პროკურატურა უძლურია, საქმე გამოიძიოს, დაუყოვნებლივ უნდა დაიკითხოს კახი კალაძე, რომელიც ინციდენტში მონაწილე ბანდფორმირებებს ხელმძღვანელობდა...“ რომ არ იცოდე, ვინ არის ტექსტის ავტორი, ვიფიქრებდით, ასეთი შინაარსის განცხადებას „ნაციონალებისგან“ თავლაფდასხმული პიროვნება აკეთებს. ამ დამნაშავე ძალის გათავხედება და საკანონმდებლო ორგანოში ასეთი ცინიკური განცხადებების გაკეთებას რომ ბედავს ეს კრიმინალური დაჯგუფება, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ დანაშაული. წიკლაურის განცხადება გახდა იმის წინაპირობა, რომ უმრავლესობის დეპუტატსა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრს ზაზა პაპუაშვილს გაეკეთებინა ხმამაღალი განცხადება და „ნაციონალურ მოძრაობას“ 2011 წლის 26 მაისის მოვლენები შეახსენა: „ხვალ არის 26 მაისი, ქვეყნისთვის და ჩვენი მოსახლეობისთვის უდიდესი თარიღი, მაგრამ ყველას გვახსოვს, ვინც ვართ 26 მაისის მონაწილენი და არ ვართ, 2011 წლის 26 მაისი რა შავ დილად გაუთენა ქვეყანასა და ქვეყნის მოსახლეობას „ნაციონალურ-ბოლშევიკურმა მოძრაობამ“ და მისმა ლიდერმა. ასეთმა გაქცეულმა სხვა ქვეყნის მოქალაქემ როგორ გაწმინდეს სისხლისგან ის პროსპექტი და როგორ როკავდნენ საღამომდე წარმართულად. თან იძახდნენ, – „მიშა, მიშა“ და ჩვენ ვართ ყველაზე ძლიერიო. მაშინ ყოველი ჩვენგანი საქართველოს გავიძახოდით. ყველას მინდა ქედი მოვუხარო, ვინც ამ ხროვას, ამ ბოლშევიკებს მუხლჩაუხრელად ებრძოდა. რომელი ერთი ჩამოვთვალო – 7 ნოემბერი, 26 მაისი, არჩევნების გაყალბება, მთელი გამყალბებელთა კოჰორტა ზის და ამას ვიტანთ, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა არ ჩამოინგრეს. ეს ადამიანები მიდიან, ლაპარაკობენ ქვეყნისა და საზოგადოების სახელით და არწმუნებენ, ხელისუფლებაში დავბრუნდებითო. ბედავენ, დაძრწიან ქუჩა-ქუჩა, ლამის მათხოვრობენ, ლამის პროვოკაცია მოაწყონ, ხალხი შარში გარიონ და მერე ვიღაცას შესციცინონ, აი, როგორ გვდევნიანო. გთხოვთ, ვინც ხართ 26 მაისის მონაწილეები და ვინც არ ხართ, ყველამ პატივი მივაგოთ იმ დღეს გარდაცვლილ ადამიანებს და არა მარტო იმ დღეს, მთელი ამ 9-10 წლის განმავლობაში, ვინც ცოცხალია, მაგრამ ჯანმრთელობა დაკარგა, ვინც გარდაცვლილები არიან, მათ მშობლებს წამოვუდგეთ, წუთიერი დუმილით ვცეთ პატივი და ამ დუმილით პროტესტი გამოვუცხადოთ იმას, რაც 2011 წლის 26 მაისს ჩაიდინეს...“ პაპუაშვილის სიმართლე მწარე აღმოჩნდა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, მკვლელი რომ მსხვერპლს ფეხზე არ წამოუდგებოდა და პატივს არ მიაგებდა, ეს ცხადი იყო. ასეც მოიქცა დამნაშავე ორგანიზაცია და პროცესი ჩხუბში გადაიზარდა. ყველამ ვნახეთ ცემა-ტყეპის კადრები, რაც, რა თქმა უნდა, ამაზრზენია და იწვევს როგორც „ნაცმოძრაობისადმი“ ზიზღს, ასევე „ქართული ოცნებისადმი“, მინიმუმ, უპატივცემულობას.

**გთავაზობთ ინტერვიუს უმრავლესობის დეპუტატთან ზაზა პაპუაშვილთან...**





»» ხუბი პარლამენტში

**— ბატონო ზაზა, თქვენს გამოსვლას „ნაცმოძრაობის“ ბოიკოტი მოჰყვა, მათთვის სიმართლე ძალიან მწარე აღმოჩნდა. რამდენად საშიშია პოლიტიკურად მათი ბოიკოტი და რა მზაკვრულ გეგმას ამზადებენ ისინი?**

– კარგი იქნებოდა, ჩემს გამოსვლას ასეთი განვითარება არ მოჰყოლოდა, ჩემი სიტყვის შემდეგ რაღაცნაირად დაიმუხტა დარბაზი, არავის ფეხზე წამოდგომა არ მომითხოვია, კამერები ისედაც ყველაფერს დააფიქსირებდა. ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს განა დაავიწყდა, რა ხდებოდა და რა შეიცვალა? რა ტრავმები მიიღეს ადამიანებმა, სიკვდილის ესკადრონები იყო, ადამიანებს ხოცავდნენ, აქრობდნენ, აგიჟებდნენ, ქონებას ართმევდნენ. თუ გადარჩი, ამის გაძლება არ გინდა?!. ამის მონელება და პატიებაში გადაყვანა არ გინდა?!. ეს იოლი პროცესები ნამდვილად არ არის. ამ ყველაფერს გამოგიშიგნავენ და რაღაც ბატიბუტის სიტყვებით გელაპარაკებიან. ეგრე არ არის.. იცით, რას ვფიქრობ? ხშირად პოლიტიკურ განცხადებებს ვაკეთებთ და ვლაპარაკობთ დალაგებულად, გაბანტულად, მაღალფარდოვნად, ზოგჯერ მგონია, შინაარსს ვაკარგვინებთ მოვლენებს.

გაგრძელება მეათე გვ.

Facebook ამბები



მეგი გოცირიძე:

ისა და, იცით რა მაინტერესებს?

მიშას , ბიუჯეტის ხარზე რომ ჩამოჰყავდა მომღერლები და კონცერტებს მართავდა , ამ კონცერტებზე დასწრება უფასოდ შეეძლო ყველა მსურველს (პიაცაზე იმართებოდა ფასიანი კონცერტებიც ) და იმდროინდელი ქოცები ტაშ-ფანდურს ეძახდნენ მაშინ, როცა ქვეყანას მართლაც რომ ეზეიმებოდა და ეტაშფანდურებოდა, ქვეყანა ვითარდებოდა და ყველგან დიდი აღმშენებლობა იყო........

და დღეს რა ხდება?!

მაშინ როცა დედებს შიმშილით ეხოცებათ შვილები და იუნისეფის მონაცემებით წელიწადში 800 ბავშვი კვდება შიმშილით, ათასობით ბავშვი სიკვდილის მოლოდინშია არასრულფასოვანი კვებისგან დასნებოვნებული...... 22 მილიონ ლარს ხარჯავს ხიხოდირექტორი ჩვენი სიმწრით გადახდილი გადასახადებით შევსებული ბიუჯეტიდან და თან ჩვენ ვყიდულობთ დასაწრებ ბილეთებს , ანუ ორჯერ გვახდევინებს ისე, რომ არც კი გვეკითხება გვინდა თუ არ გვინდა ამ უბედურ ყოფაში მყოფებს, როცა 1 ლარი და 18 თეთრი უნდა ვიმყოფინოთ დღიურად კვებაზე , გვეტაშ-ფანდურება თუარა?

ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, სექსუალურად განსხვავებული ორიენტაციის მქონე მომღერლის ჩამოყვანაში 22 მილიონი კიარა , 22 ლარი რომ დაეხარჯა მიშას , ოჯახის სიწმინდის დამცველები ალბათ ტაბურეტების რევოლუციას მოაწყობდნენ და ეს როგორ არის , რომ მიშას ბამბაც ჩხრიალებდა და ხიხომესიას აფეთქებული საყდრისის ოქროც კიარ ჩხრიალებს?!

სანდრო ბრეგაძე:



ნაცების ახალი პიარი--კალაძე ცუდია(რადგან მათი მტერია), კვირიკაშვილი, ხიდაშელი, კოღუაშვილი კარგები(რადგან მათთან კოჰაბიტაციაში არიან) ცნობისთვის გეგა გეგეშიძე საამაყო, ვაჟკაცი და მისაბაძი ქართველია, ხოლო პაატა აბულაძე სიმართლისათვის მებრძოლი უკომპრომისო ქართველი.ამიტომ ესეთი ხალხი ერთად სხდება სუფრაზე,შენ კი გივი არცერთი თავმოყვარე და ვაჟკაცი ქართველი არ დაგისვამს სუფრაზე!!!!!!!

Facebook ამბები

გია გაბრიჭიძე:

მიშას დედაც მოვ""ან! და ყველა, ვინც დღეს მიშაზე გაქვთ "სწორება", კარგად იყავით!!!

ჩემთვის მიშა თავისი ბანდით წარსულში დარჩა! ვინც დღეს ისევ მიშაზე ფიქრობთ ("ქართული ოცნების" პიარ და ლიდერ-შიპიდან გამომდინარე), იმის იმედი რომ გაქვთ, რომ ხალხი, ოღონდ მიშა არ მოვიდეს, "შუა გაკრეფილია" დ.ა.შ. ოცნებას მიცემს ხმას და ამით იმშვიდებთ თავს, მაგარი დაგენძრათ!

არც დაგასლოკინოთ!!!!!!!!!!!!! გაკოცეეთ!!!



## ჩხუბი პარლამენტში

მეცხრე გვერდიდან

ჩვენ რეალურად უნდა ვილაპარაკოთ, რა და როგორ არის, როცა ვიღაც შედგება მორალურ საფეხურზე და სამრეკლოდან დაიწყებს რაღაცის რეკვას, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ამის უფლება, ასე არ არის. ისიც უნდა ვთქვათ, რაც კარგია, მაგრამ რაც ცუდია, იმაზეც უნდა ვიმსჯელოთ.

**— ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, ვიდრე პარლამენტში სამართლიანობა არ აღდგება, ბოიკოტს არ შევწყვეტთო. ეს მართლაც წლის ანეკდოტია.**

– ჰა, ჰა, ჰა... თქვენი სიცილი მეც გადმომედო, ნათქვამია – ჩიტი ტოტზე იჯდა და ხელის აქნევას ელოდებოდაო, ასეა მათი საქმე... არ გადამრიოთ და არ გამასულელოთ. ბოიკოტს რომ უცხადებენ



პარლამენტს, განა მათი მუშაობა რამედ ღირდა ამ პარლამენტში?!.

**— ყველაფრის მიუხედავად, სამეგრელოს სოფელ კორცხელში არჩევანი ხალხმა „ნაცმოძრაობაზე“ გააკეთა, რით ხსნით ამ ფაქტს?**

– კორცხელთან დაკავშირებით მაქვს კითხვა, ვინ იყო „ქართული ოცნების“ კანდიდატი? რა მოტივაციით წარადგინეს და ვინ გაუწია რეკომენდაცია? მე როგორც „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, კითხვები მაქვს იმ ადამიანებთან, ვინც ამ საკითხებს წყვეტს. არ მომეწონა კორცხელში მომხდარი ინციდენტი, ან რატომ უნდა მომწონებოდა. გასაანალიზებელია რატომ დადგა ასეთი ტრაგიკული შედეგი? მაინტერესებს, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას იქ მომხდარ ცემა-ტყეპასა და ჩემ მიერ ჩამოთვლილ კითხვებზე?

**— გამოქვეყნდა კორცხელში „ქართული ოცნების“ კანდიდატის „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული საბუთი, რაც ადასტურებს, რომ ის კვლავ ამ პარტიის წევრია და პორტირებულია „ქართულ ოცნებაში“. თქვენი აზრით, ვინ უნდა აიღოს ამაზე პასუხისმგებლობა?**

– პირადად მე რაც მაღიზიანებს, ყოველთვის დავსვამ კითხვას და არავის მოვერიდები და მიპასუხონ, რატომ დადგა ეს შედეგი და პასუხისმგებლობა აიღოს იმ ხალხმა, ვინც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს, ეს ხარვეზები არ გვეკადრება. პირადად მე, არც ერთ უბანზე არ მეკადრება „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვება.

**— საზოგადოებას ორივე პარტიის მიმართ გაუჩნდა ზიზღი, რის გამოც ჩვენ „ნაცმოძრაობას“ ვუთხარით უარი, რატომ აკეთებს იგივეს „ქართული ოცნება“, რა საჭირო იყო მოჭიდავეების კორცხელში ჩაყვანა და რატომ ვერ აიცილა თავიდან პროვოკაცია ხელისუფლებამ?**

– ინციდენტს, ექსცესსა და მიზანმიმართულ, გააზრებულ ბოროტებას შორის ძალიან დიდი სხვაობაა. ასე რომ, „ნაციონალების“ განვლილი პოლიტიკური ცხოვრება ინციდენტებად და ექსცესებად ვერ შეფასდება. ეს იყო მიზანმიმართული ღალატი ხალხის მიმართ, ეს პოლიტიკური ძალა იყო ხელისუფლებაში მკვეთრად ჩამოყალიბებული ბოროტების განსახიერება. ის, რაც კორცხელში მოხდა, არის ექსცესი და ინციდენტი, მოდი, ახლა ვთქვათ, მოგვწონს თუ არა. გიმეორებთ, რომ არ მომწონს, რატომ უნდა მომწონდეს, მოსახლეობის გეგმებში ეს არ შედის. 2012 წლიდან დღემდე ნებისმიერ არჩევნებს ამ ფარჩაკებს ვუგებთ, ერთი-ორ ადგილას შუალედურ არჩევნებში გაიმარჯვეს და გაჰყვირიან, გამარჯვება მოვიპოვეთო. უბედური და დასაცინი ხალხია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ამაზეა ნათქვამი.

**— სააკაშვილი ხელისუფლებას უთვლის, რომ აუცილებლად ჩამოვა არჩევნებზე და დაამარცხებს „ქართულ ოცნებას“. მართალია, უკრაინაში პატარა პრობლემები აქვს, შავი ფული აღმოუჩინეს, 20 მილიონი გრივნა, მილიონნახევარი მყარი ვალუტა, მოძლიერდება და ალბათ, ვერტმფრენით დაეშვება „თავისუფლების მოედანზე“, როგორც ქვეყნის გადამრჩენელი. თქვენ კი უშველით საკუთარ თავს, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება?**

– ძალიან გამაცინეთ... სააკაშვილი არის კლასიკური მაგალითი უსამშობლო, უპატრონო კაცისა. უკრაინიდანაც გამოაგდებენ და ასე წანწალში ამოხდება სული... სააკაშვილი არის სახალხო დეგენერატი. ჩვენმა ხელისუფლებამ პატიოსნად უთხრა უკრაინულ ხელისუფლებას, ვინ არის ეს კაცი, რა დანაშაულები აქვს ჩადენილი, უკრაინის ხელისუფლებამ ეს არ გაითვალისწინა, ახლა დავჯდები და სიამოვნებით ვუყურებ სეირს.

**— თქვენ წეღან თქვით, რაც ცუდია, იმაზეც უნდა იმსჯელოთ...**

– ეს იყო ჯოჯოხეთური ოთხი წელიწადი სხვადასხვა მიმართულებით, დღეს ომი მიმდინარეობს, ფასეულობების ომია. შიგნით ამდენი მოღალატეა, გნებავთ პროცედურული ომი დაარქვით, მაგრამ ფაქტია, რომ ომია. „ქართული ოცნება“ რომ ხელისუფლებაში მოვიდა, წელიწად-ნახევარი სააკაშვილი იყო პრეზიდენტი. გაიხსენეთ, ვინ იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ვინ არის დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ვისი წარმომადგენელი იჯდა ეროვნულ ბანკში. არჩევანი ასეთი იყო, ან სააკაშვილისთვის, ამათთვის 15 წუთში დედა უნდა გვეტირებინა, ან უნდა დავლოდებოდით კონსტიტუციურ დროს, ინსტიტუციების მუშაობისთვის ხელი არ შეგვეშალა, დავლოდებოდით კონკრეტული ინსტიტუციების „ნაციონალი“ ხელმძღვანელების ვადის ამოწურვას. ამან კი დარტყმა მოგვაყენა, საბოტაჟი და ობსტრუქცია გაჩნდა, მათზე დარტყმა კი არაპოპულისტური ნაბიჯი იყო. ბიუჯეტი ცარიელი დაგვხვდა, პირობებს გვიყენებდნენ ჩვენი უცხოელი პარტნიორები, ეკონომიკა ჩამოშლილი იყო, სულ სხვა რეალობა მივიღეთ... ბევრი გასვარეს, ბევრმა სწორად ვერ გაიგო მინისტრობა... ვიღაცამ ქრთამი აიღო, ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა, ვიღაცა საერთოდ ველარ ვიცანი. აი, ასეა ცხოვრება, გუშინ ვინც მეგობარი გეგონა, დღეს შენი მტერია.

**— როგორ აუხსნის ხელისუფლება იმ 300 ათას პრობაციონერს, სააკაშვილის ხელისუფლებისგან უსამართლოდ დაჩაგრულებს, ქონებაჩამორთმეულებს, შვილმკვდარ დედებს, რომ სამართლიანობა ვერ აღადგინეთ და ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობას“ დანაშაული აპატიეთ?**

– რა გვექნა, ხელში ავტომატები აგვეღო და გადაგვეცხრილა?.. მესმის კითხვის პათოსი და მეც ასე ვფიქრობ, ამის დრო აუცილებლად დადგება. დამიჯერეთ, ძალიან სახიფათო გზა გავიარეთ, ძალიან დიდი აგრესია იყო ხალხში დაგროვილი, ანგარიშსწორების პატარ-პატარა ინციდენტებიც ხდებოდა. ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ფართომასშტაბიან ანგარიშსწორებაში არ გადაზრდილიყო.

**— ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობთ პოლიტსაბჭოს ახალი წევრის, კოღუაშვილის განცხადებაზე. მან გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი ნიჭიერ ადამიანებად მოიხსენია და თქვა, რომ მათი ადგილი ციხეში არ არის და რომ უგულავას გარეთ ყოფნა გაცილებით მეტ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, ვიდრე მისი ციხეში ყოფნა. კორცხელის ინციდენტმა კოღუაშვილის განცხადება გადაფარა, მათგან დაზარალებული ადამიანები ნამდვილად მოაწყობდნენ თქვენს პარტიულ ოფისთან მიტინგს...**

– ასეთი განცხადებების გამო ისე გამოვდივარ წყობილებიდან, რომ არ ვიცი, როგორ მოვიქცევი. არ მინდა ახლა ბოთლს თავი მოვხსნა და ჯინი ამოვუშვა. დავით კოღუაშვილს ნამდვილად არ ვისურვებდი, „ქართული ოცნების“ სიის დეპუტატი გახდეს, ღმერთმა დამიფაროს მის ადგილზე ყოფნა, მაგრამ მის ადგილას რომ ვიყო, პოლიტსაბჭოს დავტოვებდი.

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook



**მალხაზ თოფურია:**

სააკაშვილს კ...ი, რომ გაპარვოდა ადესაში კურიერში 40 წუთიან სიუჟეტს მიუძღვნიდენ "რა საყვარლად გააიმასქნაო" , "მსოფლიოში ყველაზე სურნელოვანი კუ..ი" ":კუ..ი, რომლის ხმოვანობამაც, მსოფლიო დონის ბანის ხმას აჯობა" ....ა.შ. კაცს გიულას საშოს აცვავენ თავზე ეს "კაცის" გიჟივით ხავის ხაფანგში მოხვედრილი ზოლიანი გიენასავით და ვითომ არაფერიო , ოკეანიის კუნძულების ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე და ლაოსურ ფოლკრორულ სიმღერებზე გვესაუბრებიან ....თითქოს ამიტოლა ":კაცი" მარტო ამიტოლა იყოს და მეტი არაფერი)

facebook



**ზაზა ფარცვანია:**

არაადამიანები ანუ ნაცები ციხეში ხალხს კლავდნენ და აუპატიურებდნენ, დღევანდელი ხელისუფლება ცე გეპატიტისგან კურნავს პატიმრებს, სხვაობას თუ ვერავინ ამჩნევს, მაშინ იმ დროინდელი პატიმრების დღე გამოეცადოს.

facebook



**ცისანა სეფიაშვილი:**

ვემიჯნები ყველანაირ ძალადობას, მაგრამ ვერ მივიღებ 7 ნოემბრის და 26 მაისის შემქმნელებისგან ძალადობის გაპროტესტებას!

facebook



**ბელა ალანია:**

შინ ფეხით ვბრუნდებოდი. შევნიშნე, პატარა ბიჭი მკვდარ ბეღურას ნაღვლიანად დასცქეროდა.

ბავშვობა გამახსენდა, როცა ყველაზე დიდი ტრაგედია იყო საყვარელი ცხოველის, ფრინველის სიკვდილი... მივხვდი, რა ტრიალებდა მის პატარა გულში.

ცრემლი მომერია. ბიჭუნას არ გაკვირვებია.

გასაღებით მიწა ამოვჩიჩქნეთ და გავასაფლავეთ.

მიხაროდა, რომ მან გვერდი არ აუარა, არ მიატოვა ბეღურა. მჯერა, ნამდვილი ვაჟკაცი გაიზრდება.

სახლამდე მიმაცილა და კაცურად ხელი ჩამომართვა.

დამშვიდობებისას მკითხა, შენ რა გქვიაო. ასე უბრალოდ, უშუალოდ, თამამად და საყვარლად. ჩვენ ხომ, ამ ბეღურას წყალობით, უცებ მეგობრები გავხდით...

მინდა, როცა ჩემხელა გახდება, არ მოეჩვენოს ასეთი ამბები წვრილმანად. ასეთი პაწია ფრინველის სიკვდილი ყოველთვის დარჩეს მისთვის განცდის საფუძველი.

P.S.

ახლა გამახსენდა, როცა ვკითხე ეს შენი ბეღურაა, ასე რომ განიცდი-მეთქი

უცებ, ჯიქურ მიპასუხა, როდის იყო ბეღურა ვინმესიო.

ბავშვიც მიხვდა, რომ ყველაზე უბრალო ჩუტინიაც კი იმდენად თავისუფალია, რომ ის ყველასია.

გავოცდი. ეს რა თაობა გვეზრდება.

facebook



**ზაზა ფარცვანია:**

მინდა ძალიან უწმაწური ადამიანი გავხდე, მოთმინებასაც აქვ საზღვარი. ჩემს მიერ დაწერილი პოსტები ნერვების თამაში იყო, მაგრამ მთავარი ჩემთვის და ჩემი მომხრეების სიძლიერე ისააა რომ ჩვენ ზოგიერთი ხროვისგან განსხვავებით ადამიანური ჩვევები გაგვაჩნია, გვიყვარს ადამიანები, ოჯახი, მეგობრები, ქვეყანა და რაც მთავარია გვწამს ღმერთი. მე შემიძლია ვაგინო იმ ადმიანებს ვისაც ჩამოთვლილთაგან არცერთი არ გააჩნიათ და ესენი ხართ თქვენ ნაცებო. ადგილობრივ ჩამოკიდებულ ნაცებს ვგულისხმობ... რა გინდათ თქვენ დედა გინდათ უტიროთ საქართველოს? მიშამ ეროვნება გაწირა და თქვენ ხართ ქართველები? რა გაქვთ საერთოდ სათქმელი, ამიხსენით, თუ არ შეგდით ტვინში რაც განიცაადა ხალხმა. გაამართლეთ ერთი თქვენი მომხრე მისი საქციელით და ბოდიშს მოგიხდით. სამწუხაროდ თქვენთან ბოდიშის მოსახდელი არ გვაქ არაფერი. ერს მოუხადეთ ბოდიში და წადით რააა...

Facebook ამბები



ნანუკა ჟორჟოლიანი:

კიდევ კარგი პარლამენტში რომ ჩხუბობენ ხანდახან. ზვიადაურის არსებობას მნიშვნელობა ენიჭება

ელენე პირველი: ნუ ყველა იმას აკეთებს რაც კარგად გამოსდის ?) ისე არც თქვენი სფეროა პოეზია, მაგრამ...

ნანუკა ჟორჟოლიანი: ჩემი სფერო ყველაფერია, რაც ხალხს აინტერესებს



ლევან ლორთქიფანიძე თსუ-ს რექტორს მიმართავს:

გამარჯობა ქ.ნო დარეჯან!

როგორ ხართ? დიდი მადლობა, რომ დღეს ტროტილად მიჩნეული სინქრონული თარგმნის აპარატურა შემომაზიდინეთ თსუ-ში.

შეშფოთებული ვარ თქვენი დღევანდელი განცხადებით. ძალიან მიკერძოებული და სუპერსუბიექტური ბრძანდებით, ნუ წვავთ ყველა ხიდს და ძალის გამოყენებით ნუ გვემუქრებით, ნუ იქნებით მხარე და ბოლომდე მიწასთან ნუ გაასწორებთ თქვენს ისედაც შელახულ ავტორიტეტს. ეს დამღუპველი იქნება თქვენთვისაც და უნივერსიტეტისათვის.

ჯერ ოცი პირის მიერ ერთი ადამიანის გათელვის მცდელობას გაეცით პასუხი, ადეკვატური პასუხი და შემდეგ დაიწყეთ მოთქმა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისათვის დაბრუნებული ორი აუდიტორიის შესახებ. მერამდენედ გამოვაქვეყნოთ ჩამონთხლეული ოთახების მასალები, სადაც ადამიანებს ყოველდღე უკითხავთ ლექციებს. სირცხვილია აუდიტორიების დეფიციტის პირობებში (დეფიციტს ჩვენი დეკანი თამარ დოლბაია დაადასტურებს) ორი უფუნქციო ოფისი არსებობდეს პირველ კორპუსში ... დააბრუნეთ სოცპოლი დელისის მეტროდან და მერე, მერე სხვა დანარჩენი.

ნუ იფიქრებთ, რომ ვინმეს რამის ეშინია, პირიქით სიმწრით ვიკავებთ თავს.

ჩვენს ყველა გულშემატკივარს კი ვეტყვი, რომ რექტორის მ.შ და სხვები ამზადებენ ნიადაგს, რომ გიჟებად გამოგვაცხადონ და მერე დაგვარბიონ... ჩვენ მინიმალური და უნივერსალური მოთხოვნები გვაქვს, რომლითაც ყველა ისარგებლებს და არამხოლოდ ერთი ჯგუფი.



ნინო სამხარაძე

599 71-14-22

# „ეს იქნება საბოლოო სვლა, რომლისკენაც შენიღბულად ისწრაფვის „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“

კვირის მთავარ თემად „ნაციონალური მოძრაობის“ ბოიკოტი რჩება. რა მზაკვრული გეგმისთვის ემზადება დაუსჯელად დარჩენილი პოლიტიკური ძალა, ამ კითხვებზე სხვადასხვა პასუხი არსებობს, თუმცა ყველა ფიქრობს, რომ ეს არის მზაკვრული ჩანაფიქრი, რომლის ფინალიც „ქართული ოცნებისთვის“ მომაკვდინებელი იქნება, თუკი პროვოკაციების მოწყობის საბაბს მისცემენ და მათ მიერ დაგებულ ხაფანგზე წამოეგებიან. როგორც იქნა, პაატა ბურჭულაძემ ფერი იცვალა და პოლიტიკური ლიდერი გახდა, თუმცა მისი პარტიის სახელწოდება „სახელმწიფო ხალხისთვის“ უკვე არასერიოზულ განცდას აჩენს, რადგან სახელმწიფო ხალხს ეკუთვნის და არა ცხოველთა ფერმას.

პაატა ბურჭულაძემ პარტიის ყრილობაზე ახალი სახეები წარადგინა, თუმცა ვერ გეტყვით, რომელიმე მათგანი ის მერცხალია, რომელიც გაზაფხულს მოიყვანს. მართალია, მისი მომხრეები თვლიან, რომ ბურჭულაძის პლუსი სწორედ მისი პოლიტიკაში გამოუცდელობაა და სუფთა ფურცლიდან იწყებს პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ ჩვენ ვართ ის ქვეყანა, სადაც პოლიტიკური გამოუცდელობა ძალიან დიდი მინუსია და ხალხი უკვე აღარ ანდობს გამოუცდელ პოლიტიკოსს ქვეყანას, რადგან ეს კინოც ვნახეთ.

ყველა ველოდებით ბიძინა ივანიშვილის დაანონსებულ წერილს, რა გზავნილებს გააკეთებს იგი, იქნება თუ არა მოულოდნელობის ეფექტის მატარებელი. 2011 წლის 7 ოქტომბრის წერილით ივანიშვილმა გვამცნო მისი პოლიტიკაში შემოსვლა, რას გვამცნობს ახლა? რაც გავარკვიეთ, ეს წერილი იქნება ბევრად ვრცელი, ვიდრე 7 ოქტომბრის და მას არ ექნება მოულოდნელობის ეფექტი, მაგალითად, ვერ წავიკითხავთ იქ, რომ ივანიშვილი მზად არის, კვლავ ჩაუდგეს სათავეში პროცესებს.

**იურისტი ვალერი გელბახიანი „ალიასთან“ ინტერვიუში გასული კვირის ქრონიკას შეაჯამებს და ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგვაწვდის.**

**— ბატონო ვალერი, რისთვის ემზადება „ნაცბნელიტა“ და რას ემსახურება მათი ბოიკოტი?**

– ძნელი გამოსაცნობი არ არის, რასაც ემსახურება „ნაცმოძრაობის“ ბოიკოტი. არჩევნები ახლოვდება და მათთვის მთავარია, კვლავ მთავარ ოპოზიციურ ძალად დარჩნენ, რომელსაც უნარი აქვს ხელისუფლებასთან ბრძოლის. ამ ყველაფრის დემონსტრირებისთვის იყენებს პოლიტიკურ ტექნოლოგიას, აჩვენოს დასავლეთს, რომ ის არის მთავარი ოპოზიციური ძალა და ბოიკოტს უცხადებს პარლამენტს. ის ცდილობს, დასავლეთის ყურადღების ცენტრში მოექცნენ. თავისთავად ჩნდება კითხვა, რამ გამოიწვია პარლამენტში „ნაციონალების“ ბოიკოტი, ამ ბოიკოტის ერთ-ერთ მიზეზად „ნაციონალური მოძრაობა“ ასახელებს კორცხელის ინციდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შუალედურ არჩევნებზე. მათ აქვთ კონკრეტული მიზანი, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი არ ვარ, პირიქით, როცა თავის დროზე ვამბობდი, რომ ეს ძალა გაუქმებული იყო, როგორც დამნაშავე პოლიტიკური ძალა, არავინ მისმინა. ამის პრეცედენტები თვით საქართველოში იყო. აბსოლუტურად ადვილად შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ უმძიმესი შეცდომა დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ იმ იმედით, რომ, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე დატოვებდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ამით მას უჩნდებოდა მუდმივი გარანტია, რომ მოსახლეობა მხარს დაუჭერდა და ალტერნატივა არ ეყოლებოდა, ხედავთ, რომ „ქართული ოცნების“ ეს ქარაფშუტული ფიქრი იქამდე მივიდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გათავხედებული და გააფთრებული გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე. იმდენად აიმაღლეს ხმა, ხომ ხედავთ, რა დღეში არიან. მე ვფიქრობ, რომ თავშივე დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ შეცდომა, როცა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე არ შეაფასა „ნაცმოძრაობა“, როგორც დამნაშავე პარტია, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოს მოსახლეობას უდიდესი ზიანი მიაყენა და ამისთვის „ნაციონალურ მოძრაობას“ პასუხი უნდა ეგო არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სამართლებრივად. მოდით, ყველაფერს სახელი დავარქვათ და „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობას“ დანაშაული აპატია, ქართველმა საზოგადოებამ კი დაინახა ამ პარტიების შედეგი. სამართლიანობის აღდგენა იყო უპირველესი მოტივაცია ხელისუფლებისთვის, რომ რეიტინგი შეენარჩუნებინათ, მაგრამ ეს არ გააკეთეს. მეტიც, „ნაციონალური მოძრაობა“ სასათბურე პირობებში ამყოფეს, სამი კაცი დაუჭირეს და სამყაროს გააგებინეს, რომ პოლიტიკური დევნა იყო. ეს რომ დანაშაულებრივ პარტიად გამოცხადებულიყო, მაშინ, რა თქმა უნდა, შანსი არ არსებობდა იმისა, რომ ვინმეს ხმა ამოეღო და ეთქვა, რომ „ქართულ ოცნებას“ ჰყავს პოლიტიკური პატიმრები. როგორც „ნაციონალებმა“ 400 ათას უდანაშაულო ადამიანს ამოაყოფინეს ციხეებში თავი, ისე შეიძლებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე პირების დაკავება. უფრო მეტს გეტყვით, მათ შეინარჩუნეს თანამდებობები, ბიზნესები, მართლმსაჯულების კორპუსი იგივე დატოვეს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დატოვეს და რატომ გიკვირთ, რომ „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, მოახდინოს პოლიტიკური ძალაუფლების რეანიმაცია.

ექსპერტი





„მივედი ერთ დასკვნამდე, ეს ყველაფერი თამაში ხომ არ არის? ხომ არ არიან ერთმანეთში გარიგებული „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“?

**— როგორ ფიქრობთ, „ნაციონალური მოძრაობა“ რევოლუციური გზით წავა?**

– რატომ გიკვირთ? არ აჩვენა მოვლენებმა, რომ ისინი რევოლუციისთვის ემზადებიან? ხომ ხედავთ, სააკაშვილი როგორი მოტივირებულია, მუქარასა და აგრესიაზეა გადმოსული, ვინ მისცა მას ამის მორალური უფლება? ჩვენ არაერთხელ მოვისმინეთ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისგან, თუ დამნაშავეები ვართ, რატომ არ დაგვიჭირეთო. ეს ხალხი მართალია, ამ ხელისუფლებამ რომ არ დაიჭირა. მართლაც არავინ უშლიდათ ხელს, დაეჭირათ და ყველას პასუხი ეგო დანაშაულისთვის. ამიტომაც აიმაღლა „ნაცმოძრაობამ“ ხმა და ყელყელაობენ.

**— წიკლაური ამბობს, ვიდრე სამართლიანობა არ აღდგება, ბოიკოტის რეჟიმში ვიქნებითო.**

გაგრძელება მეთორმეტე გვ.

Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

დემურ გიორხელიძე

"სახლის აშენება ყვირილით რომ შეიძლებოდეს,

ვირი საუკეთესო მშენებელი იქნებოდა."

[ებრაული სიბრძნე]

P.S. გასაგებია ჩემო თანამემამულევ?!

დიახ, მივხვდი, -

შენთვის ეს არ იყო გასაგები!

შენ ოდითგანვე გიყვარს მოყროყინე ხალხი.

ვერაფერს გააწყობ, -

თაობას სხვა გემოვნება უნდა გაუჩნდეს!



მეთერთმეტე გვერდიდან

– ეს არის ქართველი საზოგადოების შეურაცხყოფა, როგორც ხედავთ, პოლიტიკური ზნეობა არ არსებობს. „ნაციონალური მოძრაობა“ ისე იქცევა, თითქოს, სხვა ქვეყნის ხელისუფლებაში მოუწია ყოფნა და ჩვენთან აქვს პრეტენზიები. ეს ასე არ არის. ჩვენ ვერ შევაგნებინეთ ამ ხალხს, რომ ისინი ქართველი ერის წინაშე არა მარტო დამნაშავეები არიან, არამედ დიდი ცოდვები აქვთ ჩადენილი და ამ დიდი ცოდვების ადვილად ჩამორეცხვა არ შეიძლება, მაგრამ რადგან „ოცნებამ“ აპატია და იყო ამნისტია, როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი, რა ვქნათ ახლა ჩვენ, უბრალო ადამიანებმა, რა გავაკეთოთ, ვუყუროთ ამ ავანსცენას და ბაკქანალიას? მივედი ერთ დასკვნამდე, ეს ყველაფერი თამაში ხომ არ არის? ხომ არ არიან ერთმანეთში გარიგებული „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“? ეს ბოიკოტი ხომ არ ემსახურებოდა საარჩევნო კანონპროექტის ჩაშლას? პარლამენტში ეს კანონპროექტი რეალურად დადგა განსახილველად, „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი მოტივაცია არ ჰქონდა, უარი ეთქვა ამ კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობაზე, ერთადერთი უარის თქმის შანსი იყო, შექმნილიყო ისეთი პოლიტიკური მოვლენა, რის გამოც საარჩევნო კანონპროექტი ჩავარდებოდა. საარჩევნო კანონი იყო გამოსავალი, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულებულიყო არარეიტინგული ხელისუფლების მმართველობა და მას ერთმეოდა საშუალება, ხელოვნურად შეექმნა მმართველი უმრავლესობა. იყო შანსი, ქვეყანაში დაბალანსებულიყო საერთო კონსტიტუციური წესრიგი, ანუ არჩევნებზე ძალადობასა და ფულით მოსყიდვას ადგილი არ ჰქონოდა. ამ კანონპროექტით ვერ გაიმარჯვებდა ისეთი კანდიდატი, ვინც ხალხს არ სურდა. მაგრამ ხომ ხედავთ, ჩაიშალა ეს პროცესი „ნაციონალური მოძრაობის“ ბოიკოტის გამო. ამ ბოიკოტის საფუძველი კი იყო სამეგრელოს სოფლის კორცხელის მოვლენა. თუ დააკვირდებით, მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს, რომ ჩაშლილიყო საარჩევნო კანონპროექტის განხილვა პარლამენტში, საჭირო იყო მოტივი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მისცა „ნაცმოძრაობას“, „ქართული ოცნების“ ინტერესში შედიოდა ამ კანონის არმიღება, გამოდის, რომ „ნაცმოძრაობის“ ხელით კეთდება ის, რაც „ქართულ ოცნებას“ სურდა. თუ ორივეს ინტერესი ერთმანეთს ემთხვევა და მოვლენების საფუძველი „ქართული ოცნების“ რაღაც ძალადობა იყო შუალედურ არჩევნებზე, რაც არც კი გამოუვიდათ, ბუნებრივია, მაძლევს ეჭვის საფუძველს, რომ ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის არსებობს გარიგება. კორცხელის მოვლენების შემდეგ მივიღეთ ბოიკოტი და ჩავარდა საარჩევნო კანონპროექტი. „ნაციონალურ მოძრაობას“ აქამდე არ უთქვამს, რომ ისინი ემზადებიან ხელისუფლებაში მოსასვლელად, ეს ბოლო წელია, რაც ამ განცხადებების გაკეთება დაიწყეს. ეს არის სცენარი, რომ პარლამენტში შევა „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“, დანარჩენი პარტიები, რა თქმა უნდა, იმ რაოდენობით ვერ მოხვდებიან, მოხდება გარიგება და მერე გააკეთებენ კოალიციას. ისინი იქნებიან ერთად და ეს იქნება საბოლოო სვლა, რომლისკენაც შენიღბულად ისწრაფვის „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. მოდით, ვთქვათ, ვინ არის დღეს „ქართული ოცნება“? აქ არიან ყოფილი „ნაციონალები“, თავის დროზე ყველა იქ იყო, ზოგი პოზირებდა ოპოზიციონერობას, ზოგი მიტინგზე ერთხელ გამოჩნდებოდა, მაგრამ ხელს უწევდა „ნაცმოძრაობის“ ყველა გადაწყვეტილებას.

**„ის, რომ კარგი მომღერალი და ქველმოქმედი იყავი, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ქვეყანა ჩაგაბაროთ. ვისაც მასე ჩავაბარეთ, ყველამ გვიღალატა“**



**— კორცხელში მოჭიდავეების ჩაყვანა ჰბრალდება კახი კალაძეს. თქვენი აზრით, ენერგეტიკის მინისტრს იშორებენ, თუ რა ხდება?**

– ჩემი ინფორმაციით, კახი კალაძის მოცილება უნდათ და ეძებენ მიზეზებს. ეს მიზეზი გაუჩინა „ნაციონალურმა მოძრაობამ“. მე მგონია, კახი კალაძის მოცილება სხვისი ხელით უნდათ და ამიტომ იშვერენ ხელს მისი მისამართით. სხვა საკითხია, რამდენად უცოდველია კახი კალაძე სხვა საქმეებში, მაგრამ ამ კონკრეტულ საკითხში ვხედავ, რომ ეს არის თამაში.

**— რას ფიქრობთ პაატა ბურჭულაძის პარტიაზე, რომელიც დიდი პრეტენზიებითა და ამბიციებით შემოვიდა პოლიტიკაში. ის იძლევა გარანტიას, რომ მოვა ხელისუფლებაში, გახდება პრემიერ-მინისტრი და გვმოძღვრავს, რომ არა აქვს ივანიშვილს უფლება, 2012 წელს მოპოვებული გამარჯვება დაგვამადლოს.**

– მისი პარტიის სახელი ახლა შევიტყვე, „სახელმწიფო ხალხისთვის“ ჰქვია, რას ნიშნავს ეს, აბა, სახელმწიფო მტრებისთვის ხომ არ არის?.. თუ მეზობლებისთვის არის? სახელმწიფო ყოველთვის ხალხისთვის არის. ძალიან უშინაარსო სახელწოდებაა და თავისთავად შეცდომაა, პარტიას ეს სახელი დაარქვა.

**— თქვენი აზრით, ვისი პროექტია ბურჭულაძე? რას ფიქრობთ მისი გუნდის წევრებზე?**

– ამ გუნდის ნაწილს ვიცნობ, ზოგს საერთოდ არ ვიცნობ. არ ვიცი, მათ რა იდეები აწუხებთ, რა ამოცანები აქვთ, კი დააანონსეს, რომ ბატონ პაატას მთავრობის ლიდერობა უნდა. შეიძლება მეც მინდოდა კოსმოსში გაფრენა და სამყაროს ჩუქება, მაგრამ ეგრე არ არის. ხელისუფლებაში რომ მოხვიდე და პრემიერ-მინისტრი გახდე, ამას სჭირდება პოლიტიკური გამოცდილება, სჭირდება წლები, ხალხის ნდობა, ის, რომ კარგი მომღერალი და ქველმოქმედი იყავი, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ჩაგაბაროთ ქვეყანა. ვისაც მასე ჩავაბარეთ, ყველამ გვიღალატა, იმიტომ, რომ არ იცოდა ეს საქმე. საუბრობენ, რომ ბურჭულაძე არის სააკაშვილის პროექტი, მაგრამ ბრალს ვერავის დავდებ.

**— „ქართული ოცნების“ რამდენიმე წევრმა დატოვა რეგიონებში საკრებულო და პაატა ბურჭულაძის პარტიას უერთდება, ამას რით ხსნით? ეს შეუქცევადი პროცესი იქნება?**

– გარდა იმისა, რომ ბურჭულაძეს აქვს პიროვნული ხიბლი, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მას აქვს ძალიან დიდი ფულიც. რა გიკვირთ, პირველად ნახეთ, როცა გემი იძირება და ვირთხები გარბიან?!. ეს ადამიანები გუშინწინ „ნაცებს“ უჭერდნენ მხარს, გუშინ „ოცნებას“ და დღეს – პაატა ბურჭულაძეს. დაინახეს, რომ ბურჭულაძეს ფული აქვს, ახალი სახეა და მიეტმასნნენ. ასევე დაირხა ხმები, რომ თითოეულ მაჟორიტარს ასეულ-ათას ლარს აძლევენ, რომ საარჩევნო კამპანია წარმართონ მაჟორიტარულ ოლქებში...

## ექსპერტი



**— პაატა ბურჭულაძე უხდის მისი პარტიის მაჟორიტარ კანდიდატებს ასი ათას ლარს?**

– დიახ, ასე გავრცელდა ხმები, რომ ვისაც პაატა ბურჭულაძის პარტია დააყენებს მაჟორიტარ კანდიდატად, მათ ექნებათ ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი. რა თქმა უნდა, პაატა ბურჭულაძე არ გავიდოდა არჩევნებზე, ფული რომ არ ჰქონოდა.

**— თქვენი ინფორმაციით, ბურჭულაძეს საიდან აქვს ამდენი ფული?**

– ეგ კითხვები ბურჭულაძისთვის არ დაგვისვამს, როცა ქველმოქმედებას ეწეოდა და არ გვიკითხავს, ფონდ „იავნანას“ საიდან ჰქონდა ამხელა ფულადი რესურსი, რომელმაც ძალიან ბევრი უსახლკარო ოჯახს ბინები გადასცა საჩუქრად. მოდით, ასე ვთქვათ, მსოფლიო მნიშვნელობის მომღერალია, თითო კონცერტში 100 ათას ევროს იღებდა, მინიმუმ 20 წელია, მღერის და მსოფლიოს წამყვან სცენებზე გამოდის, რა გასაკვირია, რამდენიმე მილიონი რომ ჰქონდეს? თუმცა სახელმწიფო გაარკვევს ფინანსების წარმომავლობას, რომელიც უნდა მოხმარდეს არჩევნებს, საკუთრივ ბურჭულაძის ფული დევს, თუ ვინმე აფინანსებს.

**— მოსახლეობა ელოდება, რას ამცნობს ბიძინა ივანიშვილი თავისი წერილით მოსახლეობას. თქვენი აზრით, რა იქნება მისი მთავარი გზავნილები?**

**„გავრცელდა ხმები, რომ, ვისაც პაატა ბურჭულაძის პარტია დააყენებს მაჟორიტარ კანდიდატად, მათ ექნებათ ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი, ასეულობით ათასი ლარი“**

– არ ვფიქრობ, რომ ეს წერილი ისეთივე ეფექტური იქნება, როგორიც იყო 2011 წლის 7 ოქტომბერს. მაშინ მისმა წერილმა პოლიტიკური რეალობა შეცვალა, რადგან სხვა ვითარება იყო. ქართველი ხალხის წინაშე მხოლოდ ერთი ამოცანა იდგა, რომ სააკაშვილის რეჟიმი შეეცვალა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა. სამწუხაროდ, ივანიშვილმა ძალიან ბევრი დაპირება გასცა და სულ რომ არაფერი ეთქვა და ამდენი ავანსი არ გაეცა, დარწმუნებული იყავით, ქართველი ხალხი მაინც გაჰყვებოდა. მაგრამ თვითონვე იმდენად დიდი მოლოდინის მუხტი შექმნა და იმდენი დაპირება გასცა ავანსად, რომ ხალხს იმედი გაუცრუა. აქედან გამომდინარე, ივანიშვილის ახალი ტყუილები და ახალი დაპირებები ხალხზე ველარ იმუშავებს, რადგან ის მითები, რომელიც მასზე იყო შექმნილი, აღარ არსებობს, დღეს ის არის პოლიტიკოსი, ვინც ხალხთან მტყუანია.

Facebook ამბები

facebook



ხათუნა ხოფერია ( სააკაშვილზე):

ღმერთს ვთხოვ, არ გახდე უკრაინაში ვინმეს პირადი ანგარიშსწორების (ტყვიის) მსხვერპლი და აქ, საქართველოში წარსდგე მართლმსაჯულების წინაშე! უნდა ნახოს შენმა “საფიცარმა” დასავლეთმა, როგორი დანაშაულია შენისთანა ტირანის მხარდაჭერა!

facebook



მაია ნიკოლეიშვილი:

ეს რა მესმის!!!! მიშა ეუბნება უკრაინის სპეცნაზს, არ გრცხვენიათ, ავტომატებით რომ მოდიხართ, წადით იომეთ, თუ რამე შეგიძლიათო! ავტომატებით შეუვარდნენ ქალებს და კანკალებენ ქალებიო! ასეთი პოლიტიკური ანგარიშსწორება ჩრდილოეთ კორეაშიც არა ხდებაო.- ამას მიშა ამბობს, სააკაშვილი!

-მიშა, შე არაადამიანო! პანტიანში, აგარაკზე, დილის 5 საათზე, 30 კაციანი სპეცრაზმმა რომ ალყა შემოარტყა ჩემს სახლს და ჯერ კიდევ სიბნელეში ავტომატის ლულა რომ გვქონდა მოშვერილი მე და ჩემს 11 წლის შვილს, მძინარეებს, და რომ მანათებდა ეს ავტომატი, შავი ნიღბიანის ხელში, ადვოკატი მახსენებინა ვინმემ?! ჩრდილოეთ კორეის პროკურატურამ გამომიგზავნა, თუ იცი, ის სპეცნაზი პანტიანში თუ შენმა "შვონდერმა" პროკურატურამ"?

კანკალებდნენო, უკრაინელი ქალებიო, ეცოდება მიშას! შე "ცრუ ნერონო", გიფიქრია, ქართველი ქალები, ბავშვები და კაცები რომ კანკალებდნენ, კვდებოდნენ, ტყდებოდნენ, იმსხვრეოდნენ, გიფიქრია მათზე და მათ ოჯახებზე?! რატომ გძულდა ასე ძლიერ ნახევარი საქართველო?! შენი და შენი ძალოვნების უკანონობასთან და თავგასულობათან ჩრდილოეთ კორეა რა სახსენებელია!

შენ უნდა გასამართლდე, სააკაშვილო!

ოდესაში დაგება ენა? აგებნა სიტყვები?

-ღმერთს ვთხოვ, არ გახდე უკრაინაში ვინმეს პირადი ანგარიშსწორების (ტყვიის) მსხვერპლი და აქ, საქართველოში წარსდგე მართლმსაჯულების წინაშე! უნდა ნახოს შენმა "საფიცარმა" დასავლეთმა, როგორი დანაშაულია შენისთანა ტირანის მხარდაჭერა!

Facebook ამბები

facebook

ინდირა ჯღერნაია 26 მაისის კონცერტის ორგანიზატორებს აკრიტიკებს:

მე სახლში უნდა ვიყო და ქუთაისში ჭუჭყიანი, ჩამოსული ჭინკები უნდა ყმუოდნენ სცენაზე. მეტის ღირსი მაინც არ ხართ. უგემოვნო მთავრობის, უგემოვნო კონცერტი. სხვა დროის 26 მაისს რომ ვიხსენებ გული მისკდება რას უსმენთ ზოგადად ხალხოოო. უამრავი მაგარი მომღერალი რეგიონებში დარბის კონცერტზე და ქუთაისს იმენა ჭლექი ჭირს. სუფთად მაინც უნდა გეცვას მომღერალს სცენაზე, ადამიანმა სელფი რომ მოგთხოვოს. ვინ სვავს ამ ხალხს კონცერტებში სიმღერაზე... და რეპერტუარზე აღარაფერს ვამბობ!





გიორგი გუგავა:

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისათვის მთავარია "მამა-მარჩენალ" ივანიშვილის მიერ მიტაცებულ - მილობილი ტერიტორია იყოს კარგად დაცული, საქართველოს მიწები კი ჩირის ფასადაც არ ულირთ.




ირაკლი ზაქარეიშვილი:

ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა როლანდ ახალაიამ სოფ. ხურჩაში მოკლული გიგა ოთხოზორიას ოჯახს მიუსამძიმრა. მან ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა:

„...აბა რა გითხრათ. ვინც სამშობლოს იცავდა, ციხეში ჩაყარეს. ზოგი გააქციეს. დღეს ვართ დარჩენილი უპატრონოდ ამ ხელისუფლების ხელში და უარესიც არის მოსალოდნელი!“



დემურ გიორხელიძე:

საქართველოში განათლების სისტემა რა ტყლაპოშიც ახლა იმყოფება იქედანაც ჩანს, რომ კომაროვის ცნობილი მათემატიკური სკოლის დღევანდელმა მესვეურებმა ისიც კი არ იციან, რომელ წელს გაიხსნა ეს სკოლა და ვინ გახსნა [მაშინ ახალგაზრდა ნიჭიერი, მომავალში ცნობილი ქართველი მათემატიკოსები], არც პირველი გამოშვების შესახებ იციან და ა.შ. იუბილე გადაიხადეს და... ეს ყველაფერი დაავიწყდათ... მოკლედ, იზეიმეს რა თავისთვის!..

# ბიძინა ივანიშვილი... წერილიდან წერილამდე

**„ამ წერილში ამბობს სიმართლეს ივანიშვილი, აქ არის გულწრფელი, დანარჩენი წინასაარჩევნო დაპირება და ბლეფია!“**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



„ქართული ოცნების“ ბოლო ყრილობაზე ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტების შეკითხვებს არ უპასუხა და განუცხადა, რომ ერთ კვირაში გამოაქვეყნებდა წერილს, რომელიც მათსა და საზოგადოების ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებდა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ხალხს ეპისტოლარულ ჟანრში ელაპარაკება. გავიხსენოთ, რომ 2011 წლის 7 ოქტომბერს მან სწორედ წერილით ამცნო საზოგადოებას მისი პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. რამდენიმე დღეში, 12 ოქტომბერს, პირველს მეორე წერილიც მოაყოლა, რომელშიც საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის, ზოგადად, საქართველოში არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების მიმართ და თავისი პოლიტიკური გეგმებიც მოკლედ გაგვაცნო. უკვე 4 წელზე მეტია გასული ამ წერილების გამოქვეყნებიდან, ივანიშვილის პოლიტიკაში მისვლიდან და მით უფრო საინტერესო და საგულისხმოა მათი გახსენება, მათთვის თვალის კიდევ ერთხელ გადავლება. მოდით, ვნახოთ, რას ჰპირდებოდა ის ხალხს, რა შეუსრულა და რა – არა. ვის აუხდინა მის მიერვე შეპირებული ოცნებები, ვის რამდენად დამსახურებულად და ვინ დატოვა პირში ჩალაგამოვლებული. ჯერ მის პირველ, 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილს გადავხედოთ.

**„უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა (რის განვითარებასაც შემდგომში წლები და ათწლეულები დასჭირდება), რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს და იმის გაფიქრების სურვილიც კი არ გაუჩნდეს, რასაც სააკაშვილის დღევანდელი მთავრობა კადრულობს“.**

სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილმა ვერ შეძლო ან, არ მოისურვა, რომ გაეკეთებინა უმთავრესი – მართლაც ჩამოეყალიბებინა საზოგადოების კრიტიკული მასა, გაეაქტიურებინა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც გააკონტროლებდა ხელისუფლებას და ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებს. დღეს ათასგვარი ვერსია ვრცელდება იმის შესახებ, რატომ არ გააკეთა ეს ივანიშვილმა. მე მხოლოდ ერთს ვერწმუნები. ივანიშვილმა ეს არ გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მისი პოლიტიკური პარტია, „ქართული ოცნება“ მოვიდა, რომელმაც არაერთი უმძიმესი შეცდომა დაუშვა, უპატიებელი დანაშაულები ჩაიდინა, მრავალი დანაპირები არ შეუსრულა ხალხს. ძლიერი სამოქალაქო სექტორი ამას არ აპატიებდა ივანიშვილსა და მის პარტიას, დროულად მოახდენდა რეაგირებას და საპროტესტო საშუალებებით, სხვა მექანიზმებით, აიძულებდა ხელისუფლებას, ან უკეთესად



ემართა ქვეყანა, შეესრულებინა დაპირებები, ან მოშორებულიყო. პრინციპში, სამოქალაქო საზოგადოება არც დღეს პატიობს დაშვებულ შეცდომებს ხელისუფლებას, მაგრამ იმის უნარი არ გააჩნია, რომ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს მმართველ გუნდს, არ გააჩნია ბერკეტები, რომ აკონტროლოს. საზოგადოების კრიტიკული მასა და მისი გაძლიერება ივანიშვილს ხელისუფლებაში მოსვლამდე სჭირდებოდა, როცა სააკაშვილი რეჟიმს ებრძოდა, სწორედ ეს კრიტიკული მასა გაჰყვა მას სასაკლაოზე და კაცმა არ იცოდა, ვინ დაბრუნდებოდა იქიდან ცოცხალი, სააკაშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, ვის ამოაყოფინებდნენ ციხეში თავს, ვინ ათწლეულებს გაატარებდა ემიგრაციაში, ან სულაც იქ დალევდა სულს. ბიძინა ივანიშვილმა ჩინებულად მოახერხა ის, რაც უზნეო პოლიტიკაში ნორმად ითვლება – მან ხალხი გამოიყენა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ხელისუფლებაში მოსასვლელად და მერე ამ ხალხს ხელი დაუქნია – პაკაა! ეს ნაბრძოლი ხალხი აღარ სჭირდებოდა, თავიდან მოიშორა და გიჟი იყო, ამ ხალხის გასაძლიერებლად თითი გაენძრია?

ამ წერილის დასაწყისში ბიძინა ივანიშვილი გვარწმუნებს:

**„ჩემი, როგორც ბიზნესმენის, წარმატების მთავარი საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: მე შემიძლია სწრაფად შევაფასო სიტუაცია, მივიღო სწორი გადაწყვეტილება, სწორად შევარჩიო კადრები და კარგი მენეჯმენტის საშუალებით სწრაფად მივაღწიო დასახულ მიზანს“.**

კი, ბატონო, მჯერა, რომ სწორედ ამ უნარების წყალობით იშოვა მან 6 მილიარდი, მაგრამ, რაც ბიზნესში გამოადგა, იმ თვისებებით პოლიტიკაში ბევრს ვერაფერს მიაღწია. ბიძინა ივანიშვილმა ქართველი ხალხის თანადგომით მიხეილ სააკაშვილი და მისი ბანდიტები მოაშორა ხელისუფლებას, ამას არ ვუკარგავ, მაგრამ აი, შემდეგ ბევრი შეცდომა დაუშვა და მათ შორის სწორედ საკადრო პოლიტიკაში. რაც ბიზნესში მისი წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ითვლება, პოლიტიკაში მის „აქილევსის ქუსლად“ იქცა. საიდან დავიწყო, აღარ ვიცი. მოდით, თანმიმდევრულად მივყვები. ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი საკადრო შეცდომა გიორგი მარგველაშვილი იყო, რომელიც მისი ხათრით აირჩია ხალხმა პრეზიდენტად და პირველი, რაც მან გააკეთა, საკუთარ გუნდს ჩაუდგა ოპოზიციაში. გიორგი მარგველაშვილი იქცა ხელისუფლებაში ფსევდოლიბერალთა მთავარ დასაყრდენად, „მაშველ რგოლად“, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას ეშურებიან. ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ამ ხალხმა ჩაიგდო ძალაუფლება, „ნაციონალებსა“ და სააკაშვილს მოგვანატრებენ. ივანიშვილი არ გვპირდებოდა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში, უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ მართული, ფსევდოლიბერალური პოლიტიკური ძალები, არასამთავრობო სექტორი ისე მოძლიერდებოდა, რომ იმას გაბედავდნენ, რასაც სააკაშვილის ხელისუფლების უპირობო მხარდაჭერის პირობებშიც კი ვერ ბედავდნენ – მოითხოვდნენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და მასირებულ, შეუწყვეტელ შეტევას განახორციელებდნენ ქართულ ეკლესიაზე. საუბედუროდ, დღეს ამ ანტიქართულ ძალებს სწორედ პრეზიდენტი მარგველაშვილი მფარველობს და ეს კაცი რომ ივანიშვილის სერიოზული საკადრო შეცდომაა, ეს თავადაც აღიარა. გიორგი მარგველაშვილს დავით ნარმანია მოაყოლა, ეს კაციც მისი ხათრით აირჩიეს. ივანიშვილმა თავისი საკადრო პოლიტიკით დაბლოკა და ხელისუფლებაში არ მოუშვა ის ხალხი, ვინც სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლას წლები შეალია, განათლებაც აქვთ, შესაბამისი კვალიფიკაციაც და პატრიოტები არიან. სამაგიეროდ მან გზა გაუხსნა საკუთარი ბიზნესგუნდის წევრებს, მთავრობა ლამის მთლიანად მათით არის დაკომპლექტებული. საკუთარი პირადი დაცვის წევრები წამყვან ძალოვნებად აქცია – შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, სუს-ის უფროსი, ვახ-

გაგრძელება მეთოთხმეტე გვ.



ნინო ჯღარკავა:

მართლა უნამუსოები ხართ ნაცებო და მათო მხარდამჭერებოო,დიახ ესაა პაატა აბულაძე კახი კალაძის სიძე დღეს რომ ატრიალეთ შვიდ ბრუნვაში,26 მაისს ასე სასტიკად ნაცემი რომ დააგდეთ რუსთაველზე,და რა ეკრძალება ამ ადამიანს პროტესტი,თუ დღეს რომ რომელიმე მათგანი გნახოთ პირისპირ თავზე ხელს გადაგისვამთ? ბოდიში მოუხადეთ ამ ადამიანს და მთელ საქართველოს,თუ გინდათ რომ შურისმაძიებლები არ გავხდეთ! გრცხვენოდეთ!



*მეცამეტე გვერდიდან*

ტანგ გომელაური, სამთავრობო დაცვის უფროსი, ანზორ ჩუბინიძე, ეკონომიკის მინისტრი 4 „ქართუ ბანკის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, დიმიტრი ქუმსიშვილი, ასევე, „ქართუ ბანკის“ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს გიორგი კვირიკაშვილს მინისტრის რამდენიმე სავარძელი მოახალხს ადრე თავად უხდიდა ჯამაგირს, ახლა ჩვენ, გადასახადების გადამხდელები, ამ ჯამაგირსაც ვუხდით და ათასგვარი კომფორტითაც უზრუნველვყოფთ. დღეს საქართველოს ბიძინა ივანიშვილის კლანი მართავს და თანაც ერთი ფინანსური ჯგუფის, „ქართუ ჯგუფის“ კლანი. ასეთი რამ აფრიკის იმ ქვეყნებშიც აღარ ხდება,

**კი დარჩა და დღემდე მასთანაა. მე მესმის ამ ადამიანების მდგომარეობა. შეიძლება ზოგს გულით უნდოდეს სახელისუფლებო გუნდის დატოვება, მაგრამ ეს არც ისე იოლად მისაღები გადაწყვეტილებაა. ისინი ერთხელ გაკეთებული მცდარი არჩევანის მძევლები არიან და მე მათ უფრო თანაგრძნობით ვუყურებ. მე არ მაქვს მათ მიმართ აგრესიული განწყობა, ის კი არა, რომელიმე მათგანმა თავისი პოლიტიკური მრ-**

## »წერილიდან წერილამდე

„ნაციონალებისგან“ წართმეულ ქონებას არავინ უბრუნებს? სხვისი ნაყაჩაღარი ბიზნესებით ისევ „ნაციონალები“ მდიდრდებიან. აი, აქ, 12 ოქტომბრის წერილში ამბობს სიმართლეს ივანიშვილი, აქ არის გულწრფელი, დანარჩენი წინასაარჩევნო დაპირება და ბლეფი იყო.

ცოტა ხნის წინ, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი, დავით კოლუაშვილი კინაღამ ამ პოლიტსაბჭოდან გარიცხეს, ლამის ჯვარს აცვეს იმის გამო, რომ ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავაზე რამდენიმე კარგი სიტყვა თქვა. შავი დღე დაუყენეს პოლიტსაბჭოს კიდევ ერთ ახალ წევრს, მამუკა მდინარაძეს, რომელიც კოლუაშვილის გამართლებას შეეცადა. ბევრი ამტკიცებდა, რომ მდინარაძე და კოლუაშვილი ბიძინა ივანიშვილს შეაპარეს, რეალურად, „ნაციონალთა“ ხალხია და ვიღაც გარეწარმა გაუწიათ ივანიშვილთან რეკომენდაციაო. არა, გენაცვალეთ,



**ბიძინა ივანიშვილმა ჩინებულად მოახერხა ის, რაც უზნეო პოლიტიკაში ნორმად ითვლება — მან ხალხი გამოიყენა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ხელისუფლებაში მოსასვლელად და მერე ამ ხალხს ხელი დაუქნია — პაკაა!**

ტარა და ბოლოს მთავრობის მეთაურად დაგვინიშნა. ვერ გავიგე, ამ ქვეყანაში ხალხი გაწყდა, რომ ივანიშვილი მხოლოდ საკუთარი ბიზნესგარემოცვიდან ექაჩება მთავრობის წევრებს? თუ ივანიშვილის „ქართუ ჯგუფის“ რომელიმე სტრუქტურაში არ გიმუშავია, მაღალ პოსტს ვერ ეღირსები – ეს რეალობაა. ეს, ცხადია, არ ეხებათ იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები არიან და პარტიული კვოტით გახდნენ მინისტრები და მინისტრის მოადგილეები. ჰო, ირაკლი ღარიბაშვილიც ხომ „ქართუ ბანკის“ პრეზიდენტი იყო. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ აქ გავჩერდები, რა გამოდის? ბიძინა ივანიშვილი შინაურების მეტს არავის ენდობა და მთავრობაში გზას მათ გარდა არავის უხსნის. ეს არის ივანიშვილის დაპირებული დემოკრატია, რომლითაც მსოფლიოს გაოცებას აპირებდა? ეს არის სუფთა ფეოდალური მმართველობა, ბიძინა ივანიშვილი ჩინებულად ირგებს მეფის როლს და მოურავებად საკუთარ ხალხს გვინიშნავს. ამ

რამდენიმე წლის წინათ რომ დაანებეს ადამიანის ჭამას თავი. ბარემ სახლში რომ ჰყავს, ის ჟირაფი და ზებრა დაგვისვას მინისტრებად და რომელიმე იქნებ პარლამენტის დეპუტატადაც აგვერჩია.

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ „ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაცია, შემდგომში, მათი ლიდერებისთვის „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ ხელის დაფარება, პარლამენტში 12 „ნაციონალი“ დეპუტატის მის კოალიციაში გადასვლა და სხვა მრავალი უბედურება, ეს გარედან, დასავლეთიდან თავსმოხვეული იყო, ივანიშვილს სურდა, დაესაჯა მიხეილ სააკაშვილის ავაზაკები, მაგრამ დასავლეთის ზეწოლას ვერ გაუძლო. აი, რას აცხადებს თავის მეორე, 12 ოქტომბრის წერილში ბიძინა ივანიშვილი:

**„თავის დროზე სააკაშვილს ბევრი უჭერდა მხარს, მათგან ზოგმა კრიტიკულად გადახედა თავის პოზიციას და დროზე წამოვიდა მისი გუნდიდან, ზოგი წამსი და პოზიცია რომ შეიცვალოს, არ გამოვრიცხავ, მათთან თანამშრომლობის შესაძლებლობასაც...“**

აგერ ბატონო, 2011 წლის ოქტომბერში უცხადებდა „ნაციონალებს“ ივანიშვილი, პოლიტიკური მრწამსი და პოზიცია შეიცვალეთ და თქვენთან კიდევაც ვითანამშრომლებო. ჯერ ვინც ვითომ შეიცვალა ეს მრწამსი და პოზიცია, მათთან თანამშრომლობა დაიწყო, მერე კი, ისე ჩაეფსკვნენ და ჩაეხუტნენ ერთმანეთს, უკვე ძნელი გასარჩევია, ვინ „ნაციონალია“ და ვინ – „ქართული ოცნების“ წევრი. ამის შემდეგ რატომღაც გვიკვირს, რომ ამ ქვეყნად სამართლიანობა არ აღდგა, ხალხს ისევ დაკარგული აქვს ღირსება, რომლის აღდგენასაც სამართლებრივი გზით, ივანიშვილი შეჰპირდა? რატომ გვიკვირს, რომ ხალხს

ეგრე არ არის, ივანიშვილი ვანო მერაბიშვილზე ბევრად მაღალი წარმოდგენისაა, ვიდრე კოლუაშვილი, მაგრამ ის ივანიშვილია და მისი ფანკლუბის წევრები მას პასუხს ვერ მოსთხოვენ, აი, დაბალ ღობეს – კოლუაშვილს კი მისდგნენ გადასათელად, როგორ გაბედე მერაბიშვილსა და უგულავაზე დადებითი აზრის გამოთქმაო.

**„რადგან სახელისუფლებო გუნდზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე მინდა მივმართო მერაბიშვილს, რომელსაც ვიცნობ, როგორც კარგ მენეჯერს, კარგ ორგანიზატორს და ბევრი დადებითი თვისების მქონე პიროვნებას. მერაბიშვილმა დიდი შრომის შედეგად მოახერხა და შექმნა გამართული სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახით. საპატრულო პოლიცია თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ის სადამ-**

*გაგრძელება მეთექვსმეტე გვ.*

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები

**ნიკა რურუა** საარჩევნო ცემა-ტყეპაზე:

ამ ბანძ ვირეშმაკებს ჰგონიათ, რომ რაც რუსეთში მუშაობს (როგორც, სავარაუდოდ, საკუთარი რუსი 'მრჩევლები' არიგებენ) აქაც იმუშავებს.



ეს საქართველოა - სხვანაირი ქვეყანა, თავისუფალი ხალხის ქვეყანა, სადაც თუ ზუსტად უჭირთ იმის არტიკულირება თუ რა არის თავისუფლება, შეუცდომლად გრძნობენ, როცა მას სერიოზული საფრთხე უჩნდება.

P.S. რუსულმა მეთოდებმა აქ კიარა, უკრაინაშიც არ გაჭრა - შევახსენებ, ვისაც დაავიწყდა. 'ტიტუშკები' და დაქირავებულები იქ იყვნენ, თუ იყვნენ.

● Facebook ამბები ●

**თამაზ ელიზბარაშვილი** შს მინისტრს მიმართავს:

ბატონო გიორგი, მოგეხსენებით, მიმდინარე წლის 25 მაისს, საღამოს დაახლოებით 23:30 საათზე, ყაზბეგის გამზირზე დიდი სისწრაფით მომავალი „მიცუბიშის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც 20 წლის ახალგაზრდა მართავდა, დაეჯახა ჩემს კუთვნილ ორ ავტომობილს, რომლებიც ამავე ქუჩაზე, კანონით გათვალისწინებულ, პარკინგის ადგილას იყვნენ გაჩერებულნი. ერთ-ერთ მანქანაში ისხდნენ ჩემი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც სწორედ რომ სასწაულით გადარჩნენ.

მინდა მოგახსენოთ, რომ ხშირად მინახავს, როგორ დაქრიან ახალგაზრდები დიდი სისწრაფით ყაზბეგის გამზირსა თუ სხვა ქუჩებზე და, სამწუხაროდ, ისიც მინახავს, როგორ დაუნახავს ასეთი შემთხვევები საპატრულო ეკიპაჟს, მაგრამ რეაგირების გარეშე დაუტოვებია.

ვინაიდან ასეთი მძღოლები პოტენციური მკვლელები არიან, მსგავსი ფაქტების დანახვისას, არაერთხელ დამირეკავს 112-ში და მითქვამს, ახლა არნახული სისწრაფით ჩამიქროლა ავტომანქანამ, რომლის სახელმწიფო ნომრებია ესა და ეს-მეთქი. ასევე ვეუბნები ხოლმე, რომ ჩემს მანქანაში მიყენია ვიდეოფიქსატორი, რომელსაც ჩემს მიერ მონაყოლის დადასტურება შეუძლია და ამასაც მოგაწოდებთ, ოღონდ ზომები მიიღეთ-მეთქი.

25 მაისს, როცა ჩემს ოჯახს აშკარა საფრთხე დაემუქრა და ქონებრივი ზარალიც მომადგა, ისევ დავრეკე 112-ში და მოვითხოვე პასუხი გაეცათ ჩემს მიერ თვეების განმავლობაში მათთვის მიწოდებული ინფორმაციებიდან რომელზე და როგორი რეაგირება მოახდინეს. მიპასუხეს, რომ არ იცოდნენ მოყვა თუ არა რეაგირება ჩემს მიერ მკვლელ მძღოლებად დანახული ადამიანების ქმედებებს და საპატრულო პოლიციაში გადამამისამართეს. საპატრულო პოლიციაში კი გასაოცარი პასუხი გამცეს — ასე შეიძლება ნებისმიერმა დარეკოს და თუ მტკიცებულება არ გვექნება, დაჯარიმებასაც ვერ შევძლებთო. გამოდის, სწრაფად მოსიარულე, მკვლელ მძღოლებს ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ შსს-სგან, საპატრულო პოლიციისგან, რომ დღისით, მზისით, ღამით ხოცონ ჩვენი შვილები, მეუღლეები, მშობლები და თავიანთი თავებიც გაიუბედურონ?!

ბატონო გიორგი, ვფიქრობ, თავის დროზე ჩემი და ალბათ სხვა ბევრის მიერ 112-ისთვის მიწოდებული ინფორმაცია რომ არ დაგეტოვებინათ რეაგირების გარეშე, ბევრის სიცოცხლეს და ჩემი ოჯახის წევრებსაც იხსნიდით აშკარა საფრთხისგან! შემიძლია ახლაც მოგაწოდოთ ამონაწერები ჩემს ავტომანქანაში დაყენებული ვიდეოთვალიდან, რომელზეც მსგავსი ფაქტებია გადაღებული. ამას ჩემი და სხვისი შვილების დასაცავად გავაკეთებ! ამ შემთხვევაში დამნაშავე არამხოლოდ ის მძღოლია, რომელიც დიდი სისწრაფით გადაადგილდება და ყველა ჩვენგანის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს, არამედ, საპატრულო პოლიციაც ამ დანაშაულის თანამონაწილე ხდება, როცა რეაგირებას არ ახდენს!

ბატონო გიორგი, შსს-სგან კატეგორიულად მოვითხოვ, რომ მკვლელი მძღოლების შესახებ მოქალაქეებისგან 112-ზე შესულ ინფორმაციებს ოპერატიული რეაგირება მოჰყვეს და პასუხიც ასევე ოპერატიულ რეჟიმში გვეცნობოს! მე კი არ უნდა ვრეკავდე და ვკითხულობდე, ინფორმაცია რომ მოგაწოდეთ, რა რეაგირება მოახდინეთ-მეთქი, თვითონ უნდა გვირეკავდნენ, მადლობას გვეუბნებოდნენ თუ რა რეაგირება და შედეგი მოჰყვა ჩვენს მიერ გადაცემულ ინფორმაციას. მე, თამაზ ელიზბარაშვილი უფლებას გაძლევთ, იმ პიროვნებებს, ვისაც ჩემი ინფორმაციის საფუძველზე დასჯით ამა თუ იმ წესით, უთხრათ, რომ პოლიციას მათი ქმედების შესახებ მე მოვუყევი! ასეთი საქციელი ე.წ. ჩაშვებად კი არ უნდა მოვნათლოთ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვისწავლოთ კანონის დაცვა და ყველამ ჩვენი მოქალაქეობრივი თუ პროფესიული ვალი შევასრულოთ, რომ როგორმე კანონმორჩილ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ და ჩვენივე გულგრილობით ერთმანეთის მკვლელები არ დაგვერქვას!



**მაია ორჯონიკიძე:**

ბიძინა ივანიშვილთან სამი წელი ვიმუშავე და მისი აზრების წინასწარი წაკითხვის მცდელობა უპერსპექტივოა, - ასე უპასუხა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა ჟურნალისტების კითხვას, თუ რას ელოდება ბიძინა ივანიშვილის ღია წერილისგან.

ფიქრობს, რომ შეაქო!



**ზაზა ფარცვანია:**

ქართული ანდაზა:"რწყილი ფეხზე რომ დაგაჯდება, თავზე ახოხდებაო". ბრძენები და დაკვირვებულები იყვნენ ჩვენი წინაპრები. იგივე მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენ დღეს, ნაცმოძრაობა დღეს რომ რწილის როლშია ამას ყველა მშვენივრად ვამჩნევთ, ის ჰუმანურობა, ეგრედწოდებული კოჰაბიტაცია და სმსახურების შენარჩუნება რაც მათ მიმართ ქართულმა ოცნებამ გაუკეთა, თითქოს ვალდებულები ვიყავით, დაავიწყდათ. დაავიწყდათ, აგრეთვე ის უბედურებები რაც მათ გაუკეტებიათ 9 წლის მანძილზე. კორცხელში მომხდარმა მოკლედ გადაასწრო 7 ნოემბერს და 26 მაისს, რომ შეახსენებ ოპ ოპ ოპ მაგი მოვჭერითო, ნუღარ გვახსენებთო. ლამის აქეთ დაგვაბრალონ; რატომ არ დაიჭირეთ დამნაშავეებიო. უუნაროები ხართო. რომ დაიჭერ გველებივიდ დაგვესევიან პოლიტიკურიაო. არა ბატონო არნაირი კოჰაბიტაცია ხროვასთან, უნდა აიკრძალოს ეს პარტია საერთოდ. თუ რამე ცუდი ხდება ამ ქვეყანაზე და ქვეყნის გარეთ ამთი დიდი მონდომებით და ხელშეწყობით. წარმატებას თუ დაინახავენ თვალებს ხუჭავენ და ცდილობენ ნეგატივი გააპიარონ თავიანთი სატელიტი რუსთავი R2-ის მეშვეობით.

P.S. მოგიწოდებთ ქართული ოცნების მომხრეებს, ნეიტრალურ თუ არამომხრეებს, არ დაგვავიწყდეთ ის პერიოდი რაც ჩვენ გავიარეთ, ის ტანჯვა-წამება, დამცირება, აღვირახსნილობა და უამრავალი უბედურება, რაც გადავიტანეთ და არ დაუდგეთ მხარში ქვეყნის გამხრწნელ ნაცისტებს.

»» *ნანაციონალარი*

*მაკა დეკანოსიძე*

*551 99-18-19*



# გიორგი ვაშაძე: „5 ივნისს, რუსთაველზე, ყველას თვალწინ...“

**„სხვები უკვე დაღლილები, დაქანცულები არიან ერთმანეთის ჭამით, შურისძიებითა და გაუტანლობით... ჩვენ — არა“**







**მართალია, რობი უილიამსის საჯდომმა მფორთხავი გიგა ბოკერიას დადგმული შოუ ცოტათი დაჩრდილა, მაგრამ ახალ პროვოკაციამდე სცენასა და „ნიუსფიდს“ ქვეყანაში მაინც „ნაციონალები“ აკონტროლებენ**

პოლიტიკური ცემა-ტყეპიდან ერთი კვირის შემდეგაც კვირის მთავარი განხილვის თემად სოფელ კორცხელის ინციდენტი რჩება. მართალია რობი უილიამსის საჯდომმა მფორთხავი გიგა ბოკერიას დადგმული შოუ ცოტათი დაჩრდილა, მაგრამ ახალ პროვოკაციამდე სცენასა და „ნიუსფიდს“ ქვეყანაში მაინც „ნაციონალები“ აკონტროლებენ. „ბოროტი ბავშვების საბავშვო ბაღმა“ ამჯერად პარლამენტს გამოუცხადა უვადო ბოიკოტი და თავად პიონერმა მოძალადეებმა, მსოფლიო „შეაზანზარეს“ „დამწყები“ მოძალადეების დასჯის მოთხოვნით. თუმცა სანამ პარლამენტიდან „ნაციონალური“ დემაგოგობის შეწყვეტა ბევრს გულ-ვარდს მოჰფენს და ეკა ბესელიაც ჩიორას ნაცვლად ჯავრს თამარ კორძაიაზე იყრის, პარლამენტის ტრიბუნის გამოყენებას აქტიურად გეგმავს „ნანაციონალარი“ **გიორგი ვაშაძე**, რომელსაც „ალია“ კვირის აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებზე ესაუბრა:

**— კორცხელის ინციდენტის შემდეგ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბოიკოტი გამოაცხადა, პარლამენტში დაბრუნებაზე მანამ აცხადებენ უარს, სანამ ცემა-ტყეპის ინციდენტში მონაწილე პირები არ დაისჯებიან, რამდენად ლოგიკურია ეს მოთხოვნა?**

– მათი არჩევანია ბოიკოტი, მე პირადად ვაგრძელებ პარლამენტში მუშაობას.

**— თვითონ ინციდენტს რაც შეეხება, ორმხრივი ბრალდებებია ამ კუთხით, „ნაციონალებს“ პროვოკაციაში და „ოცნების“ მხარდამჭერებისთვის შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ, რასაც მოჰყვა საპასუხოდ თქვენი ყოფილი თანაგუნდელების ცემა... პასუხისმგებლობა მომხდარზე ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ მხარეს ეკისრება?**

– ეს ინციდენტი არის ცალსახად ხელისუფლების პასუხისმგებლობა. ეს კარგად ჩანს იმ გაჭიანურებული გამოძიებიდანაც, რასაც ადგილი აქვს. თუმცა როცა გამოძიებაზე ვსაუბრობთ, გამოძიება არ გულისხმობს არც ერთ შემთხვევაში, რომ მხოლოდ მოჭიდავეები და ჩხუბში მონაწილე რამდენიმე ადამიანი დაისაჯოს. მთავარია, ვინ იყო ორგანიზატორი, ვინ მისცა მითითება ამ ადამიანებს, რომ ასე ემოქმედათ. ვინ იყო ამ ყველაფერში ჩართული. შესაბამისად, სამწუხარო და პრობლემური არის ის, რომ ეს პროცესია გაჭიანურებული.

**— ხელისუფლების უმაღლესი პირების მხრიდან განცხადებების მიუხედავად, რომ ფაქტზე სათანადო რეაგირება მომხდარიყო, რეალური ნაბიჯები არ გადადგმულა. სავარაუდოდ, „ოცნება“ ერიდება მხარდამჭერების განაწყენებას, რადგან მათი დიდი ნაწილი დღემდე ითხოვს წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან განხორციელებული ძალადობის მონაწილეების დასჯას, რაც რეალურად არ მომხდარა, 26 მაისის, 7 ნოემბრის, ქვების მსროლელების უშუალო მონაწილეები არავის დაუსჯია... ამ რამდენიმე ადამიანის დასჯას კი შესაძლოა, დიდი პროტესტი მოჰყვეს და ხელისუფლებამ ამით ხმები დაკარგოს...**

– ან ჩვენ ვამკვიდრებთ სტანდარტს ქვეყანაში, რომ ვინც კანონს არღვევს, პასუხისგებაში ეძლევა ან ისევ და ისევ ორმაგი სტანდარტი გვექნება ქვეყანაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აბსოლუტურად ყველა, ვინც დამნაშავეა, რა მნიშვნელობა აქვს, როდის რა იყო, პასუხისგებაში უნდა მიეცნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოში ვერასდროს ვერ იქნება წესრიგი და ვერასდროს ვერ იქნება ნორმალური განვითარების გარემო. მეორე საკითხია ის, რომ პოლიტიკური გარჩევები ქუჩაში არ უნდა ხდებოდეს და არ უნდა იყოს წახალისებული ხელისუფლების მხრიდან. მაგრამ ფაქტია, რომ „ოცნება“ თავისი უმოქმედობით ამას ახალისებს ბოლო წლებია. და ეს ვერ დამთავრდება, სანამ ხელისუფლებაში გვეყოლება შურისძიებით მოსული ძალა. აგრესიით და შურისძიებით მოსული ძალა, საქმის კეთებაზე, ხალხის გაჭირვებაზე კონცენტრირებას ვერ ახდენს, ის კონცენტრირდება მხოლოდ და მხოლოდ შურისძიებაზე.

**— შურისძიება რომ ყოფილიყო „ოცნების“ მხრიდან მთავარი ამოცანა, „ნაციონალური მოძრაობის“ მხოლოდ რამდენიმე ლიდერი იჯდებოდა ციხეში? სისტემურ დანაშაულში არაერთხელ ამხილეს თქვენი ყოფილი პოლიტიკური ძალა. გარდა ძალადობისა, უამრავ დანაშაულში ედება ბრალი, ხელისუფლებამ კი ამაზე სათანადოდ ვერ თუ არ მოახდინა რეაგირება... სწორედ ამ დაუსჯელობამ ხომ არ წაახალისა დღევანდელი პროცესები?**

– კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ გვაქვს ორი არჩევანი, ან მუდმივად წარსულიდან გამომდინარე, გაორმაგებულად და გაათმაგებულად ვუშვებთ შეცდომებს ქვეყნის განვითარებაში. ან ვიწყებთ სრულიად ახალ პროცესს. ვილაცამ ქვა მესროლა (და ვყოფილვარ ისეთ სიტუაციებში, სადაც თავდასხმები იყო გარკვეული ჯგუფების მხრიდან და მათ შორის ხელისუფლების ორგანიზებული)? არ ვაპირებ ამაზე ჩავიციკლო და ამაზე მქონდეს მარტო ფიქრი. მე ვფიქრობ არჩევნებზე და ისეთ ქვეყანაზე, სადაც კანონი ყველასთვის კანონია და ძლიერი იქნება ის ხელისუფლება, რომელიც თავის თავში სწორედ ამას გადალახავს. ჩვენ ახლა უნდა გადავწყვიტოთ, რა გვინდა, ხვალ და ზეგაც გვქონდეს ასეთი დაკვეთები, რომელსაც დაუსჯელობის სინდრომის გამო შეასრულებენ თვალდახუჭული, თუ გვქონდეს სრულიად ახალი ქვეყანა.

**— „ნაციონალების“ ბოიკოტმა, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილების საკითხი ღია დატოვა, არადა ოპოზიციური სპექტრი უკვე მობილიზებული იყო, რომ ცოტათი უკეთესი მაინც გამხდარიყო კანონმდებლობა, გერმანულ მოდელს ვგულისხმობ... საკმაოდ მნიშვნელოვან პროცესებში გვერდზე გაწევამ, რამდენად შეიძლება დააზარალოს ქვეყნის მომავალი? თუ პასუხისმგებლობის მქონე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკურ ძალაზე აქვთ პრეტენზია, ასე უპასუხისმგებლოდ, პროცესის შუა გზაში მიტოვება ნორმალურად მიგაჩნიათ?**

– აქ მე ვფიქრობ, რომ სერიოზული პრობლემაა. იმედი მაქვს, თუ დადგება საკითხი კენჭისყრაზე, „ნაციონალური მოძრაობა“ მიიღებს ამ კენჭისყრაში მონაწილეობას და მისცემს ხმას საარჩევნო სისტემის შეცვლას. რადგან ეს ცვლილება საჭიროა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის და ზოგადად საპარლამენტო ცხოვრების გაჯანსაღებისთვის.

**— არჩევნებამდე სულ რამდენიმე თვე დარჩა, თქვენ საკმაოდ გვიან გააკეთეთ განაცხადი, რომ „ნაციონალები“ არ არიან რეფორმებზე ორიენტირებული და პროგრესული ძალა, აყალიბებთ ახალ პოლიტიკურ მოძრაობას, რომლის კონტურებიც ახლა დგება. როგორ ფიქრობთ, დარჩენილი დრო საკმარისია იმისთვის, რომ ის თამამი განაცხადი, რომ აუცილებლად ანგარიშგასაწევი ძალა იქნებით, შეასრულოთ?**

– ჩვენ ვმუშაობთ 24-საათიან რეჟიმში, განსხვავება ჩვენსა და სხვებს შორის არის ის რომ, ჩვენ არ ვიღლებით, სხვები უკვე დაღლილები, დაქანცულები არიან ერთმანეთის ჭამით, შურისძიებით და გაუტანლობით. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ეს დრო ბევრი არ არის, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, მაღალი შედეგი დავდოთ, რადგან ჩვენ გვექნება აბსოლუტურად პოზიტიური განრიგი. მთავარი გზავნილი იქნება, ის უიმედობა, რაც ქვეყანაშია, გადავლახოთ. ამის გადალახვის კონკრეტული გეგმები შევთავაზოთ მოქალაქეებს და აქედან გამომდინარე მოვიპოვოთ მხარდაჭერა. ჩვენ 5 ივნისს დავაფუძნებთ რუსთაველზე ყველას თვალწინ ჩვენს პოლიტიკურ მოძრაობას.

**— რაც შეეხება ფინანსებს? „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ივანიშვილის ინტერესები დაინახა თქვენს ახალ პოლიტიკურ მოძრაობაში და, სავარაუდოდ, ფინანსებიც, თქვენ ამბობთ, რომ მსხვილი შემოწირულობებისა და ბიზნეს-ინტერესების პრაქტიკას დაამსხვრევთ, ვინ შეიძლება გაიღოს წვრილი შემოწირულობები? საქართველოს მოსახლეობამ, რომელსაც ისედაც ძალიან უჭირს, თუ ვისი იმედი გაქვთ?**

– ძალიან ბევრი ადამიანი გვიკავშირდება, ვინც მზად არის, გარკვეული ინვესტიცია ჩადოს საქართველოს მომავალში, ესენი არიან ჩემი უცხოეთში მცხოვრები ქართველი მეგობრებიც. მაგალითს გეტყვით, ჩვენ უკვე საქართველოს მასშტაბით გვაქვს 25-ზე მეტი ოფისი და ეს ოფისები გახსნილია სახლებში და საოფისე ფართებში, რომელსაც სრულიად უსასყიდლოდ გვითმობენ.

**— ბევრი ახალი პოლიტიკური მოძრაობა მონაწილეობს წელს არჩევნებში, ოპერის ვარსკვლავი პაატა ბურჭულაძეც პოლიტიკურ ლიდერად გარდაიქმნა, არჩევნებიც არ იქნება მთლიანად პოლარიზებული მხოლოდ ორ სუბიექტზე... ფიქრობთ, რომ კოალიციური მთავრობა გვეყოლება და დიდი უმრავლესობით ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ მოვა პარლამენტში?**

– ვფიქრობ, რომ გვექნება ძალიან საინტერესო პარლამენტი, შედეგები იქნება მნიშვნელოვნად განსხვავებული, რასაც კვლევებში ვხედავთ დღეს. ვფიქრობ, ხალხი მაინც არჩევანს გააკეთებს პროფესიონალი ადამიანების სასარგებლოდ, ვისაც საქმე გაუკეთებია და აქვს უნარი, გაცილებით მეტი გააკეთოს.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

**ნანუკა ჟორჟოლიანი (26 მაისი):**

დღეს, ასეთი დღესასწაულის ხელის შეშლას თუ შეეცდებოდა ნაციონალური მოძრაობა, თუ გადაკეტავდნენ რუსთაველს და დაიწყებდნენ ღრიალს, არ ჩაგატარებინებთ აღლუმს, არ გაზეიმებთ დამოუკიდებლობის დღესასწაულს, სათითაოდ რომ ეცემათ, ხმას არ ამოვიღებდი.

არის უპატიებელი პროტესტი და ესაა, როცა ხელისუფლების კი არა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდიხარ.



მეთოთხმეტე გვერდიდან

**სჯული, ჯალათური ფუნქცია რომ მოვაშოროთ, შეიძლება საზოგადოებისთვის ძალზე სასარგებლო როლი ითამაშონ. მერაბიშვილი ხშირად მაოცებდა ხოლმე ეკონომიკის სფეროში საკმაოდ სერიოზული კომპეტენტურობით", — ეს ბიძინა ივანიშვილის სიტყვებია, მაგრამ ჯერ სად ხართ. აი, კიდევ რას ამბობს: „ჩემო ვანო, ერთი ამბავიც მინდა გაგახსენო და ამით დავამთავრებ. „ვარდების რევოლუციიდან" დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, სააკაშვილი სპეციალურად ჩამოფრინდა ბობოყვათში ჩემთან შესახვედრად (მე იმ დროს ურეკში ვიყავი) და მითხრა, მერაბიშვილი უნდა გავუშვაო. მე მაშინ ყველაფერი გავაკეთე, რომ სააკაშვილს შენი გაშვება გადაეფიქრებინა. მე ის დავარწმუნე, რომ შენ ბუნებით ერთგული კაცი ხარ, გონიერი ორგანიზატორი და წინდახედული მენეჯერი".**

დამეთანხმებით, ასეთ ალმატებულ ფორმაში კოღუაშვილს ნამდვილად არ ულაპარაკია მერაბიშვილზე. აი, საიდან მოდის ზოგიერთი „ნაციონალი" ლიდერის მიმართ გადამეტებული და მე ვიტყოდი, შეუფერებელი სიმპათიები – 2011 წლის ოქტომბრიდან და „ქართული ოცნების" მესვეურთაგან, პირველად ის ბიძინა ივანიშვილმა გააჟღერა. მაშ, რაღას ერჩით დავით კოღუაშვილს? მას იმაზე მეტი ხომ არაფერი უთქვამს მერაბიშვილზე, რაც მისმა ბელადმა განაცხადა? ივანიშვილი მთლად მერაბიშვილის პატრონი – მფარველი ყოფილა და მას გადაურჩენია უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტის დატოვებისგან, ამის მეტი რაღა გინდათ? არა! ამის გაგება და დანახვა, გითხარით, რომ არ უნდათ ივანიშვილის ბრმა მომხრეებს, ეს კაცი მართლა „ნაციონალების" მოსისხლე მტერი ჰგონიათ და თუ ვინმემ კოალიციიდან მათ ლიდერებზე ორიოდ ტკბილი სიტყვა თქვა, ის ხალხი მოგზავნილი და ივანიშვილის ბანაკში შეპარული. ივანიშვილმა ჩინებულად იცის, ვინ არის დავით კოღუაშვილი, მისი ვანო მერაბიშვილთან და ზოგადად, „ნაციონალებთან" დამოკიდებულებაც იცის, მაგრამ მაინც მიიღო თავის გუნდში, მას კოღუაშვილი ისეთი სჭირდება, როგორიც არის, მას არ სჭირდება ისეთი ხალხი, ვინც „ნაციონალებს" კისერს მოუგრეხს და დაპირებულ სამართლიანობას აღადგენს, კოღუაშვილები სჭირდება კოაბიტაციის გასაგრძელებლად და ჰყავს კიდეც. 4 წელი ხდება „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლიდან და კოაბიტაცია ისე გრძელდება. აი, ეს გახლავთ იმართლე და არა რაღაც ზღაპრები და შეთქმულების თეორიები ივანიშვილის ბანაკში „ნაციონალთა" აგენტების შეგზავნის შესახებ.

ახლა ვინმე მეტყვის, ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილი და ციხეში ჩასვა და მის მიმართ სიმპათიებს ნუ აბრალებო. ჯერ ერთი, ვანოს გარდა იმდენი „ნაციონალია" დასაჭერი, ჩვენი ციხეები ვერ დაიტევს და ეს გარეწრები რომ დაუსჯელები დადიან, სწორედ ივანიშვილის ბრალია. მეორეც, ეჭვი არ მეპარება, რომ მერაბიშვილი იმიტომ კი არ ზის ციხეში, რომ მას ქართველი ხალხის წინაშე დანაშაული არ აპატია ივანიშვილმა, არა, მასზე შური იძია, ის გამოარჩია სხვა „ნაციონალი" ლიდერებისგან. შურის საძიებელი საბაბი კი ჰქონდა. ვანო მერაბიშვილმა გაბედა და მისი დავალებით, სუს-ის ჰაკერები ჯერ ივანიშვილის კომპიუტერში შეძვრნენ და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გამოუქვეყნეს, მერე კი, იმავე მერაბიშვილის პატრონაჟით, მისი პირადი დაცვის წევრი, ბესო სურმავა მოიტაცეს და ბათუმში 3 დღე ჰყავდათ სასტუმროში გამოკეტილი, სურმავამ კი მერაბიშვილს ივანიშვილზე საჭირო ინფორმაცია მიაწოდა. რა ვქნა, სხვა ახსნას ვერ ვუძებნი იმ ფაქტს, რომ ვანო მერაბიშვილი ციხეშია და „ნაციონალთა" სხვა ლიდერები – გარეთ. ევროპაში დაუსჯელად დაგრიალებენ დავით კეზერაშვილი, დათა ახალაია, ზურაბ ადეიშვილი, ერეკლე კოდუა და ეს ხალხი სწორედ ივანიშვილის უნიათო პოლიტიკის წყალობით, ჯერ კონკრეტული ქვეყნების სამართალდამცავებმა არ გადმოგვცეს, მერე კი ინტერპოლმა წითელი ცირკულარით ძებნილთა სიიდან ამოიღო. ბიძინა ივანიშვილის ბრალია, რომ დღეს პარლამენტში ყელყელაობენ გიორგი ბარამიძე, კახა ბუცხრიკიძე, როლანდ ახალაია და სხვები, რომელთა წინააღმდეგ პროკურატურაში არაერთი საჩივარია შეტანილი, საქმეებიც აღძრულია. მაგრამ ამ საქმეების გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას საშველი არ დაადგა.

ბიძინა ივანიშვილი ამ ორივე ეპისტოლეში გვპირდებოდა, როცა ხელისუფლებაში მოვალ, სამართლიან და დემოკრატიულ ქვეყანას ჩავუყრი საფუძველს და ხალხთან ერთად ეს პროცესი შეუქცევადი გახდებაო. დღეს უკვე სასაცილოა ეს ყველაფერი. ივანიშვილის დემოკრატია და სამართალი ის არის, რომ „შუშის სასახლიდან" მართოს სახელმწიფო, პასუხისმგებლობა არაფერზე აიღოს, რაც ქვეყანაში გაფუჭდება, ყველაფერი სხვას დააბრალოს და თავად მშრალად გამოვიდეს. ამ კაცმა ხალხს იმედები გაუცრუა, სამაგიეროდ, ვინც დაემონა, ვინც მისი უსიტყვოდ მორჩილი აღმოჩნდა, მათ აუსრულა ყველა ის ოცნება, რასაც ხალხს დაჰპირდა. ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი მოხვდა ხელისუფლების სათავეებთან, რომელთაც თითი არ გაუნძრევიათ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, 9 წელიწადი დამალულები იყვნენ და ბედისა და ივანიშვილის წყალობით მოხვდნენ პარლამენტში. იქნებ ვინმემ მითხრას, რა დამსახურების გამო გაადეპუტატა ივანიშვილმა ზვიად გვაჯანტირაძე, გია ვოლსკი, ერეკლე ტრიპოლსკი, ნანა ყეინიშვილი, თემურ ჩხაიძე?.. ვოლსკი უმრავლესობის ლიდერიც კი იყო და დღეს ეს პოსტი კვაჭანტირაძეს უჭირავს. ამ ხალხს არათუ სააკაშვილის რეჟიმის სუსხი არ უგრძვნია, მეტიც, ზოგიერთი მისი მმართველობისას თავს ჩინებულად გრძნობდა, მის გუნდშიც იყო, 9 წელი ხმა არ ამოუღია და როცა მიშას მმართველობას საბოლოოდ შეერყა ძირი, მხოლოდ მაშინღა გაოპოზიციონერდნენ. ახლა, მოდით, სხვებიც ვნახოთ. ირაკლი ღარიბაშვილი და მისი პატიმარი სიმამრი, სოსო ჯაჭვლიანი, ლუკა კურტანიძე, ეკა ბესელია, მანანა კობახიძე, გუბაზ სანიკიძე, ზაქრო ქუცნაშვილი, ზაზა პაპუაშვილი... ამ ხალხმა საკუთარ მხრებზე გადაიტანა სააკაშვილის რეჟიმის მთელი სისასტიკე, მისი მთელი ვარაგობა მათ და მათი ოჯახის წევრებმა სრულად იწვნიეს, კურტანიძე ციხეში იჯდა, ეკა ბესელიას შვილი და ძმა დაუჭირეს, სხვები რამდენჯერმე არიან ნაცემები სხვადასხვა საპროტესტო აქციებზე, ხვატსა და ყინვაში ქუჩაში იდგნენ და შიშველი ხელებით ებრძოდნენ და არ ეპუებოდნენ „ნაციონალურ" საშინელებას, ძირს უთხრიდნენ. აი, ამ ხალხმა დაიმსახურა ეს დეპუტატობა, მაგრამ ვინც მანამდე ჩამოვთვალე, ისინი გაშლილ სუფრაზე მოვიდნენ, სხვისი ნაბრძოლის შედეგს დაეპატრონნენ, ნადირი სხვამ მოკლა და მათ, უბრალოდ, ნადავლიდან სხვისი წილი უწილადეს, ამათაც უარი არ უთქვამთ და შეირგეს. მხოლოდ იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის რჩეულები იყვნენ. ამ რჩეულობის განმსაზღვრელი კი მხოლოდ ივანიშვილის ახლობლობა იყო და სხვა არაფერი. ამ პრინციპის გამო, ხელისუფლების მიღმა დარჩნენ ადამიანები, რომელნიც კინაღამ შეეწირნენ სააკაშვილის ბნედიანობას. დღესაც ყველას ზარავს სააკაშვილის იმ სიტყვების გახსენება, როცა მან საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც აქტიურ ოპოზიციაში ედგა, ჩარეცხილები უწოდა. ბიძინა ივანიშვილმა, მე თუ მკითხავთ, უარესი გააკეთა. სააკაშვილის საქციელს არანაირი გამართლება არ აქვს, მაგრამ მან ბოლოს და ბოლოდ, მისი პოლიტიკური მტრები ჩარეცხა და ავტოკრატები სწორედ ასე იქცევიან. აი, ვითომ დემოკრატმა ბიძინა ივანიშვილმა კი მისი მოკეთენი, თანამებრძოლები ჩარეცხა, ხელისუფლებაში მოვიდა თუ არა, ერთი ხელის მოსმით გასწია გვერდზე ის ხალხი, რომელმაც ტახტზე აიყვანა, მათგან უმცირესს მისცა შანსი, დანარჩენები კი ახლოსაც არ გაიკარა.

აი, ეს გახლავთ ბიძინა ივანიშვილის სამართალი და აღდგენილი სამართლიანობა.





**ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი მოხვდა ხელისუფლების სათავეებთან, რომელთაც თითი არ გაუნძრევიათ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, 9 წელიწადი დამალულები იყვნენ და ბედისა და ივანიშვილის წყალობით მოხვდნენ პარლამენტში. იქნებ ვინმემ მითხრას, რა დამსახურების გამო გაადეპუტატა ივანიშვილმა ზვიად გვაჭანტირაძე, გია ვოლსკი, ერეკლე ტრიპოლსკი, ნანა ყეინიშვილი, თემურ ჩხაიძე?..**

Facebook ამბები



ზაზა ფირალიშვილი:

ნამდვილად ვერ ვინატრებ მოჭიდავეების დასჯას, მაგრამ ცხადია, კანონის და ზნეობის წინაშე ტყუიან. თანაც ეჭვი მაქვს, ჯოხი მათზე გადატყდება და დაუსჯელი სწორედ ის დარჩება, ვინც ისინი გააქეზა და უსაფრთხოების გარანტია მისცა - მნიშვნელობა არა აქვს ქოცი იყო ის თუ ნაცი.

ძალზე ცუდი სიტუაცია შეიქმნა: ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ შსს-სთან მიმდინარე აქციამ შედეგს მიაღწია, რაც იგივე იქნება, რომ შურისძიების გრძნობამ სამართალს აჯობა. ვინმე იძლევა გარანტიას, რომ ოქტომბრის არჩევნებისათვის ყველა შეფერილობის ზონდერები ჩვეულებრივ ამბად არ იქცევა? ვერ მიაღწევს და მართლა გულწრფელად მეცოდებიან ეს გულუბრყვილო ბიჭები, ვიღაცამ რომ წააქეზა, მათ სამართლიანობის გრძნობაზე უკეთურად ითამაშა და გარანტიებიც მისცა. სულო ცოდვილო, მაგრამ მგონია, რომ დღეს, 2016 წელს შურისძიება ყველაზე ცუდი საარჩევნო არგუმენტია.

მიჭირს დავიჯერო, რომ "ოცნების" ყველა ლიდერმა, ვთქვათ, გიორგი კვირიკაშვილმა, ირაკლი სესიაშვილმა და რამდენიმე სხვამ იცოდნენ ზონდერების მომზადების შესახებ. ეს უფრო იმ ორი-სამი ლიდერის ინიციატივას ჰგავს, ვისაც არჩევნები მიანდეს და ნაცების მეთოდების გარდა, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა. მათგან სესხულობენ მეთოდებს, ხშირად პიროვნებებსაც - მარტო მურუსიძის გახსენება რად ღირს.

მეორეს მხრივ, ნაცებს ხმა არა აქვთ ამოსაღები. თუკი დღეს სამართლის დამკვიდრებას რაიმე უშლის ხელს, სწორედ მათი წარსული და ის ტკივილია, რომელიც მათგან ადამიანებს ახსოვთ. ოდესმე დაფიქრებულან, თუ რატომ გახდნენ ადამიანებისათვის ასეთი მიუღებლები?

ამბობენ, ქოცები პროვოკაციაზე წამოაგესო. დიდი ვერაფერი არგუმენტია. ხომ უნდა მოახერხო, ისე წამოეგო პროვოკაციას რომ შენივე ადამიანებითა და ფულით საკუთარ თავს ასეთი რამე გაუკეთო?! გაუგებარი საკადრო პოლიტიკაც პროვოკაციის შედეგია? ტრაქტორების ან კაბელების საქმეებიც? ცხადია, დღეს შეიძლება გაიმარჯვო და გაიხარო, მაგრამ ხომ უნდა დაფიქრდე, რა მოჰყვება ამას ქვეყნისთვისაც და შენთვისაც?

მოკლედ, არ გამიკვირდება, თუკი არჩევნებისათვის პასიური 60% იმრავლებს და 80%-ად იქცევა.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

ვლადიმერ ბედუკაძე (26 მაისი):

ვისგან ან რისგან ზეიმობთ"დამოუკიდებლობას" ნეტა?

დღეს რომ ამერიკის მონობაში ვართ, ისე არასდროს!

ვისაც უნდა და სადაც უნდა ისე გვინიშნავს, მის გარეშე უბრალო განცხადებასაც ვერ აკეთებს ვერავინ, თვალებში შესციცინებს მთელი ხელისუფლება!



ბოდიში და გავკარი ესეთ თავისუფლებას!

მალხაზ თოფურია:

სააკაშვილი მებრძოლების ფულს ჭამსო....აღმოაჩინეს უკრაინაში და თან სახელიც მოგვანიჭეს ყველა ქართველს "ხინკალი"(((

თქვე ღორის ქონზე გაზრდილებო, ქართველების მოჯმულს რომ მიარბენინებდით უკრაინას გააბრწყინებსო მე ვიყავი??? აქ მეომრების ფულს კი არა პირდაპირ მეომრებს ჭამდა ეგ დედამოტყნული!!



შალვა ოგბაიძე – ალბათ უგონებენ სააკაშვილს, მაგას როგორ იზამდა (მებრძოლების ფონდის ფულით გრიალი). მტრები ყავს აშკარად, მტრები.

ყოველკვირეული

ინტერვიუ

# „ოცნებას" რაა?!... იარაღის მოყვარულთა არცერთი ხმა!!!

**პრემიერ ღარიბაშვილის გაუაზრებელი, ყმაწვილკაცური მუშტების ბრახა-ბრუხით და აზრებ აბზეკილი ვაი მინისტრ წულუკიანის შობილი მავნებლური კანონის სავალალო შედეგები...**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**„იარაღის შესახებ" კანონში, იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებები პარლამენტმა მცირე შენიშვნებით მიიღო და საბოლოო ჯამში, ჩვენმა ხელისუფლებამ იარაღის მოყვარულთათვის ისეთი გაუაზრებელი და მავნებლური კანონი მოგვცა, უარესს, მგონი, ვერც ერთ სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ. ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვის წესები იმდენად გაართულა, რომ იარაღის მფლობელთა რიცხვმა კატასტროფულად იკლო. ამას დაემატა არამხოლოდ ცეცხლსასროლი, სხვა, დაბალი კატეგორიის სახეობის იარაღის ფლობისა და გამოყენების ნებართვისთვის აუცილებელი, სრულიად არაპრაქტიკული, მავნებლური გამოცდები და ამან კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია. შექმნა ვითარება, რომ ვინც გამოცდას ვერ ან არ ჩააბარებს, იარაღის ის მეპატრონეები კანონსმიღმა რჩებიან. სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ჩვენი ხელისუფლება კრიმინალებად აქცევს. აქვე დავსძენ, ეს დაუკანონებელი იარაღი არ გაქრება და ისევ ხელისუფლების მიზანმიმართული ქმედებით, დღემდე ლეგალური იარაღის დიდი ნაწილი არალეგალური გახდება. ეს კი სახელმწიფოსთვისაც პრობლემაა და იარაღის ფაქტობრივი მფლობელებისთვისაც.**

**ეს და სხვა კიდევ მრავალი პრობლემა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ექს-პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა შეუქმნეს ჩვენს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს. მათ ამ ქმედებას კი დანაშაულის გარდა, სხვას ვერაფერს დავარქმევ.**

**„იარაღის შესახებ" კანონს და მის თანამდევ გამოცდებს უამრავი ხარვეზი აქვს. მათ შესახებ „ალიას" არაერთხელ დაუწერია და ამ თემაზე წერას არც შევწყვეტთ, ვიდრე ამ ანტიხალხურ კანონში ცვლილებების შეტანას, არაერთი უაზრო აკრძალვის გაუქმებას არ მივაღწევთ. ამჯერად „ალიას" იარაღის მცოდნე, კანონში ღრმად ჩახედული და იარაღის ბიზნესის მცოდნე პიროვნება ესაუბრება. მისივე თხოვნით, მის ვინაობას არ ვამხელთ, რესპონდენტმა, გოგიმ, საფუძვლიანი მიზეზების გამო, ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა და მის ამ თხოვნას ვასრულებთ.**

**— რა შენიშვნები გაქვთ იარაღის დაკანონების ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით?**

— იქიდან დავიწყოთ, რომ, ვისაც იარაღის შეძენა-შენახვა უნდა, მათთვის შემოიღეს თეორიული გამოცდები. ამ გამოცდების ჩასაბარებლად აძლევენ 30 წუთს. ჩასაბარებელია 20 საკითხი, გამოდის, ერთი საკითხის ჩასაბარებლად გამოსაცდელ ადამიანს წუთ-ნახევარი აქვს. თითო კითხვას აქვს 3 პასუხი. წუთ-ნახევარი ძალიან ცოტაა ერთი კითხვისთვის პასუხის გასაცემად. 3 საკითხი ადამიანმა წუთ-ნახევარში როგორ უნდა გააანალიზოს? 2 საათი მაინც მიეცი. გარდა ამისა, არის ისეთი კითხვები, რომლის ცოდნაც, დავუშვათ, ერთი რიგითი მეცხვარის განათლების დონეს აღემატება. არის ასეთი კითხვა: თუ მონადირეს ნადირობისას დაუზიანდა თვალი, რა უნდა ვქნათ? სავარაუდო პასუხებია. ა) დაზიანებული თვალი უნდა შევუხვიოთ. ბ) ორივე თვალი უნდა შევუხვიოთ. გ) თავი უნდა გადავუხვიოთ. ამ კითხვის სწორი პასუხია „ბ" – ორივე თვალი უნდა შევუხვიოთ, რადგან დაზიანებულმა თვალმა არ უნდა დატვირთოს საღი თვალი. ეს მე ამ გამოცდებამდე ვიცოდი, მაგრამ საიდან უნდა იცოდეს მწყემსმა, რომელსაც ცხოვრებაში წიგნი არ სჭერია ხელში? საერთოდ, წერა-კითხვაც კი არ იცის? ასეთი ადამიანი ძალიან ბევრია ჩვენში, განსაკუთრებით მთაში. ბოლო ხანს ჩვენს მოსახლეობაში სწავლა-განათლების ხარისხი ძალიან დაეცა, მით უმეტეს, რაიონებში, ზოგმა კითხვაც არ იცის. იარაღი და შესაბამისად, მისი გაფორმება უფრო მეტად სჭირდებათ სწორედ რაიონებში, მთაში, ტყე- ღრეში მაცხოვრებლებს. ეს ხალხი ცხვარსა და საქონელს უვლის, ისინი მგლისგან უნდა დაიცვას, დროის დიდ ნაწილს ტყეში ატარებს, მგელი და სხვა ნადირი მათ საქონელს სახლშიც ეტანება და მათი ყოფა იარაღის გარეშე წარმოუდგენელია. პრაქტიკულად იარაღის ხმარება შესანიშნავად იციან, რადგან ბავშვობიდან აქვთ იარაღთან შეხება. მას საერთოდ არ სჭირდება ამ თეორიული გამოცდების ჩაბარება, უბრალოდ, უნდა ადგე და ეს იარაღი გაუფორმო, რომელიც მისთვის ოჯახის რჩენის ერთ-ერთი საშუალებაა. საერთოდ არ არის საჭირო ეს თეორიული გამოცდები. მე თუ მკითხავთ, საჭიროა ტექნიკური უსაფრთხოების ნორმატივების ჩაბარება. ნახეთ, რა ხდება. აბარებინებენ თეორიულ გამოცდას, მაგრამ მათმა ნაწილმა იარაღთან მოპყრობის ელემენტარული წესები არ იცის. ასეთ ხალხს აძლევენ იარაღის ტარების ნებართვას და ეს არის დიდი საფრთხე, რადგან, როცა იარაღთან მოპყრობა არ იცი, შეიძლება, გაგივარდეს, დიდი უბედურება დაატრიალო, ვინმე მოკლა ან თავი მოიკლა შემთხვევით. აი, ეს თეორიული

> **„პარლამენტარებს აქვთ იარაღის ტარების უფლება სიცოცხლის ბოლომდე და რიგით მოქალაქეებს — არა. არ შეიძლება საზოგადოების ასე პრივილეგირებულ ფენებად დაყოფა. ნახეთ, კიდევ რა დისკრიმინაციაა. 21 წლამდე ჯარმოვლილ ახალგაზრდას არ აძლევს სახელმწიფო ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისა და ხმარების უფლებას, მასზე რამდენიმე თვით უფროსს, დეპუტატ მარიამ საჯაიას კი ტარების უფლება მისცეს. საჯაიას, 21 წლისას, უგამოცდოდ აძლევ სიცოცხლის ბოლომდე ტარების უფლებას"**



ცოდნა, რომელიც აქვს ასეთ ადამიანს, ამ დროს არაფერში არგია. ამ დროს, რაღაც აბსურდული კითხვებისთვის პასუხის გაცემას ავალდებულებენ იმ ხალხს, რომელიც ლამის იარაღთან ერთად დაიბადა.

> **კარგი, ბატონო, დავუშვათ, ის მეჯოგე და მწყემსი განათლებულიც არის და წერა-კითხვაც იცის. საგამოცდო ბილეთები რომ შეისწავლოს, ისინი უნდა ნახოს ინტერნეტში. ახლა ვნახოთ. რამდენად შეძლებს ამას რომელიმე მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებელი. პირველ რიგში, ამ სოფელში უნდა იყოს ინტერნეტი. მეორე, ამ მწყემსს უნდა ჰქონდეს კომპიუტერი და მინიმუმ, ინტერნეტის პროგრამა უნდა იცოდეს. ხედავთ, რამხელა აბსურდულ აუცილებლობას ვაწყდებით ამ გამოცდების შემოღებით? სტატისტიკურად, საქართველოს მოსახლეობის ნახევარს ინტერნეტზე ხელი არ მოუწვდება, რეგიონებში კი — მოსახლეობის 65%-ს. ვინც ეს გამოცდები შემოიღო, იმას ეს არ უნდა გაეთვალისწინებინა? მერე, როგორ შეიძლება, მწყემსსა და მეჯოგეს რომ სთხოვ კომპიუტერის ქონას და ინტერნეტის ცოდნას? რატომ ავალდებულებ იმას, რაც არ სჭირდება და რასაც არც გააკეთებს?**

კარგი, იყიდა ეს კომპიუტერი, მაგრამ როდის უნდა ისწავლოს ინტერნეტი და სად უნდა ისწავლოს? წელიწადში 10 თვე მთაშია, 2 თვით ზაფხულში დაბრუნდა სახლში, მაგრამ იმ სოფელში ინტერნეტი არ არის. რა ქნას? აიღოს თავისი კომპიუტერი, ბარში ჩამოვიდეს და დავუშვათ, 70 წლის მეცხვარემ თუ მეჯოგემ კომპიუტერის კურსებზე იაროს, როცა ოჯახი, ცხვარ-ძროხა მოსავლელი ჰყავს? ეს კაცი 10 წლის იყო, ტყვიას ტყვიაში რომ აჯენდა და ახლა სთხოვ, გამოცდები ჩაგიბაროს და იარაღის ტარების ნებართვა მიიღოს? კი, ბატონო, ჩააბარებინე ტექნიკური უსაფრთხოების ნორმატივები და ხუთიანზე ჩააბარებს, მაგრამ ეს თეორიული ცოდნა მას არაფერს აძლევს, რაც იმ ბილეთებში წერია, მან ეს ყველაფერი პრაქტიკულად იცის, იმდენი უნადირია, იმდენჯერ გამოუყენებია ეს იარაღი სხვადასხვა ექსტრემალურ ვითარებაში. ასეთ ადამიანებს თავი უნდა დაანებონ, გაუფორმონ იარაღი და ნუ აწვალებენ ტყუილ-უბრალოდ.

> **ახლა შედეგამდე მივიდეთ. მთის მაცხოვრებლებიც და ბარის მოსახლეობის დიდი ნაწილიც, გამოცდებს ვერ ჩააბარებს და ვერ მიიღებს იარაღის შენახვა-გამოყენების ნებართვას. ძალიან ბევრი კი საერთოდ არ გადის ამ გამოცდებზე. თუმცა, ამ ხალხს იარაღი სახლში აქვს და ეს იარაღი არ გაქრება, მათი უმეტესობა იარაღს არ ჩააბარებს. ეს კი აქამდე არსებული ლეგალური იარაღის ნაწილს არალეგალურად აქცევს. ვინც ამ იარაღს არ ჩააბარებს, იმ ადამიანებს კი კანონსმიღმა ტოვებს, მათ კრიმინალებად აქცევს. შეიძლება უპატიოსნესი გლეხი, რომელსაც ცხოვრებაში არანაირი სახის კანონი არ დაურღვევია, პირიქით, კანონმორჩილების სიმბოლოა, სახელმწიფომ ამ თავისი უაზრო ახირებით, სიბერეში კრიმინალად აქციოს?**

და რის გამო? ოჯახის რჩენის ერთ-ერთ საშუალებას ნებით არ აბარებს სახელმწიფოს, გამოცდაზე კი იმიტომ არ გადის, რომ წერა-კითხვა არ იცის. 70 წლის მოხუცი დაჯდეს, წერა-კითხვა ისწავლოს თუ ოჯახს მიხედოს? კომპიუტერსა და ინტერნეტზე ვთქვი და აღარ ვამბობ. ეს არის დანაშაული სახელმწიფოს, დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან და პასუხი იმ გლეხმა კი არ უნდა აგოს აბსურდული კანონის შეუსრულებლობისთვის, ვინც ეს კანონი მიიღო და კანონქვემდებარე აქტები გამოსცა, ამ ხალხმა უნდა აგოს პასუხი.

აქვე ვიტყვი, რომ გამოცდის ჩაბარების გარეშე ვერ დაიკანონებთ გაზის პისტოლეტებს და მაშხალის გასაშვებ იარაღს.

> **ამ სრულიად უსარგებლო გამოცდების შემოღების შემდეგ, ცეცხლსასროლი და სხვა სახის იარაღის იმპორტმა 80%-ით იკლო. ამით ბიუჯეტს ხომ ფული დააკლდა და ამ ბიზნესით დაკავებულ ადამიანებსაც დიდი ფინანსური დარტყმა მიაყენა. როგორ, ისეთი კანონი მიიღე, რომლითაც შენც, სახელმწიფოც ზარალობ, კონკრეტულ ბიზნესსაც აზარალებ და ვერ უნდა მიხვდე, რომ ეს კანონი გააუქმო ან, მინიმუმ, გაამარტივო?**

ამას რა დიდი მიხვედრა უნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან, ან შეგნებულად არ ცვლიან არაფერს. აქ ერთ საკითხსაც შევეხები. დავუშვათ, სახლში მაქვს ერთი ცალი ინგლისური თოფი, რომელიც მეკვიდრეობით დამიტოვეს. ვარ მარტოხელა და ის თოფი ჩემზე იყო გაფორმებული. მინდა, ეს თოფი ხელახლა გავიფორმო. მივედი გამოცდაზე და ვერ ჩავაბარე, არ მყოფნის განათლების დონე და არც მისი ამაღლების პერსპექტივა მაქვს. თუმცა, ყველა სხვა ასპექტს, ფსიქოლოგიურს, სამედიცინოს... ვაკმაყოფილებ. ასეთ შემთხვევაში, კანონი მაიძულებს, ეს იარაღი, სანამ გამოცდას არ ჩავაბარებ, შსს-ში მივიტანო და იქ სპეციალურ საცავში შეინახავენ. იქნებ მთელი ცხოვრება ვერ ვაბარებ ამ გამოცდას და ჩემი ქონება რატომ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს? ეს არის ჩემი კონსტიტუციური უფლების დარღვევა, მე არ მაქვს უფლება, ჩემი ქონება სახლში შევინახო, რადგან სრულიად უაზრო კანონი მიზღუდავს ამას. ეს არის კერძო საკუთრების ხელყოფა სახელმწიფოს მიერ. ახლა, დავუშვათ, ამ ძვირად ღირებულ თოფს ახლა მჩუქნიან, მაგრამ ჩემი დაბალი ინტელექტუალური ცოდნის გამო, გამოცდას ვერ ვაბარებ. გამოდის, რომ მე ამ ძვირად ღირებულ საჩუქარს ვერ მივიღებ და ესეც ჩემი კონსტიტუციური უფლებების დარღვევაა. ახლა ვნახოთ, თუ იარაღი გამიფუჭდა, ხელოსანთან წავიღე, კანონი რა დღეში მაგდებს. ასეთ შემთხვევაში, უნდა მივიდე სანებართვო სამსახურში, დავწერო განცხადება და რამდენიმე საათით მეძლევა იარაღის გადატანის – ხელოსანთან მიტანის უფლება, თან ამ ცნობაში ფული უნდა გადავიხადო. თუ რაიონიდან ჩამომაქვს, მაშინ 24 საათია მაქსიმალური ვადა. რამდენიმე დღეს ვერ მოგცემენ იარაღის გადასატანად, გასაგებია, ეს უკვე ტარების უფლება გამოდის. მივიტანე იარაღი ხელოსანთან, ის მეუბნება, რომ იარაღს ისეთი დეტალი აქვს გაფუჭებული, რომ 3 დღე სჭირდება მის გამოჩარხვას, ან 1 კვირა უნდა, რომ გამოიწეროს ქარხნიდან. კანონი არ მაძლევს უფლებას, რომ იარაღი ხელოსანთან დავტოვო. მთიდან ჩამოსვლა, გზის ხარჯი, გადატანის ნებართვაში

გაგრძელება მეთვრამეტე გვ.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

**ნათია ფანჯიკიძე:**

ძალადობას იმიტომ კი არ ვაპროტესტებთ, რომ ზურა აბაშიძეს რომ თავის არეში ურტყით, ფაქტიურად სასიკვდილოდ გაიმეტეთ, ეს დაგვავიწყდა, ან სხვა შემზარავი რომელიმე ფაქტი გაქრა მეხსიერებიდან. თქვენნაირობა რომ გრძელდება, ეს არ მოგვწონს.

გაცნობიერების ისეთი პრობლემაა ქვეყანაში, ყველაფერი უნდა დაიმარცვლოს. საშინელებაა უტიფრობა, ბეჭებზე რომ არ ეცემიან ნაციონალები.

მე კი აშკარად შვებულება უნდა ავიღო, ტელეფონი და ინტერნეტი გავთიშო და ავტოთერაპიას შევუდგე. ზედმეტად დაიკავეს ჩემი ფიქრები სხვადასხვა პოლიტდემონებმა.



მეჩვიდმეტე გვერდიდან

გადახდილი თანხაც წყალში გადამეყარა. თუ იარაღი ხელოსანთან დავტოვე, შემიკეთა, მაგრამ იარაღის გადატანის კანონით დათქმულ ვადას გადავაცილე და იმ დროს წავიღე იარაღი სახლში, მაშინ თუ დამიჭერენ ჩემივე, გაფორმებული იარაღით, უკვე კრიმინალი ვარ. რა ვქნა ამ დროს, ხომ ვერ მეტყვით?

**— თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?**

– იარაღს რომ მივიტან ხელოსანთან, მან უნდა მომცეს ცნობა, რომ იარაღი ჩაიბარა, მერე ამ ცნობას პოლიციაში წაიღებს ხელოსანი და სანამ იარაღი არის ხელოსანთან, მასზე პასუხისმგებელი ის არის. თუ ჩემი იარაღით მოხდა დანაშაული იმ პერიოდში, როცა ის ჩემთან კი არა, ხელოსანთან არის, პასუხი ხელოსანმა უნდა აგოს. აი, ეს უნდა ჩაიწეროს კანონში და არსებული აბსურდული წესი იარაღის ხელოსანთან მიტანისა უნდა გაუქმდეს.

**— თქვენ წეღან ბრძანეთ, რომ შესაძლოა, პნევმატური, 4.5-მილიმეტრიანი იარაღიც აიკრძალოს.**

– კი, საფუძვლიანი ინფორმაცია მაქვს, რომ აპირებენ, 4.5 კალიბრის პნევმატური იარაღის მფლობელობის მსურველთათვის შემოიღონ გამოცდები და თუ გამოცდას ჩააბარებთ, მისი მფლობელობის უფლებას მხოლოდ მაშინ მოგცემენ. ე.წ. ტირის თოფზეა ლაპარაკი. ასეთ იარაღს მე ბავშვობიდან ვისროდი და არანაირი ნებართვა საჭირო არ იყო, მთელ ევროპაში, ამერიკაში ნებადართულია 4.5 კალიბრის პნევმატური იარაღი. შეხვალ მაღაზიაში, იყიდი და არანაირი გაფორმება არ არის საჭირო. ყველაფერი აქ უნდა მოიგონონ. ახლა ვნახოთ, პნევმატური იარაღის ფლობა-გამოყენებას თუ გამოცდები და ნებართვა დასჭირდა, სადამდე მიგვიყვანს ეს. ტირები დაიხურება. დავუშვათ, მე მაქვს ტირი, ყველა პნევმატური იარაღი გაფორმებული მაქვს. თქვენ შემოდიხართ ტირში და სროლა გინდათ. გაძლევთ იარაღს და ისვრით. ამ დროს შემოდის პოლიციელი და გთხოვთ საბუთს, რომელიც ამ იარაღის გამოყენების უფლებას გაძლევთ. თქვენ ეს საბუთი არ გაქვთ, რადგან არც გამოცდები ჩაგიბარებიათ და შესაბამისად, არც ნებართვა აგიღიათ, რომ პნევმატური იარაღის გამოყენების, სროლის უფლება გაქვთ. რა გამოდის? მეც, ტირის მფლობელი, და თქვენც, კანონდამრღვევები გამოვდივართ, ორივეს დაგვეკისრება შესაბამისი სანქციები. თქვენ, ფიზიკურ პირს, შედარებით ნაკლები, მე, იურიდიულ პირს, კი გაცილებით მეტი. შესაძლოა, იმხელა ჯარიმა ამკიდონ, ვერ გადავიხადო და გავკოტრდე, ან იმდენი, რომ, კი გადავიხდი, მაგრამ აღარ მეღირება ამ ბიზნესის გაგრძელება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ორივენი ციხეში გაგვიშვან, ჯერ ხომ არ ვიცით, ეს აკრძალვა რა სანქციით დაისჯება? ახლა მითხარით, ტირის მფლობელი, რომელიც ამ მდგომარეობაში ჩავარდება, ან, რაც გითხარით, ამას რომ გაიაზრებს, ის ტირს არ დახურავს? რა აზრი აქვს მის მუშაობას, თუ მხოლოდ ისეთ პიროვნებას ექნება ტირში სროლის უფლება, ვისაც საამისო ნებართვა აქვს და ისიც ჯიბეში უნდა ედოს.

**— მოკლედ, მე თუ თქვენს ტირში შემოვალ სასროლად, ჯერ საბუთი უნდა მომთხოვოთ, რომ დარწმუნდეთ, პნევმატური იარაღით სროლის უფლება მაქვს თუ არა და მერე მასროლინებთ?**

– კი, ასეა და თქვენნაირმა საბუთიანმა დღეში შესაძლოა, მხოლოდ ათიოდე კაცმა შემოიაროს. ასევე, თუ ესეც აკრძალეს, ბავშვებს ართმევენ პნევმატური იარაღის ფლობისა და სროლის საშუალებას, რადგან არასრულწლოვნები არიან და არასრულწლოვანს, ავტომატურად, არც გამოცდებს ჩააბარებინებენ და არც ნებართვას მისცემენ. ტირში სასროლად კი უმეტესად ბავშვები დადიან. იმის ნაცვლად, რომ ბავშვებს, ბიჭებს ადრეული ასაკიდან ვაჩვევდეთ იარაღს, რადგან მათი 90% სამხედრო სამსახურში უნდა წავიდეს, ჯარში უმეტესობას იარაღზე უკვე წარმოდგენა ექნება, პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც ექნებათ გამომუშავებული და ეს მათ გაუიოლებს სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის ათვისებას, ხელისუფლება ყველანაირად უზღუდავს მათ პნევმატურ იარაღთან წვდომას. ჯარის გარდა, ბევრი სამხედრო სამსახურს იხდის პროფესიად, სხვა პოლიციაში, საზღვრის დაცვის, სამთავრობო დაცვის სამსახურებში, გარემოს დაცვისა და საბაჟო პოლიციაში, სპეცსამსახურებში მიდის სამუშაოდ... ვიდრე სულ ნულიდან დააწყებინებ მათ იარაღის გამოყენების სწავლებას, უკეთესი არ არის, ბავშვობიდან მიაჩვიო ამას და გარკვეული პრაქტიკული ცოდნა ჰქონდეთ?

თუ პნევმატური იარაღის ფლობისა და ხმარებისთვის გამოცდებს შემოიღებენ, ეს იქნება მიზანმიმართული ნაბიჯი, რომ ქვეყანაში დაიხუროს ტირები და სანამ დახურება, ტირის მფლობელები და კლიენტები გამოიჭირონ უკანონო ქმედებებში, მინუმიმ, სოლიდური ჯარიმები გადაახდევინონ და ამით ბიუჯეტი შეავსონ. სხვა ახსნას ამ შესაძლო საფრთხეს, ამ მოსალოდნელ უგუნურებას ვერ ვუძებნი. მე იმის მეშინია, „ალიაში“ ამ ინტერვიუს გამოქვეყნებისთანავე არ დაიწყოს ტირების დახურვა.

**— ვის და რა ინტერესები აქვს, ამ სულელური აკრძალვის დაკანონებას რომ აპირებენ?**

– ვერ გეტყვით, ეს შესაძლოა, მერე გამოჩნდეს, როდესაც უკვე აკრძალავენ.

**— აკრძალვის მოტივაცია რა არის? რა არგუმენტები აქვთ ამის მომხრეებს?**

– სერიოზული არაფერი მსმენია, ის ვიცი, რომ ხშირად ამბობენ, ამგვარი იარაღით შესაძლოა, ადამიანს თვალი დაუზიანო ან, სულაც, გამოთხაროოო. ქუჩაში რომ გავიარო, შესაძლოა, მშენებარე კორპუსიდან აგური გადმოვარდეს და მომკლას. ამის გამო მაღალი კორპუსების მშენებლობა შეიძლება აიკრძალოს? მაშინ აგური ავკრძალოთ საერთოდ, სასიკვდილო იარაღია, შეიძლება ადამიანს თავში დაარტყა და მოკლა. ახლა კი ახალი არგუმენტი აქვთ: იყო შემთხვევები, პნევმატურ იარაღი ცეცხლსასროლად გადააკეთესო. მე მინახავს, ავტომობილის სიჩქარეების გადამრთველი კოლოფის სახელური ცეცხლსასროლ იარაღად გადაკეთებული, „ბარაბანს“ დაატრიალებ და ისვრის. გლიცერინით, აცეტონით, „მარგანცოვკით“, სხვა ნივთიერებებთან შერევით, ისეთ ბომბებს ამზადებენ, 10-სართულიან კორპუსს მიწასთან ასწორებს და ავკრძალოთ „მარგანცოვკისა“ და აცეტონის გაყიდვა?

**— ბოლო პერიოდში არაერთი მკვლელობა და ადამიანის დაჭრა დაფიქსირდა სამზარეულოს დანით. მაგ ლოგიკით, ისიც უნდა აიკრძალოს...**

– კი, თუ ხელისუფლების ლოგიკას მივყვებით, ესეც უნდა აიკრძალოს, ნაჯახიც, ბარიც, ცელიც, ორპირი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღიც, რომლითაც ადამიანის მოკვლა, ან მისთვის სხეულის დაზიანების მიყენებაა შესაძლებელი. თქვენს გაზეთში ბევრი დაწერილა ამის შესახებ, მაგრამ მეც მინდა ვთქვა. როგორ შეიძლება, 21 წლამდე ახალგაზრდას ცეცხლსასროლი იარაღის დაკანონება რომ აუკრძალეს? 21 წელს მიტანებული უკვე ჯარიდან ჩამოსული ვაჟკაცია, ზოგი სპეცრაზმში მსახურობს, იარაღის ყველა სახეობას ვირტუალურად ფლობს, ტანკს დააქროლებს ზოგი და სხვები თვითმფრინავიდან ბომბებს ყრიან, მორჩებიან ჯარს და ამ ხალხს ეუბნებიან, არა, პისტოლეტის ტარების ნებას არ მოგცემ, ჯერ პატარა ხარო. ეს არის უკიდურესი ცინიზმი ხელისუფლების მხრიდან და ამ ახალგაზრდების შეურაცხყოფა. როგორ, როცა შენ, სახელმწიფოს გჭირდება, 18 წლის ახალგაზრდას ტყვიამფრქვევს ანდობ და როცა მას, ამ ქვეყნის მოქალაქეს სჭირდება, უკვე 20 წელს გადაცილებულს, პისტოლეტის შეძენასაც უკრძალავ და სხვისი პისტოლეტის გამოყენებასაც?! ეს არის სახელმწიფოს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჩვენი ჯარგამოვლილი ახალგაზრდების, ამ ქვეყნის მოქალაქეების მიმართ.

იცით თქვენ, რომ საქართველოში ელემენტარული შურდული ვერ შემოაქვთ იარაღის იმპორტიორებს? თავის დროზე, ვანო მერაბიშვილმა, ერთ-ერთი გრძელვადიანი საპროტესტო გამოსვლების დაანონსების დროს, სიტყვიერი ბრძანება გასცა, რომ შურდულები არ შემოეტანათ იმპორტიორებს და რომელ მაღაზიებსაც ჰქონდათ, მათ არ გაეყიდათ. იმჟამინდელ ხელისუფლებას შეეშინდა, მომიტინგეები ამ შურდულებით არ შეიარაღებულიყვნენ და თუ აქციებს დაარბევდნენ, პოლიციასა და სპეცრაზმს არ დაპირისპირებოდნენ ამით. ვანო მერაბიშვილის სიტყვას ვერავინ გადავიდოდა მაშინ, ადგნენ ბიზნესმენები და შურდულების შემოტანაც შეაჩერეს და რაც იმ დროს შემოტანილი ჰქონდათ, ის დღემდე საწყობში აქვთ შენახული.

**— ამ დროს კანონი არც შემოტანას კრძალავდა და არც გაყიდვას.**

– არა, ეს სიტყვიერი ბრძანება იყო, კანონით შემოტანაც და გაყიდვაც ნებადართული იყო. ახლა ვეღარ რისკავენ შურდულების შემოტანას იმპორტიორები, აკრძალული არ არის, მაგრამ ეშინიათ, რაღაც სხვა მიზეზით, საბაჟოზე არ გაუჩერონ საქონელი, ამით ბევრს იზარალებენ და არ რისკავენ. იცით, კიდევ რა არის აკრძალული? სამოქალაქო ჯავშანჟილეტი. კი, ბატონო, სამხედრო ჯავშანჟილეტის აკრძალვა აუცილებელია, მაგრამ რატომ არ მაძლევ სამოქალაქოს შეძენისა და ტარების უფლებას? იარაღის ტარების ნებართვას არ მაძლევ, მაგრამ მისგან დასაცავ საშუალებას რატომ მართმევ? იქნებ საფრთხე მემუქრება და მინდა, თავდაცვის მიზნით ვატარო, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიის ძალა შეაკავოს? არ არის ეს ადამიანის უფლებების დარღვევა და მეტიც, მისი სასიკვდილოდ გამეტება? მეტი რა არის?! სხვათა შორის, სამოქალაქო ჯავშანჟილეტების შემოტანაც წინა ხელისუფლების დროს აიკრძალა, თავდაცვის სამინისტროს ნებართვაა საჭირო, რომ შემოიტანო და ეჭვი მაქვს, ეს იმიტომ გააკეთეს, ხალხს არ შეეძინა და საპროტესტო აქციებზე ისე არ მისულიყო. მერე, აქციის დაშლისას რეზინის ტყვია თუ მოხვდებოდა ჯავშანჟილეტს, ის ადამიანს ვერაფერს დააკლებდა. ამავე მოტივით აკრძალეს აირწინაღების შემოტანა. აირწინაღები თუ უკეთია ხალხს, იქ უკვე მხუთავი და ცრემლის მომგვრელი გაზის გაშვებას აზრი ეკარგება. არასამხედრო დანიშნულების მშვილდ-ისრის შემოტანაც კი აკრძალეს და ეს აკრძალვაც დარჩა.



„თუ ხელისუფლების ლოგიკას მივყვებით, უნდა აიკრძალოს აგურიც, ნაჯახიც, ბარიც, ცელიც, ორპირი და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც, რომლითაც ადამიანის მოკვლა ან მისთვის სხეულის დაზიანების მიყენებაა შესაძლებელი“

ინტერვიუ

**— გასაგებია, რომ წინა ხელისუფლება თავდაცვის ყველა საშუალებას ართმევდა ხალხს, მერე ამ დაუცველ ხალხს რამდენჯერმე ბარბაროსულად გადაუარა. ახლანდელი ხელისუფლება რატომ არ უბრუნებს მათ თავდაცვის ამ საშუალებებს და რატომ არის ისევ ჯავშანჟილეტების, მშვილდ-ისრებისა და აირწინაღების შემოტანა აკრძალული?**

– არ ვიცი, შესაძლოა, ამ ხელისუფლებასაც ეშინია საპროტესტო აქციებისა და თავს იზღვევს, სხვა ახსნას ვერ ვუძებნი იმას, რომ ეს აკრძალვები ისევ ძალაშია.

**— როგორც ვიცი, თქვენ იარაღის დაკანონების კატეგორიული მომხრე ბრძანდებით.**

– იქიდან დავიწყოთ, რომ პარლამენტარებს აქვთ იარაღის ტარების უფლება სიცოცხლის ბოლომდე და რიგით მოქალაქეებს – არა. არ შეიძლება საზოგადოების ასე პრივილეგირებულ ფენებად დაყოფა. ნახეთ, კიდევ რა დისკრიმინაციაა. 21 წლამდე ჯარმოვლილ ახალგაზრდას არ აძლევს სახელმწიფო ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისა და ხმარების უფლებას, მასზე რამდენიმე თვით უფროსს, დეპუტატ მარიამ საჯაიას კი ტარების უფლება მისცეს. საჯაიას, 21 წლისას, უგამოცდოდ აძლევ სიცოცხლის ბოლომდე ტარების უფლებას და მე, 50 წლის კაცს, რომელიც მთელი ცხოვრება ვნადირობ და იარაღი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რაღაც სულელურ გამოცდებს მაბარებინებ? თუ მიკანონებ გამოცდას, მოდი და ჩემთან ერთად ჩააბარე ეს გამოცდა. დარწმუნებული ვარ, არც საჯაიამ და დეპუტატების უმრავლესობამ, თოფის დაშლა-აწყობა არ იცის. ბარემ სიცოცხლის უფლება წამართვი! მე ვთვლი, რომ ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იარაღის ტარების უფლება, ეს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოხდება და რაც მალე გააკეთებენ ამას და ხალხს თავდაცვის ამ ერთადერთ საშუალებას დაუკანონებენ, მით უკეთესი.

**აი, ასეთი უაზრო აკრძალვები შემოიღო ჩვენმა ხელისუფლებამ და გაურთულა ყოფა იარაღის ფაქტობრივ მფლობელებსა და მისი შეძენის მსურველებს. ხელისუფლებამ რამდენადაც შეეძლო, იმდენად გააუარესა „იარაღის შესახებ“ კანონი. „ალია“ ხელისუფლებას სთავაზობდა, თუ იარაღის ტარების ნებას არ მისცემდა მოქალაქეებს, მისი ერთი ნაწილისთვის დაეკანონებინა ის და ამით ბიუჯეტშიც შევიდოდა ფული — მოქალაქეთა ნაწილი სიამოვნებით გადაიხდის გარკვეულ თანხას (დავუშვათ, წელიწადში 1000-დან 5000 ლარამდე, ეს მთავრობამ უნდა განსაზღვროს) იარაღის ტარების ნებართვის ლიცენზიაში. ცხადია, ეს მოქალაქენი უნდა აკმაყოფილებდნენ ყველა იმ მოთხოვნას, რასაც იარაღის ტარების ლიცენზიანტებს დაუწესებს სახელმწიფო. ამით, მოქალაქეებიც კმაყოფილნი დარჩებოდნენ და სახელმწიფოც, ბიუჯეტში სოლიდური თანხა შევიდოდა. თუმცა, ამ ორმხრივად მომგებიან ჩვენს წინადადებაზე სახელისუფლებო წრეებში დუმან.**

**„ალია“ ამ თემას კიდევ დაუბრუნდება.**

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook



ხათუნა ხოფერია:

პაატა აბულაძე, 26 მაისის მსხვერპლი როცა ნაცკრიმინალები გიპირისპირდებიან ადამიანს, რომელიც 26 მაისს სასიკვდილოდ გცემეს და ამისი ფოტომტკიცებულება არსებობს და იგი ცოცხალი მოწმეა მათი დანაშაულის.... როცა გიპირისპირდება და გლანძღავს საქვეყნოდ ცნობილი აფერისტი, კობა კობახიძე, იცოდე რომ ძლიერი ხარ და შენი ეშინიათ!!!!! ვინც არ ყოფილა 26 მაისის სისხლიანი კალოს მსხვერპლი, შეიძლება გაუჭირდეს შენი ემოციების გაგება, მაგრამ იცოდე, რომ მარტო არ ხარ!!!!

# „როგორ არის საქმე — ლორთქიფანიძის პიჯაკი უფრო ძვირი ღირს თუ მელიას ჯანმრთელობა“?

**მე, დეპუტატობის გარდა, ვერაფერი ვისწავლე ცხოვრებაშიო, ისევ უნდა ვცადოო, ალბათ, ახლაც გამიმართლებსო...**

ლევან ლომიძე

არის, ასრულდა ოცნება! ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა – შენებას! როგორია საქართველო 2016 წელს და როგორი წარმოგვიდგენია მომავალში? ჩვენ შევქმენით დროის კაფსულა, სადაც საზეიმო ვითარებაში ჩაიდო მონაცემები დღევანდელი მიღწევების შესახებ და ის 2041 წლის 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 50 წლისთავზე გაიხსნება. არა აქვს მნიშვნელობა, იმ დროს საქართველოში ვირი იქნება თუ ვირის პატრონი, მაინც უნდა გაიხსნას. აქ ერთი მაგარი სიმბოლური დამთხვევაა, დამოუკიდებლობის აღდგენის 50 წელი სრულდება 2041 წელს, ანუ ისევ 41. პრემიერ-მინისტრმა და, კვლავ ფორმაში იყო:

„თუკი უმრავლესობის დეპუტატის პიჯაკის შეურაცხყოფა ისჯება თავისუფლების აღკვეთით. მე მაქვს კითხვა: 20 კაცის მიერ პარლამენტის წევრების, ოპოზიციური პარტიის ლიდერების ფეხქვეშ გაგდება, ცემა-ტყეპა მთელი მსოფლიოს დასანახად, ისჯება თუ არა? როგორ არის საქმე – ლორთქიფანიძის პიჯაკი უფრო ძვირი ღირს თუ მელიას ჯანმრთელობა“?

როგორც ჩანს, ლევან ბერძენიშვილისთვისაც 2012 წლამდე ყველაფერი წაშლილია. ამას კულტურულ ენაზე ამნეზია ჰქვია, ხოლო კახურად – გამოყ...ევება! კი, მაგრამ ამ ყველაფერს როდის ჩაეყარა საფუძველი? როდის და 1991 წლის 21 დეკემბრის ღამეს, როცა „მხატვარმა“ თენგიზ კიტოვანმა ქაშუეთიდან ჟანგიანი ზარბაზანი გაეგენი ოპოზიციონერები არიან, თითი არ დააკაროთო. მეტიც, ლორთქიფანიძის პიჯაკი უფრო ძვირად ფასობს თუ მელიას ჯანმრთელობაო? რაც ახლა ხდება, ეს თქვენი და თქვენი ბელადის, ბიძინა ივანიშვილის ბრალია, ბატონო ლევან, თქვენ ხართ ხელისუფლებაში, თქვენი გასასწორებელი იყო მაი ამბავი, მაგრამ არ გაასწორეთ.

ბიძინა ივანიშვილმა ერთ თავის ძმაკაცზე თქვა, დაბერდა და აღარ იცის, რას ლაპარაკობსო, ანუ ატრაკებსო. მერე ეს კაცი შეხვდა ივანიშვილს და უთხრა, კი არ დავბერდი, უბრალოდ, ჩემი იდეები მაწუხებსო, თუ გინდა, საერთოდ წავალ კოალიციიდანო, უხერხულში რომ არ ჩაგაგდოო... წავალ, კედელზე სტალინის სურათს დავიკიდებ და ჩემსას შევუბერავო. იმან უპასუხა, შენს გადაწყვეტილებას





**„ოცნებავ“ და ბიძინა ივანიშვილო, ასი ათასობით სურვილი რომ დაგვაწერინე და სპეციალურ ტომრებში ჩაგვაყრევინე, სად წაიღე, გლდანის ნაგავსაყრელზე? თუ ეგეც 2041 წელს უნდა გახსნა?**

**ყოველთვის მჯეროდა, რომ ნუგზარ წიკლაური სწორ გზას დაადგებოდა**

გიორგი კვირიკაშვილმა მყარ დისკზე ჩაწერილი ყველა გზავნილი (ფოტო, ვიდეო, წერილები) კაფსულაში მოათავსა და იმედი გამოთქვა, რომ 25 წლის შემდეგ, მომავალი თაობები გახსნიან მას და ნახავენ, რა სურვილები ამოძრავებდათ ახალგაზრდებს 2016 წლის საქართველოში. რატომ მხოლოდ ახალგაზრდებს? ძველგაზრდებს სურვილები არ გააჩნიათ? ან კონკრეტულად რა გზავნილები ჩაიდო კაფსულაში, რატომ არ გაგვაგებინეს? ისე, თქვენი არ ვიცი და... მე ვფიქრობ, 25 წლის შემდეგ საქართველოში მაგისი გამხსნელი ქართველი აღარ იქნება. სხვათა შორის, ამ ამბავმა 2012 წელი გამახსენა: „ოცნებავ“ და ბიძინა ივანიშვილოო, ასი ათასობით სურვილი რომ დაგვაწერინე და სპეციალურ ტომრებში ჩაგვაყრევინე, სად წაიღე, გლდანის ნაგავსაყრელზე თუ ეგეც 2041 წელს უნდა გახსნა?

...ლევან ბერძენიშვილი ძალიან მაგრად გვამარაგებს გამონათქვამებით და გასულ კვირაშიც არაუშავმოაგორა და პარლამენტის შენობას, ანუ პირველ პრეზიდენტს და მთელ საქართველოს ესროლა! სად იდგნენ მაშინ ძმები ბერძენიშვილები? რა თქმა უნდა, ჟანგიანი ზარბაზნის უკან და კიტოვანს ტყვიებს აწვდიდნენ. ახლა ბუნებრივად იბადება კითხვა: ედუარდ შევარდნაძის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება უფრო ძვირი ღირდა თუ საქართველოს მომავალი? როგორც ჩანს, ყოფილი მოღალატე არ არსებობს, მოღალატეობა სისხლშია – ჩვენ, ქართველმა ხალხმა, ბერძენიშვილებს მხარი დავუჭირეთ ბიძინა ივანიშვილის ხათრით იმის გამო, რომ უნდა აღედგინათ სამართლიანობა და დაესაჯათ დამნაშავე „ნაციონალები“. ესენი რომ არავის დამსჯელები არ იყვნენ და ისევ ღალატის გზას დაადგებოდნენ, ვიცოდით, მაგრამ ერთი ხანობა ვიფიქრეთ, ამას ივანიშვილის მიერ მიცემული მილიონების ხათრით მაინც გააკეთებდნენ. არა, ფული შეჭამეს და ისევ ღალატის გზას დაადგნენ, ანუ ახლა გვიმტკიცებენ, პატივს ვცემო. ტაქტიკა ასეთია: თუ ბიძინა ივანიშვილი გეტყვის, შენს გადაწყვეტილებას პატივს ვცემო, ესე იგი, უნდა წახვიდე, მაგრამ გოგი თოფაძემ შეუბერა თავისებურად და თქვა მორიგი „არაკი“:

„ერთი კაცი მოკვდა, კი, ქართველია, ძალიან საწყენია, მაგრამ ამ დონეზე ატანა, აყვანა არ მგონია დღეს საჭირო იყოს. ეს მოხდება ხოლმე, შეიძლება შეტაკება თუ მოხდა, მანდ რაღაც, მგონი, კომერციული ინტერესები იყო, ასე უბრალოდ არ ყოფილა. მე მიმაჩნია, ასეთი ლანძღვა-გინება რუსეთის, რასაც ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და პარტია აკეთებს, გამიზნულად აღიზიანებენ, არ არის სწორი“.

გოგია პაპავ, ხომ გაგაფრთხილე, ან პოლიტიკიდან წადი, ან კიდევ მრჩეველი აიყვანე-მეთქი? არც წახვედი, არც მრჩეველი აიყვანე, რას ჰგავს ახლა ეს?! კარგი, რაკი ასე წუწურაქობ და ფულის დახარჯვა არ გინდა, მაშინ უფასო რჩევას მოგცემ, ოღონდ ნისიაზე, ვალი გექნება ერთი „იაშიკი“ წყალწყალა „პივა“. პირველი – ერთი კაცი მოკვდება თუ ათი, ამას რაოდენობრივად კი აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ის ერთიც დიდი ტრაგედიაა საქართველოსთვის; მეორე – სანამ რამეს იტყვი, კარგად გაიაზრე ხოლმე, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ნათქვამს და არეულ წინადადებებს... რომ ამბობ, რაღაც კომერციული ინტერესები იყოო, რა მნიშვნელობა აქვს, ის ჩათლახი სეპარატისტი ხომ მაინც დამნაშავეა და პასუხი უნდა აგოს? მესამე – რაც შეეხება რუსეთის გინებას, როცა ასეთი რაღაცა ხდება, კრემლი და პუტინი უნდა მოვიხსენიოთ, აბა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ხომ არ დავუწყებთ გინებას? მეოთხე – ხანდახან ხვდები, რომ რაღაცას სწორად ამბობ, მაგრამ არ გამოდის, რაღაც ვერ ლაგდება და ბოლოს ხალხის რისხვას იმსახურებ. მოკლედ, ახლა ის დროა, პოლიტიკიდან წასვლა რომ სჯობს არწასვლასა. არადა, ამას წინათ მითხრეს, 2016 წლის არჩევნებში კიდევ აპირებს კენჭისყრასო. შენ ერთი ყოფილი პარლამენტარივით მოგდის, 2012-ში რომ შემხვდა და ვკითხე: არა მგონია, ამ ჯერზე გახვიდე, სიტუაცია შეიცვალა, რას აპირებ-მეთქი? რა ვქნაო, დაიწყო ტირილი, დეპუტატობის გარდა, ვერაფერი ვისწავლე ცხოვრებაშიო, ისევ უნდა ვცადოო, ალბათ, ახლაც გამიმართლებსო. არ გაუმართლა, წავიდა სახლში და როგორც გავიგე, სხვა ხელობასა სწავლობს. არადა, შენ ხომ გაქვს მეორე ხელობა? ჩამაასხი, დაასხი, დალიე, შეეშვი ამ დეპუტატობას, ქუთაისში სიარული მაინც არ გეზარება? ისე, ორი თუ სამი თვის წინ იძახდი, უნდა წავიდე და ადგილი ჩემს დისშვილს დავუთმოო, ოღონდ მაშინ, როცა გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ კანონპროექტს მივაღებინებ პარლამენტსო.

ღმერთო ჩემო, საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ნუგზარ წიკლაური ითხოვს იმას, რასაც ჩვენ ვითხოვდით 4 წლის განმავლობაში – მანამდე არ სურს პარლამენტში მონაწილეობის მიღება, სანამ ქვეყანაში სამართლიანობა არ აღდგება. აი, მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ნუგზარი სწორ გზას დაადგებოდა და ერთხელაც იფეთქებდა:

„მე არ მსურს ამ პარლამენტში მონაწილეობა მანამ, სანამ არ აღდგება სამართლიანობა. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას, რათა საქართველოში სამართლიანობა აღდგეს“!

არა, კი მჯეროდა, მაგრამ მაინც გაოგნებული ვარ და ერთი სამდურავიც უნდა ვუთხრა ბატონ წიკლაურს: მაინცდამაინც ბოკერია და მელია უნდა ეცემათ, რომ სამართლიანობის აღდგენა მოგეთხოვათ? იმედია, 7 ნოემბრისა და 26 მაისის მომწყობების დასჯასაც ითხოვთ... ასევე, ალბათ, უნდა დაისაჯონ ტრაკში ცოცხის გამკეთებლები, ქონების წამრთმევები, გამაუპატიურებლები და ასე შემდეგ, ხომ? აი, ასეთი, სწორედ ასეთი, მწამს პატრიოტი.

## მისაჯირისნები

## Facebook ამბები



ნათია ფანჯიკიძე რამაზ ნოზაძის განცხადების (ვემიჯნებით იმ სპორტსმენებს, ვინც ხალხს სცემს და შეურაცხყოფს!) საპასუხოდ წერს:

კარგია ეს განცხადება, რადგან სპორტსმენი ყველას შვილისთვის თანაბრად საამაყო და მისაბაძი უნდა იყოს და ისევე არ უნდა მონაწილეობდნენ ადამიანების პოლიტიკურად გადარჩევაში, მითუმეტეს დასჯაში, როგორც ექიმს არა აქვს უფლება, პოლიტიკური სიმპატიის მიხედვით აირჩიოს პაციენტი. მთავრობებმა ვერ შეიგნეს ეს მხოლოდ, რომ არა მათ მიერ არჩეული "იდეალური მორჩილების", არამედ ყველას მთავრობა უნდა იყვნენ. მხოლოდ მანამდე აქვს ვინმეს ვინმეს ლანძღვის უფლება, სანამ "სალანძღავების" ბედიც მათი პასუხისმგებლობის ქვეშ არაა. კარგია, თუ თვითონ სპორტსმენები იტყვიან სახელმწიფო ცირკში მონაწილეობაზე უარს, უკვე ტრადიციულ ნომრად რომ იქცა პერიოდულად არენაზე კუნთიანების შემოვარდნა და ხან ვისი და ხან ვისი გაძუყვნა, სულერთია ვის ცემას ავალებენ. გუშინ ჩვენ გვირტყამდნენ, დღეს ნაცებს... ასე შეიძლება სპორტსმენის იდეალური სახის დაკნინება? ხალხის მცემელებად აღზრდა. ჩვენნაირი უცნაური ქვეყანა მეორე თუ არის სადმე. პატარა ბიჭებს რომ ღონიერი ბიჭები ჩაყავდათ ეზოში ვინმეს გასალახად, ამ დონის აზროვნება აქვთ ხელისუფლების წევრებს.

ასეთი სულიერი ატმოსფერო თუ გაგრძელდა, მალე, როდესაც შვილს ეტყვით, "კარგიანი" და ამავე დროს წარმატებული უნდა გაიზარდო, მაგალითი აღარ დარჩება ქვეყანაში, ვისკენაც ცალი ხელის გაშვერა მაინც შეიძლება.

ერთი წუთი წარმოიდგინეთ, იაპონიის მთავრობამ კარატისტები რომ დაასიოს ვინმეს, რა სასაცილო იქნებოდა. ოღონდ იაპონია იაპონია არ იქნებოდა მაშინ. არ მიღირს ბოკერიაზე "ხალხურად" ჯავრის ყრა მომავალი თაობისთვის იდეალების და ორიენტირების კარგვის ფასად.

## Facebook ამბები

შალვა რამიშვილი:

ვინმე ქოცი ცდილობთ იმის გაანლიზებას ან ჩაანალიზებას რატომ წააგეთ ნაცებთან ზუგდიდი და ოზურგეთი? თუ ისევ "პოლისჯოხსაცგავამარჯვებინებთ" მდგომარეობაში ხართ? თქვენ რას ფიქრობთ მეგობრებო? (უმორჩილესად გთხოვთ შეძლებისდაგვარად არაემოციური არგუმენტები მოიყვანოთ)

გიორგი გოგიბერიძე: ნასაკირალში დაუშვეს ერთი თითქოსდა უწყინარი შეცდომა იმ სოფელში სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, ქალ კანდიდატს შანსი არ ქონდა



» მოთმინების ფიალა აივსო!..

# ძირს „ნაცები“!!! ძირს ქოცები!!!

## მოთმინების ფიალა აივსო!..

**ხალხს ვერ გაურკვევია, ხელისუფლება ვისი ერთგულია — იმ „ერთი კაცისა“ თუ ქვეყნისა?!. იმ „ერთმა კაცმა“ კი ერი და ბერი მოგვატყუა და გვიღალატა...**

ნანა სულავა
599 07-01-89



როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანას ექსტრემალურ ვითარებაში ცხოვრება „მისჯილი“ აქვს. ხალხს ვერ გაურკვევია, ხელისუფლება ვისი ერთგულია – იმ „ერთი კაცისა“ თუ ქვეყნისა?!. იმ „ერთმა კაცმა“ კი ერი და ბერი მოგვატყუა და გვიღალატა... პირველად მაშინ გვიღალატა, როცა ბრალდებული ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი ქვეყნიდან გააპარა და შემდეგ გამოაცხადა მასზე ძებნა, მეორედ მაშინ, როცა სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება შეგნებულად ჩიხში შეიყვანა, მესამედ, როცა ახალმა მთავრობამ უღირსი და უვიცი ხალხის დანიშვნა დაიწყო თანამდებობებზე. ეს შეგნებულად ხდებოდა. მეოთხედ, როცა „ოცნებაში“ „ნაცები“ მოიყვანეს და თანაც „ნაცებს“ შორის ყველაზე უარესი „ნაცები“ და ვინც ღირსეული და ქვეყნის ერთგული იყო, „ოცნებამ“ არ მიიღო. რაიონებშიც „ნამოქალაქარი“ „ნაციონალების“ კადრები დაინიშნენ, ამის კლასიკური მაგალითია არჩევნებში კორცხელსა და ნასაკირალში „ნაციონალების“ მიერ საკრებულო დეპუტატის მანდატების ოკუპაცია. ვინაა პასუხისმგებელი?!. ჩვენ ყველამ ერთად ახლახან კორცხელში ვნახეთ „ნაცებისა“ და „ქოცების“ სულიერი პარტახი. შუბლის ძარღვგაწყვეტილი ბოკერიები და მელიები სამართალს ეძებენ, გვცემეს და ვინც გვცემა, ისინი დასაჯეთო. ძალადობის მომხრე ვინ ჭკუათმყოფელი უნდა იყოს, მაგრამ ქართველი ხალხი „ნაცებისგან“ ისეა გამწარებული, და არანაკლებ „ქოცებზეც“, ალბათ, სულ მალე ხელკეტებითა და ჯოხებით გაუსწორდებიან ამათ, იმიტომ, რომ ხალხის მოთმინების ფიალა აივსო!.. გულდამშვიდებით როგორ უნდა გვეყურებინა პარლამენტში უმცირესობის საპროტესტო სვლისთვის, სამი-ოთხი ადამიანის ცემისთვის რომ დატოვეს საკანონმდებლო ორგანო, ბარბაროსული მეთოდებით ციხეებში უსამართლოდ ჩაყრილი 300 ათასი ადამიანის გამო რატომ არ დატოვეს იმავე „ნაცებმა“ პარლამენტი?!.

ტირან სააკაშვილთან ერთად, ბოკერიას იდეოლოგიის ანტიქართული პოლიტიკის სისასტიკით ხდებოდა ციხესა თუ ციხის გარეთ უმოწყალოდ ადამიანების სასიკვდილო ცემა-ტყეპა. კორცხელში „ნაცებმა“ თუ „ქოცებმა“ რომელმა უფრო მეტი უთაქა ერთმანეთს, ეს ხალხს საერთოდ არ აინტერესებს, ამას გამოძიება დაადგენს, მაგრამ კომიკურია ის, რომ ნიკა მელია მართალი კაცივით უტიფრად გამოდის და დამნაშავეების დასჯას ითხოვს. მინდა, მელიას შევახსენო თბილისის მერის არჩევნებამდე „ალიაში“ გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ლექტორის ინტერვიუ მის ზონდერობასა და „კაიკაცობაზე“... კორცხელში მომხდარ ცემა-ტყეპაზე რომ ერთი ამბავი ატეხა, ამაზე რატომ დადუმდა?!.

სულ ახლახან ერთი ქალბატონი შემხვდა და როცა შეიტყო, „ალიას“ ჟურნალისტი ვიყავი, მთხოვა მისი საუბარი ჩამეწერა, ჩემი შვილი უკანონოდ იხდის სასჯელს მკვლელობის მუხლით, მის მიმართ ცრუ ჩვენება ნიკა მელიამ მისცა პროკურატურას, მკვლელი კი სხვა არისო... ის ქალი მელიას გოგიბერაშვილის საქმეში სდებს ბრალს.

დროის ათვლა კარგა ხანია დაიწყო... ბატონო გიგა და ბატონო ნიკა, ერთი-ორი გითაქეს სახეში და რამხელა ამბავი ატეხეთ, მე კი, ამ წერილის ავტორი, თქვენი რეჟიმისგან უკანონოდ დასჯილი ჟურნალისტი, წლებია სამართალს ვეძებ. თქვენს საქმეში მტკიცებულება არ არის და თქვენი დაპატიმრება უკანონო იყოო, მითხრა მთავარი პროკურატურის გამომძიებელმა ჯემალ ლომსაძემ, ამის შესახებ „ალიაში“ გამოქვეყნდა, მაგრამ თქვენი რეჟიმის ქილერი პროკურორი, ჩემი საქმის ბრალმდებელი ნუგზარ სალია ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილედ დანიშნა თქვენმა მფარველმა „ოცნებამ“.

ნუგზარ სალიას მეორე მსხვერპლი, ბიზნესმენი ეთერ კვირიაშვილი სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში გასულ კვირას გარდაიცვალა.

ახლა გეკითხებით „ნაცებსაც“ და „ქოცებსაც“, ვინ აგებს პასუხს ეთერ კვირიაშვილის სიკვდილზე?!. მისი ერთადერთი ვაჟი, დიაბეტით დაავადებული, „ნაცებმა“ მაშინ დაიჭირეს, როცა მომაკვდავი ეთერ კვირიაშვილი „მატროსოვის“ ციხიდან სტრასბურგის ჩარევით გაათავისუფლეს. მკითხველს მოვახსენებ, რომ ეთერ კვირიაშვილის ბიზნესის ხელში ჩაგდება კეზერაშვილს მოუნდა და პროკურორი ნუგზარ სალია მიუგზავნა, დათმე ქონება, თორემ ციხიდან ცოცხალი ვერ გამოხვალო. კვირიაშვილმა ქონება არ დათმო და სალიამ ციხეში 14 წლით გაამწესა. დაპატიმრების პირველ დღეს ღამის 4 საათზე კვირიაშვილი საკნიდან გაიყვანეს და „მატროსოვის“ ციხის უფროსის მედიკო ალანიას კაბინეტში მობილურზე ახალაიას დაალაპარაკეს, – ბაჩო ვარ, ბაჩოო!.. ახალაიამ უთხრა, დღესვე დატოვებ ციხეს, თუკი 24 საათში ბიზნესს დათმობო. კვირიაშვილს უპასუხია, – ასეთი თავისუფლება არ მინდაო. იქვე მდგომ პოლკოვნიკ პაატა ქუთათელაძეს კვირიაშვილისთვის უთქვამს, ციხეში ყოფნას ჯოჯოხეთად გიქცევო. ეს შემზარავი ფაქტი „ალიაში“ კვირიაშვილის სიცოცხლეშივე გამოვაქვეყნე... იგი ვერ გატეხეს და ვერც ჭკუიდან შეშალეს, მაგრამ ნერვიულობისგან ციხეში ღვიძლი დაეშალა და მომაკვდავმა დატოვა „მატროსოვი“. ციხიდან გამოსულს ბიზნესი მიწასთან გასწორებული დახვდა, საბანკო ანგარიშები – გაყინული, მილიონობით ქონება დაყადაღებული, საცხოვრებელი სახლი ბანკს მიუსაკუთრებია, 55 წლის ქალბატონი „ნაცებმა“ და „ქოცებმა“ სიკვდილის პირამდე მიიყვანეს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, მისი მტანჯველი პროკურორი კი მსუყე ადგილას ქვემო ქართლს აფარებს თავს.

ახალაიას პირადი პატიმარი იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი სვეტლანა მაისურაძეც სალიამ გაუშვა 26 წლით მატროსოვის ციხეში, მის სახლში დღესაც ვანო მერაბიშვილის ნათესავი, გიორგი მერაბიშვილი ცხოვრობს. „ნაცებმა“ მას გადაულოცეს. ორიოდე თვის უკან გიორგი მერაბიშვილი მიუვარდა სვეტლანა მაისურაძის დედას სახლში და დაემუქრა, თქვენი შვილი ნუ დადის ჟურნალისტებთან და საჩივრებს ნუ წერსო და მოხუცი ქალი აგინა. 74 წლის ქალბატონმა ნერვიულობისგან ინსულტი მიიღო და სულ მალე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ბოკერიებო და მელიებო, რა ჰქვია თქვენს დაჯგუფებას, ამის შესატყვისი სახელი, ალბათ, ლექსიკონშიც არ მოიძებნება. ორიოდე დღის წინ ჩემმა უფროსმა კოლეგამ დამირეკა და მითხრა, – ნანა, შვილო, ჩემს შვილს კახა ელბაქიძეს, სამი შვილის მამას, „ნაციონალებმა“ დაპატიმრებისას ყბა დაულეწეს, ესეც არ აკმარეს და კუდუსუნის ძვალიც ცემისგან ჩაუმტვრიესო, მერე ვაჭრობა დაუწყეს და ასტროლოგიური თანხა დაუსახელეს, თუკი ამ თანხას მოიტან, გაგათავისუფლებთ, თუ არადა, აქ ჩალპები მრავალი წლითო... რა თქმა უნდა, დასახელებული თანხა ნათესავებში ვერ შეაგროვეს და 17 წლით შეთითხნილი ბრალდებით დღემდე ციხეში იმყოფებაო...

რომელი ერთი ჩამოვთვალო, თქვენი ნაცემი და ციხეში შეყრილი ადამიანების სიას ეს გაზეთი ვერ დაიტევს, აგეთ პასუხი კანონის წინაშე, მორალის წინაშე და საზოგადოების წინაშე. გაიძახით, დავბრუნდებითო... სად დაბრუნდებით, ვისზე ძალადობითა და მოტყუებით?! თქვენი რევანში არ იქნება, ამაში ვერც თქვენი, „ნაცების“ მარიფათი და ვერც „ქოცების“ უნიათობა ვერ გიშველით!.. ხალხი არ ტყუვდება...









**ამ ბედკრულ ქვეყანაში ასეთი უამრავი ისტორიააა... ხელისუფლება ამ ხალხს არც უსმენს და მათი ბედი არ ანაღვლებს... ამიტომ „ალია“ იწყებს რუბრიკას „მოთმინების ფიალა აივსო“. დაგვირეკეთ და თქვენს ტრაგიკულ ისტორიებს ქვეყანას გავაგებინებთ. 599070189 — ნანა სულავა.**

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

**მერაბ მეტრეველი:**

**გინდა ამომრჩეველს პოზიტიური დღისწესრიგი შესთავაზო, მომავალზე ილაპარაკო, გეგმებზე, მაგრამ სად? ქოცები და ნაცები ხოცავენ ერთმანეთს და მთელი მედია სივრცე ამით აქვთ აღებული.**



• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები •

facebook



დოდონა კიზირია (26 მაისი):

დღეს დავინახე რუსთაველის გამზირზე პლაკატი სიტყვებით - „ქართველები საქართველოსთვის", ეს კი იგივეა რაც, "საქართველო ქართველებისათვის." ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ქვეყანაში ასეთ ფაშისტურ ლოზუნგს დავინახავდი! ვერ დავიჯერებ, რომ ეს არ არის ისევ და ისევ რუსეთის ავანტიურა, რათა ამ ბნელ და დამანგრეველ მოწოდებებს ავყვეთ და თანაც სწორედ არჩევნების წინ.

ფორმულირება - "ქართველები საქართველოსთვის" მხოლოდ თვალის ასახვევად არის გაკეთებული. მაგრამ მოაზროვნე ადამიანი ისედაც მიხვდება. განა ეს თავისთავად ცხადი არ არის, რომ ქართველს საქართველო უნდა ედარდებოდეს? ამისთვის ლოზუნგები და ნიღბები კი არ არის საჭირო, არამედ ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედება.

პირველი მანიშნებელი იმისა, რომ ეს ვერაგული და ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აქციაა, პირზე ნიღაბაფარებულების გამოჩენა იყო. თუ ადამიანს სჯერა, რომ ის რაღაც კარგსა და პატრიოტულს აკეთებს, რაში სჭირდება მას ნიღბით სახის მალვა?! მაგრამ მათ ძალიან კარგად იციან, რომ მტრებს ემსახურებიან და ეშინიათ. მოღალატე ყოველთვის მშიშარაა. 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის იყო რუსეთუმე ირაკლი ჭყოიძე და მისთანები.

რამდენი შესანიშნავი, საქართველოს პატრიოტი და ერთგული მეგობრები მყავს - სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები, ბერძნები, ოსები, აფხაზები, რუსებიც კი. ის გონებაგახსნილი ნამდვილი პატრიოტი რუსები, რომლებიც ჩვენზე უფრო გმობენ პუტინის დღევანდელ რუსეთს, რადგან ეს მათი სამშობლოა და გული შესტკივათ მისთვის. როგორ შევხედო მე მათ დღეს თვალებში?! რა განმარტება ვუპოვო იმ სამარცხვინო ბრბოს, რომელმაც დღეს რუსთაველის პროსპექტი და თვითონ რუსთაველის სახლიც შებილწა?!

ჩვენ წამდაუწუმ ვახსენებთ დავით აღმაშენებელს, როგორც ჩვენი ფასეულობების, ჩვენი ისტორიის ერთერთ უბრწყინვალეს პიროვნებას. და დღეს, ამ პიროვნების ქვეყანაში ასეთი ლოზუნგი არის გამოფენილი?! არაფერია ცრუ პატრიოტიზმზე უფრო ყალბი, დამანგრეველი, მავნე და ბოროტი. ასეთი განწყობა დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს?

ეს ლოზუნგი აწყობს რუსეთს, ვინაიდან ასეთ განწობას უსათუოდ მოყვება ნაცისტური განწყობა, ერთა შორის სიძულვილი, ხოცვა-ჟლეტვა. რუსეთმა მოახერხა ის რომ სომხები და აზერბაიჯანელები ვერაფრით ვერ მორიგებულან და რუსეთის იარაღითვე ჟლეტენ ერთმანეთს. ჩვენ კი უარესი ბედი გველის, თუ ამ სამარცხვინო ფაშისტურ ანკესს წამოვეგებით. იმედი მაქვს, არავინაა ჩემს მეგობრებს შორის ისეთი, ვინც ამ ამაზრზენ აქციას მხარს უჭერს.

## facebook



**ვასილ მაღლაფერიძე**

როცა ძალადობაზე ვსაუბრობთ, ნაციონალები რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას გვპირდებიან, ეს ხომ ნიშნავს გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას, ანუ იმას, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს სულის ამოხდით ემუქრებიან?! ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ სინდისი დაუშლით და არ იზამენ?! ან იქნებ იმ ფარისეველი პოლიტ და მედიაექსპერტების მოერიდებათ, კოფებრეიკებზე ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს რომ იძახიან და ერთ ადგილს ათამაშებენ. თუ ევროპის სახალხო პარტია შეაჩერებთ?! აბა ერთი ახსნას ვინმემ, რა გარანტია არსებობს, რომ იმავეს არ გაიმეორებენ უფრო მეტი სისასტიკით, რა იძლევა ასეთი ვარაუდის საბაბს?! მხოლოდ ის რომ მოსახლეობამ უნდა აირჩიოს?! ეგრე ნაცისტებიც არჩევნებით მოვიდნენ.

## facebook



**გიორგი ფოფხაძე:**

იცით რატომ ვერ შეიშნო სპარტაკმა თავისუფლება და რატომ დამარცხდა? .. მონა იყო და თავისუფლების და დამუკიდებლობის არსი არ იცოდა.. ეს რატომ გამახსენდა ეხლა? ალბათ იმიტომ რომ, ქართველობამ ჯერ კიდევ ვერ მოვიშორეთ ვიღაცის ვასალობის, ქვეშევრდომობის სინდრომი და 360 გრადუსით თვალების ცეცება "უფროსი და მძლავრი მფარველი მეგობრის" საძიებლად. "პატრონს" ვეძებთ და შინაგანი თავისუფლების უმცირეს ნაპერწკალსაც ვაქრობთ ამ მონური ფსიქოლოგიით.. ძალიან მინდა პატრიციები ვიყოთ და არა პლებეები, "ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" და როგორც მოსემ შვა უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალის შემდეგ თავისუფალი სული ისრალელებში ჩვენც ასევე გვეპოვნოს ჩვენში დამოუკიდებლობის და თავისუფალლების რწმენა...

## facebook

**ლაშა ჩხარტიშვილი:**



ზოგ-ზოგიერთი ახლადგამოჩეკილი, გაურკვეველი წარმომავლობის პარტიების დაფინანსებული აქტივისტი, მე რო დაგიმიწყებს ლაპარაკს, ბრძოლაზე :) რა უნდა უქნას ახლა ეგეთს ადამიანმა ?! :) ანუ ზოგიერთი ოპოზიციაში ყოფნის დროსვე უნდა მიაყუჩო, სანამ მთავრობაში მოსულან და მთლად თავზე გასულა ! : ) :) :)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ზაზა კოლელიშვილი „ოცნების“ შეცდომებზე ალაპარაკდა

**„ადამიანებში ვხედავ გულგატეხილობას, ძალიან ბევრი, ვის ზურგზეც გადაიარა სააკაშვილის რეჟიმმა, გაწბილებული დარჩა“**

**მსახიობი და „ოცნების“ დეპუტატი საკრებულოში ზაზა კოლელიშვილი „ალიასთან“ საუბარში „ქართული ოცნების“ შეცდომებს აღიარებს:**

– მე ადამიანებში ვხედავ გულგატეხილობას, ბევრი ადამიანი, ვის ზურგზეც გადაიარა სააკაშვილის რეჟიმმა, გაწბილებული დარჩა. ეს არის ძირითადი პრობლემა. კაცი, რომელიც მართლა ოცნებობდა, კი, კმაყოფილია, რომ აღარ ახრჩობენ, აღარ ავიწროებენ, მაგრამ მას გაუუარესდა სოციალური ფონი, დაუმძიმდა. რასაკვირველია, ვინც დროშა აფრიალა 2012-ში, ყველას სახელმწიფო სამსახურში ვერ დაასაქმებენ, მაგრამ ადამიანმა, რომელმაც გამოცდები ჩააბარა ორჯერ, კონკურსი გაიარა და კიდევ უმუშევარია, იმას რა ვუთხრა, ჩემთან რომ მოდის? ერთი მოვიდა ახლაც, წითელ დიპლომზე აქვს დამთავრებული, ყველაფერი ჩააბარა და გასაუბრებაზე უთხრეს, ძალიან ახალგაზრდა ხარო. 23 წლისაა. თუ ძალიან ახალგაზრდაა, მაშინ რატომღა აბარებინებ? თუ ძალიან ბებერია, მაშინ რატომღა მიგყავს და ატყუებ? მე ისიც არ მომწონს, რომ ზღვარმა დაიწია, დღეს საშუალო განათლება უკვე საკმარისია მერიაში მუშაობის დასაწყებად. რატომ, ძმაო, ეს დედაქალაქის მთავრობაა, სახელმწიფო სახელმწიფოში, ვინც იქ მუშაობს, განათლებით უნდა გამოირჩეოდეს. აგერ არის მეორე, კარგი ბიჭი, ჩააბარა, მერე ორჯერ დაიბარეს და უთხრეს: აუ, შენ კაი კაცი ხარ, ცოდო ხარ ამ ადგილისთვისო. კაცო, გაიარა კონკურსი ამ ადამიანმა, რა შენი საქმეა, ცოდოა თუ არა, იქნებ ბედნიერია? არ ვიცი, მერე ვინ მიჰყავთ, ვის ასაქმებენ, ფაქტი ერთია, ვინც კონკურსებზე გადის, ყველა დაუსაქმებელი რჩება. კადრები არიან, სპეციალისტები არიან, მაგრამ ისინი ვერ აღწევენ სამუშაო ადგილებამდე. სოციალური ფონი დამძიმებულია.

— **ზაზა, სოციალური ფონი დამძიმდა, ქუჩაში მანქანების რაოდენობა მატულობს, რესტორნებში ადგილი არ არის, გაჭირვებულების რიცხვი გაიზარდა... რა ხდება, ვინც ფულს შოულობდა, ისევ ის შოულობს?**

– ამას წინათ მათხოვართან გავჩერდი, ფული მივეცი და უცებ „სამსუნგის“ ისეთი ტელეფონი ამოიღო, მე რომ არ მეღირსება არასოდეს. ასეთი რამე მხოლოდ საქართველოში ხდება, მაგრამ სინამდვილეს თვალს ვერ ავარიდებთ, ვიღაცას ულხინს, ვიღაცა მანქანას ყიდულობს, ვიღაცა რესტორანში ზის, მაგრამ ბევრს ძალიან უჭირს. ჩემთან მოდიან ადამიანები, რომლებსაც შვილების, დების, ძმების, მშობლების ავადმყოფობის გამო ბინები აქვთ ბანკებში ჩადებული და მერე დაკარგული. ახლა საყოველთაო ჯანდაცვა ხალხს შველის, მაგრამ მანამდე ვინც მთელი ქონება დაკარგა, იმათ რამე ხომ უნდა ვუშველოთ?

— **შენთან მოვიდა გაჭირვებულ-გაუბედურებული ადამიანი, რა ბერკეტი გაქვს, რით შველი?**

– ვეხმარები, ვურეკავ, მივყვები გამგეობაში, მერიაში. აგერ, მიდის ხალხი, ოპერაციები კეთდება გერმანიაში, ისრაელში. აქ ძირითადად ჯანმრთელობის პრობლემებია. ვინ არის ამათი იმედი? ძალიან ბევრია თბილისში ჩამოსული და სახელმწიფო შენობებში შეჭრილი, ზოგს იმდენი აქვს დაკავებული, აქირავებს. არ არსებობს აღრიცხვა, ვინ საიდან ჩამოვიდა, თან სოციალურად დაუცველის სტატუსს გთხოვს, უნდა დაეხმარო, ადამიანია, ვერ გაწირავ. მოკლედ, აქ დიდი აჯაფსანდალია. უფრო მეტი სტიმულირება უნდა იყოს კერძო სექტორში, სხვანაირად ხალხს ვერ დავასაქმებთ.

— **კი, „ქართული ოცნება“ არ წავიდა ამ გზით, ვინც ფულს შოულობდა, ისევ ის შოულობს და ვისაც აწყობილი ბიზნესი ჰქონდა, ისევ ისინი ბაირამობენ.**

– სანამ მაგაზე გიპასუხებ, უნდა ვთქვა ამ სოციალურ შეფასებებზეც. მე ყოველთვის ვამბობ, როდესაც სოციალური აგენტი ოჯახში შედის, მაცივარს კი არ უნდა შეხედოს, გამოაღოს და მაცივარში შეიხედოს. ზოგს მეზობელი ეხმარება, ზოგს – ნათესავი, შენ რა გინდა? ერთ ქალბატონთან მივიდნენ და ეუბნებიან, სახლში პარკეტი გაქვს, დახმარებას ვერ მოგცემთო. თან ეს პარკეტი დაგებულია კომუნისტების დროს. ვერ გავიგე, სახლში აუცილებლად ნაგავი უნდა ეყაროს და ვირთხები დადიოდნენ? თბილისში არის ზიგზაგის ქუჩა, ახლა დაიჯერებ, რომ გითხრა, იქ ზოგიერთ სახლში დენი არ არის? დღეს შეიძლება, თბილისში იყოს ოჯახები შუქის გარეშე? არც წინა ხელისუფლების დროს იყო აქ დენი, გაზი და კანალიზაცია. ახლა დაიწყო გაყვანა. ეს 25 წელიწადში დაგროვილი პრობლემებია, აქამდე არავის არ აინტერესებდა. ვერ გავიგე, თუ არაფერი გაინტერესებს, ვინ ხარ, რისთვის ხარ?! მაგალითად, ვნახავთ რამე ისეთ თავისუფალ ადგილს, რომელიც მიტოვებულია და რაღაცის გაკეთება შეიძლება, დავიწყებთ ფიქრს და ეგრევე გამოჩნდებიან პატრონები. რომ გგონია, არავისია, ამ დროს გაყიდულია და სანაგვედაა ქცეული. რაც შეეხება მავანთა ისევ გამდიდრებას, ეგრეა, ფულს ფული მოაქვს... იშოვონ პატიოსანი გზით, პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ცოტა ტვინი გავიცხელოთ და ამ ჩვენ მოხუცებს, გაჭირვებულებს შეღავათები გავუწიოთ თუნდაც აფთიაქებში. ისევ კერძო სექტორის გაძლიერებაა გამოსავალი, ახალ ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ.

— **პოპულარობა გშველის საქმის კეთებაში?**

– მაგ „ბერკეტს“ ვიყენებ, ჩემი ფაქტორი კარგად მუშაობს. მოკლედ, ერთი პოპულარობა და საკუთარი ჯიბე გამაჩნია, საიდანაც ვახერხებ ხოლმე დახმარების გაცემას. სისტემაც შესაცვლელია, ამ ხალხის პრობლემები ჩემზე უკეთესად არავინ იცის და ეს გამგეობამაც უნდა გაითვალისწინოს. ჩემზე ნუ იქნება ყველაფერი, ჩემი ოფისი 24 საათი ღიაა, მოდიან და მიყვებიან. მუნიციპალიტეტი მუშაობს, საყვედურს არ ვამბობ, მაგრამ, წესით, მეც იქ უნდა ვიჯდე, ოფისის ქირაში ფულს არ უნდა ვხარჯავდე.

— **მაჟორიტარი დეპუტატი რას შვრება, გეხმარებათ რამით?**

– ჩვენი მაჟორიტარი თამარ კორძაიაა, უნდა გაგახარო... 4 ათასი კაცი ჰყავს ჩაწერილი რიგში და მიღებას ვერ ახერხებს. მე რომ მირეკავენ ხოლმე, მეკითხებიან, თქვენთან რიგში უნდა ჩავეწეროთო? ვეუბნები, მოდით, ხალხო, რა რიგი, შემოაჭერით პირდაპირ-მეთქი. კორძაიას ნახვას ბევრი ვერ ეღირსება, მოვიდა არჩევნები.

— **ახლა თემა ცოტა შევცვალოთ და დიდ პოლიტიკაზე ვილაპარაკოთ.**

– ეგ თემა „ადნაზნაჩნად“ მძულს.

— **არადა, პოლიტიკაში ხარ.**

– ვარ, მაგრამ ვცდილობ, დიდ პოლიტიკასთან ურთიერთობაში არ შევიდე, არ ვეკონტაქტები. მე კონკრეტული საქმე ჩამაბარა ხალხმა და ამ საქმით ვარ დაკავებული...





**„მე ისიც არ მომწონს, რომ ზღვარმა დაიწია, დღეს საშუალო განათლება უკვე საკმარისია მერიაში მუშაობის დასაწყებად. რატომ, ძმაო, ეს დედაქალაქის მთავრობაა, სახელმწიფო სახელმწიფოში, ვინც იქ მუშაობს, განათლებით უნდა გამოირჩეოდეს“**

**„თბილისში არის ზიგზაგის ქუჩა, ახლა დაიჯერებ, რომ გითხრა, იქ ზოგიერთ სახლში დენი არ არის? დღეს შეიძლება, თბილისში იყოს ოჯახები შუქის გარეშე?“**

## facebook

**არჩილ გამზარდია:**

ჩვენს საზოგადოებას ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამოეპარა ამ უმძიმესი მკვლელობის, ოთხოზორიას მოკვლის ფაქტზე, როდესაც ვიძახით, ჩვენს ტერიტორიაზე მოკლესო... ბოდიში, მეგობრებო, მაგრამ აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი ტერიტორია აღარ გვგონია? მგონი, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ ხოლმე მსგავს გამონათქვამებში.



ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# არაპროფესიონალ მძღოლებს „ტაქსაობა“ აეკრძალებათ

**რა მდგომარეობაა საქართველოში მძღოლთა შრომითი უფლებების დაცვის კუთხით? რა ჩაითვლება მათი უფლებების დარღვევად და როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში?**

**„ალიას“ „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე, ДАВИТ МЕСХИШВИЛИ ესაუბრა:**

– ბოლო პერიოდში საქართველო, განსაკუთრებით რეგიონები, მძღოლების გაფიცვებმა და აქციებმა მოიცვა. ჩვენ გვაქვს იმის ფიქრის საფუძველი, რომ მძღოლების უფლებები ირღვევა. ჩვენ ვსწავლობთ როგორც ტაქსის, ასევე ავტობუსის, მიკროავტობუსის მძღოლების, მეტროს მემანქანეების შრომით უფლებებს.

**— ამ მომენტისთვის რაიმე მონაცემები თუ გაქვთ, რა ხდება ამ კუთხით?**

– დიახ, გვაქვს. სერიოზული პრობლემა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, რომ ტაქსის მძღოლების ძირითადი ნაწილი არის თვითდასაქმებული, მაგრამ საუბედუროდ, სახელმწიფოს მათთვის არაფერი გაუკეთებია, გვერდით არ დადგომია, ამიტომ ამ ადამიანების დიდი ნაწილი არ თვლის თავს დასაქმებულად. როგორც იცით, მერია აპირებს რეგულაციების შემოღებას ტაქსებთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მათი ზუსტი რაოდენობაც კი არ ვიცით, ეს რეგულაციები ვის და როგორ უნდა შეეხოს. როდესაც ჩვენ დავიწყეთ კვლევის ჩატარება, აღმოჩნდა, რომ ტაქსის მძღოლებს სხვადასხვა მიდგომა აქვთ. მაგალითად, არიან ბრენდი კომპანიები, რომლებსაც თბილისის მერიის დაგეგმილი რეგულაციები უნდათ, თვითდასაქმებულ ტაქსის მძღოლებს დიდად არ სურთ ამ რეგულაციების განხორციელება, თუმცა ყველა აღნიშნავს, რომ ამ სფეროში გარკვეული რეგულაციები მაინც არის საჭირო, რადგან დღეს ჩვენ როგორი ტაქსებითაც ვმგზავრობთ, არ არის მოსაწონი.

**— რა მოიკვლიეთ, სად ირღვევა მათი უფლებები?**

– ჩვენ აქვე შეგვიძლია, მიკროავტობუსის მძღოლებიც მოვიყვანოთ. მათი უფლებები რამდენიმე მიმართულებით ირღვევა: პირველი ის, რომ შესაძლოა, ეს პიროვნებები მუშაობდნენ კომპანიის ავტომობილებზე და ეს ავტომობილები იყოს ტექნიკურად გაუმართავი. მაგალითად, ყვითელი მიკროავტობუსების შემთხვევაში გაცილებით რთული სიტუაციაა, რადგან მათ მოსთხოვეს ყოველთვიური შესატანი თანხა, რაც შეიძლება გაიზარდოს ხოლმე და პირველი დარღვევა უკვე აქ არის. ერთ მშვენიერ დღეს, არამარტო ყვითელი „მარშრუტკების“, არამედ ნებისმიერი კომპანიის მეპატრონემ შეიძლება გააძვიროს მიკროავტობუსით მგზავრობა. იმის გამო, რომ ასეთ გადასახადს ახდევინებენ, მძღოლები იძულებულები ხდებიან, ყველაფერი დაარღვიონ, არ იცის, რა ღონეს მიმართოს, რათა რამენაირად შეძლოს ფინანსური ეკონომიის პოვნა და რას აკეთებს: 1. კუსტარულად გადაჰყავს გაზზე ტრანსპორტი, ან სხვა რაღაცას გადააკეთებს მანქანაში, რაც მგზავრობისას გარკვეულ რისკებს ქმნის; 2. ზრდის მგზავრობის ღირებულებას; 3. მიკროავტობუსში ადამიანებს ფეხზე აყენებს, რაც ძალიან საშიშია და ჩვენ არაერთი საქალაქთაშორისო ავტოსაგზაო შემთხვევი გვქონდა, რომლებიც ადამიანების გარდაცვალებით დამთავრდა. ზოგადად, ისიც არ არის დადგენილი, რამდენი პროფესიონალი მძღოლი არსებობს ქვეყანაში და ვინ თვლის თავს პროფესიონალ მძღოლად. კიდევ ერთი: დღეს ბაზარზე ძალიან აქტიურად შემოდიან თურქული კომპანიები, მე მომხრე ვარ, რომ კონკურენცია იყოს, მაგრამ მძღოლების ერთ-ერთი გაფიცვა სწორედ ამაზე იყო, რომ ეს კომპანიები ქართველ მძღოლებს სამსახურს ართმევენ და მათი უფლებების დამცველი არავინაა, რადგან მეორე მხარეს სერიოზული ინვესტიციებია. ამასთანავე, აქ ჩვენ ვაწყდებით პრობლემებს, რომ მძღოლებმა არ იციან, ვისთან რა ხელშეკრულება აქვთ დადებული, რადგან არ აქვთ შესაბამისი იურიდიული განათლება, რაც მათ არც მოეთხოვებათ. ამიტომ ვიღებთ ძალიან დიდ აურზაურს ამ სფეროში, სადაც მძღოლთა შრომითი უფლებები არ არის დაცული. ისევ თბილისის მერიის ტაქსებზე დაგეგმილ რეგულაციებზე მინდა ვთქვა, რომელშიც ტაქსის მძღოლები უნდა მოექცნენ: ეს იმას ნიშნავს, რომ თვითდასაქმებული ადამიანები უნდა გადაიქცნენ პროფესიონალ მძღოლებად, რაც არცთუ ისე უმტკივნეულო პროცესი იქნება, რადგან შეიძლება ვილაცამ ის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილოს, რა მოთხოვნებიც მათ წინაშე დადგება. ამ საკითხზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ბევრი რამე დაკონკრეტდება

**— მგზავრის მხრიდან რომ შევხედოთ, ეს ხომ მისთვის კარგია? ზუსტად ეცოდინება, როგორ მძღოლს მიჰყავს ის დანიშნულების ადგილამდე...**

– მგზავრისთვის კარგია, რომ იცოდეს, დავუშვათ, აქვს თუ არა მძღოლს ნარკოლოგიურის, ჯანმრთელობის ცნობა და რომ ყოველმხრივ შემოწმებულია, მაგრამ მეორე მხრივ, საკითხი ასე დგას: რამდენად სწორედ მიიღებენ ისინი ამ დოკუმენტაციას? ხშირად ასეთ ცნობებს, უბრალოდ, ყიდულობენ და ამაზე ჩვენ წინა ინტერვიუში ვისაუბრეთ. ვფიქრობთ, ამ მტკივნეულ პროცესში ძალიან სერიოზული მონიტორინგი იქნება საჭირო. კიდევ ერთი: ჩვენი და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ერთობლივი მუშაობის შედეგად, პირველად ამ სფეროში დაიდება პროფესიონალურ დონეზე გაკეთებული ანალიზი და რეკომენდაციები გადაეგზავნება სახელმწიფოსაც, კერძო კომპანიებსაც და ჩვენ ვფიქრობთ შემდგომ მემორანდუმის შემუშავებას, სადაც ყველა მხარე შეთანხმდება გარკვეულ თანამშრომლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე ვხედავ საშიშროებას, მძღოლების გაფიცვებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, უფრო სისტემატური და აგრესიული ხასიათი მიიღოს, რაც არ მგონია, ნორმალურ სიტუაციაში ხელისუფლებას აწყობდეს. ამიტომ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, გარკვეულ თანამშრომლობაზე წამოვიდეს, რადგან მას შეუძლია, ეს ყველაფერი სწორად დაარეგულიროს.

**— რა უნდა ქნას მძღოლმა, როცა მისი შრომითი უფლებები ირღვევა? როგორ უნდა დაიცვას თავი?**

– ასეთი დარღვევების დროს, ბუნებრივია, გამოსავალია სასამართლო, მაგრამ ვხვდებით ისეთ რეალობაში, რომ კომპანიის ხელმძღვანელები მათ უწევენ სრულ ექსპლუატაციას. ჩვენთან პირად საუბარში მძღოლები ამბობენ, რომ მათ გარკვეულწილად აქვთ შიშიც, რომ სასამართლოსთვის მიმართვის გამო სამსახური არ დაატოვებინონ. ჩვენ ვცდილობთ, მძღოლთა პროფკავშირებთან ერთად უფრო აქტიური გავხდეთ, რადგან ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ჩვენ უფრო დავიცვათ მათი უფლებები, ვიდრე მათ თავად მოახერხონ ეს. აქ გამოსავალია, ერთი მხრივ, ამ კუთხით მძღოლთა ცნობიერების გაზრდა, მეორე მხრივ, შიშის ფაქტორის მოხსნა და მესამეს მხრივ, როდესაც ჩვენ მემორანდუმზე შევთანხმდებით, კომპანიის ხელმძღვანელებიც და სახელმწიფოს წარმომადგენლებიც, ვფიქრობ, გარკვეულ კონსენსუსამდე მივალთ.

**— იმ შემთხვევაში, თუ მძღოლმა მიმართა სასამართლოს, განაცხადა, რომ მისი შრომითი უფლებები ირღვევა და სასამართლომ ეს დაადასტურა, რა ელის კონკრეტულ კომპანიას, სადაც ეს მძღოლია დასაქმებული?**

– რაღაც კონკრეტულ დარღვევაზე კონკრეტული ჯარიმა არ არის, მაგრამ სასამართლოს შეუძლია, რა მიმართულებითაც დაირღვა მძღოლის შრომითი უფლება, ამის მიხედვით დააკისროს კომპანიას კომპენსაცია. მაგალითად, თუ მძღოლს ხუთი საათის ნაცვლად, რაც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული, ამუშავებენ 12 საათს და მას შესაბამის თანხას არ უხდიან, სასამართლო აუცილებლად დააკისრებს კომპანიას ამ სხვაობის გადახდას.

**— თუ არის პრეცედენტი, რომ მძღოლმა კომპანიას უჩივლა სასამართლოში და მოუგო?**

– ჩვენთვის არც ერთი ასეთი პრეცედენტი ცნობილი არ არის, რადგან როგორც აღვნიშნე, მძღოლებში შიშის გარკვეული ფაქტორი არსებობს, რომ მათ არ მოუწიოთ სამსახურის დატოვება, ეს არის ასეთი პრეცედენტის არარსებობის ძირითადი მიზეზი.



Facebook ამბები



**დემურ გიორხელიძე:**

ც ო დ ნ ა
[რომლის შემადგენელ ნაწილსაც განათლება წარმოადგენს]
დამოკიდებულია ადამიანის
სურვილზე,
ინტერესებზე
და
ცნობისმოყვარეობაზეა!
ც ო დ ნ ა - დამოუკიდებელი ფასულობა და
უდიდესი ინტელექტუალური სიამოვნებაა, -
თვითკმარ არსებობას რომ უდევს საფუძვლად.
ინტელექტუალური სიამოვნება კი
სიამოვნებათა მწვერვალია და ამ წვერვალზე
იგი მეორე, ასევე საოცარ განცდასთან ერთად არის
და იქნება დაუმარცხებლად!
სახელმწიფოში შეიძლება იყოს ბნელი პერიოდები, როცა
ც ო დ ნ ა მასხრადაგდებულია და დაცინვის საგანი,
მაგრამ ეს ბნელი მდგომარეობა კიდევ უფრო დიდად წარმოაჩენს ცოდნის მომხიბვლელობას და აძლიერებს მისდამი ლტოლვასა და მისწრაფებას!
აი, გზა ახალგაზრდებისათვის!!!
არა ნეო-კომკავშირლობა,
არა ნეო-კარიერიზმი, ყალბ ფრაზეოლოგიებსა და ე.წ.
ყალბ ორიენტაციებში შეფუთული,
არამედ, მშვიდი და მყარი სვლა ცოდნისაკენ,
რომელიც თავად არის მიზანი...
ყალბი ფრაზეოლოგია და
ყალბი მისწრაფებები,
სიგლახის პროპაგანდა,
თვალებგადმოკარკლული მხსნელების მორჩილება,
ნეო-ბოლშევიკური უტიფრობა და
წინწახტუნებულის საზიზღარი სახით ცხოვრება -
შეუთავსებელია ცოდნის ძიებასთან და მისკენ სვლასთან!



**გიორგი ბარამიძე:**

ვარშავაში ნატო-ს სამიტზე მაპ-ი უნდა მივიღოთ, მაგრამ ამისათვის ქვეყანას ნორმალური მთავრობა უნდა მართავდეს.
8 ოქტომბრიდან გვეყოლება!

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

**ნიკა გვარამია:**

ბოდიში, უნდა ვიკითხო მე უწიგნურმა - რის 25 წლისთავს ვზეიმობთ ასე გამალებით? დამოუკიდებლობა კი მოვიპოვეთ 25 წლის წინ (1991), მაგრამ ის 9 აპრილს იყო. 26 მაისი პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობაა და 100 წელი შუსრულდება 2 წლის შემდეგ. ანუ, ოცნების სახსენებელი რომ არ იქნება, მაშინ.

ხოდა, ორჯერ ბოდიში, მეორედ უნდა ვიკითხო მე ორგზის უწიგნურმა - რის 25 წლისთავს ვზეიმობთ ასე გამალებით?



## Facebook ამბები



გია ნოდია:

ფეისბუქზე შემომხვდა აწ უკვე ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, მერაბ მეტრეველის პოსტი, რომელიც გიგა ბოკერიას კარალეთის 2012 წლის ინციდენტში „ნაციონალური მოძრაობის“ „გაპრავებისთვის“ აკრიტიკებდა. შემდეგ ვნახე „რუსთავი2-ის“ ეთერში თვით გიგა ბოკერიას ის მსჯელობა, რომელიც კრიტიკის საგანი გახდა.

ხოდა, პირველ რიგში, მეტრეველის პოსტი ძნელია სხვაგვარად შეაფასო თუ არა, უბრალოდ, პირდაპირი ტყუილი: ბოკერია არა მარტო ცალსახად გმობს კარალეთში მომხდარ ძალადობას, არამედ იმასაც ამბობს, რომ მასზე „ნაციონალური მოძრაობა“ იყო პასუხისმგებელი. მისი შეფასება ინტერპრეტაციის სივრცეს არ ტოვებდა: შეუძლებელია, პატიოსანმა და რაციონალურმა ადამიანმა ის „გაპრავებად“ ჩათვალოს. საუკეთესო შემთხვევაში, მეტრეველს უბრალოდ არ ესმის, რას ნიშნავს რაიმის „გაპრავება“, ან, წესიერი ქართულით რომ ვთქვათ, გამართლება.

სხვა ამბავია, რომ ბოკერია საუბრობს განსხვავებაზე კარალეთის და კორცხელის ეპიზოდებს შორის. განსხვავებაზე საუბარი, და იმ, ჩემი აზრით, აშკარა ფაქტის ხაზგასმა, რომ ეს განსხვავება დღევანდელი ხელისუფლების სასარგებლოდ არ მეტყველებს, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კარალეთის (ან რომელიმე სხვა) ძალადობის გამართლებას.

ამ ყველაფერზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ განსხვავების, როგორც კატეგორიის უარყოფა, მეტიც, მისი შიში ე.წ. „შუაშისტური“ მენტალიტეტის ძირითადი ავადმყოფობაა. შუაშისტური მეტაფიზიკის ძირითადი პოსტულატი არის არა მხოლოდ ის, რომ „ყველა ცუდია“ (ცხადია, ჩვენს გარდა, ან ჩემს გარდა), არამედ - და ეს მთავარია - რომ იმ ცუდებს შორის განსხვავება არ არსებობს. განსხვავებაზე ლაპარაკი მკრეხელობაა, ძირითადი პრინციპის ღალატია. ჩემი აზრით კი, ეს ზოგადად აზროვნებაზე უარის თქმაა, რადგან მოაზროვნე ადამიანი მხოლოდ თეთრსა და შავს შორის განსხვავების დანახვით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. სამყარო გაცილებით უფრო მრავალფეროვანია.

რაც შეეხება თვით კონკრეტულ შემთხვევებს, განსხვავება პირველ რიგში იმაშია, რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებამ დასაჯა მერეთის და კარალეთის ინციდენტის მონაწილეები (ხალხს რატომღაც მარტო კარალეთი ახსოვს, ალბათ, გალაქტიონის ხათრით), თანაც არა ასლარიანი ჯარიმით, არამედ ხანმოკლე, მაგრამ პატიმრობით. შეიძლება ვიდავოთ, სამართლიანად იყო თუ არა ბრალი გადანაწილებული და რამდენად ადექვატური იყო სასჯელი - არ ვამტკიცებ, რომ იყო. მაგრამ დამნაშავეთა დასჯით ხელისუფლებამ გამოიჩინა ამგვარი პრაქტიკის შეწყვეტის პოლიტიკური ნება - და რაც მთავარია, ის შეწყდა. იმიტომაც ახსოვს ყველას კარალეთი, რომ ამის შემდეგ ასეთი რამ აღარ ყოფილა და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია, არსებითად, მშვიდ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. (ეჭვი არ მეპარება, რომ მაშინ ხელისუფლების მიმართ სხვა პრეტენზიებიც არსებობდა, მაგრამ მე მხოლოდ ოპოზიციის მიმართ „ხალხისგან" მომდინარე დემონსტრაციულ ფიზიკურ ძალადობაზე ვლაპარაკობ).

ამისგან განსხვავებით, „ქართული ოცნება“ მხოლოდ ზოგადად „ძალადობის“ აბსტრაქტული კრიტიკით იფარგლება და იმასაც კი არ აკეთებს, რომ საკუთარი კუნთმაგარი აქტივისტების ქმედება (ხომ აღარ ამბობს, რომ იქ შემთხვევით მოხვედრილი ტურისტები არიან) ცალსახად დაგმოს. მეტიც, ოპოზიციის მიმართ დაუსჯელი ფიზიკური ძალადობა და მისი გამართლება ან ხალხის სპონტანური რისხვით, ან ნაციონალების „პროვოკაციებით“ („აბა, ქუჩაში რატომ დადიან?“) ქართული ოცნების თანმიმდევრული პოლიტიკაა, რომელსაც ის რეგულარულად მიმართავს ხელისუფლებაში მოსვლის დროიდანვე. მათი საყვარელი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ეს ხელისუფლების სისტემური დანაშაულია.

მერეთ-კარალეთსა და კორცხელს შორის სხვა განსხვავებებიცაა (მაგალითად, პირველ შემთხვევებში, რამდენადაც მახსოვს, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, ამ რეგიონში პროფესიონალი მცემელები საგანგებოდ არ ჩაუყვანიათ და ა.შ.). მაგრამ ამაზე აღარ გავჩერდები. გასაგებია, რომ ზოგადად, ისიც ცუდი იყო და ესეც.

თამარა ჩერგოლეიშვილი – ეს ასახსნელი გახდა? :))

---

პაატა მძინარაშვილი გივი თარგამაძეზე:

.....ამ ჩემის გადანგრეულის დანახვაზე ერთი ძველი ანეგდოტი მახსენდება... აზერბაიჯანელი ზოოპარკში გიდად მუშაობს და დამთვარიელებლებლს ბეგემოტთან მიიყვანს...„ ეტო ოჩენ სვოიობრაზნი ზვერ სლუშიი... კოგდა როტ ოტკრივაეტ, ჟოპუ ზაკრივაეტ...ა



კოგდა ჟოპუ ოტკრივაეტ როტ ზაკრივაეტ...ა პოჩემუ...?...ვააა...ნავერნო კოჟა მალა...„ ))))))))))))))

---

# ღარიბაშვილმა თუ ვერ შეძლო, კალაძე, მარგველაშვილი და კვირიკაშვილი შეძლებენ?!

## „ოცნების“ ხელისუფლება „საბჭოთა ანაბრებს“ აბრუნებს?!

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, ხალხს ე.წ. საბჭოთა ანაბრების გასტუმრებას ჰპირდება, მაგრამ პირობა არავინ შეასრულა. თავს იმით იმართლებენ, რომ სახელმწიფოს მიერ შიდა ვალში აღებული ამ ანაბრების საფასური რამდენიმე მილიარდი დოლარია და დღეს ქვეყანას ამხელა თანხის გადახდის თავი არ აქვსო. გასაგებია, მაგრამ არც ეტაპობრივად გადახდას აპირებს ვინმე, არადა, ადრე თუ გვიან, სახელმწიფოს ამ ვალის გადახდა მაინც მოუწევს.**

**ჟურნალისტი, 2013 წელს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ბესიკ ადამია, ხელისუფლებას ამ ვალის გადახდის სხვა გზას სთავაზობს,** მისცეს, სტრატეგიული მაგისტრალური გაზსადენის საქართველოს მონაკვეთის პრივატიზაცია მოახდინოს. მესმის, ეს არის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი, სახელმწიფო მასზე კონტროლს არ დაკარგავს, ამიტომ, მილსადენის 49% გადასცეს მეანაბრეებს და საკონტროლო პაკეტი, 51% თავად დაიტოვოს. აუცილებელი პირობა უნდა იყოს, რომ აქციონერს არ უნდა ჰქონდეს უფლება, უახლოესი 10 წლის მანძილზე გაყიდოს აქციები, რადგან მათით სპეკულაცია არ დაიწყოს. ასევე, აქციონერს უნდა ეკრძალებოდეს, აქციების უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისება,

### ვსლი

სახით შემოგივათ თანხა. შემდეგ კი მემკვიდრეობით გადასცემთ.

**— ხელისუფლების წარმომადგენლებს თუ მიმართეთ ამის შესახებ?**

– შევხვდი ენერგეტიკის მინისტრს, კახი კალაძეს, გავაცანი ჩემი გეგმა და მითხრა, დოკუმენტაცია ჩააბარეთ კანცელარიაში და განვიხილავთო. იმავე დღეს მის მოადგილეს, ირაკლი ხმალაძესაც შევხვდი და ისიც ჩავაყენე საქმის კურსში. სამწუხაროდ, ენერგეტიკის სამინისტროდან უარყოფითი პასუხი მომივიდა, სამინისტრო არ თვლის საჭიროდ, მაგისტრალური გაზსადენი მეანაბრეებს გადასცე-



**არა ფულით, არამედ სახელმწიფო ქონებით.**

– სახელმწიფოს „საბჭოთა მეანაბრეების“ ვალის გასტუმრება აუცილებლად მოუწევს და რადგან ხალხს ფულს ვერ თუ არ აძლევს, გამოსავალს მე ვთავაზობ. არსებობს მეანაბრეთა ფონდი. ამ ფონდის მეშვეობით, უნდა დაფუძნდეს სააქციო საზოგადოება, სახელმწიფომ ყველა მეანაბრეს ან მათ მემკვიდრეებს უნდა გადასცეს იმ თანხის შესაბამისი აქცია, რაც მათ გაუუფასურდათ. თუ 3000 მანეთი გქონდათ შეტანილი იმჟამინდელ შემნახველ სალაროში, 3000 მანეთის შესატყვის აქციას მოგცემენ და მათი ფასი, ცხადია, ლარში დაანგარიშდება. ამ აქციებით სახელმწიფომ ხალხს უფლება უნდა რადგან საქმე სტრატეგიული დანიშნულების სახელმწიფო ობიექტთან გვაქვს, გაზსადენი იმუშავებს და იქიდან შემოსული თანხით მეანაბრეების ვალი დაიფარება. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში მეანაბრეთა ფონდისა და სახელმწიფოს წარმომადგენლები შევლენ და ერთად გააკონტროლებენ ყველაფერს.

**— დავუშვათ, სახელმწიფო დასთანხმდა თქვენს წინადადებას. ჩემი ვალი, 3000 ლარი რომ დაიფარება, მე ისევ დავრჩები აქციონერად?**

– რასაკვირველია, დარჩებით. ამ სახელმწიფომ უამრავი ქონება გაყიდა უცხოელებზე და ამ გაზსადენის 49% რომ დაუთმოს ქართველ ხალხს, არაფერი დაშავდება. დარჩებით აქციონერად და ვალის დაფარვის შემდეგ ისევ დივიდენდის სო. წერილები მივწერე ყოფილ და ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრებს, ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი კვირიკაშვილს, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, მაგრამ პასუხი არ ერთისგან არ მიმიღია.

იმედია, „საბჭოთა მეანაბრეები“ და მათი მემკვიდრეები დამიდგებიან გვერდით და დავძრავთ ამ თემას. უნდა ვიბრძოლოთ და ხელისუფლება ვაიძულოთ, ეს ვალი გაუსტუმროს მეანაბრეებს და სტრატეგიული მილსადენის წილი გადასცეს მათ. არც ერთ ხელისუფლებას არ უხარია ხალხის მიმართ არსებული დავალიანებების დაფარვა, მაგრამ ეს ვალი გადასახდელია სახელმწიფოს მიერ და მისი გასტუმრების საუკეთესო გზას ვთავაზობ ხელისუფლებას.

---

## Facebook ამბები



კოკა ყანდიაშვილი (26 მაისი):

რუსთავი 2 - ნიღაბ ჩამოგლეჯილი ხალხის, დაბოღმილი "ჟურნალისტებისა" და გაბოროტებული პარტიის ტელევიზიაა.

დღეს, 3 საათიან კურიერს ვუყურე - :)......

როგორი საკვირველია, რომ ეს არხი ვერ ახერხებს ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნასაც კი. ვერ და არ უხარია ეს 25 წელი, ვერ და არ ზეიმობს ხალხთან ერთად, ვერ და არ ხედავს - რას ნიშნავს ეს 25 წელი საქართველოსთის.

დარწმუნებით შემიძლია გითხრათ - რუსთავი 2 გავიდა ყველანაირი მედია თუ ჟურნალისტური სტანდარტების ფარგლებიდან. რა ეთიკა? რა სახელმწიფო?

რუსთავი2 და თავისუფლება ან/და დამოუკიდებლობა - როგორც ცა და დედამიწა, ისე ვერ უგებენ ერთმანეთს.

მხოლოდ ერთი დაშლილი, გზა აბნეული პარტიისა და მისი გაქცეული ლიდერის ჯიბის ტელევიზიაა - რომელსაც მაყურებელი "ჩემი ცოლის დაქალებისა" და გასართობი გადაცემების ხათრით უყურებს.

თქვენ - "კოლეგებო" რუსთავი 2-დან, მე რომ შევარდნაძის სახელმწიფო ტელევიზიაში ვმუსაობდი 15 წლის წინ, იმ - თავისუფლებისა და ობიექტურობისაგანაც კი ისე შორს ხართ, როგორც ასლან აბაშიძის ტელევიზია - სი-ენ-ენ-ისგან.

ხალხო - გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!



მაია ორჯონიკიძე:

ეს მართლა უსაქმურები და სამარცხვინოები-ქვეყანა თავზე გვენგრევა და ამათ ერთსქესიანთა ქორწინების ყურით,უფრო სწორად ფსბ-ს მოთრეული თემის იქით არაფერი ადარდებთ. პარლამენტი კი არა,ბო(ე)სელია!

# მიხეილ სააკაშვილი: „მე მეორედ მოსვლამდე დავაგებ ასფალტს!“

## ვანო მერაბიშვილი: „დამნაშავეები მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგანაც მათ ჩვენ აღმოვუჩინეთ დახმარება“

## ნინო ბურჯანაძე: „აგარაკს არ დავთმობ, ლტოლვილებისთვის არ გამოდგება... იქ ყოფილხართ? რომ მოხვალთ, დარწმუნდებით, რომ ლტოლვილები იქ ვერ იცხოვრებენ“

## შალვა ნათელაშვილი: „იგორ ივანოვი ხაშივით დაადგა თავზე მომიტინგეებს“







გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70

რამდენიმე დღის წინ ნაცნობი შემხვდა. მოკითხვის შემდეგ ჩვეულებრივი საუბარი წამოვიწყეთ. საკუთარი საქმეებისა და სპორტის თემების განხილვის შემდეგ პოლიტიკაზე გადავერთეთ. როდესაც სიტყვამ მიხეილ სააკაშვილი მოიტანა, ჩემმა მეგობარმა ერთი სახალისო წინადადება წამოისროლა:

„აუ, კაი ტიპია მიშა. მე მოვკვდე, მაგი რომ გამოდიოდა „რეჩით“, ბავშვებს სულ ძალით ვაძინებდი – ერთი სიტყვის გამოტოვება არ უნდოდათ, რაც უკრაინაში წავიდა, ბავშვების დაძინება გამიჭირდა“.

მეგობრის ბავშვები „ძილისპირულის“ ნაცვლად რამდენიმე წლის წინათ „კურიერსა“ და „იმედის“ საინფორმაციო გადაცემებს უყურებდნენ. დაასრულებდა საქართველოს პრეზიდენტი ყოველდღიურ „ტრადიციულ“ გამოსვლას და პატარებიც ულაპარაკოდ ლოგინისკენ მიიჩქაროდნენ. კომედიურობის მიუხედავად, ეს ისტორია ქვეყნისთვის დიდი ტრაგედიის მაჩვენებელია.

მეგობრის ნათქვამმა დამაინტერესა და 2003-2012 წლებში მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამების მოძიება დავიწყე. სიმართლე გითხრათ, მისი „მარგალიტები“ იმ რაოდენობით ამოვწერე, ბარე ათ სტატიას ეყოფოდა. რასაკვირველია, მკითხველი „შევიცოდე“ და დღევანდელ წერილში ამ „საგანძურის“ მხოლოდ მცირე ნაწილს შემოგთავაზებთ კომენტარის გარეშე.

„ჩვენ მოვახერხეთ ბაკურიანის სრული განათება წელს, მაგრამ მომავალ წელს უფრო გავანათებთ“.

„ჯარი იყო რამდენიმე თვის უჭმელი“.

„ჩვენი ქალები ყველაზე მაგრები არიან, კაცებს ჯიბეში ჩაისვამენ“.

„მე მეორედ მოსვლამდე დავაგებ ასფალტს“.

„მაიკროსოფტმა შექმნა ქართული ანბანი“.

„რუსთავი საყოველთაო სიამოვნებისა და ნეტარების ქალაქია და იქ ცხოვრება ნარნარია, რადგან ყველაზე დაბალი კომუნალური გადასახადებია...“

„რუსთავი ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია და ის არ არის თბილისის გარეუბანი, როგორც ეს ზოგ-ზოგიერთებს ჰგონიათ. ეს არის ქალაქი თავისი ტრადიციული ცხოვრებითა და დამსახურებული ადამიანებით. მე ყოველთვის გული მწყდებოდა, თუ რა ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეს ქალაქი განსაკუთრებით 90-იან წლებში. ამ დროს პრაქტიკულად ქალაქში ყველა უმუშევარი დარჩა. სწორედ მაშინ გაუჭირდათ ყველაზე დამსახურებულ ადამიანებს. ნამდვილად არ ვიტყვი, რომ რუსთავში ჩვენ ციდან ვარსკვლავები მოვწყვიტეთ, მაგრამ ფაქტია, რომ მე ხშირად დავდივარ რუსთავში და ეს არის ქალაქი. ბანალურ ფრაზას ვიტყვი, მაგრამ ქალაქს დაემსგავსა ისევ“.

„საქართველო იყოფა დასავლეთად და აღმოსავლეთად. ისინი ძალიან უნიკალურები არიან. ჩემი გული, ჩემი სხეულის ყველა ორგანო, ჩემი მენტალიტეტის ძალიან დიდი ნაწილი, ეს არის აფხაზეთი და მთლიანად დასავლეთ საქართველო. მაგრამ მეორე ნაწილი ჩემი არსებობის არის აღმოსავლეთ საქართველო“.

„დამაცადეთ კიდევ 2-3-4 წელი და გაძლევთ გარანტიას, რომ წყალტუბოს ევროპაში ყველაზე მაგარ ადგილად ვაქცევ“.

„წარმოუდგენელი აურა და ატმოსფეროა ანაკლიაში, ის არის ჩემი მიწა, მინდა, იქ მოაფინონ ჩემი ფერფლი, როცა აღარ ვიქნები“.

„ვფიქრობ, ნამდვილი რევოლუცია არ იწყება მაშინ, როდესაც მიდიხარ პარლამენტში და იწყებ ყვირილს, არც მაშინ, როდესაც იმის საშიშროების წინაშე დგახარ, რომ გესვრიან. ნამდვილი რევოლუცია იწყება მაშინ, როდესაც „სი-ენ-ენ“-ის კამერები ტოვებენ ქვეყანას. ჩვენ ვიყავით ახალგაზრდები, გამოუცდელები, იდეალისტები, განათლებულები... მახსოვს, უცხოელი ჟურნალისტები ყოველივე ამას „ოუშენის 11 მეგობარს“ ადარებდნენ. მათ სწრაფად უნდა გაეკეთებინათ საქმე, უნდა გაერისკათ. პოლიტიკაში, ძირითადად, ასეა — თუ რისკს არ პასუხობ, მოცდა მოგიწევს. ჩამოყალიბებულ და წარმატებულ საზოგადოებაშიც კი მიდიან რისკზე. პოლიტიკოსებისთვის სხვა გზა არ არსებობს თუკი ქვეყნის წინსვლის სურვილი აქვთ. მეორე საკითხი — არ უნდა გაეკიდო პოპულარობას. ეს კარგია, მაგრამ, თუ მხოლოდ სახელის მოხვეჭას ცდილობ, დაკარგული ხარ, რადგან პოპულარობა არის პოლიტიკური კაპიტალი, რომელიც გონივრულად უნდა დახარჯო“.

„სამეგრელო შეიკვრებოდა ქართლ-კახეთთან, დაამარცხებდა იმერეთს და გაძარცვავდა. მერე იმერეთი შეიკვრებოდა გურიასთან და ერთად შეებრძოლებოდნენ სამეგრელოს. ერთი მთავარი მეორეს გაიტყუებდა ტყეში და დათხრიდა თვალებს და მთელი ცხოვრება იყო ერთმანეთის გაუტანლობა და ქიშპი“.

ახლა კი საქართველოს უახლესი ისტორიის სხვა მარგალიტები.

„მანამდე არ აგიდგათ გვერდები, სანამ მე არ გადავდგები“, — ედუარდ შევარდნაძე.

„როცა ვაპირებდით რეფორმების გატარებას და კორუფციის მოსპობას, ზუსტად მაშინ მოვიდა ეს მიშა და მოგვიწყვეს ყვავილების რევოლუცია“, — ედუარდ შევარდნაძე.

„პუტინს ყოველთვის ვაბარებდი ანგარიშს“, — ედუარდ შევარდნაძე.

„ვინც გადატრიალებაზე ფიქრობს, ლოგინში გადატრიალება იკმაროს“, ე. შევარდნაძე.

„ადგილზე მოკვლევას ატარებენ ჩვენი სპეციალისტები, კერძოდ, ძაღლები“, — ვანო მერაბიშვილი.

„სანამ ადამიანის ლიკვიდაციას მოჰკიდებ ხელს, მანამდე უნდა გააფრთხილო“, — ე. თევდორაძე.

„ექვმიტანილმა აღიარა დანაშაული და გამოიყენა დუმილის უფლება“, — პროკურორი გრიგალაშვილი.

„ბუკვალურად მინდა აღვნიშნო“, — გ. ბარამიძე.

### მარგალიტები

„აღშფოთოვანებული ვარ“, — ე. თევდორაძე.

„ეს საქართველოს შიდა კუხნაა“, — გელა ბეჟუაშვილი.

„დამნაშავეები მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგანაც მათ ჩვენ აღმოვუჩინეთ დახმარება“, — ვ. მერაბიშვილი.

„მე მოვახდენ ამოღებული ნარკოტიკების გამოყენებით დემონსტრაციას თქვენს წინაშე“, — ვ. მერაბიშვილი.

„მისი მოთავსება მოხდა ე.წ. ბალნიცაში“, — მაია ნადირაძე.

„იგორ ივანოვი ხაშივით დაადგა თავზე მომიტინგეებს“, — შალვა ნათელაშვილი.

„ის პატარა ბიჭი რომ არის, არველაძე, გვარი არ მახსოვს“, — შალვა ნათელაშვილი.

„ბატონო მიშა, სამეგრელოში ყველაფერი კარგად მიდის, გაჩნდა ფულიც. აი, მაგალითად, ამ დღეებში გაიტაცეს პიროვნება, რომლის ოჯახმაც მეორე დღესვე 30 000 დოლარი გადაიხადა გამოსასყიდი“, — კახა არდია, სამეგრელოს გუბერნატორი.

„აქ უნდა ყოფილიყვნენ ბოკერია და არველაძე, მაგრამ არ მოვიდნენ, პარლამენტში რაღაც საქმე გვაქვსო. ნეტა რა საქმე აქვთ იმისთანა, რომ გადაცემაში არ მოვიდნენ?“ — ინგა გრიგოლია.

„ლოთი ქობალიას დახოცილი მეომრები ტყეში ერთმანეთს ასაფლავებდნენ“, — ნატო ონიანი.

„აგარაკს არ დავთმობ, ლტოლვილებისთვის არ გამოდგება... იქ ყოფილხართ? რომ მოხვალთ, დარწმუნდებით, რომ ლტოლვილები იქ ვერ იცხოვრებენ“, — ნინო ბურჯანაძე.

„ვანესა რედგრეივი მირეკავს და ვიღაცა სოფლელი უგულავა მაიგნორირებს“, — ქეთი დოლიძე.

„ჩვენ ვცდილობთ, ქვეყანა ქაობიდან ამოვიყვანოთ, ვიბრძვით სუფთა ხელებით, ცარიელი გულით და თავით“, — ლევან გაჩეჩილაძე.

„ჩვენ ვამბობთ, რომ პოლიტიკას აქვს საზრისი და ეს საზრისი არის მსახურება, აქიმობა“, — გია მაისაშვილი.

„მუცლის გაზი თუ გამოიყენეს, დავიღუპებით“, — „უცნობი“.

„თან პიკეტი გვაქვს და თან ტრაპეზი“, — ზვიად ძიძიგური.

„ჰო, ისე, დღეს გიორგობაა, მიშას დღეა“, — დავით აქუბარდია, 23 ნოემბერი...

*გაგრძელება იქნება*

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook

facebook

გიორგი ონიანი:

21 მაისის შემდეგ, ჩემდა სამწუხაროდ, ხელისუფლება გავიდა კანონის ჩარჩოებიდან. მან დაკარგა ლეგიტიმაცია და ძალიან მიუახლოვდა 90იანი წლების კიტოვანი, სიგუა, იოსელიანის ხელისუფლებას. დღეს ქვეყნის გადარჩენა მხოლოდ გაზრდილ საზოგაოდებას შეუძლია, იმედი მაქვს 25 წელიწადში საქართველო როგორც ქვეყანა და მოქალაქეები როგორც საზოგადოება გაიზარდა იმ დონეზე რომ შეძლოს თვითგადარჩენის ინსტინქქტით სწორი ნაბიჯები გადადგას. არჩევნებამდე დარჩენილი 5 თვე იქნება ტესტი, რომელიც განაპირობებს ჩვენი ქვეყნის მომავალ ათწლეულებს.



● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

facebook



დემურ გიორხელიძე:

ახლა ერთი პატარა კითხვა მაქვს, იმ სფეროდან, რომლის შესახებაც ძალიან კარგად და საფუძვლიანად გამეგება: ეს ჩვენი "სახელმწიფო მამები" რომ ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი უ რ ი უნივერსიტეტის გახსნას აპირებენ, იცით რა მაინტერესებს?! რა უნდა ასწავლონ ამ უნივერსიტეტში და ქართული სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემის პატრონს, მართლა ფიქრობს ვინმე, რომ ამ სკოლადამთავრებული ახალგაზრდები ტექნოლოგიური უნივერსიტეტის [თუ ის მართლა შესატყვისი იქნა თავისი სახელისა] სასწავლო კურსების დაძლევას შეძლებენ?! ნეტარ არიან მორწმუნენი!.. თუმცა, რა გაკეთებულა საქართველოში საფუძვლიანად - ეს რომ გაკეთდეს?! სად არის განათლების სისტემის რეფორმა?! ბატონი დვალი საუბრობდა რაღაც რეფორმებზე, რომელსაც, რაც მე წავიკითხე და ვნახე, არაფერი საერთო აქვს იმ პრობლემებთან, რომელიც ქართულ მახინჯ საგანმანათლებლო სისტემას ახასიათებს!

facebook



ნიკოლოზ მჟავანაძე (26 მაისი):

ამერიკული ტანკები დღეს რუსთაველზე დგანან არა საქართველოს დასაცავად, არამედ რუსეთის გასაღიზიანებლად, რადგან მათ არაერთხელ განაცხადეს, რომ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში არ ჩაერთვებიან. რა უხარიათ თინათინ ხიდაშელს და ზოგიერთ დოლარებზე გაყიდულ ქართველს გაუგებარია. არაერთხელ ვნახეთ, რა დახმარება გაგვიწიეს მათ 90-იანებში. მერე 2008-ში პამპერსები და წყალი რომ გამოგვიგზავნეს. ოდესღაც ჭკუა ხომ უნდა ვისწავლოთ და მივხვდეთ, რომ სტრატეგიული მოკავშირე და მეგობარი ის არის ვინც ძნელბედობის დროს დაგვიდგება გვერდში და ომში მარტო არ დაგვტოვებს და არა ის მილიარდობით გრანტებს რომ გამოყოფს ეკლესიის და ეროვნული ფასეულობების ინტერესების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მ.კორძახია....მიშა შენს თავზე გავიარე, რომ მაშინ ესენი ცოცხლები დატოვე. ვერ იყავი კარგი მმართველი. დავით აღმაშენებლის მაგალითი უნდა გადაგეღო.

facebook



დათო გოგიშვილი:
ძლიერი, ანგარიშგასაწევი, გავლენიანი პრორუსული პოლიტიკური ძალა ეს არის ნიშა ქართულ პოლიტიკაში, რომელიც აუცილებლად შესავსები და ასათვისებელია. რამდენიც არ უნდა ეცადოს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ამ პოლიტიკური ძალის დაბლოკვას, ეს პოლიტიკური ძალა აუცილებლად შეიქმნება, რადგან ასეთი პოლიტიკური ძალა ჰაერივით ჭირდება საქართველოს სამომავლო ეროვნულ ინტერესებს. პოლიტიკური ძალა, რომელიც აქცენტირებული იქნება ბრძოლის კონსტიტუციურ, მშვიდობიან მეთოდებზე და რომლის უპირველესი მიზანი იქნება რუსეთთან კეთილმეზობლური, პარტნიორული ურთიერთობების დალაგების გზით საქართველოს სახელმწიფო იურისდიქციის აღდგენა ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

facebook



ნათია ფანჯიკიძე:
"სამოთხის ბაღში არიან ადამი, ევა და ბიძინა. გველი დადის აქეთ-იქით დაბნეული...
მიდის-მოდის... ადამი ჰკითხავს - რა დაგემართაო?
გველი გაოგნებული პასუხობს: სად წაიღო ამ კაცმა ვაშლის ხე?"
ამ ქვეყნის დაღუპვა არ არსებობს, რადგან ეს ქვეყანა ნებისმიერ დროს იცინის, უკანასკნელ ჟამსაც გაიცინებს და გადარჩება... ქართველების მთავარი კონტაქტი ღმერთთან იუმორის გრძნობაა. თანაც რა სიმბოლიზმით დატვირთული ანეკდოტი გამოუვიდა ავტორს, შემეცნების ხე რომ გააქრო ბიძიმ და დაგვტოვა სამოთხეში, ))))))))))))))))))
აღარც ქალი, აღარც ცრემლი, აღარც პირველყოფილი და აღარც მისი მომდევნო ცოდვა და აღარც კაცობრიობის ეკლიანი გზა, )))))
ნოეს კიდობანიც თვითონ აქვს და საერთოდაც ასეთი ცხოველი სიმბოლოებით გაფორმებული პოლიტიკა ისეთი ამბავია, ჟურნალი "ნიანგი" თავისით უნდა ისტამბებოდეს

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



**ბოლო პერიოდში აქტიურად ვრცელდება ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, რომლითაც თვალნათლივ ჩანს, როგორ ახორციელებენ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები მომხმარებლებზე ზეწოლას. მეტიც, ხელმისაწვდომი გახდა ამ კომპანიების თანამშრომლების ე.წ. „სწავლებები" — როგორ „ამოიღონ ფული" არასწორი ინფორმაციის მიწოდებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად.**
**ზუსტი მონაცემები იმისა, რამდენი და რომელი კომპანიები ახორციელებენ პრობლემური აქტივების ამომღებ საქმიანობას, არ არსებობს. არ არსებობს არც მათი საქმიანობის კონკრეტული მარეგულირებელი კანონი, არც მათი აღრიცხვიანობა და კონტროლი ხორციელდება — ეს კი საბოლოოდ უკონტროლოს ხდის ვითარებას, იმ მომხმარებელთა რიცხვი კი, რომლებიც მათი ტერორისა და სიცრუის მსხვერპლი ხდებიან ყოველდღიურად მატულობს.**
**გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების" თანადამფუძნებელი მარიკა არევაძე.**

# „თუ მომხმარებელი იგრძნობს, რომ მის მიმართ ხორციელდება ძალადობა, მუქარა ან ხდება მისი შეცდომაში შეყვანა, ამ ვითომ აღმასრულებლის თანდასწრებით, უნდა გამოიძახოს საპატრულო პოლიცია"





– საკმაოდ ხშირად ყოფილა, როდესაც მოქალაქეს უთქვამს ჩემთვის, რომ მათთან იყო მისული აღმასრულებელი და დაუტოვა შეტყობინება. შეტყობინება რომ მინახავს – აღმომიჩენია, რომ საქმე აღსრულების ეტაპამდე სულაც არ არის მისული. ამ შემთხვევაში ორი ტიპის პრობლემა იკვეთება: 1. პრობლემური აქტივების მართვის კომპანიის წარმომადგენლის მიერ თავის აღმასრულებლად წარდგენა და 2. თავად შეტყობინების შინაარსი. ჯერ ერთი, იმისთვის, რომ საქმე აღსრულებამდე მივიდეს, საჭიროა დავის რომელიმე არსებული ფორმით დასრულება და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე აღსრულების ფურცლის გაცემა, მეორეც – არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მსესხებლის ვალის გამო მოხდეს მისი რომელიმე ახლობლის ან ოჯახის წევრის უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვა აუქციონის წესით, თუკი, რა თქმა უნდა, რომელიმე მათგანი არ იყო ამ სასესხო ურთიერთობებში თანამსესხებელი, თავდები ან მისი უძრავი ქონება არ ჰქონდათ მსესხებლის კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული. ასევე, ზოგიერთი ასეთი კომპანია კადრულობს გაუგონარ უმსგავსობას და თვითონ წერს ე.წ. „სასამართლო გადაწყვეტილებას", აბარებს მას მსესხებელს ვითომ აღმასრულებლის, სინამდვილეში კი თავისივე თანამშრომლის ხელით და ცდილობს, მსესხებელი დაარწმუნოს, რომ ეს არის სასამართლო გადაწყვეტილება და თუ მას დაუყოვნებლივ არ შეასრულებს ნებაყოფლობით, ასევე, დაუყოვნებლივ დაუყადაღებს ანგარიშებს და გაუყიდის მთელი ოჯახის ქონებას.

**— როგორ უნდა მოიქცეს მსგავს ვითარებაში მომხმარებელი?**

– ეს დამოკიდებულია კონკრეტულ ვითარებაზე. მაგალითად, თუ მომხმარებელი იგრძნობს, რომ მის მიმართ ხორციელდება ძალადობა ან მუქარა, ან ხდება მისი შეცდომაში შეყვანა, ამ ვითომ აღმასრულებლის თანდასწრებით უნდა გამოიძახოს საპატრულო პოლიცია და მოთხოვნის შემთხვევის შესახებ ოქმის შედგენა; ასევე, წერილობითი ფორმით მიმართოს ასეთ კომპანიას და მოსთხოვოს მის მიმართ ყოველგვარი უკანონო მოქმედების აღკვეთა; თუ სესხი ხანდაზმულია, მოიქცეს ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის, ანუ ან აღიაროს ვალი, ან უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე; თუ ემუქრებიან მისი ვალის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა პირისთვის მიწოდების შესახებ – მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს; თუ ვერ ახერხებს, გაარკვიოს, რა დოკუმენტი და ვინ ჩააბარა – კონსულტაციისთვის მიმართოს იურისტს; თუ მისგან ითხოვენ არარეალურად დიდ თანხებს, აუცილებლად ჩაერთოს დავის პროცესში და მოითხოვოს პირგასამტეხლოებისა და ჯარიმების შემცირება და ა.შ.

**— როგორც აღნიშნეთ, იმისთვის, რომ საქმე მივიდეს აღსრულებამდე, საჭიროა დავის რომელიმე არსებული ფორმით დასრულება და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე აღსრულების ფურცლის გაცემა. დავის რა საშუალებები არსებობს ჩვენი კანონმდებლობით?**

– დავის განხილვის რამდენიმე გზა არსებობს, კერძოდ, ერთ-ერთი და მთავარი დავის განმხილველი ორგანო საქართველოში არის სასამართლო, რომელიც, თავის მხრივ, სამი საფეხურისგან შედგება, ანუ ითვალისწინებს გადაწყვეტილების 2-ჯერ გასაჩივრების შესაძლებლობას. თუმცაღა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, თუკი მხარეებს შორის იქნება წერილობითი შეთანხმება, მაშინ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს საბოლოო. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პირობა იქნება ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმებულია გამსესხებელსა და მსესხებელს შორის – მაშინ ვერ მოხდება პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. ნებისმიერ შემთხვევაში იმისთვის, რომ გაიცეს აღსრულების ფურცელი, სავალდებულოა: უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ასევე, სასესხო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა შეიძლება დაექვემდებაროს საარბიტრაჟო განხილვას. ამისთვის აუცილებელია გამსესხებელი და მსესხებელი წინასწარ, წერილობითი ფორმით იყვნენ შეთანხმებული, რომ იმ შემთხვევაში თუ მათ შორის წარმოიშვება დავა – მას განიხილავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზეც ხდება სააღსრულებო ფურცლის გაცემა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ხდება სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.

ეს არის ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა სასამართლო პროცედურების გარეშე. ამ დროს კრედიტორს (ბანკს/საკრედიტო დაწესებულებას) შეუძლია, მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და ისე მოითხოვოს მოვალისგან (მსესხებლისგან) ვალდებულების შესრულება. მას შემდგომ, რაც ამ ტიპის განცხადება მიუვა მოვალეს, თუკი მოვალე არ ეთანხმება კრედიტორის მოთხოვნას ან რომელიმე ნაწილს (მაგალითად, მოთხოვნილი თანხის ოდენობას, ჯარიმების ოდენობას და სხვა) – მას შეუძლია, აღსრულების ეროვნული ბიუროდან წერილობითი დოკუმენტის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში იმავე ორგანოში შეიტანოს პროტესტი და დავა ამ ორგანოში შეწყდება. ხოლო თუ მოთხოვნა თანხობრივად ადეკვატურია, მაშინ, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ მხარეებს შორის ამავე ეტაპზე გაფორმდება მორიგება. მნიშვნელოვანია მსესხებელმა იცოდეს, რომ, თუკი ამ ვადაში რეაგირებას საერთოდ არ მოახდენს, მის მიმართ მოხდება გადახდის ბრძანების გამოცემა და დაიწყება იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.

**— ზოგადად, ჯობია, რომ მსესხებელი არ დაემალოს სამართლებრივ პროცედურებს და პროცესში ჩაერთოს?**

– კი, ნამდვილად ჯობია. ასეთ შემთხვევაში აქვს იმის შესაძლებლობა, რომ მოითხოვოს ჯარიმების შემცირება; იცოდეს მოსალოდნელი შედეგები და ა.შ.

### ეს უნდა იცოდეთ

**— ჩაგეძიებით. თუ სწორად გავიგე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს?**

– კი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, როგორც უკვე აღვნიშნე შეიძლება გასაჩივრდეს, ოღონდ ამის საფუძვლები უნდა არსებობდეს.

**— კიდევ არსებობს დავის რაიმე შესაძლებლობა?**

– კი. გამსესხებელმა შეიძლება, დაიწყოს გამარტივებული წარმოება.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

გიორგი ფოფხაძე:
საქსტატს უთქვამს, დავთვალეთ და ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი მხოლოდ 12% - იაო და..... ბეჩააა, მე მგონი ესენი რაცხა სასწოულს ეწევიან ანდა რომელიღაცა პარალელურ განზომილებაში თვლიან აშკარად?



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



26 მაისს ლალი მოროშკინამ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე დაწერა:

„ჩემო ტკბილო და საყვარელო ადამიანებო,

დასრულდა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთი. ურთულესი წელი მქონდა და მადლობა ყველას თანადგომისთვის. გტოვებთ და თან ჩემს გულს გიტოვებთ... არ ვიცი, როდის დავბრუნდები, ან დავბრუნდები თუ არა საერთოდ...

**დამაინტრიგებელი დამშვიდობებაა... სად წავიდა ლალი მოროშკინა და რისთვის, ამაზე თავად გვიყვება:**

# „არ ვიცი, როდის დავბრუნდები, ან დავბრუნდები თუ არა საერთოდ“

## სად და რატომ წავიდა ლალი მოროშკინა?




– მოსკოვში გავაფორმე ხელშეკრულება ერთ-ერთ გამომცემლობასთან, რომელიც დაბეჭდავს ჩემს წიგნს რუსეთში, უკრაინასა და გერმანიაში. ეს ის წიგნია, რომელიც უკვე გაიყიდა საქართველოში. სხვათა შორის, როცა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, ჩემი წიგნი წალებული ჰქონდა გაეროში და თავს იწონებდა, ნახეთ, როგორი დემოკრატია გვაქვს, მსგავსი რაღაცებიც კი იბეჭდებაო. პრეზენტაცია მექნება 2 ივნისს მოსკოვში, ქართულ რესტორან „მარანში“, სადაც ასევე ჩავატარებ პრესკონფერენციას. მოვლენ როგორც ჩვენი თანამემამულეები, ასევე რუსეთის კულტურის მოღვაწეები და პოლიტიკოსები. ისე, ძალიან ბევრს გაუხარდა, ლალი გაიქცა საქართველოდანო. მაგას ვერ ეღირსებიან, მე საკუთარ ქვეყანას დავტოვებ მხოლოდ მაშინ, თუ მოვკვდები. ასეთივე პრეზენტაცია დაგეგმილი მაქვს ოდესაში, სადაც ჩავიტან ჩემს წიგნებს და გავმართავ პრესკონფერენციას.

**— კონკრეტულად ოდესაში, ანუ მიხეილ სააკაშვილის სამფლობელოში?**

– დიახ, კონკრეტულად ოდესაში... მე უკვე გითხარი, რომ წიგნი გამოდის ასევე უკრაინაში. ხელშეკრულება გაფორმებული მაქვს 5 წლით და რამდენიც გაიყიდება, იმდენი დაიბეჭდება პერიოდულად.

ოდესაში არა მარტო მე ჩავალ, ხალხსაც ჩავიყვან, მომღერლებსა და მოცეკვავეებს. სააკაშვილი ისედაც გადასულია ჭკუიდან, ეს მისი „ნორმალური“ მდგომარეობაა. მით უმეტეს, ბოლო დროს „ფორმაშია“, კარგად დგამს სპექტაკლებს. ყველამ ნახა, როგორ შევარდა სპეცოპერაციის დროს თავისი ფონდის ოფისში, თან მიკროფონი ჰქონდა დამაგრებული მკერდზე. ის „ვაჟკაცი“ მხოლოდ კამერების წინ არის, მე ასეთ სააკაშვილს არ ვიცნობ, ყველაფერი თვითონ დადგა და თავზე მოდელირებულად დაესხა სპეცრაზმს. მე მაინც ვფიქრობ, რომ მიშა თავისსავე დაგებულ მახეში გაება, 20 მილიონი გრივნა არ არის ცოტა. რაც გამოუვიდა საქართველოში, ველარ აკეთებს უკრაინაში, კოვზი ნაცარში უვარდება. სხვათა შორის, ის გენერალ ბორისოვთანაც დგამდა მსგავს სპექტაკლებს და ხალხი იჯერებდა...

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



**სანდრო ბრეგაძე:**

მივმართავ პრემიერ კვირიკაშვილს!!!როგორც დაზუსტებული ინფორმაციით ჩემთვის ცნობილი გახდა აპირებთ იმ ახალგაზრდების გაწირვას და დაპატიმრებას , სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას,რომლებსაც ფიზიკური დაპირისპირება მოუვიდათ ნაცმოძრაობის ლიდერებთან (ბოკერია, გუნავა, მელია და ა.შ.) ბატონო კვირიკაშვილო!!! არც გაბედოთ შეასრულოთ ნაცების დაკვეთა და დააპატიმროთ აქტივისტები. განსაკუთრებით ეს ეხება ცნობილ სპორტსმენ ბატონ გეგეშიძეს, რომლის დაპატიმრებაც გთხოვთ გიგა ბოკერიამ.მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის გასაგებია თქვენთვის უცხოა მათი სულიერი მდგომარეობა,რადგან მაშინ როდესაც თქვენ სახლში თბილად იჯექით, ეს ახალგაზრდები 9 წლის განმავლობაში უკომპრომისოდ ებრძოდნენ სააკაშვილის რეჟიმს, მაგრამ სრული უნამუსობა იქნება იმ ახალგაზრდების გაწირვა,რომლებსაც საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ის სისასტიკე რასაც ჩადიოდა სისხლიანი რეჟიმი.არავინ ამართლებს ცემა-ტყეპას,მაგრამ თუ პასუხისმგებლობა აქვს ვინმეს ასაღები, მაშინ როგორც პარტიის თავმჯდომარემ თქვენ უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა და არა იმათ ვინც თქვენი დავალებით იყო მივლენილი არჩევნების დასაკვირვებლად.თუ არ იცით მე შეგახსენებთ,რომ ის მხედართმთავარი ვერასოდეს მოიგებს ბრძოლას, რომელიც საკუთარ ჯარისკაცებს ეფარება და საფრთხის შემთხვევაში წირავს მათ.კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ,რომ თუ პასუხისმგებლობაა ასაღები მოიქეცით ვაჟკაცურად თქვენ აიღეთ პასუხისმგებლობა და ნუ შეასრულებთ ნაცების მორიგ დავალებას!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!!



**დავით კალანდია:**

.. ოცნებავ, ვიცი ჩემი რჩევა არ გაინტერესებს, მაგრამ მაინც! მიშა იცი რითი გჯობნიდა? პიარით. ანუ ქართულად რომ ვთქვათ, ფაბლიქ რილეიშენით. რაღაც ჭაობს გახსნიდა და მთელ სამყაროს შეყრიდა აქედან - იქიდან, ზევიდან-ქვევიდან, ვერტიკალ-ჰორიზონტიდან. ყველას ანახებდა ამ ამბავს, რამოდენიმეჯერ ერთი და იგივეს სხვადასხვა რაკურსიდან გააშუქებდა, თავის დიდ გავას გაუჩერებლივ დაატრიალებინებდა ყველა ტელეარხებზე, გაჰკიოდა: -აბა, ნახეთ, სადმე გინახავთ ასეთი ჭაობი? ეს ყველაზე ჭაობური ჭაობია მსოფლიოში, ამაზე უკეთესი მარტო სან-ფრანცისკოშია და იმასაც უკვე ერხევა, ეს ჭაობი დაასაქმებს მილიონ ბაყაყს, გომბეშოს, კოკორინას, თახვს, წყლის ბულას, ტკიპას, კოღოს...ამ ჭაობის დასაგემოვნებლად ჩამოვა უამრავი ტურისტი გრენლანდიიდან, ანტარქტიდიდან, პიტკერნის კუნძულებიდან, მარიანის ღრმულიდან, ევერესტიდან. ეი, შენ, ბებია, მოდი აქ! ის გამოიჭერდა ვინმე გზააბნეულ, მაგრამ პოლიტიკურად მომზადებულ ბებიას, შეაჯანჯღარებდა, შეასუნთქავდა თავის დამპალ ამონასუნთქს, ჰკითხავდა: -აი შენ, ბებია, ხომ ხარ ბედნიერი ეს ჭაობი რომ გექნება შენი სახლის წინ? ბებია (წვრილი ხმით, შეშინებული); -გაუმარჯოს ჩემს პრეზიდენტ მიხეილ პირველწოდებულს, ვაშაააააა! და ა.შ. ოცნება კი ააგებს კოსმოდრომს,ააწყობს "ფორდის" გადამამუშავებელ გიგანტს, მოაშენებს კოლორადოს ხოჭოს, გათხრის ტონელს ლონდონიდან ბომბეიმდე, დაწერს "კამასუტრას" გაგრძელებას, აღმოაჩენს ბორჩალოში მოცარტის საფლავს, გამოიგონებს ანტიგრავიტაციას, ტელეპორტაციას, უკვდავების მიქსტურას, პენიცილინს, გაიცნობს და ჩამოიყვანს ღმერთს, შეკრავს ცის კამარას, და ყველაფერ ამის შესახებ ვინმე ენაბლუ კორესპონდენტი მკვდარი ხმით იტყვის "სტერეო-მინუსის" ტელეარხზე, ამინდის პროგნოზის შემდეგ. რა, ასე არ არის? ბავშვებო, პიარს მიმიხედეთ, პიარს. მოიკოჭლებს თქვენი პიარი.

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



**ზაზა ფარცვანია:**

ადამიანი რომელმაც: ააშენა სამების ტაძარი, გაარემონტა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა თსუ-ს 1 კორპუსი, გაარემონტა კონსერვატორია, გაარემონტა სამხატვრო აკადემია, გაარემონტა პირველი კლასიკური გიმნაზია, აშენებს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს, ააშენა ფრანგული სკოლა, საქართველოში ააშენა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა 36 სკოლა, აღადგინა და რესტავრაცია ჩაუტარა 540 ტაძარს და ძეგლს. (აგრეთვე კაცხის მონასტერს, ვარძიას, მცხეთა — სვეტიცხოველი, გერგეტის სამებას, უფლისციხეს და ა.შ.), ჯანსულ კახიძის მუსიკალური ცენტრს ჩაუტარა სრული რეკონსტრუქცია, ოპერისა და ბალეტის თეატრს სრული რეკონსტრუქცია, განაახლა და სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზს (ფილარმონია), შოთა რუსთაველის თეატრს ჩაუტარა სრული რეკონსტრუქცია, მარჯანიშვილის თეატრს ჩაუტარა სრული რეკონტრუქცია, გრიბოედოვის თეატრს სრული რეკონსტრუქცია, თავისუფალი თეატრის სრული რეკონსტრუქცია, მოზარდმაყურებელთა თეატრი, თუმანიშვილის თეატრი, მარიონეტების თეატრი, მუსიკისა და დრამის თეატრი,მსახიობების ხელფასით უზრუნველყოფა, ააშენა ბათუმის დელფინარიუმი, ბათუმის ზოოპარკი, ბათუმის ეშმაკის ბორბალი, გასართობი ცენტრი "ციცინათელა",სიღნაღის სრული რეკონსტრუქცია, ბაკურიანის საბაგირო გზა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი, თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი, დააფინანსა 20-ზე მეტი მუსიკალური ანსამბლი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, 2004-2007 წლებში მინისტრების, დეპუტატებისა და ა.შ. პირების ხელფასები, სტიქიით დაზარალებულები დააფინანსა, უამრავ ადამიანს უფასოდ უმკურნალა და არაერთ სტუდენტს აფინანსებს საზღვარგარეთ. ქართული ჯარის ყაზარმების რემონტი და ხელფასები, საპატრულო პოლიციის სრული ეკიპირება და დაფინანსება, სოფელ ჭორვილის მოსახლეობისათვის სახლების მშენებლობა და მათთვის ყველანაირი დახმარების გაწევა, ურეკის დიდი საკონცერტო დარბაზის მშენებლობა, ძვ. თბილისის რეაბილიტაცია, გორი-ჭიათურა-ზესტაფონი ტრასის ასფალტიზაცია; თბილისი ხაშურის ავტობანის თანადაფინანსება; ქუთაისის ძველი უბნის რეაბილიტაცია; საპატრულოს ავტომობილები; საჩხერის და გორის სამხედრო ბაზები; ყველა სარაგბო სტადიონი; რაგბის ნაკრების დასპონსორება; საფეხბურთო ცენტრი "ბასა"; თბილისის კანალიზაცია და სხვა. ამ ყველაფრის გამკეთებელს, რომ ვინმე დასცინებს და იტყვის - "არ მევასებაო", მომკალით და არ მესმის მისი საერთოდ :))) უმადური და უტიფარია ხალხის ნაწილი!



**თეო ტლაშაძე:**

ძალიან არ მინდა ხოლმე რამე დავწერო, მაგრამ ვერ გიძლებს გული, როდესაც ხედავ შეგნებულად ტირაჟირებულ , არათანაბარ და უსამართლო გარემოს, მიყუჟულ მდგომარეობაში მყოფ ქართული ოცნების წევრებს, როცა არაფერს ამბობენ და სრული საინფორმაციო სპექტრი კი ნაციონალებზე განხორცილებეულ "თავდასხმაზე" საუბრობს, "დაჩაგრულები" ყოველთვის ყველას ებრალება და მიზანიც ეს იყო! , თუმცა დაჩაგრული, თავზეგადავლილი და ატირებული საქართველო რომ იყო "გუშინ" ამის თქმა და ახსნა არ შეგიძლიათ?! იმ მოძალადების დასჯით დაიწყეთ ჯერ! მაგრამ ისეთი საშინელი კომპრომატებია ბევრზე, "თაგვის სორო მილიონი ულირთ" ! P.S გათავისუფლდით ასეთი ხალხისაგან! ეს კი საარჩევნოდ დიდი პლიუსი იქნება, რაც თავისთავად შედეგზეც აისახება!

Facebook ამბები



**მერაბ შათირიშვილი:**

26 მაისის სისხლიანი ღამე საქართველოს ისტორიაში მუდამ დარჩება, როგორც მასიური ვანდალიზმი, პირსისხლიანი ხელისუფლების ავადსახსენებლად, ვერასოდეს ვაპატიებ „ნაციონალურ მოძრაობას“ იმ ღამის ტრაგედიას, საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ უსწორდებოდა საკუთარ მოსახლეობას „საკუთარი“ ხელისუფლება - სისხლის ტბორები იდგა რუსთველის გამზირზე, კოკისპურულმა წვიმამაც ვერ გადარეცხა ძმათაკვლის ლექები... სწორედ 26 მაისის სისხლიანი ღამე უნდა გახდეს ქართველი ერის დაუვიწყარი „მაგალითი“, თუ როგორ არ უნდა ექცეოდეს საკუთარ ხალხს ხელისუფლება და, მე, პირადად, არა მარტო ნაცმოძრაობას ვერ ვაპატიებ იმღამინდელ უსისხლგულობას, არამედ იმ ძალას, რომელიც პირსისხლიან „პოლიტიკურ“ მოძრაობასთან ალიანსში შევა, ან - კოჰაბიტაციაში... სირცხვილი და ქართველი ამომრჩევლის თავის მოჭრაა, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ რომელიმე არჩევნებში გამარჯვების პრეტენზიას გამოხატავს და რიგ შემთხვევაში იმარჯვებს კიდეც... არაფრით მესმის, რა ფენომენის ერი ვართ, რომ შეგვიძლია მოვითმინოთ და რაიმე სახით პოლიტიკურ არენაზე ვიხილოთ ძალა, რომელმაც 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიაზე გაცილებით დიდი ტრაგედიის ფურცელი შექმნა ქართულ სინამდვილეში და, რომელმაც ქუჩებში ბელურებივით ხოცა ახალგაზრდა ბიჭები - მიწისქვეშა სამალავები გამოთხარა და „ურჩი“ მამაკაცები აუპატიურა... როგორ უნდა დაგვიბნელდეს გონება და დავივიწყოთ ის საშინელებანი, რისი მომსწრენიც უახლოესს წარსულში ვიყავით; როგორ უნდა დავივიწყოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ერთიანობის განცდა, რომლის მიზანი ავადსახსენებელი ნაციონალების პოლიტიკურად განადგურება იყო და, რამ უნდა გაგვანაწყენოს ისე (თუნდაც არსებული ხელისუფლებისა და სახელისუფლო პარტიის შეცდომების არსებობისა), რომ ხელი ჩავიქნიოთ მომავალზე, გავხდეთ ინერტულები და მკვდრეთით აღდგომის საშუალება მივცეთ 9 წლიანი ჯოჯოხეთის ავტორებს?!. ვერაფრით ვაპატიებ „ნაციონალურ მოძრაობას“ 26 მაისის სისხლიან ღამეს!..

მ.შათირიშ...

---



**გოგი ლორთქიფანიძე:**

....ერთსაც ვიტყვი ამ თემაზე და ეგააა...

ნაცების ეგ ნაცემი ლიდერშიპი და კიდევ სხვებიცპასუხისმგებლები არიან იმ სისასტიკეზე რაც ბევრმა ჩვენთაგანმა იწვნია იმ 9 წლის განმავლობაში... ბევრი სისაძაგლე იყო და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... ზონდერები და დამრბევთა ბრიგადები ისეთი უნდა მაგ ღრმად პატივცემულებს რომ ყავდათ....

სუფთა ადამიანურად იოხებს ბევრი ჩემი მეგობარი მათი ცემის ფაქტით თავს და კარგად მესმის მათი...

თუმცა მე პირადად იმ კადრებმა შიშის მეტი არანაირი გრძნობა არ აღმიძრა....

ისევ იგივე წრეზე წავალთ ასე პატივცემულებო...

ჩხუბი და ცემა საყოფაცხოვრებო დონეზე კიდევ გასაგებია, მაგრამ როგორც კი ეს პოლიტიკაში გადადის მაშივე დგება ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რყევის და მოშლის საშიშიროება და ეგ მაშფოთებს მე...

მხოლოდ კანონი და მისი ჯანი...

დღეს გალახავენ მაგათ, ხვალ ვინმე სხვა პოლიტიკური სასტავი არ მოეწონება პარტიულ ელექტორატს და იმათი ცემა გამართლდება, ზეგ სხვა და ა.შ.

ხოდა ვიაროთ ასე მუდმივად ამ მოჯადოებულ წრეზე პატივცემულებო???

პ.ს.

ამ ცოტა ხნის წინათ მე პირადად მქონდა ისეთი სიტუაცია, რომ ერთ-ერთ მათგანის და მისი მხლებლების ცემა მშვენივრად შემეძლო მეც და ჩემს მეგობრებსაც... მაგრამ იმ სიტუაციაში არაფრით არ შეიძლებოდა ეგ ამბავი... საქმე გაფუჭდებოდა..

პ.ს.ს.

ხოდა ისე მაინც ცემეთ თქვე ოჯახაშენებულებო, რომ ქვეყანამ არ გაიგოს და საქმეც არ გაფუჭდეს

ვერა? ? ?




გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



## ზურა ყიფშიძე — „ლენინი მოკვდა“



შოთა მანაგაძე იღებდა ფილმს „წუთისოფელი“. იქ ერთი სცენა იყო, სადაც მე უნდა შევსულიყავი ოთახში და სრულ სიჩუმეში გამომეცხადებინა – „ლენინი მოკვდა!“. ამ ფრაზას ვერ ვამბობდი და გადაღება ერთი კვირა გაიწელა. როგორ უნდა მეთქვა ეს? მერე შოთა მანაგაძემ ჭოჭი მომცა, შინ მივედი და დედაჩემს ვუთხარი: დედა, „ლენინი მოკვდა!“ ვერ ვთქვი და რაიმე მიშველე-მეთქი. დედამ შემომხედა და მეუბნება: „წარმოიდგინე, რომ მე მოვკვდი, შვილო, ვითომ ლენინი ვარ“. გაგიჟდი, ადამიანო, რას ამბობ-მეთქი. ბოლოს ერთი კვირა დედაჩემთან ვივარჯიშე. მივედი გადაღებაზე, გავაღე კარი და ვთქვი – „ლენინი მოკვდა!“ სოფიკო ჭიაურელმა გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა: „შვილო, ისეთი სახე გქონდა, თითქოს მართლა ლენინი მოკვდაო“.

## ტრისტან სარალიძე — „სიყვარული ყველას უნდა“

კახეთში ვართ ფილმის გადაღებაზე. გივი ბერიკაშვილი კახელებისთვის მიწაზე მოსიარულე ლეგენდაა და თავებს „იხოცავდნენ“ სიყვარულის დასამტკიცებლად.

ჰოდა, მე და გივი სასტუმროს ერთ ნომერში ვცხოვრობდით. კარზე დააკაკუნეს, გავიხედე, „ჩვენა ვართ, გივი“, მითხრეს კარის გაღებამდე. სიჭარმაგეში შესულ კაცს ხელში ათლიტრიანი ბოცა ეჭირა. ჩემი ღვინისა მოვართვი გივისო. ბატონი გივი არ გახლავთ-მეთქი. „შენ ხომ ხარ, შენც კარგი ბალღებისა სჩანხარო“,

მითხრა და შემოვიდა. გვიანი იყო, ყველა მაღაზია დაკეტილია, საჭმელი და პურიც აღარ მქონდა. თავი უხერხულად ვიგრძენი „მასპინძელმა“.

მერე გამახსენდა, რომ პიჯაკის ჯიბეში მზესუმზირით სავსე პარკი მქონდა, დავყარე თეფშზე და შევმატე სუფრას „ლაზათი“.



მაინც მოვილხინეთ და მთელი ღამე ვახსენებდით ერთმანეთს, „ნუ მორცხვობ, ყველაფერი საჭმელად არის მოტანილიო“.

მეორე დღეს „პატივნაცემმა სტუმარმა“ თავის „ოჯახში“ გადაგვიპატიჟა მთელი გადამღები ჯგუფი. იქვე სამზარეულოში მოფუსფუსე ქალები ჩემზე „ჭორაობდნენ“ და ყური იმათკენ გამექცა. ეს ბიჭი მეველის როლში რო გამოდის, იგეთი ნიჭიერია, მაგრამ მსახიობი არა ყოფილა. დიდუბის ბაზარში თავისი მოყვანილი კიტრი დაჰქონებია გასაყიდად, რეჟისორს შემთხვევით მოსწონებია და უთქვია, ოღონდ კინოში წამოდი, დღესვე მოგცემ არტისტის დიპლომსო. მეორემაც დაადასტურა, აი, მაგასა ჰქვია ყისმათი, ხო შეიძლებოდა, ვერ შეემჩნია და კიტრი გამყიდველად დაბერებულიყო. ახლა კიდე, გენაცვა, ყველა ბატონო-პატივცემულოთი ელაპარაკება და თავისთვინ ქვაცა აქვ და კაკალიცო“.

## ხათუნა ბოკუჩავა — „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“

ახალი გადაღებულია ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“, სადაც მართლაც არაჩვეულებრივად თამაშობს რუსი მსახიობი ვიაჩესლავ ტიხონოვი.

დასში გვყავს შინაბერა, გაუთხოვარი მსახიობი, რომელიც გიჟდება მასზე, აბოდებს ტიხონოვზე, ტელევიზორს მიწებებული უყურებს სერიალს, კადრი რა არის, კადრს არ ტოვებს.

მსახიობები შეკრებილები ვართ თეატრის ფოიეში, ტელევიზორია ჩართული და თვალს ვადევნებთ მორიგ სერიას, ვსაუბრობთ, ტიხონოვისა და სხვა მსახიობების თამაშს განვიხილავთ.

იქვეა გიზო სიხარულიძის



ცოლი – ეთერი, ძალიან თბილი, არაჩვეულებრივი ქალი, მაგრამ ბავშვივით გულუბრყვილო და მიამიტი, არანაირი ქვეტექსტი მას არ ესმის. რასაც ლაპარაკობენ, ყველაფერს პირდაპირი მნიშვნელობით იგებს.

შემოგვიერთდა ამ დროს ეს ჩვენი „ყურებამდე შეყვარებული“ შინაბერა მსახიობი, დაინახა ტელეეკრანზე თავისი „გულის მურაზი“, თვალები გაუბრწყინდა და აქოთქოთდა:

– შენ შემოგევლე, რა ხარ, რა? კაცი ხარ არნახული... ნეტა, ერთი ოცდაათი მანეთი მაშოვნინა, ჩავიდოდი მოსკოვში, მივცემდი ტიხონოვს და ჩამოვიდოდი უკან!

რა თქმა უნდა, ეს ნათქვამი გაიგო ეთერმაც, და გაიგო პირდაპირი მნიშვნელობით:

– ი, რათ უნდა ტიხონოვს შენი ოცდაათი მანეთი, ასეთ ფილმშია გადაღებული და ფული არ ექნება?!

## დიმიტრი ტატიშვილი — „პახმელიაზე“

როდესაც მუშაობა დავიწყე, განგებამ მარჯანიშვილის თეატრში გამანაწილა. რაც არ უნდა იყოს, ჯერ ახალგაზრდა მსახიობი ვარ. ქეიფობის სერია მიდიოდა იმ დროს. წამიყვანეს საქეიფოდ. უარს როგორ ვეტყოდი თეატრის კოლორიტთა კოლორიტს გოგი გელოვანს?

მოკლედ, კარგად ვიქეიფეთ. წავედი სახლში, თაგვივით მთვრალი ვარ. დილით ძმაკაცი მესტუმრა ქუთაისიდან „ვსვიიიიით“! საღამოს რეპეტიციაა. მივედი და რას ვხედავ? – შესასვლელი კარი დაკეტილია. დამცეცხლა. როგორია, რეპეტიციაა და არ მიშვებენ. გავიწიე და თხა და გიგოსავით ვეძგერე კარს. მალე ვიგრძენი, რომ თავიდან ოფლის გარდა, სისხლიც გადმომდიოდა.

– რას აკეთებ, ბიჯო, შენ აქ? – დამადგა მორიგე მილ-



იციელი.

– კარს დავეჯახე და უკან გადმოვვარდი, – არ დავმალე ფაქტი.

– ვაა, ყოჩი ხარ? რის კარს დაეჯახე, შენა?

– თეატრის, – დავაწექი ჩვენებას. – რეპეტიციაა „საბრალდებო დასკვნა“.

ამ დროს გარეთ თეატრის დარაჯმა გამოიხედა.

– რად აკავებთ? – ეკითხება მილიციელს.

– რეპეტიციაზე მივდივარო...

– ვაა!... გაუშვი, რა! გაუშვი, ისე დღეს დასვენების დღეა – ორშაბათი, გაუშვი“.

Facebook ამბები



**გიორგი გუგავა** (გოგი თოფაძის განცხადებაზე, ერთი კაცის სიკვდილი რომ უწოდა ხურჩის ტრაგედიას):

..ცოცხალი ლეში, რომელსაც არაფრად უღირს არაცერთი ქართველის დაღვრილი სისხლი და შეწირული სიცოცხლე. ოღონდ თავისი ბიზნეს ინტერესები იყოს დაცულ - გაფართოებული (მათ შორის ლუდად წოდებული შარდის) და ქვეყანასაც და ხალხსაც თხასავით გაყიდის მტერზე.

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „ქართული პოლიტიკა, გინდ პოზიცია და გინდ ოპოზიცია, პროვინციალიზმია და თამაში... მე, უბრალოდ, ქართველი ხალხი მეცოდება, რადგან სათამაშოდ გვაქციეს...“

**„ორ ფოტოში 150 დოლარი ავიღე. წავედი და ამ 150 დოლარით ჩემი სწავლის ფული შევიტანე“**





**ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი 22 წლის წარმატებული ქართველი მოდელი გიორგი ჯავახიშვილია. ის დღეს საზღვარგარეთაა და ინტერვიუ „ფეისბუკის“ მეშვეობით ჩავწერე. :**

**— გიორგი, რა ასაკიდან დაიწყე მოდელობა?**

– 14 წლის ვიყავი, როდესაც ფილმში გადაღება შემომთავაზეს. სწორედ იქ, გადაღებებზე, ქალბატონმა თეა აგლაძემ შემომთავაზა, მის სააგენტოში მივსულიყავი. თავიდან ძალიან ბევრი რამის სწავლა დამჭირდა, ხოლო ახლა ქალბატონ ნინო ცქიტიშვილის სააგენტო „ლუქ მოდელს“-თან ვთანამშრომლობ უკვე 4 წელია.

**— რატომ გადაწყვიტე, ამ საქმიანობას გაჰყოლოდი? რამ დაგაინტერესა მასში?**

– თავიდან, როდესაც ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ძალიან უინტერესოდ მეჩვენებოდა ეს ყველაფერი. თან მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა საქართველოში სტერეოტიპი ქართველ მოდელ ბიჭებზე, მაგრამ შემდეგში იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ჩემი მუშაობა ამ სფეროში, რომ ძალიან მსიამოვნებდა და მიყვარდა თითოეული ჩემი გადაღება და თვითონ სამუშაო პროცესიც. ამიტომ აქტიურ მოდელობას სიამოვნებით მივყავი ხელი.

**— თუ გახსოვს, პირველი ხელფასი რამდენი აიღე და რა შეგრძნება გქონდა, როდესაც საკუთარი შემოსავალი გაგიჩნდა?**

– კი, მახსოვს, ორ ფოტოში 150 დოლარი ავიღე. წავედი და ამ 150 დოლარით ჩემი სწავლის ფული შევიტანე, ამით ძალიან ბედნიერი ვიყავი... მოდელობის პარალელურად, ეკონომიურზე ვსწავლობდი, მაგრამ ჩემი თავი, როგორც ეკონომისტი, არ წარმომიდგენია. ბანკშიც მიმუშავია, მაგრამ მივხვდი, რომ ის ჩემი სფერო არ იყო... თანამოქალაქეების პრობლემების შესახებ რაიმე ინფორმაციას რომ ვიგებდი, ძალიან ვწუხდებოდი, რადგან ბანკში ათასი მომხმარებელი, ათასი გაჭირვებული ადამიანი შემოდის და საჭმლის ფულს ითხოვს, შემდეგ ამ ადამიანებთან ურთულეს პირობებში გიწევს მუშაობა, რაც ჩემთვის დამთრგუნველი იყო... მინდოდა მათ დავხმარებოდი, მაგრამ მე ვერაფრით ვეხმარებოდი... ერთ დღესაც ცუდი შემთხვევა მოხდა და სამსახურიდან წამოვედი.

**— მომიყვები, რა მოხდა?**

– ზოგადად, საბანკო სისტემაში მომუშავე ხალხი სულ სტრესში ვართ, ჩვენ ვერ ვიღებთ ხალხისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებას, ვერც ვეხმარებით, როდესაც ფინანსური, თან ძალიან სავალალო პრობლემები აქვთ, სულ მინდოდა, რამით დავხმარებოდი მათ, მაგრამ არ გამომდიოდა... თან ჩვენ საბანკო სისტემა სულ საკრედიტო ბარათებსა და იპოთეკაზეა აგებული, რაც ძალიან მიუღებელია ჩემთვის... ერთ დღესაც, უბრალოდ, მივიღე კარგი შემოთავაზება, რის გამოც მიწევდა საქართველოდან წასვლა და ამ მიზეზით დავტოვე სამსახური.

**— რომელ ქვეყანაში ხარ ახლა და მანდ რას საქმიანობ?**

– ახლა ისრაელში ვარ. ძირითადად, სულ ვვარჯიშობ და აქაურობას ვათვარიელებ. აქ ძალიან კარგი ხალხი ცხოვრობს, მშვიდი გარემოა... ვსწავლობ მათ ენას და აქაც ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ, მაგრამ ჩემი აქ ყოფნა უფრო საკუთარი თავის განტვირთვაა.

**— ანუ მანდაც მოდელობ ამჟამად, თუ სხვა საქმე გამონახე?**

– აქ, ჯერჯერობით, არ ვმოდელობ, მაგრამ არ ვიცი, რატომ – ქუჩაში როდესაც გავდივარ, ხალხისგან ძალიან დიდ სითბოს ვიღებ, ხვდებიან, რომ მოდელი ვარ. აი, ტაქსტშიც რომ ვჯდები ხოლმე... მე და ჩემს მეგობარს ერთხელ ქალი ტაქსისტი შეგვხვდა და მათი დამოკიდებულება ჩემს პროფესიაზე, ჩემს შეხედულებაზე ძალიან მომწონს, რადგან მაინც ვიზუალზე მეტყობა ისედაც, რას ვსაქმიანობ. ჯერჯერობით, აქ მხოლოდ ვსწავლობ, ვცხოვრობ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ვვარჯიშობ, რაც ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია და ვეცნობი ამ ქვეყნის კულტურას, რაც ძალიან მომწონს.

**— აქ, საქართველოში, როდესაც უკვე წარმატებული მოდელი გახდი, როგორი იყო შენი შემოსავალი საშუალოდ? ანუ რამდენად ადვილია ბიჭისთვის მოდელობა და ფინანსურად რამდენად მომგებიანია?**

– იყო პერიოდი, როდესაც ძალიან ამოჩემებული მოდელი ბიჭი ვიყავი, ბევრი გადაღება მქონდა. აი, იმ პერიოდში უფრო, როდესაც ბევრთან ვმუშაობდი, ცოტას მიხდიდნენ, მაგრამ, როდესაც უკვე გავიზარდე, ყველაზე ბევრი ერთ გადაღებაში საქართველოში 500 ლარი ავიღე, მეტი არა. ბაქოში კიდევ, სადაც „არმანის“ გადაღება მქონდა, კარგად გადამიხადეს, მაგრამ რამდენი – ვერ დავკონკრეტდები (იღიმის). ზოგადად, მინდა ერთი რჩევა მივცე დამწყებ ქართველ მოდელ ბიჭებს: ჩემი აზრით, ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდებათ მათ საკუთარ თავზე, ბევრი რაღაცის შეცვლაც მოუწევთ თავიანთ პირად ცხოვრებაში... ივარჯიშონ საკუთარ თავზე, გაეცნონ მოდის უცხოურ ბაზარსა და ტენდენციებს.

**— გიორგი, მოდი, შენს ოჯახზეც მოგვიყევი. ისიც საინტერესოა, როგორ შეხვდნენ თავიდან შენს გადაწყვეტილებას მოდელობაზე?**

– მე ძალიან დიდი და ლამაზი ოჯახი მყავს. დედა მრავალი წელია, საზღვარგარეთაა, მამა ერთ-ერთი რაიონის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეა, მაგრამ მოდი, არ დავაკონკრეტებ, რომლის, არ გვინდა პოლიტიზება... ისე, ჩემი მშობლები ორივე ეკონომისტები არიან, მათი სურვილი იყო, რომ მეც მათი გზა გამეგრძელებინა... მყავს არაჩვეულებრივი დები და საყვარელი დისშვილები, რომლებიც ძალიან მენატრებიან... რაც შეეხება ოჯახის დამოკიდებულებას ჩემს მოდელობაზე: ჩემი ოჯახი ჩემს გადაწყვეტილებას ყოველთვის პატივს სცემდა. ნდობის ფაქტორია, უბრალოდ. მე ყველაფერში და ყოველთვის ხელს მიწყობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მე ცუდს არაფერს ვაკეთებდი.

**— ასეთ კარგ ბიჭს შეყვარებული თუ ჰყავს?**

– მყავს გვერდით ისეთი ადამიანი, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ და ყველაფერს აკეთებს ჩემი გულისთვის, ძალიან მაბედნიერებს და ძალიან მიყვარს.

**— ცოტა ქართულ პოლიტიკაზეც რომ ვისაუბროთ, რას იტყვი?**

– ქართული პოლიტიკა, გინდ პოზიცია და გინდ ოპოზიცია, პროვინციალიზმია და თამაში... მე უბრალოდ ქართველი ხალხი მეცოდება, რადგან სათამაშოდ გვაქციეს... ამ თემას აღარ განვავრცობ, რადგან ძალიან კრიტიკულად გამომივა...

**— კარგი... დაბოლოს: შენი სამომავლო გეგმები როგორია? საქართველოში როდის აპირებ დაბრუნებას?**

– ჩემი სამომავლო გეგმები ძალიან შრომატევადია... ბევრი კარგი საქმის გაკეთება მინდა. ამ სფეროშიც ვაპირებ ისევ აქტიურად მუშაობას. საქართველოში კი აგვისტოში ჩამოვალ. ბოლოს მინდა აუცილებლად დავამატო: ჩემი ქვეყანა და ჩემი ქართველი ხალხი ძალიან მიყვარს, მელამაზება და მეამაყება, რომ ქართველი ვარ.

## Facebook ამბები

facebook



**ხათუნა ხოფერია** 2011 წლის 26 მაისის კადრებს ავრცელებს და წერს:

ყველამ უყურეთ!!!! ვინც ითხოვთ, რომ ოდესმე უნდა დამთავრდეს ანგარიშსწორება, ვინც დემოკრატობთ და "სვეცკობთ".... უყურეთ!!!!..... ამაზე პასუხი არავის უგია!!! ბოკერიასთვის ამორტყმული პაჩურისთვის იჭერთ ბიჭებს???... წუკლარა ნაბიჭვარს "პადლეცი" რომ გაარტყეს სახეში მაგისთვის იჭერთ ჩვენი ღირსების დამცველებს?... ყველამ უყურეთ!!!!!!!!!!!......... ეს თქვენ გვაიძულეთ შიშველი ხელებით ვიბრძოლოთ სამართალისთვის!!!!!!!!!!

**თემურ ბასილია** - ეგ ხო მაგრამ ვინც ამათ ხელს აფარებენ ოთხი წელია, ისინი რით არიან ამათზე უკეთესები ?

facebook



**კახა კუკავა:** "ოცნების" ე.წ. ახალი სახეების შესახებ, რომლებიც თავგამოდებით ამართლებენ ძალადობას: მე ერთადერთი მთავრობა რომლის გულშემატკივარიც ვიყავი პირველი ეროვნული მთავრობა იყო (ზვიად გამსახურდია), ყველა დანარჩენი: შევარდნაძე - სააკაშვილი - ივანიშვილი ჩემთვის ერთი და იგივე ოლიგარქიული სისტემის ნაირსახეობებია, თუმცა 4-ვე მათგანს აქვს მთელი რიგი იდენტური სიმპტომები, მ.შ: როდესაც ხდება სამთავრობო გუნდში ზომიერი, კონსტრუქციული სახეების გარიყვა და დევალვაცია, ხოლო პარალელურად იზრდება მოთხოვნა "მოჭიდავეებზე" და აგრესიულ ორატორებზე, ეს 4-ვე შემთხვევაში დასასრულის დასაწყისია.

facebook



**მალხაზ თოფურია:** . 26 მაისს სადისტურად ნაცემ-სულამოხდილი და ჯიხურზე შემოწყობილი ხელბორკილებდადებული ადამიანები უნდა გავიხსენოთ, თუ ნიკანორს ვავა და ფუა რომ აქვს "ებალნიკზე": ეგ უნდა დავგმოთ?

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook

facebook

**ხათუნა ხოფერია** (სააკაშვილის განცხადებაზე – „მე ვაპირებ საქართველოში ჩამოსვლას და პროცესებში ჩართვას“):

ჩამოდი, ჩამოდი!!!!..... გახსოვს, რესტორანში რომ ველარ შედიოდი?!... სადაც გაივლიდი ყველა რომ გაფურთხებდა ... შიშისგან რომ დასოვდი და კოკაინს მიეძალე!!!... ჩამოდი!!!!!!..... სამართალია აღსადგენი!!!! მაგრამ, რისი ჩამომსვლელი ხარ!?... შე ქვეშაფსია კურდღელო!!!...



Facebook ამბები

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**



არასამთავრობოები უჩა ნანუაშვილის გადაგომას ითხოვენ იმ დროს, როდესაც მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს დაპირისპირებები რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე, საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი წლებია ამ მიმართულებით , ეწევა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. რავ ვლინდება მის განცხადებებსა და ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში. კულმინაცია ამ კუთხით იყო 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, როცა "სახალხო დამცველი, ბავშვებს ტაძრებში შესვლას, სანთლის დანთებას და ლოცვის აკრძალავის ინიციატივითაც კი გამოდის და უკვე მერამდენედ საქართველოს ისლამოფობიაში და რელიგიური კონფესიების მიმართ შეუწყნარებლობაში ადანაშაულებს., გვიჩნდება დასაბუთებელი ეჭვი ვივარაუდოთ, რომ სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ასრულებს უცხო ქვეყნის შესაბამისი სამსახურების დავალებებს, რათა საქართველო რელიგიური დაპირისპირების ქარცეცხლში მოექცეს. ამის თქმის საფუძველს იძლევა მისი და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შეწყობილი მუდმივი ისტერია იმის შესახებ, რომ საქართველოში რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს. ამ დროს კი საქართველოში დიდი შეტევაა პატრიარქზე და მართლმადიდებლებზე და არცერთ ანგარიშში ამაზე არაა გამახვილებული ყურადღება. სახალხო დამცველი დღევანდელი ოფისი არის ბუდე სადაც მოკალათდნენ ყველა ის ადამიანები, რომლებიც ქართულ სახელმწიფოს ყოველდღიურად ებრძვიან. აქედან გამომდინარე 10 არასამთავრობო და საზოგადოებრივო ორგანიზაცია ითხოვს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომას, რადგან ის წარმოადგენს ქვეყნისათვის სერიოზულ საფრთხეს. - აღნიშნული არასამთავრობო და საზოგადოებრივო ორგანიზაციების განცხადებაში რომელსაც ხელს აწერს. „უფლებადამცველთა გაერთიანება'', ,- ნიკოლოზ მჟავანაძე , პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა''- ლაშა სტურუა „ ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია''-გრიგოლ გაგნიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭო''-მამუკა ტუსკაძე „საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირი''-მაკა ჯანელიძე „საკუთრების უფლებადამცველთა გაერთიანება''-მანანა რთველიაშვილი „მსჯავრდებულთა იურდიული დახმარების და ჯანდაცვისა და შემდგომი რესოციალიზაციის ცენტრი''- დიმიტრი თედოშვილი „დაიცავი შენი უფლებები''- ლაშა გოლუბიანი საზოგადოებრივი გაერთიანება „სამართლიანობისთვის....

**მალხაზ თოფურია:**



... ნაც მოძრაობის სიის შუბლის ძარღვს,, მშვიდობისა და კეთილშობილების სიმბოლოს, კეთილშობილ ქალწულთა პანსიონის ორდენის კავალერს, მშვიდობის მტრედს, თეთრ მანდილს, რეინკარნირებულ ნელსონ მანდელას სულს........ ბადრი ბასიშვილს! ჯერ არ დაუგმია "ძალადობა"?

**ნინო ჯღარკავა** -აგერ კედელაშვილმა ხომ დაგმო

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რა გარიგებები მიმდინარეობს წინასაარჩევნოდ და როგორ აყალბებენ პარტიები საარჩევნო რეგისტრაციისთვის წარდგენილ სიებს?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

— სკანდალი იქნება ის, რასაც ახლა მე საარჩევნო გარიგებებზე გეტყვით. საქმე ისაა, რომ ეს გარიგებები ხდება საზოგადოების თვალისგან კარგად მოშორებულად და ეს ხდება სუს-ში.

— **სუს-ი როგორ ალაგებს ამას?**

ბი არამარტო ამ მიმართულებით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ „ალიას“ მეშვეობით, გასულ კვირაში სკანდალურ საკითხზე ვისაუბრე, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიები საარჩევნოდ მხარდამჭერთა სიებს აყალბებენ, პროკურატურა ამ დრომდე არავინ დამკავშირებია და არ უკითხავთ, ასეთ მნიშვნელოვან ფაქტზე მქონდა თუ არა მტკიცებულებები. მე ამ ფაქტის მტკიცებულებით ნაწილს წარმოგიდგენთ და შეგიძლიათ, გამოაქვეყნოთ კიდეც.

მოკლედ შევახსენებ საზოგადოებას, რაზეც ვსაუბრობ: საქართველოში, არჩევნებში მონაწილე პარტიების უმრავლესობას, გაყალბებული აქვს ხელმომწერთა სიები.

მონაცემებს და მერე, ეს გაყალბებული მონაცემები მიდის ცესკოში.

ანუ, რეალურად, პარტიათა მინიმუმ 80%-ს ნამდვილი მხარდამჭერი და მით უმეტეს 25 ათასი ადამიანი, თითქმის არავის ჰყავს და ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ არჩევნების გაყალბება უკვე დაწყებულია ამ სახით. პირველი ასეთი მაგალითი აღმოვაჩინე ბურჯანაძის პარტიის ნაძალადევის ოფისში, სადაც ეს ხდებოდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე და ბოლო მაგალითი შემიძლია, მოვიყვანო

# „ეს სკანდალური გარიგებები ხდება სუს-ში!“

## „იმ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, ყველას აქვს სუს-თან ურთიერთობა, რაც სხვადასხვა დონეზეა დალაგებული“





— იმ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, ყველას აქვს სუს-თან ურთიერთობა, რაც სხვადასხვა დონეზეა დალაგებული, რასაც სუს-ში ბატონი გოგაშვილი ხელმძღვანელობს. დღეს ის პირები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კუდ-თან, რეგიონებში პოლიტიკურ სიტუაციებს ალაგებენ. მაგალითად, ლევან მამალაძის პარტიას, ქვემო ქართლში სიტუაციის დალაგებაში ეხმარებოდა კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ბატონი ლელუაშვილი. სანამ ლელუაშვილს დააპატიმრებდნენ, მანამ ის, უშუალო კონსულტაციებს გადიოდა მამალაძის პარტიის დახმარების თაობაზე. მამალაძის პარტიას კი უშუალოდ ეხმარება მიშა სააკაშვილის პირადი მრჩეველი კარაევი. ეს ორივე შემთხვევა კი დაკავშირებულია უშიშროებასთან, რადგან ლელუაშვილიც უშიშროების კაცია და კარაევიც. გარიგებებში გაყალბებაში ვგულისხმობ შემდეგ რამეს – სიები, რომლებსაც პარტიები წარადგენდნენ ცესკოში, რეალურად არ იყო ხელმოწერილი რეალური მხარდამჭერებისგან. ეს სიები იყო გადაწერილი და გაყალბებული. ანუ თითქმის არც ერთი მოქალაქე არ აწერდა ხელს იმ სიას. ანუ ძირითადად მხარდამჭერთა სიები შედგენილია პენსიონერების, სოციალურად დაუცველების და ა.შ. მონაცემებით. ეს სიები პარტიების ხელში ხვდება ყველა იმ ადამიანის მეშვეობით, ვისაც ხელი მიუწვდება მონაცემთა ბაზებთან. ამ სიების სანაცვლოდ, ზოგიერთი ფულს იღებს, ზოგიერთს პირადი ინტერესი აქვს... მიწოდებული სიებიდან იღებენ ადამიანების სახელებს, პირად ნომრებს, მერე სვამენ მათივე გუნდის წევრებს, ეს მონაცემები გადააქვთ მათივე ბლანკებზე, რამდენიმე ათეული ადამიანი აწერს ხელს ამ

მამალაძის პარტიის მაგალითზე, რომელიც იმ ნიშნით შევარჩიე, რომ, წესით და რიგით, ეს პარტია საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობდა. ამიტომაც დავინტერესდი, როგორ იქნებოდა ამ შემთხვევაში პარტიის რეგისტრაციის საკითხი. ჩავერთე უშუალო პროცესში და ჩემდა გასაკვირად, ძალიან მარტივად. სიების შეგროვებით დაწყებული, ყველა პროცესში მივიღე მონაწილეობა. მარტო მე მაქვს ხელთ ამ პარტიის მიერ გაყალბებული 7 ათასი ხელმოწერა და ამას აკეთებდა ზუსტად ის გუნდი, რომლებიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ბურჯანაძის პარტიის სიებს აყალბებდა. აი, ასეთი სახით მოდიან ხელისუფლებებში და ამიტომაც არ გააჩნიათ ხალხის მიმართ მერე ვალდებულებები.

Facebook ამბები

**სალომე ზურაბიშვილი:**



რამდენიმე კითხვა კორცხელის შესახებ: 1. ნაციონალურ მოძრაობის მიმართულებით : ცემა ტყეპა ზონდერების გამომგონებლებს რაღა უკვირთ და რამდენი მათი ზონდერი დაისაჯა და როდის ? თუნდაც პირდაპირ მკვლელობის გამო დაისაჯა ვინმე ? ! ... 2. საზოგადოების საყურადღებოთ : კვირა დღეს მომხდარ ინციდენტზე ევროპარლამენტის ეპპ ჟაშეკ სარიუშ ვოლსკის რეაგირების წერილი ჩვენთან ორშაბათ დილის ეთერში უკვე იშუქებოდა, ევროპაში დილა რო თენდებოდა... რისი მანიშნებელია: წინასწარ დამზადებული წერილისა თუ წინასწარმეტყველ პარლამენტარის? 3. და მთავარი - ოცნების მისამამართით: კორცხელის ამომრჩეველს რათ დაუტოვეთ ასეთი უსაძლისი "არჩევანი" ანუ ნაციონალურ მოძრაობის წარმომადგენლის და "არც ისე ყოფილ" ნაციონალურ მოძრაობისპარტიის წევრის შორისა... ????

**ირინა სარიშვილი:**

**თორმეტი ფრენდიი დაამეკარგააა წითეელპერაანგააააა...**



ეხლახანს შევიტყვე რომ ჩემი ბოლო სტატუსებიდან გამომდინარე ფბ—ს ქოცზონდერების ჯგუფი გეგმავს ახალი ჭორების გავრცელებას ჩემზე. შიგ კაკალ გულში მოხვდათ ეტყობა. ველი სულმოუთქმელად.

მანამდე კი ყველას, ვინც თვლით რომ ჯვარი მაქვს თქვენზე დაწერილი და ჩემ ცხოვრებაზეც და პოზიციაზეც ანგარიში თქვენ უნდა გაბაროთ, თან თუ არ ემთხვევა თქვენ აზრს, ბოდიშიც უნდა მოგიხადოთ, არ მოგერიდოთ და ფეხაკრეფით გაიძურწეთ ჩემი სამეგობროდან, ნუ იხმაურებთ.

მათთვის კი, ვინც გულწრფელად დაბნეულია და უბრალოდ გარკვევა აინტერესებს, რას ვწერ და რატომ ვწერ, მოგვიანებით შევეცდები ყველას ერთიანად გავცე პასუხი :) . თუმცა აქამდე იმედი მქონდა რომ საკმაოდ მარტივი ენით გადმოვცემდი ჩემ სათქმელს.

ისე კი, ვისაც პოლიტიკა სხვა პროფესიებისგან განსხვავებით, ყველასათვის ხელმისაწვდომი საქმე გონია, ერთ რამეს გკითხავთ:

მოვედი თქვენთან რომელიმესთან და აგიწიეთ შტანგა?

## 30 მაისი, 5 ივნისის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – ფორტუნა ვერძებს ანებივრებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოვლენა შეუძლიათ. სწორედ ეს თვისება დაგეხმარებათ, მოიპოვოთ საწინააღმდეგო სქესის ყურადღება. ბრწყინვალე დროა ნაცნობობისთვის, ურთიერთობის გაბმისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის. განსაკუთრებით ხელსაყრელი პერიოდია ბავშვის ჩასახვისთვის და ოჯახური კავშირის განმტკიცებისთვის. გამონახეთ დრო სასიამოვნო მოგზაურობისთვის – შედეგი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს.

**სამსახური** – განსაკუთრებული მოლოდინები ამ ეტაპზე ნუ გექნებათ.

**სასიკეთო დღეები:** 30, 31 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 ივნისი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – არც ისე იოლად გაქვთ საქმე. გულზე თითქოს კლიტე გადევთ, რამაც შესაძლოა, არსებულ ურთიერთობებზე უკიდურესად ნეგატიური გავლენა იქონიოს. ყოველდღიური პრობლემები თავს იმდენად გაბეზრებთ, სიყვარული და პირადი ცხოვრება მეათე პლანზეა გადასული. თუკი თავს ვერ ერევით, შეეცადეთ, საცხოვრებელი პირობები შეიცვალოთ – გადააადგილეთ ავეჯი, კეთილმოაწყვეთ ოთახი ან რამე მსგავსი. ყურადღება დაუთმეთ მშობლებს, დაიმუხტეთ მათგან დადებითი ენერგიით, რათა შემდეგ პირად ცხოვრებასაც მიხედოთ.

**სამსახური** – კარგი მომენტია ცვლილებებისთვის – იფიქრეთ სხვა დამსაქმებლის მოძიებაზე.

**სასიკეთო დღეები:** 30 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 ივნისი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – მიმდინარე კვირა ურთიერთობებსა და მიმოსვლას უნდა მიუძღვნათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პერიოდი შესანიშნავია ახალი ნაცნობობისთვის. გამონახეთ დრო გულახდილი საუბრებისთვის, თუნდაც პარტნიორთან დიდი ხნის ურთიერთობა გაკავშირებდეთ. აქტიური მიმოსვლა უამრავ შესაძლებლობას გპირდებათ არა მხოლოდ მსუბუქი ფლირტის, არამედ ბევრად სერიოზული ურთიერთობის მხრივაც. არცთუ შორეული მგზავრობა, შემთხვევითი ნაცნობობა, ხანმოკლე ურთიერთობები... თუ ეს ყველაფერი გაწყობთ, იმოქმედეთ!..

**სამსახური** – შეფთან კამათისგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ.

**სასიკეთო დღეები:** 1, 2 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 მაისი.

ენიგმა



მაია იასეშვილი
599 94-64-58



# რა უნდა იცოდეთ, როცა პირად ბედნიერებას გართმევენ?!

**ადამიანის ენერგეტიკული სიჯანსაღე მისი ფიზიკური ჯანმრთელობის წინაპირობაა, ხშირად მას ხელოვნურად აზიანებენ. ჩვენი დღევანდელი საუბარი პარაფსიქოლოგ თამარ კობახიძესთან ამ თემას ეხება. როგორ ავიცილოთ ენერგეტიკული დარტყმით ზომბირება?**

– ამ ბოლო დროს ძალიან აქტიური გახდა გამონათქვამი – ენერგეტიკული დარტყმით ზომბირება, ადამიანთა დიდი ნაწილი სწორედ ამ პათოლოგიის სიმპტომებით მაკითხავს. ენერგეტიკული დარტყმით ზომბირება ნიშნავს იმას, რომ რეგულარული, ენერგოზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები საბოლოოდ ზომბებად იქცევიან, ისინი ხშირად ამოუცნობი და განუკურნებელი ავადმყოფობით ავადდებიან. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ზომბირება და მასთან დაკავშირებული სიმპტომები ამ ადამიანების შემდგომ თაობებს, ტვირთად და სასჯელად გადაექცევათ ხოლმე. ახლა კი მაგალითების საფუძველზე განვიხილოთ, რას ნიშნავს ენერგეტიკული დარტყმით ზომბირება. ვთქვათ, ოჯახი დაინგრა იმის გამო, რომ მამაკაცის მეგობარმა ქალმა მისი ცოლისთვის ქმრის წართმევა დაგეგმა. ცოლი, თავის მხრივ, ცდილობს მეუღლის დაბრუნებას და ათასგვარ საშუალებას მიმართავს – მაგებს, მჩხიბავებს, რომლებიც ეცდებიან, გარკვეული მომსახურების სანაცვლოდ, იმავე გზით დაუბრუნონ ცოლს ქმარი უკან, რა გზითაც გავიდა სახლიდან, ანუ ენერგეტიკული ზემოქმედებით, რადგან მათ პროფესიონალური, ტრანსული წმენდის ჩატარება არ შეუძლიათ. საბოლოო ჯამში, ეს მამაკაცი ორივე მხარის მსხვერპლი აღმოჩნდება და შეიძლება იმდენად დაზარალდეს, რომ ბოლოს ორივე ქალმა მისადმი ინტერესი დაკარგოს. მაშ, რა უნდა იცოდეთ თქვენი ცხოვრების იმ მომენტში, როცა პირად ბედნიერებას გართმევენ, რომ თავადაც არასწორი გზა აირჩიოთ ამ ბედნიერების დასაბრუნებლად. რომ ავხსნათ, რას ნიშნავს პიროვნების ზომბირება, ამისთვის საუბარი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ, მედიცინაში ცნობილია, რომ არსებობს ნეიროპირამიდა, თავის ტვინიდან წამოსული ნერვული სისტემა ზურგის ტვინის პირამიდას ქმნის ორგანიზმში, ასეა ნეიროპირამიდა განაწილებული – ცენტრში მდებარეობს თავის ტვინი, წახნაგები და ხერხემალი, ზურგის ტვინი, ელენთა და მზის







წნულია განლაგებული. ესენი ორგანიზმის ე.წ. მოაზროვნე ორგანოებია. ღვიძლს შეუძლია, შხამები გაანეიტრალოს, ელენთა იმუნურ სისტემას არეგულირებს და სისხლის მოცულობის მდგრადობას წარმართავს. ზურგის ტვინი გულ-სისხლძარღვთა სისტემას აბალანსებს. როგორც ცნობილია, პირამიდაში ხორცი უხრწნელია, კუჭი და ფილტვი არამოაზროვნე ორგანოებია, ეს ყველაფერი იმისთვის ვახსენე, რომ ავხსნა, რომელი ორგანო რა ფუნქციას ასრულებს ადამიანის ტრანსში და როგორია ზომბირების მექანიზმი. გასული საუკუნის 70-იან წლებში ყოფილი საბჭოეთისა და დაზვერვის სახელმწიფო სამმართველოს საიდუმლო ლაბორატორიაში ადამიანის ზომბირების სპეციალური საიდუმლო სისტემა მუშავდებოდა, რომლის მექანიზმიც ასეთი იყო – ერთ ადამიანში სხვა სულის ზომბირების ჩასახლების მეთოდით აღწევდნენ. ადამიანის სულს ჩვეულებრივ მდგომარეობაში შეუძლია სხეულიდან მეტრ-ნახევარზე გავიდეს, აქამდე ვრცელდება მისი აურაც. ზოგჯერ ხდება, სული უფრო შორს მიფრინავს და სხეულში სხვა სული სახლდება. ასეთ დროს ადამიანი ერთნაირად იცვლება. ზომბირებული ადამიანი ხელოვნურად მართვადი ხდება. სწორედ ამ ლაბორატორიაში ადამიანის გონებაში და მცირე ინფორმაციის ჩადებითა და სათანადო კოდის დასახელებით შეეძლოთ ადამიანის ამა თუ იმ ქმედებაზე პროგრამირება და ეს ხდებოდა ისე, რომ ზომბირებული ვერც კი აცნობიერებდა თავის ქმედებას. ულტრამოკლე ტალღების ზომბირების მაგალითია კომპიუტერი, ტელევიზორი, სერიალები და ა.შ.

**— კონკრეტულად როგორ ხდება ენერგეტიკული ზომბირება?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ კოსმიურ რიცხვებში დაბადებულ ადამიანებზე ენერგეტიკული დარტყმა ამოქმედებს, ხოლო კარმულ, ცუდ რიცხვებში დაბადებულები, სამწუხაროდ, კოსმიური ზემოქმედების მქონენი არიან, ეს კიდევ სხვა თემაა. გარდა ამისა, კარმულები, ცუდ რიცხვში დაბადებული ადამიანები იოლად შეღწევადები არიან ენერგოზემოქმედების თვალსაზრისით და სწორედ კარმულ ადამიანებს შეიძლება გაუკეთდეს იმგვარი ზომბირება, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ზომბირება შეიძლება გამოიწვიოს პროფესიონალი მაგის ნამუშევარმა, რაც იშვიათობაა საქართველოში. ასევე, მისმა ხშირმა კეთებამ, რაზეც ვერ ვიტყვით, რომ იშვიათი მოვლენაა. ავიღოთ ზოგიერთი მაგალითი, რაც ყველაზე გავრცელებულია ჩემს პაციენტთა შორის და რისთვისაც ხშირად მაკითხავენ, სწორედ ამ თემას მინდა შევეხო. ვთქვათ, დაინგრა ოჯახი მამაკაცის საყვარლის მიერ, შეკვეთილმა ენერგეტიკულმა ზემოქმედებამ ოჯახი დაატოვებინა, თავის მხრივ, დავუშვათ, ეცადა მის დაბრუნებას და რომელიმე ე.წ. პარაფსიქოლოგს ანდა მაგს მიმართა დახმარებისთვის. გამოდის, რომ ისიც იგივე გზას დაადგება მამაკაცის დასაბრუნებლად, რადგან არ გააჩნია პროფესიული განათლება, როგორ გაწმინდოს ტრანსი ენერგოდანალექებისგან და როგორ გაამყაროს ენერგეტიკული ველი დამცავი შრეებით. საბოლოო ჯამში კი, როცა ენერგოზემოქმედება ორივე მხრიდან ხორციელდება, საბრალო მსხვერპლი ზომბად იქცევა, რაც აშკარად გამოვლინდება მისი ხასიათის პიროვნების უჩვეულო ცვლილებებში. ადამიანი ასეთ დროს გაორებული და დეპრესიულია, ან პირიქით, აბსოლუტურად იდენტური და უსიცოცხლო ხდება. იწყება მისი შინაგანი ნგრევა, რაც შეიძლება გარკვეულ ეტაპზე მძიმე და ამოუცნობი ავადმყოფობის სახითაც კი გახდეს, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ ასეთი ადამიანის საინფორმაციო ბიოველი არ გაიწმინდა, შეიძლება ნეგატიური ენერგოინფორმაცია მის შთამომავლობაზეც გადავიდეს. კარმული ოჯახი ინგრევა იმის გამო, რომ კარმულ ადამიანებში იოლად შეიღწევა ენერგოზემოქმედება. მათ ურთიერთობას მძიმე დასასრული უჩანს, თუკი დროულად არ მოხდება მამაკაცის ენერგეტიკული ველის გაწმენდა შრეების ხარჯზე და მისი დაზიანებული ველის კორექტირება, მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდება იგი საკუთარ ოჯახს. ენერგეტიკული დარტყმით ზომბირება მხოლოდ სასიყვარულო ურთიერთობებს არ ეხება, კოლეგები და მოწინააღმდეგეები კეტავენ ერთმანეთს თავიანთი წინსვლისთვის, თუმცა მათ გასაგონად ვიტყვი, რომ მათი წარმატებები სხვისი დაჩაგვრისა და ზომბირების ხარჯზე დროებითია და ყველას მოუწევს თავის ცოდვებზე პასუხისგება.

**— ენერგეტიკული დარტყმით ზომბირების განეიტრალება ყოველთვის შესაძლებელია?**

– შესაძლებელია, თუ ეს ზომბირებული ადამიანის სურვილია, სამწუხაროდ, ხშირად ზომბირებულ ადამიანს გარშემომყოფები ატყობენ, რომ ზომბირებულია, ხოლო თვითონ წარმოდგენაც არა აქვს, როგორ იმართება სხვისი ხელით, სხვისი სურვილისამებრ. ეს ყველაზე დიდი ტრაგედიაა, რაც კი შეიძლება ადამიანს თავს დაატყდეს. ამიტომაც, ოჯახის შესანარჩუნებლად და მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად, სანამ თვითნასწავლ მაგებთან და მჩხიბავმკითხავებთან გავიქცევით, ათას ლოცვასა და ეკლესიას უნდა მივმართოთ, რომლის ძალმოსილებითაც მოუგვარებელი პრობლემა არ არსებობს.

## 30 მაისი, 5 ივნისის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – მიმდინარე კვირაში წარმატებები გელით ყველაზე მრავალფეროვან სფეროებში, მათ შორის სასიყვარულო ფრონტზეც. ერთი კია, არ უნდა დაივიწყოთ, რომ, თუ იღებთ, უნდა გასცეთ კიდეც. არ დაგავიწყდეთ ახლობლებისა და საყვარელი ადამიანების მონახულება, ყურადღების მიქცევა და საჩუქრებით განებივრება. თუ გსურთ, საწინააღმდეგო სქესისგან ის მიიღოთ, რაც გსურთ, შუა კვირას იაქტიურეთ.

**სამსახური** – ხელმძღვანელობას ხელფასის მომატებაზე დაელაპარაკეთ, დიდი ალბათობით, სასურველი შედეგი უნდა მიიღოთ.

**სასიკეთო დღეები:** 30, 31 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 ივნისი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – თქვენი პიროვნული პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის დროა. თვალს ვერავინ მოგაშორებთ და როგორც ჭეშმარიტი ლომი, ყურადღების ცენტრში იქნებით. შესანიშნავი დროა ურთიერთობის დაწყებისთვის, ნაცნობობისთვის და დასვენებისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, დაუვიწყარი თავგადასავლებით დაგაჯილდოებთ. შეეცადეთ, ბედის საჩუქარი გამოიყენოთ, ნუ ჩაიციკლებით წარსულზე და თამამად იცქირეთ მომავლისკენ.

**სამსახური** – მიმდინარე კვირა დადებით გავლენას მოახდენს თქვენი სოციალური სტატუსის ამაღლებაზე.

**სასიკეთო დღეები:** 1, 2 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 4 ივნისი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – ამ ეტაპზე არც ისე კარგი დროა ახალი ურთიერთობის დაწყებისთვის და საკუთარი პერსონისკენ ყურადღების მიქცევისთვის. უმჯობესია, ჩრდილში გადაინაცვლოთ და დაფიქრდეთ, რატომ ხდება ის, რაც ხდება. კარგს იზამთ, თუ დაასრულებთ (მათ შორის, ურთიერთობასაც, თუ საკუთარი თავი ამოწურა), ვიდრე ახალს დაიწყებთ. ნუ დაადანაშაულებთ თქვენი პრობლემების გამო სხვებს, შეეცადეთ, საკუთარ თავში გაერკვეთ. სულ მალე სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვლება.

**სამსახური** – ერიდეთ კოლეგებთან კამათსა და კონფლიქტებს.

**სასიკეთო დღეები:** 3 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 ივნისი.

## 30 მაისი, 5 ივნისის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული** – არ ღირს გათელილი გზით წინსვლა, ეძებეთ არასტანდარტული მიდგომები, შეეცადეთ, პარტნიორი გააკვირვოთ. მოულოდნელი საჩუქრები და შეხვედრები ახალ ადგილებში თქვენს ურთიერთობას გაამრავალფეროვნებს, დაგეხმარებათ რომანტიკის დაბრუნებაში. მიმდინარე კვირა შესანიშნავია მეგობრებთან ერთად დასვენებისთვის. თუ მუდმივი პარტნიორი არ გყავთ, შესაძლოა, ასეთი ადამიანი სწორედ ახლა გამოჩნდეს, უბრალოდ, ყურადღებით იყავით.

**სამსახური** – ზუსტად ის დროა, შვებულება აიღოთ და დასასვენებლად წახვიდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 2 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 31 მაისი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული** – მიმდინარე კვირაში მეუღლესთან შესაძლოა, ურთიერთობა დაგეძაბოთ. მოსალოდნელია ემოციური აფეთქებები და ბრალდებები. მოკლედ, ნამდვილად არ მოიწყენთ. ერთ-ერთი თქვენგანი იმდენად იქნება კონცენტრირებული სამსახურსა და კარიერულ წინსვლაზე, რომ ურთიერთობას ზიანს მიაყენებს.

კარგი შეიძლება ის მოხდეს, რომ სულ მალე სამსახურებრივი რომანია მოსალოდნელი, განსაკუთრებით, თუ სამსახურში დიდ დროს ატარებთ ხოლმე.

**სამსახური** – სიტუაცია კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ.

**სასიკეთო დღეები:** 30, 31 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 ივნისი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული** – რომანტიკული მიმართულების საზღვარგარეთული მოგზაურობა – აი, რა გინდათ ახლა. წინ მშვენიერი დასვენება და ძალიან საინტერესო ნაცნობობა გელით, რომელიც ბევრად სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება, ვიდრე საკურორტე რომანი.

ოჯახური ურთიერთობებისთვის მიმდინარე კვირა ძალიან ხელსაყრელია. შვებულება ერთად გაატარეთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდით, რომ პარტნიორის არჩევაში შეცდომა არ დაგიშვიათ – წინ კიდევ ერთი შესანიშნავი თაფლობის თვე გელით.

**სამსახური** – თუკი საკუთარი საქმის წამოწყებაზე ფიქრობთ, ახლა სწორედ ამის დროა.

**სასიკეთო დღეები:** 2, 5 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 30 მაისი.



*მაია იასეშვილი*
599 94-64-58



**რუბრიკის სტუმარია მწერალი ნაირა გელაშვილი:**

– ვისაც საიდუმლოს განცდა არა აქვს, ვერ მივა ღმერთთან, ეს ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი აქსიომაა, ოღონდ ახლა აღარ შევჩერდები იმაზე, რას ვგულისხმობ „მისვლაში“, რადგან ეს შორს წაგვიყვანს. ასე რომ, ამით თავს ვარიდებ შეჩერებასაც, მისვლასაც და წასვლასაც. ჩემი აქსიომები იმიტომაა ჩემი, რომ მთელი ცხოვრებით მაქვს მოპოვებული. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ის სხვისიცაა, შეიძლება საყოველთაოცაა. მე მიყვარს ჩემი აქსიომები და მართალი გითხრათ, მათ გადასინჯვას

**დაგეხმარათ ღმერთის ძიებასა და შემეცნებაში?**

– ჩემს აღმზრდელს, ლიზას, თავის ოთახში უამრავი ხატი ჰქონდა, დილა-საღამოს სანთელი ენთო და მუხლიჩოქა ლოცულობდა. მეც შთამაგონებდა, ძილის წინ მელოცა და ღმერთს ცოდვების მიტევებას შევვედრებოდი. თუმცა ღმერთის შესახებ ფრიად არაკონკრეტული და ბუნდოვანი პასუხი მქონდა, მაგრამ ძალიან ადვილად დავიჯერე მისი არსებობა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს სამყარო ისე ჩანდა მოწყობილი, რომლის უკან, ან მასში აშკარად ვიღაც იმალებოდა. მეორეც იმიტომ, რომ ადრევე დავადგინე, ირგვლივ არავის არაფერი ესმოდა და ერთმანეთს ვერაფერს აგებინებდნენ და ხომ უნდა არსებულიყო ვიღაც, ვინც ყველაფერი იცოდა, ისე რა აზრი ჰქონდა ჩვენს არცოდნას?..



**— „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ ნაწარმოებში — ნიჭიერი მხატვარი მერცია უცნაურ უნარს ფლობს, ფოტოსურათების მიხედვით შეუძლია დადგენა, ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანი გარდაცვლილია თუ ცოცხალი. რეალურად თუ შეხვედრიხართ მსგავსი უნარით დაჯილდოებულ პიროვნებებს?**

– მაშინ, როცა ჩემ გარშემო ბევრი ჩემი თანატოლი მატერიალიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა და სულის არსებობის არ სწამდა, მე ყველგან სულები მელანდებოდა და ხშირად მათი ჩურჩულიც მესმოდა. ეს ხდებოდა, ალბათ, ჩემი გამზრდელის წყალობით, რის გამოც რამდენჯერმე წამიყვანა დანით, ნახშირითა და წყლიანი ჯამით აღჭურვილ შაოსან დედაბერთან შესალოცად. ის უნარი, რაც ჩემი რომანის გმირს ფოტოსურათის მიმართ ჰქონდა, ჩემი უნარი გახლდათ, რაც დიდი მონდომების შედეგად გაქრა თუ გავაქრე, ზუსტად არ ვიცი. კანტს ორი რამ აოცებდა მხოლოდ – ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ზნეობრივი კანონი მასში.

**— თქვენ არ გიფიქრიათ, რომ სხვა გალაქტიკაშიც შესაძლოა ფიქრობდნენ ჩვენს მსგავსად — სტკიოდეთ, შიოდეთ, უხაროდეთ...**

– ბავშვობაში ვოცნებობდი, მემოგზაურა წყალქვეშა ნავით, რადგან ძალიან მაინტერესებდა ზღვის ფსკერი. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა ცაზე, ვარსკვლავებზე... საერთოდ, რას წარმოადგენდნენ ვარსკვლავები, რადგან მრავალი ღამის მანძილზე ცის „ჩხრეკამ“ და ცაში ყურებამ, ჩემი მუდმივი ინტერესი ვერანაირი ცოდნით ვერ გაამდიდრა, ერთხელაც გავიგე, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც ცის ამბები იციან, ასტრონომები ჰქვიათ... და როცა მასწავლებელმა პირველკლასელს მკითხა, – ვინ გინდა გამოხვიდეო, ძალიან გულწრფელად ვუპასუხე, – ასტრონომი-მეთქი. მეშვიდე კლასში ნასწავლმა ასტრონომიამ გააცამტვერა ცის შემეცნების წყურვილი, რადგან ის მოსაწყენ გაუგებრობას წარმოადგენდა იმასთან შედარებით, რა ინფორმაციის გაგებაც მინდოდა ვარსკვლავებზე და თქვენი კითხვის პასუხი – მარტონი ვართ თუ არა ამ პლანეტაზე, სწორედ ბავშვობიდან მაწუხებს, თავს ვერ ვაღწევ ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს და ახლაც მჯერა, რომ მარტონი არ ვართ.

**— ქალბატონო ნაირა, მწერლები ხშირად სიზმართგანმარტების ნიჭითაც გამოირჩევით. თქვენ თუ გაქვთ თქვენეული მინიშნებები, რისი დასიზმრება რას მოასწავებს.**

– თუ შავი ფეხსაცმელები დამესიზმრა, ჩემს სიახლოვეს ვიღაც უნდა გარდაიცვალოს. კაცის ფეხსაცმელი კაცის სიკვდილს მამცნობს, ქალის ფეხსაცმელი – ქალისას. რატომ ირჩევს სიკვდილი მაინცდამაინც ფეხსაცმელებს ჩემი სიზმრებისთვის, არ ვიცი. პირველი სიზმრები ჩემს თოჯინებსა და ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს უკავშირდება. ხშირად მიფიქრია – რად ვწვალობ, რად ვიგონებ ნაწარმოებების სიუჟეტებს, რად მინდა ეს გამოგონება, ყველაზე მდიდარი სიზმრებით ვარ. საკმარისია ჩავიწერო ჩემი სიზმრები, გამოვა დიდი საოცარი შემოქმედება, ოღონდ ვისი ან რომელი ეპოქისა, არ ვიცი.

**— საგნების მისტიკაზე რას გვეტყვით, თქვენი აზრით, სარკის გატეხა ცუდის მომასწავებელია თუ მხოლოდ ცრურწმენაა?**

– ჩემი აზრით, სარკეები კედლის თვალებია, მარადისობის დროებით გახელილი, და როცა სარკე ტყდება, ადამიანები ცუდის მოლოდინის შიშით იზაფრებიან. გატეხილი სარკე სიკვდილის სიმბოლოა, რადგან თვითონ გარდაცვლილი ადამიანია გატეხილი სარკე, ის აღარაფერს აირეკლავს, რადგან მისთვის გარე და შიგნითა აღარ არსებობს. სადაც სარკე ტყდება, არ არის აუცილებელი, ვინმე გარდაიცვალოს, ეს ადამიანური

## „თუ შავი ფეხსაცმელები დამესიზმრა, ჩემს სიახლოვეს ვიღაც უნდა გარდაიცვალოს. კაცის ფეხსაცმელი კაცის სიკვდილს მამცნობს, ქალის ფეხსაცმელი — ქალისას...“

აღარ ვაპირებ. მათზე მთელი ჩემი ცნობიერება დგას, როგორც ციხესიმაგრე კლდეზე. გარდა ამისა, აღარც იმდენი დრო მაქვს დარჩენილი, რომ აქსიომები გადავამოწმო. ალბათ, დიდი მანძილი აღარ მაშორებს იმ საუფლოსთან. რაც მე ვიცოდი, შემოწმდება და შეიძლება სულ გადაფასდეს. ერთი მწერალიც ამასვე ამბობს: „საიდუმლო ღმერთის სახლიაო“, მაგრამ ეს გვიან წავიკითხე და ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი აქსიომა მისიც აღმოჩნდა და ალბათ, სხვისიც. ბავშვობა საიდუმლო ცხოვრებაა. ცისარტყელის ქვეშ თუ გაირბენ, რასაც ინატრებ, შეგისრულდებაო, – ასე ამბობდნენ ჩემს ბავშვობაში და ასეც მწამდა. კლდესავით მტკიცე იყო ეს რწმენა, მაგრამ ცხოვრებას უამრავი ხელშემშლელი რამ ჰქონდა მომარჯვებული, ცისარტყელამდე რომ მიგეღწია. აღარ მახსოვს, რომელი სურვილის აღსრულება მიმაქანებდა, მაგრამ ჩემს ცხოვრებას მისი აღსრულების გარეშე აზრი რომ დაჰკარგვოდა, აშკარა იყო. როდესაც რომელიმე მწერლის ბიოგრაფიის კითხვას ვამთავრებდი სიტყვებით – „გარდაიცვალა ამა და ამ წელს“, სულ მაინტერესებდა, რა ხდებოდა სიკვდილის შემდეგ, რაზეც არავინ არაფერს ამბობდა.

**— თქვენს რელიგიურ განსწავლულობაში ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი, ვინ**

და მესამეც, რადგანაც მე პირადად სურვილებისგან შევდგებოდი, ეს აუცილებელს ხდიდა იმის არსებობას, ვისაც ყველაფერი შეეძლო. ამიტომ, ჩემი გამზრდელი რომ ამბობდა ღმერთზე, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე და უჩინარიაო, ცხადზე უცხადესი რამ იყო ჩემთვის. ჩემს გარემოცვაში მხოლოდ ჩემი აღმზრდელი აცხობდა სააღდგომო პასკებსა და „ცხვრებს“, რომელსაც შაქრის „ქაფი“ ედო თოვლივით.

**— ქალბატონო ნაირა, თქვენი ავტობიოგრაფიული ნოველებისა და ესსეების მიხედვით, ვიცი, როგორ გადაეყარეთ უხსენებელს, როგორ დაძვრებოდა მძინარე ბავშვის თეთრ ბაფთებში და არაფერი არ დაგიშავათ...**

– ბევრი ადამიანისგან ვისმენდი ჩემთვის უცნობ თავგადასავალს, რომლებიც, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ჰყვებოდნენ. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა მოხუცი შემლოცველი ქალი, რომელიც გველებსაც ულოცავდა, როცა კი თვალს მოჰკრავდა, რაღაცას ებუტბუტებოდა და ისინიც მაშინვე იკარგებოდნენ. როცა ჩემი გადამრჩენი ჩემს მშობლებს უყვებოდა, როგორ მიპირებდა უხსენებელი მძინარეს ყელში ჩაძრომას, ის შემლოცველი ქალი გამოესარჩლა უხსენებელს, პატარა ბავშვი, თანაც მძინარე, ანგელოზია და არც გველი და არც არაფერი არ გაიმეტებს დასაღუპადო.

**— ქალბატონო ნაირა, თქვენს**

გადაჭარბებაა, ნუ დავავიწროებთ ერთმანეთის არეკვლის რადიუსს, შეიძლება ვინმე პლანეტის ბოლოს ან ოკეანის პირას გარდაიცვალოს და ჩვენი სარკე გატყდეს, ვინ იცის... არსებობს სარკეები, რომელშიც ყველას ანარეკლი რჩება, თუკი ოდესმე ჩაუხედავს. ამიტომაც სარკეში ჩახედვისას ყოველდღე დილა მშვიდობისა უსურვეთ საკუთარ თავს და დატოვეთ სიკეთისა და სიმშვიდის ანარეკლი.

**— როგორ ფიქრობთ, შეიძლება ადამიანის სული რამდენჯერმე მოვიდეს ამქვეყნად?**

– სხვათა შორის, საკამათო აზრი, რომ ადამიანი ქვეყანაზე რამდენჯერმე იბადება, დამოუკიდებლად ამომიტივტივდა თავში, თანაც სრულიად ნორჩ ასაკში, რადგან სიტყვა „აღარასოდეს“ ამ ქვეყნად ყველაზე გრძელ სიტყვად მეჩვენებოდა და რა გასაკვირია, რომ წარმომავლობით ესოდენ გაწბილებული, მრავალჯერ დაბადების იდეას მივდგომოდი, როგორც ხსნასა და შველას. როცა დედას ვთხოვე, რომ შემდეგ ცხოვრებაში ჯერ ჩემი უმცროსი ძმა გაეჩინა და მერე მე, დიდი გაუგებრობა და დაბნეულობა გამოიწვია, ცხადია, შიშიც და გამაფრთხილა, მაგისთანა რამეზე ნუ ფიქრობო, მაგრამ ჩემთვის ერთნაირად საინტერესო იყო ხილული და უხილავი, ახსნილი და ამოუხსნელი, რეალური და ირეალური და ასეა დღემდე...

## 30 მაისი, 5 ივნისის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული** – თქვენი ცვალებადი ხასიათი მთელი თავისი 'ბრწყინვალებით" გამოვლინდება და პირველ რიგში, ეს პირად ცხოვრებას შეეხება. დიდი ალბათობით, გული თავგადასავლებისკენ მიგიწევთ, რაც, პრინციპში, ცუდი სულაც არ არის, თუ, რა თქმა უნდა, თავისუფალი ხართ და პარტნიორს ეხება. დაოჯახებულ თხის რქებს კი საკმაო სირთულეები გელით. შეეცადეთ, საკუთარი თავის შემოქმედებითად რეალიზება მოახდინოთ, რაც სექსუალური ენერგიის სუბლიმაციის საუკეთესო საშუალებაა.

**სამსახური** – ბიზნესში სასურველი შედეგების მიღება რთული იქნება.

**სასიკეთო დღეები:** 30 მაისი; **არახელსაყრელი დღეები:** 2 ივნისი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული** – საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის მხრივ აშკარად უფრო უკეთესი შედეგების სურვილი გაქვთ. მართალია, თავს არც ისე კარგად გრძნობთ, მაგრამ სამაგიეროდ, იმის შანსი გაქვთ, დაფიქრდეთ და გააანალიზოთ, რატომ ხართ ასეთ სიტუაციაში. პარტნიორთან ურთიერთობა გაგიჭირდებათ: შესაძლოა, ის ძალიან პრეტენზიული გახდეს და არაფერი დაგითმოთ. არც იმდენად კარგი დროა ნაცნობობისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის. გადაუჭრელი პრობლემებისგან გაქცევის მცდელობა ბუმერანგივით შემოგიბრუნდებათ.

**სამსახური** – კრედიტების აღებისთვის ძალიან ცუდი დროა.

**სასიკეთო დღეები:** 1, 2 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 3 ივნისი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული** – გარკვეული მიზეზებით პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადავა, რაც ზაფხულის ნორმალურად გატარებაში ხელს შეგიშლით. არც ისე კარგი დროა რომანტიკისთვის, რაც დამოკიდებულია არა თქვენს შესაძლებლობებზე, არამედ გარეშე ფაქტორებზე. არ ღირს შვებულების აღება: ვერ მიიღებთ იმას, რისი მოლოდინიც გქონდათ. უნდა შეეცადოთ, გამოავლინოთ მოთმინება და მორჩილება. სიტუაცია სულ მალე აუცილებლად სასიკეთოდ შეიცვლება.

**სამსახური** – კარიერულ წინსვლაზე ოცნებას ცოტა ხნით შეეშვით.

**სასიკეთო დღეები:** 3 ივნისი; **არახელსაყრელი დღეები:** 1 ივნისი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კურორტი ბაღდათის რაიონში
2. ესპანეთის დედაქალაქი
3. მხ/ფ „აკაკის ...“
4. მწერალი ლუიჯი ...
5. მაკარონი იტალიურად
6. სახელმწიფო აზიაში
7. რეგიონი იტალიაში
8. ღვინის დეგუსტატორი
9. ქალაქი საფრანგეთში
10. ერთ-ერთი თითი
11. შხამიანი მწერი
12. ველური ყაყაჩო
13. ჭურჭელი ზოგადად
14. ხერხემლის ბოლო ნაწილი
15. წყლის ტრანსპორტი
16. ერთგვარი ალკოჰოლ. სასმელი
17. აქლემის ნაშიერი
18. მამაკაცის სამოსი
19. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
20. რუსი კომპოზიტორი
21. შიიზმის მომდევარი
22. ბუნების ამსახველი ნახატი
23. პოეტი ... ახმადულინა
24. მისი დედაქალაქია ტოკიო
25. კვების ობიექტი ესტრა-დით
26. შვედური ფულის ერთეული
27. პორტუგალიელი ფეხბურთელი
28. ჰუნების ბელადი
29. ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავი
30. ლურჯი ვეშაპის საკვები
31. ოპერა „სევილიელი ...“
32. იაზონის გემი
33. დურგლის იარაღი
34. მომღერალი ... მეტონიძე
35. ამერიკელი მომღერალი ქალი
36. ... ფიტცჯერალდი
37. ვრცელი ველები რუსეთში
38. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
39. ზანდუკი
40. იმრე კალმანის ჟანრი
41. გემის მოძრავი კიბე
42. მსახიობი ნანკა ...
43. მამითადი
44. ... ხრენნიკოვი
45. „გაზაფხული შემოსულა ..., ჟრიამული აუტეხავთ ჩიტებს“
46. მიწისზედა ხიდური ნაგებობა
47. პერსონა ...-გრატა
48. დაწმენდილი შაქარი
49. თურქეთის დედაქალაქი
50. ... ჩიბურდანიძე
51. ფილოსოფოსი ემანუილ ...
52. დიდი ბადე თევზსაჭერ გემზე
53. მგალობელი ფრინველი
54. „მე ვხედავ მზეს“ ... რუსი
55. წონის ძვ.ქართ. ერთეული
56. პარკოსანი მცენარე
57. მით. ადამიანი ხარის თავით
58. მზესუმზირის ტკბილეული
59. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
60. მსახ. ... ქავჟარაძე
61. ტაილანდის ძველი სახელწ.
62. მამაკაცების ჟურნალი
63. თვალის გუგა
64. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში
65. მკერდის კორექციის მასალა
66. მომღერალი კარლოს ...
67. დრამა, კომედია, ...
68. წყლის ტრანსპორტი
69. ხუთიანი ნარდში
70. ტროეპოლსკი. „შავყურა თეთრი ...“
71. რეჟისორი ... ჰოვარდი
72. მსახ. ... ბეგალიშვილი
73. მსახიობი ... ნოლტი
74. ქსოვილი ფანჯარაზე
75. სოკრატეს ახირებული ცოლი
76. ქალაქი ეგვიპტეში
77. 1000 გრამი
78. ნიშნავს ჩიპქოვანს
79. ცხიმოვანი სიმსივნე
80. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
81. ხვეწნა
82. ინდიელების ნავი
83. რეპტილია
84. გამჭოლი ქარი
85. ჯუჯა ჟირაფი
86. რიკიტიკიტავი
87. მწერვალი კავკასიონზე
88. სიმინდის ფქვილის კვერი
89. იტალ. მაღაზიათა ქსელი თბილისში
90. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
91. მაიმუნის სახეობა
92. ვირას საპირისპ. ბრძანება
93. მსახ. ... ზეტა-ჯონსი
94. მსახიობი ... რაიანი
95. ტროპიკული ნაყოფი
96. მსახ. ... ვარდალოსი
97. წყლის ტრანსპორტი
98. შხამიანი ბაყაყი
99. მახრჩობელა გველი ამაზონში
100. მზის ამოსვლა
101. თვითმფრინავების სადგომი
102. მსახიობი გრეტა ...
103. იაპონური ალუბალი
104. უნგრეთის დედაქალაქი
105. ბურატინოს მეგობარი
106. მხატვარი რაფაელ ...
107. მსახიობი ... რივზი
108. მომღერალი ... სუმაკი
109. დასარტყამი საკრავი
110. მწერალი კენ ...
111. მომღერალი ... ბრეგვაძე
112. არქიპელაგი ინდოეთ. ოკეანეში
113. ლიტვის ფულის ერთეული
114. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
115. მწერალი ... ბრედბერი
116. მსახიობი ... ჰათაუეი
117. მსახიობი ... მონტანი
118. ანჩხლი
119. მსახიობი ... ჟირარდო
120. დიზაინერი ჯორჯო ...





პასუხები: 1. საირმე; 2. მადრიდი; 3. აკვანი; 4. პირანდელო; 5. პასტა; 6. პაკისტანი; 7. კალაბრია; 8. სომელიე; 9. ნანტი; 10. ნეკი; 11. კელა; 12. იორდასალამი; 13. ტარა; 14. კუდუსუნი; 15. ტიკი; 16. პუნში; 17. კოზაკი; 18. ჟილეტი; 19. ასო; 20. ბოროდინი; 21. შიიტი; 22. პეიზაჟი; 23. ბელა; 24. იაპონია; 25. რესტორანი; 26. კრონა; 27. ეუსებიო; 28. ატილა; 29. „ბოინგი“; 30. პლანქტონი; 31. დალაქი; 32. „არგო“; 33. შალაშინი; 34. ნატო; 35. შერი; 36. ელა; 37. სტეპი; 38. კოპოლა; 39. სკივრი; 40. ოპერეტა; 41. ტრაპი; 42. კალატოზიშვილი; 43. ნადი; 44. ტიხონ; 45. ლენ; 46. ესტაკადა; 47. ნონ; 48. რაფინადი; 49. ანკარა; 50. მაია; 51. კანტი; 52. ტრალი; 53. იადონი; 54. სოსოიას; 55. ოყა; 56. ბარდა; 57. მინოტავრი; 58. ჰალვა; 59. ტორტილა; 60. ლიკა; 61. სიამი; 62. „პლეიბოი“; 63. ბაია; 64. მირაჟი; 65. სილიკონი; 66. სანტანა; 67. ტრაგედია; 68. ნავი; 69. ბეში; 70. ბიმი; 71. რონ; 72. ბადრი; 73. ნიკ; 74. ფარდა; 75. ქსანთიპე; 76. გიზა; 77. კილოგრამი; 78. პიო; 79. თია; 80. პან; 81. მუდარა; 82. კანოე; 83. კუ; 84. ორპირი; 85. ოკაპი; 86. მანგუსტი; 87. იალბუზი; 88. მჭადი; 89. „კარპიზა“; 90. მაკ; 91. გორილა; 92. შაინა; 93. კეტრინ; 94. მეგ; 95. მანგო; 96. ნია; 97. გემი; 98. აგა; 99. ანაკონდა; 100. აისი; 101. ანგარი; 102. სკაკი; 103. საკურა; 104. ბუდაპეშტი; 105. არლეკინი; 106. სანტი; 107. კიანუ; 108. იმა; 109. დაირა; 110. კიზი; 111. ნანი; 112. მალდივი; 113. ლიტი; 114. ნიტი; 115. რეი; 116. ენ; 117. ივ; 118. ავი; 119. ანი; 120. არმანი. იკითხება: მონიკა ბელუჩი. სოფი მარსო. ჯულია რობერტსი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. რეჟისორი კოტე ...
2. პოეტების საკრებულო მთა
3. გერმანიის დედაქალაქი
4. ალ პაჩინო ფილმში „... გზა“
5. გაუშლელი ფოთოლი
6. „საიდუმლო მასალები“ ფოქს ... და დანა სქალი
7. ჟამი
8. ბანქოს ერთგვარი თამაში
9. გრძელტარიანი სასმისი
10. შხამიანი გველი
11. ქალის პატარა ხელჩანთა
12. ძალიან მკვრივი ნივთიერება
13. ... გაგარინი
14. სანელებელი
15. მსახიობი სტივ ...
16. ეგვიპტის ფარაონი
17. „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ პერსონაჟი
18. იაპონელი თვითმკვლელი
19. რუსი მხატვარი
20. მომღერალი ... კალასი
21. სინთეზური მასალა ბალიშში
22. მწყემსის მოსასხამი
23. ციტრუსი
24. კოვბოის ქამანდი
25. უკრაინული ავტომობილი
26. ტბა აშშ-ში
27. დიდი ნემსი
28. უქორწინო თუთიყუში
29. ფრინველის რქოვანა პირი
30. რეჟისორი ... მჭედლიძე
31. პატარა სპორტ. მანქანა
32. რკინის საგანი ცხენის ფლოქვზე
33. ინდიელების რეზერვაცია
34. მხედველობა
35. ჯუჯა სამეფო ევროპაში
36. „რვაფეხა“ კომისარი ... კატანი
37. ხორცის პროდუქტი
38. ბუმბულის ცვლის პერიოდი
39. ჯუჯა კამეჩი
40. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
41. სრული გამარჯვება ძიუ-დოში
42. მიწისქვეშა წყალსაწრეტი
43. ბოსტნის მავნებელი მწერი
44. ნაწარმოების გასინჯვა და ამოჭრა
45. მსახიობი ... აფლეკი
46. შეწერილი გადასახადი
47. მუსიკალური ინტერვალი დოდან ფამდე
48. ყინვაგამძლე სითხე
49. უქნარა
50. ცირკის მოედანი
51. დაესმის არსებით სახელს
52. სამკურნალო მცენარე
53. სახელმწიფო აფრიკაში
54. ჯუჯა ცხენი
55. ჯემალ ქუჩასელის ანსამბლი
56. აბზინდის არაყი
57. ისლანდიელი მომღერალი ქალი
58. მსახიობი ... ბენინგი
59. რძის პროდუქტი
60. ეპოქა
61. ნივთი. იყენებენ ფქვილისთვის
62. ჰუნების ბელადი
63. სამაგიდო თამაში
64. ბურუსი
65. მეეტლის ადგილი ეტლზე
66. „ბეჭდების მბრძან“ ჰობიტი
67. მსახიობი დინა ...
68. ნორვეგიის დედაქალაქი
69. წარწერა საფლავის ქვაზე
70. ბაღჩეული
71. ქვის მაღალი ღობე
72. თბილისის უბანი
73. პატარა ტანის ძაღლი
74. ტყის ფრინველი
75. სპილენძის დოქი
76. მარგალიტის წარმომქმნელი ფენა
77. კავშირი, გაერთიანება
78. არქი-მედეს ქალაქი
79. „მაუგლი“ ავაზა
80. ხასიათი
81. გერდას მეგობარი ბიჭუნა
82. გაქრისტიან. არაბი ყმაწვილი
83. ფეხბურთელი ფაბრიციო ...
84. სატელეფონო სიტყვა
85. რომაელი იმპერატორი
86. „ნატვრის ხე“ პარსო-ნაჟი
87. ... პაიჭაძე
88. ძვირფასი ქვა
89. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
90. მომლოცველი
91. ქრისტიანული კანონიკური წიგნი
92. გრძელი ხალიჩა
93. მხ/ფ „... რეისი“
94. ინგლისური ლუდი
95. მსახ. ... ბერიკაშვილი
96. სოფელი სურამთან
97. ასტრონავტი ... არმსტრონგი
98. დედნიდან გადაღებული პირი
99. ხერხემლის გაღუნვა წინიკენ
100. მწვანე მინერალი
101. იესო ქრისტეს მამა
102. ზლოტის მეასედი
103. კავშირებითი სიტყვა
104. ნიშნავს ცივს
105. ტაბლეტი
106. საოპერო პარტია
107. ახალი ზელანდიის მკვიდრი
108. ერთგვარი ეტლი
109. კარგად მოარული ცხენი
110. ნამცხვარი
111. მონო, ..., ტრი, ტეტრა
112. ...-დე-ჟანეირო
113. კენიის დედაქალაქი
114. „... ჭკუისაგან“
115. მოდელი ... კროუფორდი
116. მსახიობი ... ნოვაკი

პასუხები: 1. მარჯანიშვილი; 2. პარნასი; 3. ბერლინი; 4. კარლიტოს; 5. კვირტი; 6. მალდერი; 7. დრო; 8. ბრიჯი; 9. აზარფეშა; 10. ეფა; 11. რედიკიული; 12. ქსილიტი; 13. იური; 14. დარიჩინი; 15. მარტინი; 16. ტუტანხამონი; 17. ტასია; 18. კამიკაძე; 19. რერიხი; 20. მარია; 21. სინტეფონი; 22. ნაბადი; 23. ფორთოხალი; 24. ლასო; 25. „ტავრია“; 26. მიჩიგანი; 27. მახათი; 28. არა; 29. ნისკარტი; 30. ნანა; 31. კარტი; 32. ნალი; 33. გეტო; 34. ჩინი; 35. მონაკო; 36. კორადო; 37. ძეხვი; 38. განგური; 39. ანოა; 40. პლატონი; 41. იპონი; 42. კანალიზაცია; 43. მახრა; 44. ცენზურა; 45. ბენ; 46. ბეგარა; 47. კვარტა; 48. ანტიფრიზი; 49. ზარმაცი; 50. არენა; 51. ვინ; 52. ჯანჯაფილი; 53. ლესოტო; 54. პონი; 55. „ერისიონი“; 56. აბსენთი; 57. ბიორკი; 58. ანეტ; 59. დო; 60. ერა; 61. საცერი; 62. ატილა; 63. ნარდი; 64. ნისლი; 65. კოფო; 66. ფროდო; 67. დურბინი; 68. ოსლო; 69. ეპიტაფია; 70. ნესვი; 71. გალავანი; 72. ისანი; 73. ფინია; 74. კოდალა; 75. თუნგი; 76. სადაფი; 77. ალიანსი; 78. სირაკუზა; 79. ბაგირა; 80. ზნე; 81. კაი; 82. აბო; 83. რავანელი; 84. ალო; 85. კალიგულა; 86. ელიოზი; 87. ბორის; 88. საფირონი; 89. არესი; 90. პილიგრიმი; 91. ფსალმუნი; 92. ფიანდაზი; 93. ზოლიანი; 94. ელი; 95. გივი; 96. იტრია; 97. ნილ; 98. ასლი; 99. ლორდოზი; 100. მალაქიტი; 101. იოსები; 102. გროში; 103. რომ; 104. კრიო; 105. აბი; 106. არია; 107. მაორი; 108. ლანდო; 109. იორღა; 110. შუ; 111. დი; 112. რიო; 113. ნაირობი; 114. ვაი; 115. სინდი; 116. კიმ. იკითხება: ჯინა ლოლობრიჯიდა. ჯულიეტა მაზინა. სოფი ლორენი.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



ლალი მოროშკინა:

ჩემო ტკბილო და საყვარელო ადამიანებო, დასრულდა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთი. ურთულესი წელი მქონდა და მადლობა ყველას თანადგომისთვის გტოვებთ და თან ჩემს გულს გიტოვებთ... არვიცი როდის დავბრუნდები, ან დავბრუნდები თუ არა საერთოდ... ტკივილამდე მიყვარს საქართველო, არც დავფიქრდები ისე გავწირავ თავს, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც გვერდზე უნდა გადგე და ისე შეაფასო მოვლენები, იქნებ მეჩვენება, რომ რაღაც დალპა... ზუსტად ვიცი, სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან ქართულ საქმეს გავაკეთებ და რიგითი ჯარისკაცივით საქართველოს ვემსახურები

მეგი გოცირიძე: „არ ვიცი როდის, ან დავბრუნდები თუ არა საერთოდ"-ო ასე დაგვიბარა ლალი მორროშკინამ და საქართველო დატოვა !

------ ჩანგალჯან ეგ არ გააკეთო, თორემ რა ეშველებათ ამდენ დასავაჟკაცებელ ბიჭებს შე ქოცანდარა მოღალატევ , შენა

აბა, გზა დამილოცნია რასიისკენ და ფოფხაძესთან ერთად არ მოაკლო ფბ სივრცეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეკადრებით მომარაგება ))

დავაი დასვიდანია )) მიშას საქართველო ბრუნდება , გზაში ბევრი წამოგეწევა და არ აწყენინო, ბებერი ხარისა რქაცა ხნამსო, გაგონილი გექნება ))



დათო გოგიშვილი:

ვინაიდან შემდეგ წელს საქართველოს დამოუკიდებლობას ოქროს დაბადების დღე აქვს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გაითვალისწინეს ქართული ტრადიცია ოქროს დაბადების დღეზე მშობლების მიერ შვილისადმი ოქროს ბეჭედის ჩუქებისა და სახელმწიფოს პირველ პირებს ოქროს კულონებს და ბეჭდებს დაურიგებენ

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ესპანელი კატების სიყვარულის გამო ჯარიმას გადაიხდის



კაცმა რომ თქვას, სიყვარულის არჩევანში ადამიანი თავისუფალია, უნდა შვილი ეყვარება, უნდა შინაური ცხოველი და უნდა შინაური ცხოველი შვილივით, მაგრამ ესპანეთის კანონმდებლობა ამდენ თავისუფლებას არ იძლევა და ესპანელები შესაბამის შედეგებსაც იმკიან.

სარაგოსის 40 წლის მცხოვრებმა სამაშველო სამსახური გამოიძახა, არიქა, მიშველეთ, ჩაკეტილ კარში ჩემი ორი გოგო დარჩა და ნერვიულობისგან თავს ველარ ვაკონტროლებო. სამაშველო სამსახური ელვის სისწრაფით გაქანდა დანიშნულების ალაგამდე, ე მანდ ადამიანი ნერვიულობისგან შოკში არ ჩაგრავდესო.

ადგილზე მისულებს კი, ჩაკეტილი კარის მიღმა ორი კატა დახვდათ.

პატრონმა კი გაოცებული სახით განაცხადა, რაა გასაკვირი, ჩემი კატები ჩემი გოგოები არიანო.

სამართალდამცავებმა, ჰოდა, გადაიხადე ახლა შენი გოგოების გამო ჯარიმაო. ჯარიმა 150-დან 600 ათას ევრომდეა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მოტყუებით სამაშველო სამსახურს თავიანთი შინაური ცხოველებისთვის იძახებენ.

უცნობია, კატების პატრონს ჯარიმამ გოგოებზე გულიააყრევინა, თუ მისთვის უფრო ძვირფასი გახადა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ქალაქები, სადაც ყველაზე მეტად უნდა უფრთხილდეთ ჯიბის ქურდებს



ბრიტანულმა საიტმა City Base Apartments-მა ევროპის იმ ქალაქების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, სადაც ყველაზე მეტად არის გავრცელებული ჯიბის ქურდობა.

10 ქალაქს შორის პირველობა ბარსელონას ერგო. ესპანეთის ამ ულამაზეს ქალაქში ყოველწლიურად 7.5 მილიონზე მეტი ტურისტი ჩადის. თუმცა, ქალაქში ასევე ბევრი ჯიბის ქურდია, რომლებსაც განსაკუთრებით რამბლაზე, კატალონიის მოედანზე, გოთიკურ კვარტალსა და მონტკადას ქუჩაზე წააწყდებით. მართალია, ადგილობრივები ბარსელონაში გავრცელებულ ჯიბის ქურდობას უკვე „ჩვეულებრივ პრაქტიკასა და სპორტის თავისებურ სახეობას" უწოდებენ, მაგრამ ყველა ტურისტს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდებენ.

ჩამონათვალში ასევე მოხვდნენ პრაღა, რომი, ჰანოი, ამსტერდამი, ფლორენცია, ბუენოს-აირესი, პარიზი და მადრიდი.

*bpn.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მალე ლონდონში ავტობუსი-სპორტდარბაზი ივლის




როგორ უნდა მოვიქცეთ 21-ე საუკუნის აჩქარებულ ცხოვრებაში, როცა დრო თითქმის მხოლოდ სამსახურისა და ძილისთვის გვრჩება. არადა, სხეული თანდათან ფორმას კარგავს და ვგრძნობთ, რომ ვდუნდებით. ბრიტანულმა ფიტნეს-კომპანიამ, ხალხო, თუ თქვენ ვერ მოდიხართ ჩვენთან, ჩვენ, მთა მოვალთ მუჰამედებთან და საშუალებას მოგცემთ, ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვროთო.

მოკლედ ფიტნეს-კომპანია სატრანსპორტო კომპანიასთან ხელშეკრულებას დებს, რომლის თანახმადაც, ლონდონელებს სახლიდან სამსახურამდე მიმავალ გზაზე ავტობუსში ვარჯიში შეეძლებათ. ავტობუსში ტრენაჟორები იქნება დამონტაჟებული, ვარჯიშის შემდეგ კი მსურველებს აბაზანის მიღება და კოქტეილის დაგემოვნება შეეძლებათ.

პირველი ფიტნეს-ავტობუსის გაშვება უკვე აგვისტოსთვის იგეგმება.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინელს ქალისთვის ხელის თხოვნა უნდოდა და ტოტებში გაიხლართა



აფსუსია, რომ ჩვენი ამბის გმირმა არ იცის სიმღერა – „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია", თორემ ამაზე მეტს არც არაფერს იმღერებდა.

მოკლედ, ერთ ჩინელ შეყვარებულ კაცს საყვარელი ქალისთვის ხელის თხოვნა უნდოდა. ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, მივიდა დასკვნამდე, რომ ხელის თხოვნა არც ისე უჩვეულო ამბავი იყო, მას კი სურდა, გულისსწორი გაეოცებინა, ამიტომ გადაწყვიტა, ეს ორიგინალურად გაეკეთებინა.

პარაშუტზე დააწერა – „ცოლად გამომყევი" და გადმოხტა. ეს კი გადმოხტა, მაგრამ ქარმა, მე ჩემი გეგმები მაქვსო და შეყვარებული ჩიტი ხეზე, ტოტებს შორის გახლართა. ვაი, შენს რომეოს! ყველა სიკეთესთან ერთად, მარტო ჩამოსვლაც ვერ მოახერხა, სამაშველო სამსახურის ადგილზე მისვლას კი 1 საათი დასჭირდა. ბოლოს და ბოლოს, დაეშვა დღის გმირი მიწაზე და გადაწყვიტა, არაფერი შეემჩნია – სატრფოს წინაშე დაიჩოქა, ყვავილები მიართვა და ცოლობა სთხოვა. თურმე, ჯერ სად იყო, მთავარი წინ ელოდა – ამდენი თავგადასავლის მთავარი მიზეზი უსიტყვოდ გატრიალდა და წავიდა. აქ უკვე ქარმა შეიცხადა, მსგავსი რამ მეც კი არ მიკადრებიაო.

ცალკე სოციალურ ქსელში ატყდა ერთი ამბავი, ეგრე მოუხდება მაგ ჯამბაზს, ვერ დაეტია მიწაზე? ხელის თხოვნას ემოცია სჭირდება, საჯარო ხტუნაობა კი არაო!

იმედია, ერთხელ უიღბლოებსაც უმართლებთ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ნაყინი, რომელიც ,,პახმელიაზე" უებარი წამალია



არსებობს ნაბახუსევზე მისაღები საკვებისა და სითხეების ყველასთვის ცნობილი სია, მაგალითად, ხაში, რამე მომჟავო წვნიანი, „ბორჯომი", ბროწეულის წვენი და თქვენთვის კარგად ნაცნობი მრავალი კერძი თუ სასმელი.

სამხრეთ კორეა იმაზე კრეატიული აღმოჩნდა, ვიდრე ხაშის მერე მთელი დღის ნივრის სუნით გატარებაა, ნაბახუსევის ყველასთვის სასიამოვნო საშუალება, ნაყინი შექმნა.

ნაყინი მცენარე Hovenia dulcis-ზე მზადდება. თურმე, კორეელები ჭარბი ალკოჰოლის მონელების ამ ხერხს მე-17 საუკუნეში მიმართავდნენ.

ახალი ნაყინის სახელია – „გაუძელი!"

სამხრეთ კორეელები წელიწადში დაახლოებით 12.3 ლიტრ ალკოჰოლს სვამენ. ალკოჰოლის ჭარბი სიყვარულით კი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი გამოირჩევა.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ალასკაში გაქცეული პატიმარი დაბრუნდა და ისევ გაიქცა



ალასკის სოციალური ადაპტაციის სარეაბილიტაციო ცენტრის პატიმარი სატვირთო მანქანიდან გაიქცა. თავიდან უკანმოუხედავად გაიქცა, მერე იქ დარჩენილი პატიმრების ბედზე დაღონდა და უკან დაბრუნდა, რომ მის ბედქვეშ მყოფი ადამიანები გაეთავისუფლებინა.

თურმე, გმირი ჯოშუა იასკა პირველად ველოსიპედით გაიქცა, 3 საათის შემდეგ კი მობრუნდა და სატვირთო მანქანაში შეღწევა სცადა, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, მეგობრების განთავისუფლება ვერ მოახერხა, თავად კი ისევ მიიმალა.

„უცნობია, სად იმყოფება იასკა", – განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა.

თურმე, სამართალდამცავ ორგანოებსა და ცენტრის პერსონალს გაქცეულების შეჩერების უფლება არ აქვთ, თუმცა დაჭერის შემდეგ გაქცევაში ბრალს სდებენ.

*lenta.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მსოფლიოში პირველმა შვიდმა ტყუპმა სკოლა დაამთავრა



აშშ-ში მაკოჰის ოჯახის მსოფლიოში პირველმა შვიდმა ტყუპმა სკოლა დაამთავრა. უცხოური მედიის ინფორმაციით, მაკოჰის ოჯახი აიოვადან 1997 წელს გახდა ცნობილი. ეს მსოფლიოში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მშობიარობისას 7 ტყუპი გადარჩა.

ალექსისი, ბრენდონი, ჯოელი, კელსი, კენი უმცროსი, ნატალი და ნატანი ვადაზე 9 კვირით ადრე დაიბადნენ და დაახლოებით 450 გრამს იწონიდნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვებს მისურის ჰანიბალ-ლაგრანჯის უნივერსიტეტში სრული სტიპენდიები შესთავაზეს. სწავლას მაკოჰის ოჯახიდან ყველა ბავშვი არ განაგრძობს. ბრენდონი ჯარში მსახურს, კელსი კი მუსიკალური კარიერის აწყობას გეგმავს. აღსანიშნავია, რომ 7 ტყუპს ერთი წლით უფროსი დაც ჰყავთ.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ძიძამ 1 წლის ბავშვს სასტიკად სცემა



ამერიკელ წყვილს – ჯოშუა მარბერისა და ალისია კვინს საკუთარ თავზე მოუწიათ სასამართლო სისტემის უდიდესი მინუსების გამოცდა. ერთხელ, როდესაც მათ საღამოს ერთად გატარება გადაწყვიტეს, 1 წლის ვაჟი ჯეიკობი ძიძასთან დატოვეს.

როდესაც სახლში მოვიდნენ, ჯეიკობი ტიროდა, მას სახე და ტანი დალურჯებული ჰქონდა, ძიძას კი, უბრალოდ, ეძინა. აღშფოთებულმა მშობლებმა დაუყოვნებლივ პოლიცია გამოიძახეს და ძიძას სასამართლოში უჩივლეს.

რაც შემდეგ მოხდა, კიდევ უფრო აღმაშფოთებელია. სასამართლომ ვერ იპოვა საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ ძიძა დაესაჯათ. თურმე, კანონის თანახმად, მსუბუქი ტრავმების მიყენებისას დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც თავად მსხვერპლი ადასტურებს ამას. ჯეიკობი კი მხოლოდ ერთი წლისაა და ლაპარაკიც არ შეუძლია. აღშფოთებულმა დედამ ნაცემი შვილის ფოტო ინტერნეტში გამოაქვეყნა და დეტალურად აღწერა მოვლენები. საბედნიეროდ, მოინახა იურისტების ჯგუფი, რომელმაც კანონში ცვლილებების შესატანი პროექტის მზადება დაიწყო.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინურ ბაზრებში უშვილობის სამკურნალოდ, ცხოველების გამხმარი სასქესო ორგანოები იყიდება



ჩინურ ხალხურ მედიცინაში ხშირად შეხვდებით კონკრეტული დაავადებების განკურნების უცნაურ მეთოდებს, მცენარეების გამხმარი ფესვებით დაწყებული ბაყაყის ნაყენებით დამთავრებული.

თუმცა ეს არაფერია. ჩინური ხალხური მედიცინა, მკურნალობას ცხოველების გამხმარი სასქესო ორგანოებით გვთავაზობს. ხალხში გავრცელებული მოსაზრებით, მამაკაცებში ეს აძლიერებს იმუნიტეტს, აღადგენს ძალებსა და კურნავს უშვილობას.

როგორც აღმოჩნდა, ქალაქ ბოჟუში ტრადიციული მედიცინის პროდუქტების უდიდესი ბაზარია, სადაც ძაღლების, ცხენებისა და ვირების სასქესო ორგანოები იყიდება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროდუქცია ბაზარში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი, თუმცა უცნობია, რა გზით შოულობენ მას.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## უმა თურმანმა კოცნა 196 000 დოლარად გაყიდა



ჰოლივუდის ვარსკვლავმა უმა თურმანმა აუქციონზე კოცნა 196 ათას დოლარად გაყიდა.

კვენტინ ტარანტინოს მუზის კოცნა საქველმოქმედო ღონისძიებაზე იტალიელმა ბიზნესმენმა ლაპო ელკანმა იყიდა.

გაყიდული კოცნით მიღებული თანხა, მსახიობმა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას გადასცა.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 91 დარტყმა მათრახით სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ვიდეოსთვის და ფოტოსთვის!



ირანი – ეს ის ქვეყანაა, რომელზეც ბევრი რამ უცნობია. ის, რაც საზოგადოებისთვის ამ ქვეყნის შესახებ ხდება ცნობილი, ხანდახან შოკისმომგვრელიც კი არის, ვინც სულ სხვა კანონებით ცხოვრობს.

ირანში არსებობს უამრავი აკრძალვა, რომელიც ადამიანების მიერ მაინც ირღვევა. მაგალითად, ბევრი მოდელი და ბლოგერი დაისაჯა იმისთვის, რომ „დასავლური გახსნილობის პროპაგანდას" ეწეოდა. ეს კი ირანში დაუშვებელია. დაკავებები ირანში ოპერაციის ფარგლებში კოდური დასახელებით „ობობა-2" განხორციელდა. ეს ოპერაცია ირანის მოსახლეობის შორის „ინსტაგრამის" მომხმარებელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ოპერაციის მიმდინარეობისას საქმე სისხლის სამართლის 21-ე მუხლით აღიძრა. ერთ-ერთი მთავარი ბრალდება – ჰიჯაბის გარეშე ფოტოების გამოქვეყნება იყო. დაპატიმრებულთა შორის „ინსტაგრამის" ადგილობრივი მომხმარებლები და მოდელები – მელიკა ზამანი, ნილუფარ ბეჰბუდი, დონია მოგადამი, დანა ნიკი, შაბნამ მოლავი, ელნაზ გოლროჰი და ჰამიდ ფადაეი აღმოჩნდნენ. ჰამიდ ფადაეი ჰიჯაბს არ უნდა ატარებდეს, თუმცა მისი ფოტოები ზედმეტად გლამურულად მიიჩნიეს და ამიტომ დააპატიმრეს. თეირანის პოლიციაში ნაციონალური დრესკოდის დარღვევასთან ბრძოლის საქმეში დაახლოებით 7000 აგენტი მუშაობს. მოდელებთან ბრძოლა – ეს ადგილობრივი სამართალდამცავების მხოლოდ ერთ-ერთი



აქციაა. მაგალითად, 2014 წელს ირანელი გოგონებისა და ბიჭების ჯგუფი ფარელ უილიამსის სიმღერაზე ცეკვავდა. მას შემდეგ, რაც ამ ცეკვის ამსახველი ვიდეორგოლი ინტერნეტში მოხვდა, ყველა, ვინც ამ „ბაკქანალიაში" მონაწილეობდა, დააპატიმრეს. საზოგადოებისა და თავად შემსრულებლის – ფარელ უილიამსის მხრიდან უკმაყოფილების მიუხედავად, დაპატიმრებულებს პირობითად ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა და მათრახით 91 დარტყმა მიუსაჯეს.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## წელს „მის ბუმბუმის" კონკურსში 50 წელს ზემოთ ასაკის ქალებიც ჩაერთვებიან



ჯერ სილამაზის სტანდარტების დადგენა და მერე ამ სტანდარტებზე ადამიანების მორგება რაა და კიდევ ერთ-ერთ მთავარ სტანდარტად ასაკის მიჩნევა. თურმე, თუ 18-დან 30 წლამდე არ ხარ, არ შეიძლება ლამაზი და მიმზიდველი იყო და არ შეიძლება სხეულის კარგი ფორმები გქონდეს.

ჰოდა, ბრაზილია ადგა და სტერეოტიპების წინააღმდეგ წავიდა – წლევანდელ კონკურსში, რომელსაც „მის ბუმბუმი" ეწოდება (მის უკანალი) და დამეთანხმებით, სწორედ ბრაზილიაში უნდა ტარდებოდეს, მონაწილეობის მიღება 50 წელს ზემოთ ასაკის მქონე ქალებსაც შეეძლებათ.

კონკურსის ერთ-ერთი მონაწილის ტერეზინია ისენის თქმით, კონკურსისთვის სხვადასხვა ხერხებით ემზადება, დაკავებულია ფიტნესით და კოსმეტიკურ პროცედურებსაც იყენებს (მაგალითად, ვაკუუმის მასაჟი).

„მე ერთ-ერთი მათგანი არ ვარ, რომლებსაც მოშვებული კანი აქვთ, ყველაფერი თავის ადგილზე მაქვს", – განაცხადა ქალაქ სალვადორის მცხოვრებმა. თურმე, თავის ახალგაზრდობაში ქალაქის ყველაზე ლამაზ გოგოდ ითვლებოდა. გათხოვების შემდეგ კი, ქმარი აიძულებდა მისი მთელი რესურსი ოჯახსა და შვილებზე დახარჯულიყო და სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მირების უფლებას არ აძლევდა.

ქმარი 21 წლის წინათ გარდაეცვალა, ასე რომ, შეუძლია, ოცნება აიხდინოს და თავისი სილამაზე ყველას აჩვენოს.

„ყველას უნდა დავუმტკიცო, რომ არაფერი შეცვლილა და ძველებურად მიმზიდველი ვარ", – ამბობს ტერეზა.

**lenta.ru**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

Facebook ამბები



თარხან გასვიანი:

ერთი ალენ დელონი გაიზარდა ვაჟა-ფშაველას პოემებზე, მეორე ბექჰემმა თქვა: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო„ და მესამე რობი ვილიამსი კვდებოდა ინტერესით საქართველოში განვითარებული მოვლენებით... გამოფხიზლდით....

ეხლა რობი ვილიამსის კონცერტზე შუბებით ნუ წახვალთ თან სტადიონზეა, თან ცხელა, თან ტეხავს... არ მოგვჭრათ თავი მთელ მსოფლიოში

რობი ვილიამსმა საქართველო და აქ მიმდინარე მოვლენები სულ მაინტერესებდაო

რუქა უნდა აიღო სად არიო უნდა კითხო და თითი თუ ვერ დაადო სუ სველი წკეპლით უნდა სცემო...



ლევან ღვინჯილია:

„ვინ არის ეს ფალარათის წამალი „ენტეროლი"?

მესამეკლასემა ბავშვმა იცის, რომ „სპონსორი" „ვინ" ჯგუფის სიტყვაა!

დღეს „რ-2"-ზე არაერთგზის გამოაცხადეს, რომ „ვანოს შოუს„ სპონსორია ფაღარათის საწინააღმდეგო წამალი „ენტეროლი„...

მე არ ვიცი, რა კავშირია ამ შოუსა და ფაღარათს შორის, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ წამალს (ყველას და არამხოლოდ „ენტეროლს„) დაესმის კითხვა „რა?".

ამდენად, შეუძლებელია, წამალი იყოს სპონსორი: მას ფული არა აქვს...ის თვითონაა გასაყიდი პროდუქტი!!!

დავიჯერო, ასეთი რამეები არ იციან ამ ინტელექტუალებით გაძეძგილ ტელევიზიაში?

სამართლიანობისათვის: ამ მხრივ, ცხადია, „რ-2" გამონაკლისი არაა!!!



მანჩო გიორგობიანი:

ელვა დეპეშა

უკრაინა, კიივ

პრეზიდენტო პორშენკო, გირჩევთ, თქვენი (უკრაინელი) სააკაშვილი კონტეინერში ჩაყინოთ „სამომავლიოდ„, არ გაგიფუჭდეთ, უცბად იცის აყროლება .... ტჩკ

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ლერწმის შაქარი
2. ძროხის ნაშიერი
3. გამჭოლი ქარი
4. კაკაბაძე, „ყვარყვარე ...“
5. ზამთრის თვე
6. ვეტერი-ნარი
7. რუს მეფეთა დინასტია
8. გაფუჭე-ბული კვერცხი
9. ფქვილით შეზელილი ბაძაგი
10. ზღვა იტალიას-თან
11. სახის ნაწილი
12. ოთხ-კუთხედი მართი კუთხეებით
13. ნიშნავს საშუალოს
14. დაბა ოზურგეთ. რაიონში
15. კაკლის საბერტყი ჯოხი
16. მხ/ფ „... იმპერა-ტორი“
17. წყალ-ქვეშა კლდე
18. იპოლიტე ხვიჩია ფილმში
19. ნაცია
20. მორბე-ნალი ფრინველი
21. იტყვიან ახალ კიტრზე
22. მეფის მხლებ-ლები
23. რეჟისორი ... მურატოვა
24. უფლის სამოსი
25. იური-დიული პირი
26. მუზების მფარველი ღმერთი
27. ბრიუს უილისი ფილმში
28. ძლიერნი ... სოფლისანი
29. ვულკანური მასა
30. ქიმიური ელემენტი
31. მსახ. ... ვარდა-ლოსი
32. ოთხკუთ-ხედში გავლებული ხაზი
33. შავ ზღვაში გავრცელებული ზვიგენის სახეობა
34. ანიკოს პირველი ქმარი
35. უღელტე-ხილი ლინის ქედზე
36. ქართ. ანბანის ბოლო ასო
37. ტაილანდის ძველი სახელწ.
38. მსახიობი ვახტანგ ...
39. მთის ბროლის სამკა-ულების ფირმა
40. ყვავილი
41. ტალახი
42. გვაროვნული წყობილების პე-რიოდი, ქალს ეჭირა გაბატონ. მდგომარეობა
43. მერიმე, „... ფალკონე“
44. ხელის საგრი-ლებელი
45. მომ-ღერალი კრისტინა ...
46. რეჟისორი კლოდ ...
47. ძველი წიგნებით მოვაჭრე
48. პარფიუ-მერული ფირმა
49. ფასტ-ფუდის ქსელი აშშ-ში
50. მსახიობი ... ეფრონი
51. ის, ვისაც წერილს უგზავნიან
52. წყალსა-ცავი აზერბაი-ჯანში
53. მსახიობი ტომ ...
54. ვაზის ტოტი ორი მტევნით
55. სსრკ-ში: ლავრენტი ...
56. ღმერთი სკანდინ. მითებში
57. გრამატიკის ნაწილი. შეის-წავლის წინადა-დებების ტიპებს
58. უძველესი ასურეთის დედაქა-ლაქი
59. მხატვარი ... ახვლე-დიანი
60. იტალიური მაკარონი
61. მსახიობი ... ფერბენქსი
62. იტალიელი მხატვარი
63. უდაბნო აფრიკაში
64. კომ-პოზიტორი ... ყანჩელი
65. ქვიშით დაფარული ვრცელი სივრცე
66. ქალაქი ...-ვეგასი
67. ნაბოკოვის რომანი
68. ლითონი
69. პოეტი ლუი ...
70. ხორცის ნახარში
71. მწნილი
72. პირველი სამნიშნა რიცხვი
73. წყვილი ერთიანი ნარდში
74. მომ-ღერალი რაფაელა ...
75. იაპონური თეატრი
76. „ილიადა“ ავტორი
77. ფრინ-ველის საწყვ-დევი
78. ბილი-არდის ჯოხი
79. ტოლჩა
79ა. რძის პრო-დუქტი
80. მაიმუნის სახეობა
81. საოცრება: ... კოლოსი
82. მსახ. აიშვა-რია ...
83. გამო-ძიების ერთ-ერთი გზა
84. მტაცებელი ფრინველი
85. წნილე-ვანი მცენარე
86. მსახიობი ... გიბსონი
87. ბოსტ-ნეული
88. ყვავილი
89. ... ნასრე-დინი
90. კურორტი ბულგა-რეთში
91. ლასო
92. ... გაფრინ-დაშვილი
93. სოფელი დუშეთის რაიონში
94. ჯაშუში ქალი ... ჰარი
95. მდინარე დას. საქართ.
96. ესპანელი დიდებული
97. პორ-ტუგალიის დედაქა-ლაქი
98. აბატი პრევო, „... ლესკო“
99. კომ-პოზიტორი რევაზ ...
100. შესაძ-ლებლობა, ანუ ...
101. „იყო ... მგალო-ბელი“
102. მსახიობი ... ჰეპბერნი
103. მსახიობი ... დევისი
104. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
105. იალქანი
106. იმრე კალმანის ოპერეტა
107. მწერალი ... შენგელაია
108. „გრაფი მონტე-...“
109. ტაბლეტი
110. ..., ქამი და იაფეტი
111. ყელზე: ... არტერია
112. პურის სოკო
113. მუსლი-მანური მარხვა
114. ფქვილით შეზელილი ბადაგი
115. წიაღი-სეული საწვავი
116. ვაჟიშ-ვილი
117. რიცხვი 3,14
118. ნაბიჯი ბალეტში

პასუხები: 1. საქაროზა; 2. ხბო; 3. ორპირი; 4. თუთაბერი; 5. თებერვალი; 6. ბეითალი; 7. რიურიკი; 8. ლაყე; 9. თათარა; 10. ადრიატიკა; 11. ყბა; 12. მართკუთხედი; 13. მეცო; 14. ლაითური; 15. ხალა; 16. უკანასკნელი; 17. რიფი; 18. „თხუნელა“; 19. ერი; 20. სირაქლემა; 21. ქორფა; 22. ამალა; 23. კირა; 24. კვართი; 25. ნოტარიუსი; 26. აპოლონი; 27. „არმაგედონი“; 28. ამა; 29. მაგმა; 30. ქლორი; 31. ნია; 32. დიაგონალი; 33. კატრანი; 34. კია; 35. რიკოთი; 36. ჰაე; 37. სიამი; 38. ნინუა; 39. სვაროვსკი; 40. ია; 41. ლაფი; 42. მატრიარქატი; 43. მატეო; 44. მარაო; 45. აგილერა; 46. ლელუში; 47. ბუკინისტი; 48. „ნივეა“; 49. მაკდონალდსი; 50. ზაკ; 51. ადრესატი; 52. მინგეჩაური; 53. კრუზი; 54. აკიდო; 55. ბერია; 56. ოდინი; 57. სინტაქსი; 58. ნინევია; 59. ელენე; 60. სპაგეტი; 61. დუგლას; 62. ტინტორეტო; 63. კალაჰარი; 64. გია; 65. უდაბნო; 66. ლას; 67. „ლოლიტა“; 68. სპილენძი; 70. ბულიონი; 71. მარინადი; 72. ასი; 73. იაგანი; 74. კარა; 75. ნო; 76. ჰომეროსი; 77. გალია; 78. კიი; 79. კათხა; 79ა. დო; 80. გორილა; 81. როდოსი; 82. რაი; 83. ვერსია; 84. ქორი; 85. ნაძვი; 86. მელ; 87. ნიორი; 88. ია; 89. მოლა; 90. ვარნა; 91. ქამანდი; 92. ნონა; 93. მლეთა; 94. მატა; 95. რიონი; 96. იდალგო; 97. ლისაბონი; 98. მანონ; 99. ლაღიძე; 100. უნარი; 101. მაშვი; 102. ოდრი; 103. ჯინა; 104. ომეგა; 105. აფრა; 106. „სილვა“; 107. დემნა; 108. კრისტო; 109. აბი; 110. სემი; 111. საძილე; 112. ობი; 113. რამაზანი; 114. ფელამუში; 115. ნავთობი; 116. ძე; 117. პი; 118. პა. იკითხება: ქუთაისი. ბათუმი. სიღნაღი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
2. ძველი ქაღალდები
3. ლენონის ქვრივი
4. ნიანგის სახეობა
5. დაბა ბორჯომის რაიონში
6. ქალაქი ქვემო ქართლში
7. ზღვაოსანი ფერნანდო ...
8. ქრისტიანთა წმინდა თასი
9. ძაღლის ჯიში
10. ინერტული აირი
11. მევიოლინე ლიანა ...
12. მდ. სანქტ-პეტერბურგში
13. მსახიობი ... პაჩინო
14. მხარე დას. საქართ.
15. შეჯიბრი ცხენების გახედვნაში
16. მომღერალი ... მინოუგი
17. მწერალი ... ქიაჩელი
18. თერძის იარაღი
19. პოლიტიკოსი ნელსონ ...
20. „მაუგლი" პითონი
21. ჩიტების დასაჭერი საცერი
22. ავტოსაგზაო შემთხვევა
23. ჰიპოკრატეს ...
24. შექსპირის ტრაგედია
25. დაბა მსხეთა-მთიანეთის მხარეში
26. ნაპოლეონის ტიტული
27. სახელმწიფო ევროპაში
28. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
29. ფქვილით შეზელილი ბადაგი
30. სრუტე პა-დე-...
31. „... ვოდევილები"
32. დერმა, ანუ ...
33. სამშენებლო მასალა
34. მდინარე ციმბირში
35. ძვ. თბილისური მიმართვა
36. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
37. ფრანგი მხატვარი
38. მიმართვა ქალისადმი აშშ-ში
39. ქართ. გლეხის ფეხსაცმელი
40. უჯრედშორისი სითხე
41. რომაელი იმპერატორი
42. შხამიანი გველი
43. მსახიობი ... გარდნერი
44. ოპერა „... გიუნტი"
45. მიმიკის უქონლობა
46. ბიზეს ოპერა
47. იტალიური მაკარონი
48. სახელმწიფო აფრიკაში
49. ცხიმის კვალი ქსოვილზე
50. ინგლისური ლუდი
51. თავფეხიანი მოლუსკი
52. დიდი ციგა
53. ისლანდიის დედაქალაქი
54. ქალაქი აფხაზეთში
55. რეჟისორი ... ფორმანი
56. მსგავსი, ანუ ...
57. შუმერული ეპოსის გმირი
58. მთელი ორკესტრის პარტია
59. მსახიობი ... ბრანა
60. მტაცებელი თევზი ამაზონში
61. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი
62. ფეხსაცმელების მკერავი
63. მსახიობი ... ფიორენტინო
64. მთაში გაყვანილი კომუნიკაცია
65. მსახიობი ... ჰარისი
66. პოეტი ... შევჩენკო
67. ღრმული წყნარ ოკეანეში
68. მამითადი
69. ნუსხა
70. რეჟისორი ... დე ბონტი
71. მოზაიკის კერამიკის ნატეხი
72. რეჟისორი ... პარკერი
73. ადმინისტრაციული ერთეული ძველად
74. გერმანული ავტომობილი
75. მსახიობი ჯულია ...
76. ეგვიპტის დედაქალაქი
77. განმუხტვა ღრუბლებში
78. მზის ღმერთი ეგვიპტეში
79. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
80. მომღერალი ... დილანი
81. თევზის წვნიანი
82. „... კარენინა"
83. უქონრო თუთიყუში
84. მწვანილების შეკვრა
85. მხატვარი ... თოიძე
86. ინერტული აირი
87. შტატი აშშ-ში
88. სოფელი რაჭაში
89. მდინარე კახეთში
90. მსახიობი მარჩელო ...
91. ნარინჯისფერი პიგმენტი
92. მუსიკალ. ტემპი
93. მაჟორი და ...
94. მსახიობი ... გარსია
95. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
96. საღებ რეზინი
97. ყვავილი
98. ტროპიკული მცენარე
99. დინამიტის გამომგონებელი
100. ... აარონ პრესლი
101. საკონდიტრო სანელებელი
102. თამბაქოს მოსაწევი ხელსაწყო
103. მსახიობი შერონ ...
104. მხატვარი ... გრეკო
105. მსახიობი ჯორჯ ...
106. გიტარის მავთული
107. მომღერალი ... კუტუნიო
108. ... ჰო, ... არა
109. რადიოს იტალიელი გამომგონებელი
110. მსახიობი ქეით ...
111. ოქროს ძაფი
112. ქალაქი აშშ-ში
113. ... თამადა რა ყოფილა
114. მთები ...-შანი
115. დათვის ნაშიერი
116. მსახიობი ... დემონჟო
117. გამის ნოტი
118. ჯერომ კ. ჯერომი. „... ერთ ნავში, თუ არ ჩავთვლით ძაღლს"
119. მან მოიტაცა მშვენიერი ელენე

პასუხები: 1. გაბროვო; 2. მაკულატურა; 3. ონო; 4. გავიალი; 5. ბაკურიანი; 6. მარნეული; 7. მაგელანი; 8. გრაალი; 9. ლაიკა; 10. ნეონი; 11. ისაკაძე; 12. ნევა; 13. ალ; 14. გურია; 15. როდეო; 16. კაილი; 17. ლეო; 18. მაკრატელი; 19. მანდელა; 20. კაა; 21. კაკანათი; 22. ავარია; 23. ფიცი; 24. „ოტელო"; 25. თიანეთი; 26. იმპერატორი; 27. ნიდერლანდი; 28. სტაფილოკოკი; 29. ფელამუში; 30. კალე; 31. ძველი; 32. კანი; 33. კირი; 34. ლენა; 35. ტო; 36. ტატამი; 37. მილე; 38. მემ; 39. ქალამანი; 40. ლიმფა; 41. ნერონი; 42. ეფა; 43. ავა; 44. პერ; 45. ამიმია; 46. „კარმენი"; 47. სპაგეტი; 48. ლესოტო; 49. ლაქა; 50. ელი; 51. კალმარი; 52. მარხილი; 53. რეიკიავიკი; 54. გაგრა; 55. მილოშ; 56. იდენტური; 57. გილგამეში; 58. ტუტი; 59. კენეტ; 60. პირანია; 61. ანხელი; 62. ხარაზი; 63. ლინდა; 64. გვირაბი; 65. ედ; 66. ტარას; 67. მარიანი; 68. ნადი; 69. სია; 70. იან; 71. სმალტა; 72. ალან; 73. მაზრა; 74. „აუდი"; 75. რობერტსი; 76. კაირო; 77. ელვა; 78. რა; 79. ნიკარაგუა; 80. ბობ; 81. უხა; 82. ანა; 83. არა; 84. კონა; 85. მოსე; 86. არგონი; 87. ანდიანა; 88. ღები; 89. ალაზანი; 90. მასტროიანი; 91. კაროტინი; 92. გრავე; 93. მინორი; 94. ენდი; 95. კარატი; 96. „დიროლი"; 97. იასამანი; 98. ბამბუკი; 99. ნობელი; 100. ელვის; 101. ვანილი; 102. ნარგილე; 103. სტოუნი; 104. ელ; 105. კლუნი; 106. სიმი; 107. ტოტო; 108. ან; 109. მარკონი; 110. უინსლეტი; 111. სირმა; 112. ნიუ-იორკი; 113. ეს; 114. ტიან; 115. ბელი; 116. მილენ; 117. სი; 118. სამნი; 119. პარისი. იკითხება: როუენ ატკინსონი. ჯიმ კერი. ბენ სტილერი.

# facebook



ირმა ინაშვილი:

მთელი დღეა შეხვეული ხელით დავდივარ. ამინდი იცვლება და არასწორად შეხორცებული მტევანი გაუსაძლის ტკივილს იწყებს. ეს ხელი სააკაშვილ- ბასიშვილის ზონდერებმა მომტეხეს. 15 ივნისს... პოლიციის სამმართველოსთან სასტიკი დარბევისას. კამერა დამილეწეს. თავში „დუბინკა„ მიტყეს. სამყარო ზანზარებდა. ერთმა სპერაზმელმა გადამარჩინა, რომელსაც სახე დაფარული ჰქონდა, მაგრამ ყურში მიჩურჩულა,- აფხაზეთის ომში ერთად ვიყავით. მე გამომყევიო და... დიღმის ცენტრალურ პროსპექტზე გამომიყვანა. ეს მოტეხილი ხელი მახსენებს, რა სადისტები მართავდნენ ქვეყანას მთელი 9 წლის მანძილზე. ამ სადიზმს ერქვა და ჰქვია სააკაშვილის რეჟიმი...

არადროს მითქვამს, რატომ არ მაცვია კაბა. მარტო ცხოვრების მძიმე რიტმის გამოარა. კიდევ იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმის ზონდერები დარბევებისას წვივებში გვირტყამდნენ და არა მგონია, ვინმეს მოეწონოს იარებით „შემკული„ ფეხების ნახვა. ესაა ,ნაცისტებო, თქვენი სახე! მაშინ ჟურნალისტთა დიდი ნაწილი სდუმდა. სააკაშვილს უძვრებოდნენ. მერე ღმერთმა ჩემი ხელით ჩამოხადა ნიღაბი ამ ბოროტებას... და შენ... „ქართულო ოცნებავ„, დამნაშავეები კი არ დასაჯე, ზოგი ქვეყნიდან გააპარე... ზოგს ჩაეხუტე... და პარტიასთან, რომელსაც დღეს საქმიანობა უნდა ჰქონდეს აკრძალული, კოჰაბიტაცია გამოაცხადე. ეს იყო წყალგამყოფი შენსა და ჩვენს შორის და ახლა სხვადასხვა ნაპირზე ვდგავართ. თქვენი ლიდერი-კვირიკაშვილი, რომლისთვისაც 10 წლის მანძილზე თვალი არავის მოუკრავს, სადაც ქვეყანას უჭირდა, მემიჯნება კიდეც... მე კი, ჩემს სამშობლოს ვერ გავემიჯნები, ამიტომ საქართველოს დასაჯიჯგნად ვერავის დავუტოვებთ. ვერც მგლებს და ვერც ცხვრის ტყავში გადაცმულ ტურებს.

მწარეა სიმართლე. ბოკერია არ უნდა ცემო საარჩევნო უბნის წინ, ბოკერია ვანოს გვერდით უნდა მჯდარიყო 2012 წლის ნოემბრიდან... გადაარჩინეთ. მთავარ ოპოზიციურ ძალად კბილებით ინარჩუნებდით. ლამისაა მტრებად გამოგვაცხადეთ, ვინც კოჰაბიტაცია დავგმეთ... ახლა ბედავთ და ახალ სახეებს უშვებთ არენაზე, რომლებიც მისტირიან „ნიჭიერ მიშას და ცოლის მსხვერპლ ვანოს„... ვაი, საქართველო, ამდენი ყვავ- ყორნის ხელში.

Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## აშშ-ში შექსპირის პიესა შიშველმა მსახიობმა ქალებმა დადგეს



შიშველმა მსახიობმა ქალებმა უილიამ შექსპირის პიესაში – „ქარიშხალი“ ითამაშეს. პიესა ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში დაიდგა. მსახიობთა შორის არც ერთი მამაკაცი არ იყო, მამაკაცის ყველა როლს შიშველი ქალები თამაშობდნენ.

„ქარიშხალს“ 2 დღის განმავლობაში აჩვენებდნენ. რეჟისორების არჩევანი სწორედ ამ პიესაზე შემთხვევით არ შეჩერებულა – მასში ველური სამყაროსა და ცივილიზაციის ურთიერთობაა განხილული. ტანსაცმელზე უარის თქმა კი, დამდგმელი რეჟისორების განცხადებით, მნიშვნელოვანი სიუჟეტური ელემენტია.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ინდოელი წუთში ჩახუტების რაოდენობით გინესის რეკორდების წიგნში შევიდა



ასე არ სჯობს? არ სჯობს, ჩახუტების რაოდენობით ვეცადოთ რეკორდების დამყარებას, ვიდრე, მაგალითად, ცხვირში დანების შეტენით?

ინდოელი კრიშნა კუმარი სწორედ ჩახუტებით შევიდა გინესის რეკორდების წიგნში. მასთან ჩახუტების მიზნით, რიგში ადგილობრივი სკოლის 88 მოსწავლე ჩაეწერა.

ბავშვები რიგში იდგნენ და თავიანთ ჯერზე ჩასახუტებლად გარბოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კრიშნა 60 წამში 83 ბავშვს ჩაეხუტა, ექსპერტებმა მხოლოდ 79 ჩაუთვალეს. იმ ოთხთან კონტაქტი ჭიდაობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩახუტებასო. აღსანიშნავია, რომ კრიშნას ბავშვებისთვის ხელები ბოლომდე უნდა შემოეხვია, თანაც ახლო დისტანციიდან. თუმცა, 4 არჩათვლილი სითბო რა მოსატანია, როცა 79 ჩახუტებითაც რეკორდსმენია.

*rosbalt.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ალკოჰოლიზმის დასამარცხებლად... თევზი



რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, თევზი საშუალებას იძლევა, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ უსიამოვნებას – ალკოჰოლიზმს დიდი წარმატებით შევებრძოლოთ. ამდენად, ვისაც სურს, რომ ალკოჰოლური სასმელების დალევის ლტოლვა მოიშოროს, ზღვის პროდუქტებით უნდა იკვებოს ან ადგეს და თევზის ქონი მიიღოს ხოლმე.

პროდუქტის ამ მორიგი გასაოცარი თვისების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ფსიქიატრებმა შეამოწმეს, შეუძლია თუ არა თევზს ბიპოლარული აშლილობების (აფექტი, მანიაკალიზმი, დეპრესია და ასე შემდეგ) მკურნალობაში რაიმე დადებითი როლი შეასრულოს.

შეგახსენებთ, რომ აქამდე თევზი გამოიყენებოდა ჭკუასუსტობის, აუტიზმისა და ფსიქიკის სხვა აშლილობების მკურნალობის პროცესში.

ახალი კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ ომეგა-3-ის ცხიმოვანი მჟავები ძალიან ეფექტური საშუალებაა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საქმეში.

*tainamira.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## უნიტაზიდან ამომძვრალი პითონი კაცს თავს დაესხა



შარი როდის საიდან ამოხტება, კაცმა არ იცის. რა დროა მოსული, კაცი მოსასაქმებლად ვერ შესულა ტუალეტში ისე, რომ არაფრის ეშინოდეს და ბიოლოგიური მოთხოვნილება მშვიდად დაიკმაყოფილოს.

ტაილანდის ქალაქ ჩაჩენგსაუში, ატაპორნ ბუნმაკჩი საკუთარი სახლის საპირფარეშოში ზედმეტი სითხისგან განთავისუფლებას აპირებდა, როცა მოულოდნელად, უნიტაზიდან 3-მეტრიანი გველი ამოუსრიალდა და თავდასხმა პირდაპირ სასქესო ორგანოზე განახორციელა.

ვაი, შენს პატრონს, ატყდა ერთი გნიასი და ცოლის საშველად მოხმობა, მაგრამ მარჯვე კაცმა თავად შეძლო თავდამსხმელისგან თავის დაღწევა, მეტიც, მტერი ტუალეტის კარის სახელურზე თოკით მიაბა, თვითონ კი საშველად მედიკოსებს მიმართა.

მსხვერპლს ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული, ამიტომ აუცილებელი გახდა სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია. პაციენტს სათანადოდ მიხედეს, ახლა საფრთხე არ ემუქრება და რეაბილიტაციის კურსს გადის.

კანალიზაციის მოყვარული რეპტილია კი ქალაქისგან შორს წაიყვანეს და ველურ ბუნებაში გაუშვეს.

ჯანდაცვის სამინისტრო ტაილანდელებს აფრთხილებს – სანამ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს ბრმად მიენდობიან, უნიტაზი მაინც წინასწარ გადაამოწმონ.

*rosbalt.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 19 წლის დედამ 6.8-კილოიანი ბავშვი გააჩინა



ნორმიდან გადახვევა და უჩვეულო შემთხვევები ვისღა უკვირს. როგორღაც ყველა მივეჩვიეთ. აგერ ახლახან არ იყო, გურიაში რომ ახლად დაბადებული 6 კილოს იწონიდა? მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

19 წლის დედა, რომელმაც 6.8-კილოიანი ბავშვი გააჩინა, ინდოელია. გაგიკვირდებათ და მამაც ინდოელია, ანუ ბავშვს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, რომ ამდგარიყო და პირდაპირ გულივერად დაბადებულიყო. მოგეხსენებათ, ინდოელები გამხდრები და ხშირ შემთხვევაში დაბლები არიან.

ბავშვი, რაღა თქმა უნდა, საკეისრო კვეთით გაჩნდა. ამჟამად გოლიათიც და გოლიათის დედაც თავს კარგად გრძნობენ.

მიუხედავად ინდური სასწაულისა, დედა-შვილმა რეკორდი მაინც ვერ მოხსნეს. პირველ ადგილზე ჯერ კიდევ იტალიელი, 1995 წელს დაბადებული ბავშვია, რომელიც დაბადებისას 10.3 კილოგრამს იწონიდა.

ისეთი რეკორდია, გაუმჯობესება რომ არავის მოუნდება.

*rosbalt.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## რობი უილიამსმა არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა კიტრი

რობი უილიამსმა არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა დაუჭრელი კიტრი. ამის შესახებ მუსიკოსის მეუღლემ – ამერიკელმა მსახიობმა აიდა ფილდმა ერთ-ერთი პოპულარული ტელეშოუს ეთერში განაცხადა.

„როდესაც მაცივრიდან ბოსტნეული გამოვიღე, ერთ-ერთმა მათგანმა რობი გააოცა. „ეს რა არის?“ – იკითხა რობიმ. ჩემი მეუღლე მიჩვეულია დაჭრილი ბოსტნეულის ნახვას“, – სიცილით განაცხადა აიდამ. მან ასევე აღნიშნა, რომ საყოფაცხოვრებო საკითხებში რობი უმწეო ბავშვივითაა.

„მას ნათურის გამოცვლაც არ შეუძლია. რობი 15 წლის ასაკში გახდა პოპულარული. ამ დროს ის მხოლოდ მუსიკით იყო გატაცებული. ამიტომ ბევრი რამ საყოფაცხოვრებო საკითხებში მან არ იცის“, – აღნიშნა მუსიკოსის მეუღლემ.

*plus.kvira.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რამდენად ეფექტურია წყლის ფილტრები?



– ის ფილტრები, რომელსაც ცივილიზებული მსოფლიო იყენებს, შეუძლებელია, სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესებას ახერხებდეს. ასეთ არცთუ სასიამოვნო დასკვნამდე ამერიკელი ეკოლოგები მივიდნენ.

მათი განმარტებით, წყალი ბუნებრივ საცავებში იმდენად არის დაბინძურებული, რომ დიდია ალბათობა, ფილტრმა მისი გაწმენდა, უბრალოდ, ვერ შეძლოს.

თავის მხრივ, წყლის დაბინძურებას ეკოლოგები კლიმატისა და ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებებს უკავშირებენ.

ექსპერტების აზრით, ამ ორი მიზეზის გამო მოხდა წყალსაცავებში ბიოლოგიური პროცესების ცვლილება და შესაბამისად, წყლის ხარისხის გაუარესება.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვერც ბოთლის წყლის სმაზე და ვერც ულტრათანამედროვე ფილტრების გამოყენებაზე გადასვლა სიტუაციას ვერ გამოასწორებს.

*pronowosti.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელმა მეცნიერმა მომავლის ჯავშანი გამოიგონა



ნანოსტრუქტურის საფუძველზე შექმნილი მასალა მომავლისთვის იმის საშუალებას გამოიღებს, რომ მომზადდეს ახალი თაობის წარმოუდგენლად გამძლე ჯავშანჟილეტები და ჯავშანი, რომელიც დღეისთვის არსებულ ნიმუშებს თავისი გამძლეობით ასჯერ, ათასჯერ და უფრო მეტჯერაც აჯობებს.

ნოტინგჰემის უნივერსიტეტის პროფესორის, იან კვი ჯუს ხანგრძლივი კვლევების შედეგად შეიქმნა „აპნანოს“ მასალის ნიმუში, რომელმაც 1,5 კილომეტრ/წამის სიჩქარით გამოსროლილ ფოლადის ჭურვს გაუძლო, რომლის ზეწოლის სიმძლავრე 1 კვადრატულ სანტიმეტრზე 250 ტონით განისაზღვრა. ეს კი, თავის მხრივ, ადამიანის ფრჩხილზე ოთხი დიზელ-ლოკომოტივის დაცემის ანალოგიურია.

დაუჯერებელია, მაგრამ ბრიტანულ მედიაში აღნიშნავენ, რომ ნანოსტრუქტურის საფუძველზე შექმნილი ჯავშნის ნიმუშები ასეთი უძლიერესი დარტყმის შემდეგ ანალოგიური დაუზიანებელი მასალისგან პრაქტიკულად, არ განსხვავდებოდა.

ცნობილია, რომ იან კვი ჯუ აღნიშნული მიმართულებით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობს. დღეისთვის მიღებული შედეგები კი მართლაც მნიშვნელოვანია, თუმცა როდიდან მოხერხდება ასეთი გამძლე ჯავშნის ფართოდ გამოყენება, რატომღაც ამ თემაზე კომენტარს არავინ აკეთებს.

*ukr-portal.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## გამელოტებისგან გადარჩენაში საკუთარი სისხლი დაგეხმარებათ



სამწუხაროდ, გამელოტება არა მხოლოდ მამაკაცების, არამედ მშვენიერი სქესის ძალიან დიდი პრობლემაა, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამაც კი ვერაფრით მოაგვარა.

ებრაელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, უსიამოვნებასთან შებრძოლება პაციენტის სისხლის დახმარებით შეიძლება.

ცნობილია, რომ საკითხზე მუშაობისას, სწავლულებმა სპეციალურად გადამუშავებული სისხლის საფუძველზე ხსნარი მიიღეს. შემდეგ სითხე აპარატში მოათავსეს, რომელიც თრომბოციტებით გამდიდრებულ პლაზმას გამოყოფდა. დასასრულ, მიღებული სითხე უკვე პაციენტის კანქვეშ შეიყვანეს. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – ინექციის ადგილზე თმების ამოსვლის პროცესი მალევე აღდგა.

სიახლის ავტორების განმარტებით, ინექცია კანქვეშ განთავსებული ღეროვანი უჯრედების სტიმულირებას ახდენს, რასაც სასურველი შედეგი აუცილებლად მოჰყვება.

ჯერჯერობით კვლევები ამ საკითხთან დაკავშირებით არ დასრულებულა, თუმცა პირველადი შედეგები მართლაც დიდ იმედებს იძლევა.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მცენარეები დახმარებისთვის მტაცებელ მწერებს „იძახებენ“



მართლაც საოცარია დედა ბუნება და მისი საიდუმლოებების ბოლომდე ამოხსნას კაცობრიობა, ალბათ, კიდევ ძალიან დიდხანს ვერ შეძლებს.

ამ შემთხვევაში, საუბარია გერმანელი და ნიდერლანდელი მეცნიერების ახალ მიგნებაზე, რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება, რომ მცენარეებს, რომელთა ფოთლებსაც მუხლუხოები და სხვა პარაზიტი არსებები ანადგურებენ, დახმარებისთვის მტაცებელი მწერების „გამოძახება“ შეუძლიათ.

სპეციალისტების ინფორმაციით, კვლევის ფარგლებში რამდენიმე სახეობის მცენარეს იკვლევდნენ და აღმოაჩინეს, რომ ფოთლების დაზიანების შემთხვევაში, ავტომატურად იწყება კონკრეტული ქიმიური ნივთიერებების გამოყოფა, რომელიც „სტანდარტულისგან“ განსხვავებული თვისებებით გამოირჩევა. სწორედ ასეთი ნივთიერებები წარმოადგენენ მტაცებელი მწერებისთვის ერთგვარ სიგნალს, რომლებიც პარაზიტებით იკვებებიან და მაშინვე მცენარის დასახმარებლად მიფრინავენ.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მცენარეების ქიმიური ნივთიერებების სტრუქტურაზე თავად მავნე მწერების პირში გამოყოფილი სეკრეტული სითხე მოქმედებს.

*news.rin.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## შაკიკის საწინააღმდეგო წამლები ბავშვებისთვის საშიშია




– საფრთხის წინაშე დგება ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობები, – ასეთია ამერიკელი სპეციალისტების მოულოდნელი და ძალიან არასასიამოვნო ინფორმაცია.

საუბარია იმაზე, რომ, როცა ფეხმძიმე ქალები შაკიკის საწინააღმდეგო წამლებს იღებენ, ამით შვილებს საკმაოდ სერიოზული რისკის წინაშე აყენებენ.

სპეციალისტების განმარტებით, ასეთ მედიკამენტებში მთავარი ნივთიერება ვალპროის მჟავაა, რომელსაც არაერთი უკუჩვენება აქვს.

თავის ტკივილები მშვენიერი სქესის უდიდეს ნაწილს ძალიან ხშირად აწუხებს, რასაც თან ერთვის გულისრევა და სხვა უსიამოვნო მოვლენები.

ის, რომ ვალპროის მჟავა ინტელექტზე უარყოფითად მოქმედებს, ჯერ კიდევ 2009 წელს დამტკიცდა, ახლა კი მეცნიერებმა ისიც დაადასტურეს, რომ ამ ნივთიერების შემცველი წამალი გავლენას ნაყოფზეც ახდენს.

*woman.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## პლაგიატიის ბრალდებით, ერთხელ... კომპიუტერს უჩივლეს




ჟაკლინ სიუზანი

1993 წელს სკოტ ფრენჩმა საინტერესო პროექტი წამოიწყო, რისთვისაც 40-ათასიანი დაფინანსებაც მიიღო. პროექტი კომპიუტერის შექმნას ითვალისწინებდა, რომლის მთავარი ფუნქცია მწერალ ჟაკლინ სიუზანის წერის სტილის გაანალიზება უნდა ყოფილიყო.

სკოტ ფრენჩმა სამუშაოს 8 წელი მოანდომა, რის შემდეგაც მანქანას ჰქონდა ყველანაირი მონაცემი და უკვე შესაძლებელი გახდა, ჟაკლინ სიუზანის სტილის მიხედვით ახალი რომანი დაწერილიყო.

სულ მალე დღის სინათლე იხილა რომანმა, სახელწოდებით „მხოლოდ ერთხელ“, რომელიც კომპიუტერ „მაკინტოშ II სიიქს“-ის მიერ იყო დაწერილი.

მართალია, რომანმა მკითხველში არც ისე დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ავტორი მანქანა იყო, შედეგი ნამდვილად გადასარევი გახლდათ.

ყველაფრის მიუხედავად, კომპიუტერის ავტორობით დაწერილი წიგნი 35 ათას ეგზემპლარად გაიყიდა, რის შემდეგაც ჟაკლინ სიუზანმა სკოტ ფრენჩს სასამართლოში უჩივლა და ის პლაგიატში დაადანაშაულა.

საქმე ძალიან გართულდა, რადგან, ფაქტობრივად, წიგნი მოპარული არ ყოფილა და ერთადერთი, რაშიც ფრენჩმა და მისმა კომპიუტერმა შესცოდეს, მწერლის სტილის სრული იმიტირება იყო.

საბოლოო ჯამში, ფრენჩმა და სიუზანმა ყველაფერი პირადი შეხვედრებით მოაგვარეს, რადგან კანონი საავტორო უფლებებზე ასეთ სიტუაციებს არ ითვალისწინებდა და სასამართლომ, უბრალოდ, არ იცოდა, როგორი განაჩენი გამოეტანა.

*kp.ru*

## Facebook ამბები



ლევან თაქთაქიშვილი 26 მაისს...

როდემდის დამრჩეს ეგ
ტკივილი გულში, როდემდის?
ოხ, როდემდის, როდემდის?..
ჩემო საყვარელო მიწა-წყალო,
მომეც ამისი პასუხი!. ნათელში ამყოფოს ბატონი გიგა ოთხოზორიას სული, ბოდიშს ვიხდი სადღესასწაულო დღეს რომ ტკივილი მოგაყენეთ, მაგრამ დამოუკიდებლობის დღეს სადღესასწაულო მაშინ გვექნება, ასეთ ვაჟკაცებს ესე ამაზრზენად რომ არ დაგვიხოცავენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე საწინააღმდეგო მქონდეს 26 მაისზე, ეს ჩვენი წინაპრების სანუკვარი ოცნების ასრულების დღეა და თან მტრის ჯინაზე უნდა ვიდღესასაწაულოთ, თუმცა ცრემლიანია წელს ეს დღე ჩვენთვის. არავინ მოგვწმენდს ამ ცრემლს, თუ ჩვენ არ გავერთიანდით და არ გავაცნობიერეთ, რომ მელია მეზობლები გვყავს, რომ ერთი ქართველიც კი გასაფრთხილებელია და დასაფასებელი, რომელ პარტიასა და რელიგიასაც არ იზიარებდეს ის, რომ ქართველი მხოლოდ სამი მილიონია, რამდენიც ჩვენს მეზობელ ქვეყანაში არათუ ქალაქის, არამედ მხოლოდ მის გარეუბანში ცხოვრობს, რომ გალაკტიონს მხოლოდ ქართველი წაიკითხავს და ვერ თარგმნი სხვა ენაზე ისე სრულყოფილად, რომ ქართველიც მხოლოდ თავის ქვეყანაშია თავისუფალი და აქაც არის ადგილები, სადაც შეიძლება მოგკლან, რომ უნდა გაუფრთხილდე საქართველოს, დაიცვა ის და ჯერ შეინარჩუნო და მერე გაამთლიანო. ჯერ შენარჩუნების სტადიაში ვართ, იმედი მაქვს, მოვა დრო გამარჯვებებისა, გახარებისა, ღმერთო, აასრულე ჩვენი ყველას ოცნება.

დავით ზურაბიშვილი (26 მაისი):

ერთი ჩემი მეგობარი ამბობდა გაგანია სსრკ-ს დროს: ხომ ვიცი რა ქვეყანაშიც ვცხოვრობ, მაგრამ მეტალურგიული ქარხნიდან რომაა რეპორტაჟი, მარტენის ღუმელიდან ცეცხლოვანი ნაკადი იფრქვევა და დიქტორი საზეიმო ხმით აცხადებს: „მოდის ქართული ფოლადი!„ ჩემდაუნებურად გული მიჩუყდება და ცრემლი მადგებაო. :)

ჰოდა, აი მეც ხომ ვიცი რა ნაცნი, ქოცნი, ამბრნი, უმბრნი, ურუს-სკვითი ოკუპანტნი, გულთგონთხართა და იობანიგარდაბანიც გვჭირს, მაგრამ ქართული დროშების ფრიალს, ფორმიან ჯარისკაცებს და ტანკზე მბობლავ ბავშვებს რომ ვუყურებ რუსთაველზე, მაინც გული მიჩუყდება და კურცხალი მაწვება. :)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ!




**გიზო ფაციას** ვულოცავთ დაბადების დღეს! იხარე და იბედნიერე შენ საყვარელ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად!

*ალიელები*

ფენომენი **ნინო გაფრინდაშვილი**, რენტგენული ხედვითა და ტელეპატიის უნარით დაჯილდოებული პარაფსიქოლოგი, ხედავს ადამიანის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, დაავადებებსა და ცხოვრებისეულ პრობლემათა გამომწვევ მიზეზებს, ასევე, მათი მოგვარების გზებს. მუშაობს დისტანციურადაც ნებისმიერ შორ მანძილზე (უცხოეთშიც). შეუძლია, დაგეხმაროთ პრობლემების მოგვარებაში და დააკმაყოფილოს თქვენი ცნობისმოყვარეობა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

ტელ: 599-348-547, 591-640-107.

## ადამიანს საკუთარი უბედურება სიამოვნებას ანიჭებს?!



კალიფორნიელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ტანჯვას ადამიანებისთვის... სიამოვნება მოაქვს(?!) და ამის მიზეზი რთული დღეების გახსენებასთან ერთად წარმოქმნილი ერთგვარი „ნარკოტიკული" ეფექტია.

– დაუსრულებელი უარყოფითი მოვლენები ადამიანის თავის ტვინში იმ ნეირონებს ააქტიურებს, რომლებიც „სიამოვნების ცენტრშია" განთავსებული და ხელს უწყობს მძიმე მოგონებებზე დამოკიდებულების გაჩენას, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

ამგვარი ეფექტის არსებობა ცოტა უცნაური ექსპერიმენტის ჩატარებით მტკიცდება, რომელშიც 23 ქალი მონაწილეობდა და რომელთაგან 11 ახლო ნათესავის სიკვდილისგან იტანჯებოდა. როცა მეცნიერებმა მათ გარდაცვლილების ფოტოები აჩვენეს და თავის ტვინის სკანირება ჩაატარეს, აღმოაჩინეს, რომ ფოტოების დემონსტრირებისას ადამიანების ტვინში „სიამოვნების ცენტრის" აქტივაცია ხდებოდა...

ალბათ, ხშირად მოგისმენიათ ერთი ასეთი უცნაური სადღეგრძელო: ჩვენს ტკბილ მოგონებებს გაუმარჯოს, რომლებმაც თავის დროზე ძალიან დიდი სიმწარე გვაჩვენესო...

აი, ასე უცნაურადაა მოწყობილი ადამიანის თავის ტვინიცა და ზოგადად, აზროვნებაც...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*medportal.com*

## დარიჩინის ექსტრაქტი დიაბეტისგან და გასუქებისგან დაგიცავთ



– თავისი ანტიოქსიდანტური შემადგენლობის დახმარებით, წყალში გახსნილი დარიჩინი ადამიანის ორგანიზმს დიაბეტისგან და გულის დაავადებებისგან იცავს, – ასეთი შედეგი მიიღეს ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა ჟოზეფ ფურიეს სახელობის ფრანგული უნივერსიტეტის სწავლულებთან ერთად.

აღნიშნულ საკითხს ამერიკელმა და ფრანგმა მეცნიერებმა 12-კვირიანი კვლევა მიუძღვნეს და შეისწავლეს ჭარბწონიანი ადამიანები პრედიაბეტური სიმპტომებით, რომლებსაც სისხლში გლუკოზისა და ინსულინის დონის დარღვევა აღენიშნებოდათ. ერთი ჯგუფი დარიჩინის ნაყენს 250 მილიგრამის ოდენობით დღეში ორჯერ სვამდა, მეორე კი კვლავ ჩვეულებრივად იკვებებოდა.

შედეგების შეჯამებისას დადგინდა, რომ დარიჩინის ნაყენმა ექსპერიმენტის მონაწილეების ორგანიზმში ანტიოქსიდანტების მაჩვენებელი 13-23 პროცენტით გააუმჯობესა, რასაც, თავის მხრივ, გლუკოზისა და ინსულინის დარეგულირებაც მოჰყვა.

მიღწევის ავტორები უახლოეს მომავალში დარიჩინის თვისებებთან დაკავშირებით მორიგი კვლევის ჩატარებას აპირებენ, რომლის დასრულების შემდეგაც, კონკრეტულ რეკომენდაციებსაც გაავრცელებენ.

*ami-tass.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## დაზიანებული სისხლძარღვების აღდგენაში კაკაო დაგეხმარებათ



ამერიკელი მეცნიერების მიერ ახლად ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კაკაოს ფლავანოლები უაღრესად დადებით გავლენას ახდენს ადამიანებზე, რომლებსაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ.

კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ კაკაოს ყოველდღიურ მიღებას შეუძლია, როგორც მინიმუმ, ორჯერ მაინც გაზარდოს ცირკულირებადი ანგიოგენური უჯრედების რაოდენობა, რასაც, თავის მხრივ, სისხლძარღვების აღდგენის პროცესის დაჩქარება მოჰყვება.

სპეციალისტების რეკომენდაცია ასეთია: მიიღეთ დღეში მინიმუმ ერთი ჭიქა კაკაო და ამით საკმაოდ სერიოზული პრობლემების მოგვარებას შეძლებთ.

*myjane.ru*

## პენტაგონი მულტიფუნქციური ქვედა საცვლების შექმნას აპირებს

საუბარია არა კონკრეტულად ტრუსებზე, როგორც ეს თავდაპირველად გვეგონა, არამედ სპეციალურ კოსტიუმზე, რომელსაც ჯარისკაცები უნიფორმის შიგნიდან ჩაიცვამენ და რომელიც გააკონტროლებს მათ ჯანმრთელობას, განკურნავს ტრავმებს(!) და მოახდენს სხეულის ენერგიის აკუმულირებას.

იდეის ავტორების მთავარი მიზანია, შეიქმნას სამოსი, რომელიც ჯარისკაცებისთვის არა მხოლოდ კომფორტული იქნება, არამედ მათზე სხვა ძალიან ბევრ დადებით გავლენასაც მოახდენს.

წინასწარი გათვლებით, პირველ რიგში, სპეცსამოსი სამხედრო მოსამსახურის სუნთქვასა და გულისცემას გააკონტროლებს. გარდა ამისა, შეაგროვებს ჯარისკაცის მოძრაობისგან გამომუშავებულ ენერგიასაც, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ელექტრომოწყობილობას აამუშავებს. რაც შეეხება კოსტიუმის სამკურნალო თვისებებს, მან კუნთის ტრავმებს უნდა უწამლოს.

ჯერჯერობით ამერიკელების ამ ამბიციური პროექტის შესახებ სხვა უფრო ამომწურავი ინფორმაცია აღარ ვრცელდება.

*tainamira.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

იყიდება უსწრაფესი, 9-კაციანი კატერი YAMAHA AR210, 2006 წლის, კარგ მდგომარეობაში. 2 სტაციონარული „ვადამიოტნი", 210 ცხენის ძალიანი ძრავით (ბენზინი). სიგანე – 2,5 მეტრი, სიგრძე – 6,4 მეტრი, წონა – 975 კგ. სპეც.ზღვის ნავიგაციით, სტაციონარული რაციით, გადასაყვანი ტრაილერით. მოძრაობს 40 სმ წყალშიც კი.

მდებარეობს ფოთში.



ფასი – 25 000 დოლარი

ტელეფონი: 599 50-39-97

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

21 21 80

(შიდა ნომერი 110)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

გაზეთი „ყოველკვირეული ალია"

გამოდის ორშაბათობით

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

Facebook - ამბები – ლაურა აბრამია
574 41-16-95

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424

UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.45